ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ი
1983/2

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4. 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава *(зам. редактора)*, Р. К. Кикнадзе *(зам. редактора)*, Г. А. Меликишвили *(редактор)*, Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 26.9.1983; შეკვ. № 2982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.01.1984;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; ნაბეჭდი თაბახი 16,8;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,5;

უე 07822; ტირაჟი 1100;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წერილები

ნ. მახარაძე, ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა 5
ა. ჩარკვიანი, სახალხო დეპუტატების საბჭოების საქმიანობა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის . . 18
ვ. გაბაშვილი, ტყვის სყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში 29
დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ბოლონია და ქართველთა ელჩობა დასავლეთ ევროპაში . 49

ცნობები და შენიშვნები

გ. შაყულაშვილი, ამჭრის სოციალური ბრძოლის ისტორიიდან 71
მ. ხეცურიანი გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის) საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი 74
ა. გაჭრაძე, თუმანიშვილთა საგვარეულოს გენეალოგიის დადგენის ცდა (XVII—XVIII სს.) 84
ვ. ითონიშვილი, მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII ს. 103
ს. მარქარიანი, მოკავშირეების წინააღმდეგ თურქ-სელჩუკთა ბრძოლის მნიშვნელობისა და თარიღის შესახებ (1049 წ.) 119
გ. არახამია, „ძეგლი ერისთავთა“-ს ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხისათვის 130
დ. ხოშტარია, ჩითახევის მონასტრის ეკლესია 141

საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

მ. გეგეშიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე . . 158

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ფუთურიძე, დ. ახვლედიანი, არქეოლოგიური ძიებანი 175
ა. პრონშტეინი, ვ. პატრაკოვა, რ. კიკნაძე, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. ფარსადან გორგიჯანიძე და „ქართლის ცხოვრება“ . 181
გ. ყორანაშვილი, ვ. კელე, მ. კოვალზონი, თეორია და ისტორია. ისტორიული პროცესის თეორიის პრობლემები 184

ქრონიკა და ინფორმაცია

ზ. ჯამგურია ახალგაზრდა მეცნიერთა სესია 188
გ. ჯორბენაძე, ახალგაზრდა არქეოლოგთა VI სესია 190
ა. კაცაძე, მ. გეგეშიძე (ნეკროლოგი) 191

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ნიკოლოზ მახარაძე

ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა

80 წლის წინ, 1903 წლის ზაფხულში შედგა რსდმ პარტიის ისტორიული II ყრილობა, ყრილობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი დიდი ფორუმი იყო: იგი შევიდა რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში როგორც დიდმნიშვნელოვანი ეპოქალური მოვლენა. ყრილობამ გააერთიანა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკურ პარტიას, როგორც ახალი ტიპის პროლეტარულ-მარქსისტულ პარტიას. „ბოლშევიზმი, — წერდა ლენინი — როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან არსებობს“[1]. ბოლშევიკური პარტიის შექმნა რევოლუციური მარქსიზმის ღირსშესანიშნავი გამარჯვება იყო. იგი ადასტურებდა მეცნიერული კომუნიზმის დებულებას იმის შესახებ, რომ რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა XIX საუკუნის ბოლოდან აღმოსავლეთში გადაინაცვლა და რუსეთი გახდა მისი უმთავრესი კერა.

ყრილობა რთულ ისტორიულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამ ხანებში შევიდა რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში, ახალ პირობებში მკვეთრად გამწვავდა ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლა, ეს ის დრო იყო როცა დასავლეთის სახელმწიფოებში უკვე დამთავრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციები. ამ ქვეყნების მუშათა პარტიები უმეტესად პარლამენტარული წყობილების პირობებში მოქმედებდნენ, ხოლო რუსეთში თვითმპყრობელობის მძიმე რეჟიმი ბატონობდა, რომელიც ბორკავდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას და სამეურნეო განვითარებას. რუსეთი — რევოლუციის წინაშე იდგა, რომლის მეთაურობა პროლეტარიატს ეკისრებოდა, ამიტომ აქ მუშათა კლასის პარტიის წინაშე დიდი და განსაკუთრებულად რთული ამოცანები იდგა. მას უნდა დაერაზმა მშრომელთა ფართო მასები, წაეყვანა ისინი ჯერ ცარიზმისა და შემდეგ ბურჟუაზიული წყობილების დასამხობად.

საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ ამ დროს, განსაკუთრებით ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში შეიჭრა და ვითარდებოდა რევიზიონიზმი, რომელიც უხეშად აყალბებდა მარქსიზმს, უარყოფდა რევოლუციური თეორიის მნიშვნელობას. რევიზიონისტები უარყოფდნენ კლასთა ბრძოლის გამწვავებას, უარყოფდნენ პროლეტარიატის ისტორიულ როლსა და პროლეტარულ რევოლუციას. იმ მიმდინარეობას, რომელსაც ევროპაში ბრენშტეინი, ფოლმარი და სხვა რევიზიონისტები მეთაურობდნენ. რუსეთშიც გამოუჩნდნენ მომხრეები, ესენი იყვნენ ლეგალური მარქსისტები და „ეკონომისტები“. ამ მიმდინარეობათა შეხედულებების პროპაგანდამ და პრაქტიკულმა საქმიანობამ უდიდესი საფრთხე შეუქმნეს სო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 9.

17597

კ. მარქსის ს.ხ. საქ.
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ციალ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში. ასეთ პირობებში შეიკრიბა რ ს დ მ პარტიის II ყრილობა, ისტორიამ მას მძიმე და საპატიო ამოცანები დააკისრა, ყრილობას პასუხი უნდა გაეცა რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის საარსებო საკითხებზე, დაეძლია რევიზიონისტების მავნე თეორიების და პრაქტიკული საქმიანობის გავლენა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, მოესპო დაქსაქსულობა და გაეერთიანებინა პარტიული ორგანიზაციები, შეექმნა ერთიანი მარქსისტული პარტია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა მუშათა კლასს და რევოლუციის ყველა ძალებს, ახალ ისტორიულ ვითარებაში. რსდმპ II ყრილობა, მართლაც, აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, რაც იმის შედეგი იყო, რომ მას წინ უძღოდა დიდი და დაძაბული მუშაობა, რომელიც ლენინურმა „ისკრამ“ ჩაატარა. „ისკრამ“ სასტიკად დაამარცხა „ეკონომისტები“ რომლებიც სტიქიურობის ანტიმარქსისტულ პოზიციებზე იდგნენ, უარყოფდნენ რევოლუციური მოძრაობის გეგმაზომიერად წარმართვის შესაძლებლობას და არსებითად ერთიანი პარტიის საჭიროების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ვ. ი. ლენინმა მკაცრად ამხილა ეკონომისტების შეხედულებათა ოპორტუნისტული ხასიათი. თავის ცნობილ სტატიაში „რით დავიწყოთ“, რომელიც 1901 წლის მაისში დაიბეჭდა, ლენინმა ჩამოაყალიბა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნის ძირითადი მონახაზები. ამ სტატიაში მოცემული დებულებები ლენინმა შემდეგ განავითარა თავის განთქმულ შრომაში „რა ვაკეთოთ?“ ეს შრომები და ლენინის სხვა ნაწარმოებები, სადაც განხილულია პარტიის პროგრამის და ორგანიზაციული პრინციპების უმნიშვნელოვანესი საკითხები, წარმოადგენენ იმ მტკიცე იდეურ საფუძველს, რომლებმაც განსაზღვრეს რსდმ პარტიის მეორე ყრილობის მუშაობის მთელი მიმართულება და განაპირობეს ლენინელთა ისტორიული გამარჯვება. ამიტომაა, რომ ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით აფასებდა „ისკრის“ დამსახურებას პარტიის შექმნის საქმეში, მაღალ შეფასებას აძლევდა ისკრელთა მოღვაწეობას. „არც ერთ სხვა ორგანიზაციას გარდა ისკრულისა — წერდა ვ. ი. ლენინი — არ შ ე ე ძ ლ ო ჩვენს ისტორიულ პირობებში 1900-1905 წლების რუსეთში, ი ს ე თ ი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა, როგორც შექმნილია ახლა“[2]. ბრძოლამ, რომელიც ისკრელთა ორგანიზაციამ ჩაატარა დაამარცხა „ეკონომისტები“ და მარქსიზმის სხვა მტრები, თითქმის სავსებით გამოდევნა მათი გავლენა რუსეთის მუშათა მოძრაობიდან. ახლა შეიძლებოდა ყრილობის მოწვევა, ნათელი იყო, რომ ანტისკრელებს აქ არ ექნებოდათ მნიშვნელოვანი გავლენა.

ყრილობა 1903 წლის 17 (30) ივლისს გაიხსნა, ქ. ბრიუსელში. აქ რამდენიმე სხდომა ჩატარდა. შემდეგ კი დელეგატები იძულებულნი გახდნენ ბრიუსელიდან ლონდონში გადასულიყვნენ, რადგან რუსეთის მეფის მთავრობის მოთხოვნით ბელგიის პოლიციამ აკრძალა ყრილობის მუშაობა. ყრილობამ მუშაობა 1 (23) აგვისტოს ლონდონში დაამთავრა.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 26 ორგანიზაცია 43 დელეგატით, რომელთაც 51 ხმა ჰქონდათ, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ პეტერბურგის, მოსკოვის, ეკატერინოსლავის, სარატოვის, ხარკოვის, ოდესის და სხვა სამრეწველო ცენტრების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დელეგატები. ყრი-

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 118.

ლობაზე კარგად იყვნენ წარმოდგენილი ამიერკავკასიის ისკრელები. აქ ამ დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ავტორიტეტულ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები არსებობდა, რომელთაც რსდმ პარტიის კავკასიის კავშირი აერთიანებდა. ყრილობის წინ ამ ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს და ყრილობაზე სამი დელეგატი გაგზავნეს — ბაქოდან — ბ. კნუნიანცი, თბილისიდან — დ. თოფურიძე, ბათუმიდან — ა. ზურაბოვი, ამათგან თითოეულს ორი ხმა ჰქონდა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ყრილობის მუშაობაში. მტკიცე ისკრელების პოზიციებზე იდგნენ, ლენინს ემხრობოდნენ (მხოლოდ დ. თოფურიძეს დაეტყო ერთგვარი მერყეობა ყრილობის ბოლოს). ყრილობას აგრეთვე ესწრებოდა ნ. ჟორდანია, რომელსაც სათათბირო ხმის უფლება ჰქონდა. იგი თავიდანვე „ანტიისკრელთა“ ბანაკში მოექცა და თავის გამოსვლებში უმეტესად მათ შეხედულებას იცავდა.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ აგრეთვე: „შრომის განთავისუფლების, „ისკრის“ რუსული ორგანიზაციის“, „რუსული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლიგის“, აგრეთვე „რუს სოციალ დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის“ და ზოგი სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამრიგად, ყრილობას ესწრებოდნენ პარტიის ყველა ორგანიზაციის წარმომადგანლები, რომლებიც ამ დროს თავის რიგებში ითვლიდნენ რამდენიმე ათეულ ათას პარტიის წევრს.

ყრილობა თავის შემადგენლობით ერთფეროვანი არ იყო. გარდა ისკრელებისა, რომელთაც 33 ხმა ჰქონდათ, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ანტიისკრელები — ბუნდელები და „ეკონომისტები“, რომელთაც 8 ხმა ჰქონდათ. აგრეთვე ჯგუფი „იუჟნი რაბოჩის“ დელეგატები, რომელთაც არათანმიმდევრული, მერყევი პოზიცია ეჭირათ. ვ. ი. ლენინმა მათ „ჭაობი“ უწოდა. ამ ჯგუფს 10 ხმა ჰქონდა: ყრილობის მსვლელობაში ისკრელებიც გაიყვნენ. ერთი ნაწილი ოპორტუნიზმისაკენ გადაიხარა, ამ ჯგუფის წევრებს, რომლებსაც მარტოვი მეთაურობდა 9 ხმა ჰქონდათ, მათ რბილი ისკრელები ეწოდათ. ისკრელთა უმრავლესობა ძველი „ისკრის“ რევოლუციურ-მარქსისტულ პოზიციებზე დარჩა, და ამიტომ მტკიცე ისკრელების სახელწოდება მიიღო, მათ 34 ხმა ჰქონდათ. ამ მიმდინარეობის ბელადი ვ. ი. ლენინი იყო.

ყრილობის ასეთი შემადგენლობა, განსაკუთრებით „ეკონომისტების“ და სხვა ოპორტუნისტების გამოსვლები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ყველა საშუალებით ხელი შეეშალათ ყრილობის ნორმალური მსვლელობისათვის ძალზე ართულებდნენ ყრილობის მუშაობას. მხოლოდ ვ. ი. ლენინის დიდი დაძაბული და უაღრესად პრინციპული ბრძოლის შედეგად იქნა დაძლეული მტრული ბანაკის შემოტევები.

ლენინელთა ბრძოლამ უზრუნველყო მარქსისტულ-ლენინური პრინციპების გამარჯვება და განსაზღვრა ყრილობის უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, განაპირობა მკვეთრი მობრუნება რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში.

ყრილობამ მიიღო რ ს დ მ პარტიის პროგრამა და წესდება, შეიმუშავა ტაქტიკური პრინციპები და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები — ცენტრალური კომიტეტი, „ისკრის“ რედაქცია, შექმნა პარტიის საბჭო.

მწვავე თეორიული პაექრობის შემდეგ ყრილობამ მიიღო პარტიის პროგრამა შემუშავებული „ისკრის“ რედაქციაში. ეს ლენინური პროგრამა იყო. მისი

პირველი პროექტი გ. პლეხანოვმა წარმოადგინა ვ. ლენინი გაეცნო ამ პროექტს და მთელი რიგი არსებითი მნიშვნელობის შენიშვნები გააკეთა, შემდეგ პლეხანოვმა მეორე პროექტი წარმოადგინა. ვ. ი. ლენინმა ისიც არ მოიწონა და აღნიშნა: მისი უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ იქ არ იყო წამოყენებული პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ მძაფრად გაილაშქრეს ყრილობაზე ანტიისკრელებმა, ისინი თავის მოსაზრებას იმითაც ასაბუთებდნენ, რომ ეს მოთხოვნა არ იყო დასავლეთის არც ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში. ყრილობამ უარყო რევიზიონისტების ცდები და მხარი დაუჭირა ლენინელებს. პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნა პარტიისII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენდა და მას მკვეთრად განასხვავებდა II ინტერნაციონალის პარტიების პროგრამებისაგან. ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო აგრარულ საკითხს, რომელიც ვ.ი. ლენინმა შეიმუშავა. იგი მიზნად ისახავდა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების ლიკვიდაციას და ემსახურებოდა მუშათა კლასის და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცების დიდ ისტორიულ ამოცანას. პროგრამა პირველ ყოვლისა მოითხოვდა გლეხებისათვის „ჩამონაჭრების“, ე. ი. იმ მიწების დაბრუნებას, რომელიც მათ საგლეხო რეფორმის დროს ჩამოერთვათ და აგრეთვე მიღებული მიწებისათვის გამოსასყიდი თანხების შეწყვეტას; ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობდნენ გლეხობის გათავისუფლებას მემამულური კაბალისაგან და დააჩქარებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამასთანავე ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ აგრარული პროგრამის ეს მოთხოვნები არ გამოხატავდნენ საბოლოო მიზანს და გლეხობის პოლიტიკური აქტივობის გაზრდის შესაბამისად, ხელსაყრელ პირობებში პარტია წამოაყენებს ახალ რადიკალურ მოთხოვნებს. მათ შორის მემამულეთა მიწათმფლობელობის გაუქმებას და საერთოდ მიწებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციას.

ლენინის აგრარული პროგრამის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრეს ეკონომისტებმა. ისინი მიხვდნენ, რომ ეს პროგრამა განამტკიცებდა მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს გლეხობაზე, ხელს შეუწყობდა სოციალ-დემოკრატების გავლენის გაზრდას სოფლად, გლეხობის ფართო ფენებზე. უზრუნველყოფდა რევოლუციური ძალების კონსოლიდაციას.

მაგრამ მათი ცდა ჩაეშალათ აგრარული პროგრამის მიღება უშედეგოდ დამთავრდა.

აღსანიშნავია ,რომ აგრარული საკითხის გარშემო საქართველოს პრესაშიც გაიმართა პაექრობა. აქაც გამოჩნდნენ ეკონომისტების მომხრეები, რომლებიც ამტკიცებდნენ ჩამონაჭრების დაბრუნება და ბატონყმობის სხვა ნაშთების ლიკვიდაცია ხელს შეუწყობს წვრილი წარმოების განმტკიცებას, რაც მარქსის მოძღვრებას ეწინააღმდეგებაო. მაგრამ ქართველმა ლენინელებმა უკუაგდეს რევიზიონისტების ეს შემოტევები, ენერგიულად იცავდნენ აგრარულ პროგრამას, რაზმავდნენ სოფლად რევოლუციის ძალებს, რამაც უზრუნველყო ქართველი გლეხობის აქტიური მონაწილეობა რევოლუციაში.

პროგრამის განხილვისას ცხოველი პაექრობა გაიმართა ეროვნული საკითხის გარშემო, პროგრამის მე-9 პარაგრაფი, რომელიც ეროვნულ საკითხს შეეხებოდა ითვალისწინებდა ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას, ამას არ დაეთანხმნენ ყრილობის მონაწილე პოლონელი სოციალ-დემოკრატები ვარსკი

და განეცკი, ისინი, ვარაუდობდნენ, თითქოს, თვით გამორკვევის უფლება ყველა შემთხვევაში გულისხმობდა ერების გამოყოფას რუსეთიდან, რაც გათიშავდა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. ასეთი მოსაზრება სწორი არ იყო, პროგრამის აღიარებული ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლება მიმართული ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ არავის არ ჭონდა უფლება ესა თუ ის ერი ძალით, მისი სურვილის წინააღმდეგ დაეტოვებია არსებული სახელმწიფოს ფარგლებში, ხოლო საკითხი გამოყოფის შესახებ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვეტილიყო ისტორიული პირობების შესაბამისად. მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. ყრილობამ, რომელიც ხელმძღვანელობდა რევოლუციის ყველა ძალების შეკავშირების მიზნებით ყურადღება დაუთმო მუშათა კლასის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა პარტიებთან ურთიერთობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით ყრილობამ განიხილა ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხი და ორი რეზოლუცია მიიღო: პოტრესოვისა (სტაროვერის) და პლეხანოვის. ეს რეზოლუციები ძალზე განსხვავდებოდნენ ერთი მეორისაგან, პოტრესოვის რეზოლუცია მეტად ბუნდოვანი იყო, იგი არ ითვალისწინებდა ლიბერალების კლასობრივ ბუნებას, თვლიდა, რომ საჭიროა მათთან შეთანხმება თუ ისინი აღიარებდნენ, რომ იბრძოლებდნენ დემოკრატიული გარდაქმნებისათვის. ვ. ი. ლენინმა მკაცრად ამხილა პოტრესოვის შეცდომა. იგი მიუთითებდა, რომ ლიბერალები მჭონებელი კლასების ინტერესებს გამოხატავენ და არ შეიძლება მათი ნდობა, რომ ლიბერალებმა უკვე საკმაოდ გამოამჟღავნეს თავისი კლასობრივი არსი. რაც ბრძოლის შემდგომმა განვითარებამ სავსებით დაადასტურა; რევოლუციის დროს ლიბერალები ცარიზმის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. ყრილობაზე პლეხანოვი, ლენინთან ერთად გამოდიოდა, თუმცა „ისკრის“ მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ უთანხმოება ჩამოეგდოთ მათ შორის, ვ. ი. ლენინი ხუმრობით ამბობდა, რომ მათ სურვილს მოაწყონ „გაყრა“ ლენინსა და პლეხანოვს შორის განხორციელება არ უწერია.

ყრილობამ მიიღო დადგენილება სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) შესახებ. ეს პარტია 1901 წელს წარმოიშვა. იგი ნაროდნიკების სუბიექტივისტურ პოზიციებზე იღგა და სოციალიზმის ნიღბით გამოდიოდა. ცდილობდა გავლენა მოეპოვებინა მუშათა კლასში, რითაც ხელს უშლიდა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის მუშაობას.

ყრილობამ გამოაშკარავა ესერების შეხედულებათა წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათი, ამხილა მათი თეორიების და საქმიანობის უარყოფითი მხარეები. მიუთითა რომ ყოვლად დაუშვებელია მათთან გაერთიანების ყოველგვარი ცდა და შესაძლებელია მხოლოდ შეთანხმება ცალკეულ პრაქტიკულ საკითხში და ისიც ყველა შემთხვევაში ცენტრალური კომიტეტის თანხმობით.

ყრილობამ ყურადღება მიაქცია მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მუშაობის ამოცანებს და მიიღო სათანადო დადგენილება. ამ დროს სტუდენტობა და საშუალო სკოლების მოწაფეებიც კი აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაში, ეხმაურებოდნენ მუშათა კლასის და გლეხობის რევოლუციურ გამოსვლებს, მონაწილეობდნენ რევოლუციურ დემონსტრაციებში, სტუდენტობა ენერგიულად იბრძოდა უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მმართველობის ბიუროკრატიული წესების წინააღმდეგ, სწავლების პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის. ესერები და სხვა არაპროლეტარული პარტიები, უმაღლეს სასწავლებლების პროფესურის ლიბერალურად

განწყობილი ნაწილი ცდილობდნენ თავის გავლენის ქვეშ მოექციათ ახალგაზრდობა. ჩამოეშორებინათ იგი რევოლუციური მოძრაობისაგან.

ყრილობა მხურვალედ მიესალმა ახალგაზრდობას, მოუწოდა მათ კიდევ უფრო ენერგიულად ებრძოლათ სხვა პროგრესულ ძალებთან ერთად ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნისათვის.

ამრიგად, ყრილობაზე გაიმარჯვა, ლენინურმა ტაქტიკამ კლასობრივი ბრძოლის პროცესში მემარცხენე ძალების შეკავშირების შესახებ, რაც შემდგომში, ფართოდ გამოიყენა პარტიამ რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნისათვის.

ყრილობის მუშაობაში დიდი ადგილი დაიჭირა პარტიის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხებმა. აქ პარტიის წესდების განხილვისას ერთი მეორეს მწვავედ შეეჯახა ორი თვალსაზრისი ლენინისა და მარტოვის. კამათი გაიმართა წესდების პირველი პარაგრაფის გარშემო.

ვ. ი. ლენინი, მტკიცედ ეყრდნობა რა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, თვლიდა, რომ პარტიის წევრი არა მარტო უნდა იზიარებდეს პარტიის პროგრამას, და ეხმარებოდეს მას მატერიალურად, არამედ იგი უნდა იყოს რომელიმე პარტიული ორგანიზაციის წევრი, ისე შეუძლებელია მასზე დახმარებისა და კონტროლის გაწევა. შეუძლებელია პარტიული დავალებების მიცემა, მისი შესრულების შემოწმება. შეუძლებელია პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა, რაც მიზანდასახული მოქმედების გადამწყვეტი პირობაა.

მარტოვი, არსებითად გამოდიოდა რა ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნის წინააღმდეგ, საჭიროდ არ თვლიდა პარტიის წევრისათვის გარკვეულ პარტიულ ორგანიზაციის წევრად ყოფნას, მისი აზრით ყველას, „ყველა გაფიცულს“, როგორც ამბობდნენ ყრილობაზე მისი პოზიციის შესახებ, შეეძლო თავი გამოეცხადებია სოციალ-დემოკრატად. ეს გამორიცხავდა პარტიის ორგანიზაციულ და იდეურ ერთიანობას უკან ეწეოდა პარტიულ ორგანიზაციებს კუსტარობისა და დაქსაქსულობისაკენ, რასაც ადგილი ჰქონდა ყრილობის მოწვევამდე.

ამ საკითხზე მარტოვის წინადადება მიიღეს, ეს იმის შედეგი იყო, რომ რბილ ისკრელებს აქტიურად მხარი დაუჭირეს ანტიისკრელებმა. მაგრამ მათი გამარჯვება მტკიცე და ხანგრძლივი არ იყო. ვ. ი. ლენინი ყრილობის შემდეგ ენერგიულად განაგრძობდა ბრძოლას მარტოვის ოპორტუნისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ. თავის ცნობილ ნაშრომში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, რომელიც 1904 წელს გამოვიდა ლენინმა სასტიკად ამხილა მარტოვის მიმდევართა უკან დახევა და ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში. ვლადიმერ ილიას ძე იმედოვნებდა, რომ მომავალი პარტიული ყრილობა აუცილებლად გააუქმებდა წესდების პირველი პარაგრაფის ფორმულირებას, და მართლაც, ასე მოხდა, პარტიის III ყრილობამ, რომელიც 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის ვითარებაში შეიკრიბა პარტიის წესდების ლენინური ფორმულირება მიიღო, რაც ლენინური ორგანიზაციული პრინციპების ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ამან განამტკიცა პარტიის რიგები, გაზარდა მისი ხელმძღვანელი როლი მშრომელთა ფართო მასებზე და რევოლუციის შემდგომ აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა.

დასასრულს, ყრილობამ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — „ისკრის“ რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი აირჩია, და პარტიის საბჭო შექმნა, არჩევნების გარშემო ყრილობაზე ცხარე ბრძოლა გაიმართა.

ოპორტუნისტები მოითხოვდნენ, რომ „ისკრის“ რედაქციაში ძველი შემადგენლობა აერჩიათ, ამას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ დელეგატებმა მოიწონეს მათი მუშაობა, მაგრამ ყრილობამ უარყო ეს წინადადება, რადგან გამოირკვა, რომ ძველი რედაქციის ნაწილი ოპორტუნისტულ პოზიციაზე იდგა და რედაქციაში აირჩია ლენინი, პლეხანოვი და მარტოვი. მაგრამ ეს უკანასკნელი საბოტაჟის გზას დაადგა და მუშაობაზე უარი განაცხადა. ყრილობამ ვ. ი. ლენინი აირჩია ცენტრალურ კომიტეტში; მის შემადგენლობაში შევიდნენ აგრეთვე გ. კრჟიჟანოვსკი და გლებოვი (ნოსკოვი), რომლებიც მტკიცე ისკრელების პოზიციაზე იდგნენ. ვ. ი. ლენინის არჩევა ორივე ხელმძღვანელ ორგანოში მისი დიდი დამსახურებისა და ავტორიტეტის საყოველთაო აღიარება იყო.

ამრიგად, ყრლობის მუშაობის გადამწყვეტ მომენტში გამარჯვება ლენინელებს ხვდათ, მათ უმრავლესობა მიიღეს, ასე წარმოიშვა ბოლშევიზმი და სახელწოდება ბოლშევიკი, რაც შეუდრეკელი რევოლუციური-მარქსისტის სინონიმად იქცა და უდიდესი პოლიტიკური პარტიის სახელწოდება გახდა. ხოლო მეორე ნაწილს, რომელმაც მარცხი განიცადა, მენშევიკები ეწოდათ.

ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს. ეს პარტიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანების მნიშვნელოვანი პირობა იყო. ყრილობას მხედველობიდან არ გამორჩენია საქართველოს ისკრელთა საქმიანობა და რევოლუციური მოძრაობის ამოცანები. ეს კარგად იგრძნობოდა ყრილობის მუშაობის მთელს მანძილზე და განსაკუთრებით გამოვლინდა როგორც ორგანიზაციული, ისე აგრარული და ეროვნული საკითხების განხილვისას. ვ. ი. ლენინი, რომელიც მშვენივრად იცნობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას თავის გამოსვლებში არაერთხელ შეეხო ამ საკითხებს, მან მკაცრად გააკრიტიკა ყრილობის ის დელეგატები, რომლებმაც გამოიჩინეს უყურადღებობა საქართველოში აგრარული ურთიერთობის და ქართველი გლეხობის ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნისადმი, როგორიც იყო ხიზნობისა და დროებით ვალდებულთა ინსტიტუტის გაუქმება. ამტკიცებდნენ ეს ადგილობრივი და უცნობი საკითხებიაო. ვ. ი. ლენინმა მკაცრად ამხილა ამ შეხედულებათა უსაფუძვლობა. „... ხიზნებისა და დროებით ვალდებულთა საკითხი — ამბობდა ვ. ი. ლენინი — მარტო ადგილობრივი საკითხი როდია. თან ეს საკითხი ცნობილია ლიტერატურაში“[3].

ყრილობამ განიხილა საკითხი რსდმპარტიის კავკასიის კავშირის შესახებ და დაამტკიცა იგი რაიონულ (სამხარეო) ორგანიზაციად, ხოლო მის ბეჭდვით ორგანოდ აღიარა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთი იყო და ამ დროს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოდიოდა. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა გაზეთის მუშაობას, იქ დაიბეჭდა მისი რამდენიმე წერილი; „ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართო გაზეთით „პროლეტარიატის ბრძოლა“ — წერდა ნ. კ. კრუპსკაია გაზეთის რედაქციას.

ყრილობის შემდეგ, როდესაც მენშევიკების გამთიშველი პოლიტიკის შედეგად ბრძოლა პარტიის შიგნით გამწვავდა, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მტკიცედ იცავდნენ ლენინის შეხედულებებს, პარტიის

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 618.

პროგრამის, ორგანიზაციული წყობის და პარტიული მშენებლობის საკითხებზე. ისინი სარგებლობდნენ ვ. ი. ლენინის მუდმივი მხარდაჭერითა და დახმარებით, რომელიც იწონებდა კავკასიის ბოლშევიკთა მტკიცე პოზიციას. „ძვირფასო ამხანაგებო!, — ნათქვამია ვ. ი. ლენინის წერილში, რომელსაც ხელს აწერდა აგრეთვე პლეხანოვი, — ჩვენ მივიღეთ ცნობა თქვენი საქმიანობის შესახებ... დაე კავკასიელი ამხანაგები მტკიცედ იდგნენ იმ გზაზე, რომელსაც ისინი დაადგნენ. დარწმუნებული ვართ, რომ ახლანდელი პარტიული „არეულობა“ მალე „დაცხრება“ და, მართლაც, ეს „არეულობა“ მალე იქნა დაძლეული პარტიის III ყრილობაზე, რომელიც 1905 წლის აპრილში ჩატარდა. მან მტკიცედ შეამჭიდროვა პარტიული ორგანიზაციები, შეაიარაღა ისინი რევოლუციის ხელმძღვანელობის ვრცელი და ნათელი პროგრამით. რამაც უზრუნველყო მუშათა კლასის, გლეხობის და პროგრესული ინტელიგენციის დარაზმვა, რევოლუციას ფართო სახალხო მოძრაობის ხასიათი მისცა.

რსდმპ II ყრილობას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, მან ცხოველი გამოხმაურება პოვა და ხელი შეუწყო მემარცხენე რევოლუციური ძალების დარაზმვას სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვ. ი. ლენინის ბრძოლას მარქსიზმის რევოლუციური პრინციპების დასაცავად და ბოლშევიკური მიმდინარეობის შექმნას, მტრულად შეხვდნენ II ინტერნაციონალის მემარჯვენე მიმდინარეობის ბელადები, ისინი აშკარად მხარს უჭერდნენ მენშევიკებს, უარყოფდნენ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებული უთანხმოების პრინციპულ მნიშვნელობას.

II ინტერნაციონალის ბიუროს დადგენილებაც კი გამოიტანა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შექმნილი ორი მიმდინარეობის შერიგების შესახებ, იმ იმედით, რომ ამ გზით უზრუნველყოფდნენ მენშევიკების გამარჯვებას. კაუცკი ხალისით უთმობდა გაზეთ „ნოიე ცაიტის“ ფურცლებს, მენშევიკ ავტორებს, რომლებიც პარტიის მშენებლობის ლენინური პრინციპების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამავე დროს უარი განაცხადა ვ. ი. ლენინის წერილი დაებეჭდა, იმ მოტივით, რომ თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ჩანასახობრივ მდგომარეობაში იმყოფება და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა მის საქმეებს დიდ ადგილს ვერ დაუთმობსო. სამაგიეროდ, ევროპის ქვეყნების მემარცხენე მიმართულების სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში და სხვა პროგრესულ პრესაში მაღალი შეფასება დაიმსახურა II ყრილობის მუშაობამ და შედეგებმა.

გერმანიის, ინგლისის, შვეიცარიის, უნგრეთის და სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაზეთებმა დაბეჭდეს მასალები და მაღალი შეფასება მისცეს ყრილობის მუშაობას. ყრილობის შედეგებს მხურვალედ მიესალმა უნგრეთის გაზეთი „ნეპსავა“. იგი აღნიშნავდა, რომ ეს იყო დიდი პარტიული ყრილობა და იმის ნათელი მოწმობა თუ როგორ გაიზარდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობა. შემდეგ გაზეთი ახასიათებდა პარტიის პროგრამას, რომელიც მიიღო ყრილობამ და ასკვნიდა, რომ იგი აგებულია მარქსიზმის მტკიცე საფუძველზე და „ბრწყინვალედ არკვევს პარტიის მოთხოვნებსა და მიზნებს“.

ინგლისელი სოციალ-დემოკრატების ორგანო „ჩარტი“ ვრცლად ახასიათებდა ყრილობის მიზანს შეექმნა ერთიანი პარტია თავისი ცენტრალური კომიტეტით სათავეში და ასკვნიდა: „ასე შეიქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ნება გვიბოძეთ გამოვთქვათ იმედი, რომ არა მარტო მის წევრებს, არამედ მათ მეგობრებსაც სხვა სოციალისტურ პარტიებში უხარიათ, რომ მათი ყველაზე უმცროსი დაც გაბედულად შევიდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ ოჯახში“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერსტი“ სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა II მორიგი ყრილობა“ მიუთითებდა, რომ „ყრილობამ შეიმუშავა „პარტიის პროგრამა და ორგანიზაციული სტატუტი, რის საფუძველზეც მოხდა რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯგუფების და კავშირების გაერთიანება ერთიან სოციალ-დემოკრატიულ კავშირში“.

ლენინელთა ბრძოლამ ყრილობაზე და ბოლშევიზმის ჩამოყალიბებამ გავლენა მოახდინა მემარცხენე რევოლუციური ძალების კონსოლიდაციაზე გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. ხელი შეუწყო ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის — რევოლუციური ფრთის „ტესნიაკების“ დარაზმვას და მათი ბრძოლის გაძლიერებას მემარჯვენეთა წინააღმდეგ, დაიჩქარა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის შექმნა.

ამ დროს დასავლეთ ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში მუშაობდნენ რევოლუციური მოძრაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები როგორიც იყვნენ: ა. ბებელი, კ. ლიბკნეხტი, პ. ლაფარგი, ფ. მერინგი, კ. ცეტკინი, რ. ლუქსემბურგი, მ. კაშენი, დ. ბლაგოევი და სხვები. ისინი შეადგენდნენ მემარცხენე რევოლუციურ ფრთას II ინტერნაციონალში. ბევრ რამეში არ ეთანხმებოდნენ მემარჯვენეებს, ებრძოდნენ მათ. მაგრამ ორგანიზაციულად გაერთიანებული არ იყვნენ, უშვებდნენ შეცდომებს, ვერ ხედავდნენ ოპორტუნისტებისაგან გათიშვის საჭიროებას. ბოლშევიზმის გამოსვლამ საერთაშორისო სარბიელზე გააძლიერა მათი ბრძოლა რევიზიონისტების წინააღმდეგ. რუსეთის ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის მეთაურობით ენერგიულად ეხმარებოდნენ მათ. ამ მიზნით ჩატარდა მემარცხენეთა არაერთი თათბირი და კონფერენცია. განსაკუთრებით მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ, მილიტარიზმის ზრდამ უაღრესად საშიში ხასიათი მიიღო. ვ. ი. ლენინისა და მემარცხენეთა ზეგავლენით II ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესმა 1912 წელს მიიღო დადგენილება ომის წინააღმდეგ, მაგრამ ოპორტუნისტებმა უღალატეს ამ დადგენილებას, მხარი დაუჭირეს თავიანთი ქვეყნების იმპერიალისტურ მთავრობებს, მხოლოდ ბოლშევიკებმა დარაზმეს ძალები ომის წინააღმდეგ და ისტორიულ გამარჯვებას მიაღწიეს.

ლენინელთა პარტია სამი სახალხო რევოლუციის ბელადი იყო, მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა რუსეთის პირველი 1905—1907 წწ. რევოლუცია, რომელსაც სამართლიანად ეწოდა დიდი ოქტომბრის გენერალური რეპეტიცია, ლენინელთა პარტიის მეთაურობით განხორციელდა ისტორიულ 1917 წელში თებერვლის რევოლუცია, რომელმაც ცარიზმის მრავალსაუკუნოვანი ბატონობა დაამხო და მშრომელთა ფართო მასებს გზა გაუხსნა ოქტომბრისაკენ. ამ დროს რუსეთში არაერთი პარტია მოქმედებდა. ისინი იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა მარ-

ტო აეღო ხელისუფლება. მხოლოდ ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული პარტიების გაერთიანებული ძალებით კონტრრევოლუციური კოალიციური მთავრობის საშუალებით ფიქრობდნენ ისინი დაეცვათ ისტორიულად განწირული ბურჟუაზიული წყობილება, გაენადგურებინათ რევოლუციის ძალები. მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდათ. სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში შეუტიეს მათ ლენინური პარტიის მიერ მუშათა კლასის მეთაურობით მტკიცედ შეკავშირებულმა მშრომელთა ფართო მასებმა და ხელიდან გამოაცალეს ძალაუფლება.

იმ ისტორიულ დღეებში, როცა დიდი ბელადი რაზმავდა ძალებს შეტევისათვის, იგი გადამწყვეტ როლს ანიჭებდა პარტიას. და ღრმა რწმენით აღნიშნავდა, რომ პარტია შეასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას, მისი ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს გამარჯვებას. „პარტიისა ჩვენ გვწამს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი და მიუთითებდა, — რომ პარტია არის ჩვენი ეპოქის გონება, სინდისი და პატიოსნება“. ასეთი იყო კომუნისტური პარტია თავიდანვე, ასეთია იგი ახლაც. ამიტომ არის, რომ პარტიის ეს ლენინური დახასიათება აღბეჭდილია ჩვენს პარტიულ ბილეთებში. პარტიის ძლიერების წყარო არის მისი მტკიცე კავშირი მუშათა კლასთან და მშრომელთა ფართო მასებთან, ამ კავშირის საფუძველია სწორი ხელმძღვანელობა, მშრომელთა ინტერესების მტკიცე დაცვა.

დიდი ოქტომბრის დღეებში კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის ამოცანას. ეს იყო საერთო სახალხო მოთხოვნა, იგი აერთიანებდა მოსახლეობის უფართოეს ფენებს, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლებოდა. ამიტომ ლენინელთა პარტია ოქტომბრის რევოლუციასთან, მშვიდობის ლოზუნგით მივიდა და გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებაც მშვიდობის მოპოვების ამოცანას ემსახურებოდა.

ოქტომბრის გამარჯვება ლენინიზმის, სოციალური სამართლიანობის და მშვიდობის პოლიტიკის უდიდესი ზეიმი იყო. მან ახალ საფეხურზე აიყვანა და დააჩქარა მსოფლიო რევოლუციური პროცესი. ხმა ისტორიული გამარჯვების შესახებ ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეს მისწვდა, მას მშრომელთა ფართო მასები და კულტურის ბევრი დიდი მოღვაწე გამოეხმაურა. ისინი უდიდესი ინტერესით ეცნობოდნენ სოციალისტური რევოლუციის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, იწონებდნენ მათ. დამახასიათებელია, რომ ბევრი მათგანი კაცობრიობის პროგრესს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებას და ლენინის იდეების განხორციელებას უკავშირებდა.

„თუ ლენინის ექსპერიმენტი არ განხორციელდა, ცივილიზაცია დაიღუპება“ — წერდა ცნობილი ინგლისელი მწერალი, ჰუმანისტი ბერნარდ შოუ.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უფრო გაიზარდა პარტიის კავშირი და ხელმძღვანელი როლი მშრომელთა ფართო მასებზე, კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ პარტია გონიერი და თავდადებული მებრძოლია ხალხთა კეთილდღეობისათვის. ისტორიული განვითარების ურთულეს პირობებშიც კი, იგი კარგად ერკვეოდა მოვლენათა მსვლელობაში, სწორად სახავდა ამოცანებს, „ჩვენ, — წერდა ლენინი, — წავართვით რუსეთი მდიდ-

რებს ღარიბებისათვის, ახლა უნდა ვმართოთ“[4]. შემდეგ, იგი მიუთითებდა ამოცანის სიძნელეებზე და იძლეოდა სოციალისტური მშენებლობის გაშლის ვრცელ პროგრამას.

სამოქალაქო ომის დროს, როცა ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დანგრეული იყო იმპერიალისტური ომისა და უცხოელი ინტერვენტების შემოსევის შედეგად, საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სასტიკად დაამარცხა ანტანტის და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები, რომლებიც ადვილი გამარჯვების იმედით, თავს დაესხნენ საბჭოთა ქვეყანას. ვ. ი. ლენინი ხსნიდა რა იმას თუ როგორ მოხდა ეს სასწაული, მიუთითებდა, რომ გამარჯვება მოპოვებულია პარტიის ბრძნული და ენერგიული მოღვაწეობის შედეგად, რომ „პარტია იყო სადარაჯოზე“, მისი მაორგანიზებელი ძალა წვდებოდა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეს.

სამოქალაქო ომის შემდგომ წლებში პარტიამ ბრწყინვალედ განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ამ ისტორიულმა გამარჯვებამ განამტკიცა, სოციალიზმის პოზიციები, რაც ფაშიზმზე გამარჯვების გადამწყვეტი პირობა იყო. აქაც, ლენინის სიტყვებით, რომ ვთქვათ „პარტია იყო სადარაჯოზე“, მან ბრძნული პოლიტიკით უზრუნველყო მსოფლიოს ანტიფაშისტური ძალების წარმართვა აგრესორთა გასანადგურებლად.

ფაშიზმის დამარცხების შედეგად მნიშვნელოვნად შეიკვეცა იმპერიალისტური სამყარო, მას არაერთი ქვეყანა მოწყდა, და სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა. შეიქმნა მძლავრი, მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

ყრილობები პარტიისა და ხალხის დიდმნიშვნელოვანი ისტორიის ნიშანსვეტია. დიდად გაიზარდა მათი მნიშვნელობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა პარტია სახელმწიფოს და ქვეყნის მთელი ცხოვრების ხელმძღვანელ და წარმართველ ძალად გადაიქცა. განსაკუთრებით დიდია პარტიის XXVI ყრილობის მნიშვნელობა, მან შეაჯამა საბჭოთა ხალხის წარმატებები, და კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული პროგრამა შეიმუშავა. ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებს და მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად ვრცელი და ქმედითი ღონისძიებები დასახა. ყრილობამ მიიღო დადგენილება პარტიის ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ.

პარტიის XXVI ყრლობის მიერ დასახული ამოცანების შემდგომი განხორციელების ვრცელი გეგმა მოცემულია ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმების დადგენილებებში და ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში.

პარტია განუხრელად ახორციელებს ყრილობის დადგენილებებს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. გაფართოვდა და გაღრმავდა საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლები. გაძლიერდა კონტროლი შრომაზე და მატერიალური დოვლათის

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 246.

განაწილება-მოხმარებაზე, გაიზარდა საბჭოთა ადამიანის და მშრომელთა კოლექტივების შემოქმედებითი აქტივობა მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის წარმართვასა და დაჩქარებაში. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა ხალხისა და პარტიის ურთიერთკავშირი. ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური თანამეგობრობა. შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რაც ამ ხალხების შემდგომი განვითარების და ურთიერთდაახლოების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

80 წელი გავიდა რსდმპ II ყრილობის შემდეგ, ამ ხნის განმავლობაში, სახელოვანი, ჭეშმარიტად გმირული გზა განვლო საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, განუხრელად იზრდება მისი ავტორიტეტი, ხალხისა და პარტიის ერთიანობა, იზრდება პარტიის წევრთა რიცხვი. ამჟამად იგი თავის რიგებში 18 მილიონ მოწინავე საბჭოთა ადამიანს აერთიანებს. ესენი არიან სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე-გლეხობის და ინტელიგენციის წარმომადგენლები. განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა განუზომლად გაიზარდა პარტიის ხელმძღვანელი როლი საბჭოთა ქვეყნის შიგნით, იგი განუხრელად, ენერგიულად და შემოქმედებითად ხელმძღვანელობს კომუნისტურ მშენებლობას. უკანასკნელ დროს კომუნისტურმა პარტიამ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი დასახა ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ეს ღონისძიებები განსაკუთრებით ითვალისწინებენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრად გაუმჯობესებას, პარტიის მიერ დასახულ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებას და სხვა. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე პარტიის იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას, რაც ნაკარნახევია, როგორც კომუნისტური მშენებლობის ამოცანებით, ისე იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებით საერთაშორისო სარბიელზე. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ საკითხმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საკავშირო კომუნისტური პარტიის 1983 წლის ივნისის პლენუმზე.

კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობს საგარეო პოლიტიკას. იგი თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობის დასაცავად მთელს მსოფლიოში. პარტიის ამ მუშაობის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე ეტაპზე. რადგან ამერიკის და მისი მოკავშირეების ძალები ყველა საშუალებებით ცდილობენ კაცობრიობას თავს მოახვიონ გამანადგურებელი ბირთვული ომი, მაგრამ მათ განზრახვას განხორციელება არ უწერია, მის წინააღმდეგ მშვიდობის დაცვისათვის ენერგიულად იბრძვის ძლევამოსილი საბჭოთა ქვეყანა და მსოფლიოს მთელი სოციალისტური ბანაკი, რომლის პოლიტიკას მხარს უჭერენ ომის მოწინააღმდეგეთა მძლავრი ძალები მთელს მსოფლიოში. ამასთან არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ კაცობრიობის ისტორია წარმოადგენს ზეაღმავალ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციათა მონაცვლეობას, თანაც ყოველი ახალი ფორმაცია უფრო პროგრესულია, ვიდრე წინანდელი იყო და ის უფრო სწრაფად იმარჯვებს ვიდრე მისმა წინამორბედმა გაიმარჯვა, რაც კარგად მტკიცდება საბჭოთა ქვეყნის და მისი მოკავშირე სოციალისტური ქვეყნების მაგალითზე.

ამიტომ სამართლიანად ამბობენ, რომ სოციალისტური ქვეყნების ისტორიული გზა თავის შედეგებით საუკუნეებს უდრის.

საბჭოთა ქვეყნის მდიდარ გამოცდილებას ფართოდ და შემოქმედებითად იყენებენ განვითარებადი ქვეყნები თავიანთ ბრძოლაში იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენი ხალხი და მთელი პლანეტის პროგრესული ძალები დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ განვლილ გმირულ გზას და მისი მეთაურობით მიღწეულ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში, რაც კიდევ ერთხელ დამაჯერებლად აღინიშნა II ყრილობის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

„სულ ახლახან აღვნიშნეთ ოთხმოცი წლისთავი რსდმპ II ყრილობისა, რომელზეც შეიქმნა მსოფლიოში პირველი ახალი ტიპის პროლეტარული პარტია. მძლავრ, უძლეველ ძალად იქცა ბოლშევიკ-ლენინელთა პარტია, რომელსაც წილად ხვდა დიადი ისტორიული მისია: დასაბამი მიეცა კაცობრიობის ისტორიის ახალი ერისათვის, დაეწყო ახალი კომუნისტური ცივილიზაციის მშენებლობა და ამ მისიას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პირნათლად ასრულებსო“, თქვა საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა თავის გამოსვლაში პარტიის ვეტერანთა მიღების დროს.

კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეულმა გამარჯვებებმა განამტკიცეს საბჭოთა კავშირის ძლიერება. გაზარდეს მისი გავლენა საერთაშორისო სარბიელზე. განაპირობეს მისი ისტორიული წარმატებები მშვიდობისათვის ბრძოლაში.

17597

კ. მარქსის ს.ხ. სახ. სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩარკვიანი

სახალხო დეპუტატების საბჭოების საქმიანობა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების სამოც წელზე მეტი ხნის გამოცდილება, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და განვითარება მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს, რომ მხოლოდ სოციალისტური დემოკრატია უზრუნველყოფს მოქალაქეთა ნამდვილ თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას.

საბჭოთა ხელისუფლების მცნების განმარტებისას ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება, რუსეთში, პირველად არის მსოფლიოში იმგვარად აგებული, რომ მხოლოდ მუშები, მხოლოდ მშრომელი გლეხები, ექსპლოატატორების გამოკლებით, შეადგენენ, მასობრივ ორგანიზაციებს-საბჭოებს, და ამ საბჭოებს აქვთ გადაცემული მთელი სახელმწიფო ძალაუფლება... საბჭოთა ხელისუფლება სოციალიზმზე გადასვლის შესაძლებლობას იძლევა. ის შესაძლებლობას აძლევს იმათ, ვისაც ჩაგრავდნენ და თვითეე სულ უფრო და უფრო აიღონ ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, მეურნეობის მთელი მართვა-გამგეობა, წარმოების მთელი მართვა-გამგეობა.

საბჭოთა ხელისუფლება ეს არის მშრომელი მასების მიერ ნახული გზა სოციალიზმისაკენ და ამიტომ — უტყუარი და ამიტომ უძლეველი გზა“[1].

საბჭოები ნამდვილად ხალხის ხელისუფლებაა, მასში მშრომელებმა თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნეს რა სამუშაოდ, გამოუცხადეს მას ამით დიდი ნდობა და დაავალეს იღვაწონ ადამიანების საბედნიეროდ და სასიკეთოდ. „სახალხო დეპუტატთა საბჭოები, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — დღეს აერთიანებენ უდიდეს აქტივს, მილიონობით დეპუტატს, აპარატის მუშაკს. მათი პრინციპულობისა და მომთხოვნელობის, ადამიანების მათი ზრუნვის მიხედვით მსჯელობს მშრომელი კაცი იმაზე, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოების ძალა მარტო მათი მასობრიობა როდია, იგი უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება იმით, თუ როგორ მუშაობს თითოეული, ხაზს ვუსვამ, თითოეული დეპუტატი, თითოეული თანამდებობის პირი“[2].

ადგილობრივ საბჭოებს დიდი უფლებამოსილება აქვთ, რათა შეასრულონ ყოველივე ის, რასაც მათგან ხალხი, ამომრჩევლები, ფართო მასები მოითხოვენ და მოელიან. მაგრამ ყოველივე ეს, რომ კარგად და კეთილსინდისიერად შეასრულონ უპირველესად გონივრულად უნდა გამოიყენონ მუდმივი კომი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 283, 284.

[2] ლ. ი. ბრეჟნევი, გაზ. „კომუნისტი“, 1977 წ. 18 ივნისი.

სიები, დეპუტატთა ჯგუფები, თითოეული დეპუტატის უნარი და შესაძლებლობა მასებთან კავშირის განსამტკიცებლად.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები დიდ მომთხოვნელობას იჩენენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობისადმი, ეხმარებიან მათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალებათა შესრულებაში და ა. შ.

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით იშრომეს რესპუბლიკის მშრომელებმა, რაც მოწმობს იმ დიდ წვლილზე, რომელიც მუშათა კლასს, გლეხობასა და ინტელიგენციას თავდადებული შრომით შეაქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს მხარში უდგას და შრომით წარმატებებს ამრავლებს კოლმეურნე გლეხობა, მრავალჯერ უსახელებიათ თავი საქართველოს მეჩაიეებს, მათ დიდი გამარჯვება მოიპოვეს 1975 წელს: სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა შეასრულეს 113%-ით, სახელმწიოფს მიეყიდა 334 000 ტონა ნედლეული, გეგმით გათვალისწინებული 295 000 და ვალდებულებიანათ ნაკისრი 309 000 ტონის ნაცვლად.

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკის მევენახეებმა, მათ, მიუხედავად მძიმე კლიმატური პირობებისა, რეკორდული მოსავალი მიიღეს. მეცხრე ხუთწლედში პირველად შესრულდა სახალხო სამეურნეო გეგმა, მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 400 000 ტონაზე მეტი ყურძენი.

საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი, რომელმაც უდიდესი ამოცანები დასახა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. პლენუმის გადაწყვეტილებებმა უდიდესი ენთუზიაზმი გამოიწვია რესპუბლიკის მშრომელებში, რომლებმაც მიზნად დაისახეს გადააქციონ საქართველო მაღალგანვითარებულ მეცხოველეობის რესპუბლიკად, პლენუმის გადაწყვეტილებებმა დიდი ამოცანების წინაშე დააყენეს საბჭოები. მნიშვნელოვნად გარდაიქმნა ადგილობრივი საბჭოების მუშაობა. ეს ყველაზე კარგად მცხეთის რაიონის საბჭოთა ორგანოების მუშაობაში გამოჩნდა. პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად საბჭოთა ორგანოების დაძაბული მუშაობით სერიოზული წარმატებები იქნა მოპოვებული მცხეთის რაიონის მშრომელთა მიერ. სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით დაჯილდოებულია მცხეთის რაიონის 140 სოფლის მეურნეობის მუშა-კოლმეურნე და სპეციალისტი და სხვა დარგის მომუშავე ადამიანები, მათ შორის ერთი სოციალისტური შრომის გმირია[3].

ცოტა როდი იშრომეს მშრომელებმა სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, რის შემდეგაც რესპუბლიკაში გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები და ვალდებულებები, გასულ წლებთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდეს სოფლების ხუცუბნის, ბობოყვათის, ქვედა ულიანოვკის, ქვედა კვირიკეს,

[3] მცხეთის სახელმწიფო არქივი, ფ. 1, საქ. 179, ფურც. 1,2.

ზენიტის, ალამბრის, მუხაესტატეს, ჩაისუბნის, კაკუტის, ურეხის, სართვის, ახალშენის, გონიოს, ახალსოფლის, წინსვლის, ოჩხამურის და სხვ. კოლმეურნეობებმა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდათ ცალკეულ მეჩაიეებს. ცნობილი მეჩაიე კოლმეურნე ქობულეთის რაიონის სოფელ კაკუტიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. ზაქარიაძემ 0,6 ჰ ფართობიდან მიიღო 12300 კგ ჩაის ნედლეული, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა — სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის წევრმა ნაზი მიქელაძემ 0,65 ჰ-დან 14200 კგ ჩაის ფოთოლი, სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის წევრმა ქეთო გოგიტიძემ 0,5 ჰ-დან მიიღო 8500 კგ ჩაის ნედლეული, სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობის წევრმა დარეჯან თურმანიძემ 0,4 ჰ-დან 7130 კგ ჩაის ფოთოლი და სხვ[4].

გულრიფშის რაიონში, სოფელ დრანდის აკ. წერეთლის სახ. კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები მოუვლელი იყო, აგროვადებში არ სრულდებოდა სამუშაოები. დაბალი იყო მოსავლიანობა, ამით დაინტერესდა რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, რომელმაც შეისწავლა მდგომარეობა, ყველაფერს სათანადო ანალიზი გაუკეთდა და საკითხი რაისაბჭოს აღმასკომზე გაიტანა, დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. მდგომარეობა მალე გამოსწორდა. 1970 წელს ჩაის პლანტაციები აგროტექნიკურ ვადებში დამუშავდა, შედეგიც სასურველი მიიღეს. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა ათეულობით ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

დიდი და მრავალფეროვანია ადგილობრივი საბჭოების მუშაობა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, წარმატებით იბრძვიან სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

საბჭოების როლის ასეთი ამაღლება იმით არის გამოწვეული, რომ უკანასკნელ წლებში მთელი რიგი პარტიული კომიტეტები კარგად ეხმარებიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რათა სრულად განახორციელონ თავიანთი გავლენა სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტაზე, სწავლობენ და განაზოგადებენ საბჭოების მუშაობის გამოცდილებას, ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ ხალხის ნდობით აღჭურვილი კომუნისტები გვიჩვენებდნენ დეპუტატების მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულების, ამომრჩეველთა განაწესებში სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ნიმუშს.

მაგრამ, მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ სუსტია ადგილობრივი საბჭოების გავლენა ცხოვრებაზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი მთლიანად ვერ იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის შეუფასებლობა. ჯერ კიდევ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა ვერ ისწავლა ის, რომ საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭო მიაჩნდეს ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოდ.

ამის შესახებ წერს გაზეთი „კომუნისტი“ — „რედაქციაში მრავალი წერილი მოდის, ავტორები საყვედურს გამოთქვამენ, რომ ჯერ კიდევ არიან

---

[4] საქართველოს კპ აჭარის სკპა, ფ. 1, აღწ. 57. საქ. 5, ფურც. 51.

მთელი რიგი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც შეუწყნარებლად აჭიანურებენ ან სულაც უყურადღებოდ ტოვებენ აღმასკომისა და დეპუტატის საქმიან წინადადებებსა და რჩევას, თავს არ იწუხებენ ხალხის საკეთილდღეოდ გათვალისწინებული წინადადებების განხორციელებისათვის. დროა ყველამ შეიშნოს, რომ აღმასკომისა და დეპუტატის საქმიანი წინადადებები, რომლებიც ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების შემდგომ გაუმჯობესებას შეეხება არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული“[5].

საბჭოებს ესაჭიროება მუდმივი პარტიული მხარდაჭერა, ამიტომ აუცილებელია, რომ პარტიული კომიტეტები უნდა დაეხმარონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რათა სრულად განახორციელონ თავიანთი როლი სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტაში, იხელმძღვანელონ ლენინის მითითებით საბჭოების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი, გადამწყვეტი ორგანოების როლის მუდმივად ამაღლების შესახებ.

პარტიის უკანასკნელ ყრილობებსა და პლენუმებზე დაისახა საბჭოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლების, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე მათი გავლენის გაძლიერების გზები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოების სესიების მნიშვნელობის ამაღლების საკითხებს. მათ განსახილველად უნდა გამოქონდეთ ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების უფრო ფართო წრე და ა. შ.

ადგილობრივი საბჭოების მოვალეობაა ბეჯითად სრულყონ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის სტილი და მეთოდები, მთელი სისრულით გამოიყენონ თავიანთი უფლებები და შესაძლებლობანი, რათა დიდი წვლილი შეიტანონ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმების განხორციელებაში.

პარტიის გადაწყვეტილებების საფუძველზე გაუმჯობესდა საბჭოების მუშაობა, ამაღლდა მათი როლი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ერთობლივი მეცადინეობით დაინერგა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, გაძლიერდა ბრძოლა წარმოების რენტაბელობისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკური განმტკიცებისათვის და ა. შ.

ხელისუფლების ბევრი ადგილობრივი ორგანო, როგორც ცნობილია, ახლა უფრო სრულად იყენებს თავის უფლებებს სამეურნეო მშენებლობაში, მეტ ინიციატივას იჩენს საგეგმო, ფინანსური, მიწის საკითხების გადაჭრაში, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელობაში. ისინი ახორციელებენ კონტროლს შრომითი და ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენებისადმი, იჩენენ სახელმწიფოებრივ მომთხოვნელობას საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობისადმი, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

საბჭოების საარსებო საქმეა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა, მშრომელთა შორის მასობრივი ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარება.

[5] გაზ. „კომუნისტი“, 1966, 12 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საკითხებს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სულ უფრო აქტიურად ჰკიდებენ ხელს. მაგრამ ზოგიერთი საბჭო ჯერ კიდევ ცუდად ზრუნავს ბინების მშენებლობისა და შეკეთებისათვის, ურიგდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოთა აგების გეგმების ჩაშლას და ა. შ.

ადგილობრივ ცხოვრებაზე მთელი რიგი საბჭოთა ორგანოების სუსტი გავლენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ისინი მთლიანად ვერ იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის შეუფასებლობა. დღემდე ჯერ კიდევ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა ვერ ისწავლა ის, რომ საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭო მიაჩნდეს ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოდ. ზოგიერთი ანგარიშს არ უწევს მათს გადაწყვეტილებებს, ყურს არ უგდებს დეპუტატთა შენიშვნებსა და წინადადებებს. საბჭოებს მუდმივი პარტიული მხარდაჭერა ესაჭიროებათ. პარტიული კომიტეტები უნდა დაეხმარონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სრულიად განახორციელონ თავიანთი გავლენა სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტაზე, საქმით იხელმძღვანელონ ლენინის მითითებებით საბჭოების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი, გადამწყვეტი ორგანოების როლის ამაღლების შესახებ.

პარტიის ჯერ კიდევ XXIII და XXIV ყრილობებმა დასახეს საბჭოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლების, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მათი გავლენის გაძლიერების კონკრეტული გზები. კერძოდ, საბჭოების სესიების მნიშვნელობის ამაღლება მათთვის განსახილველად ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სახელმწიფო მშენებლობის საკითხების უფრო ფართო წრის გადაცემა, მუდმივი კომისიებისა და ყველა დეპუტატის აქტივობის გამოცოცხლება.

ლენტეხის რაიონის რცხმელურის კოლმეურნეები თანმიმდევრულად ახორციელებდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რამაც უზრუნველყო იმ საწარმოო დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, რომლებიც ემსახურებოდნენ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გარკვეული მუშაობა ჩატარდა სოფლების კეთილმოწყობისათვის, სოფლის მოსახლეობის კულტურის, სახალხო განათლების თუ ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სასოფლო საბჭოს ინიციატივით, კლიმატური პირობების გათვალისწინების შედეგად კოლმეურნეობის ეკონომიკური ზრდისათვის დაიგეგმა მომგებიანი, რენტაბელური დარგების განვითარება. ამის შესაბამისად სოფლად მოხდა ბაღვენახების ფართობრივი ზრდა. ყურადღება მიექცა მეჩხერიანობის ლიკვიდაციას, რამაც უზრუნველყო მევენახეობის დარგში დიდი მოსავლის მიღება. მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა, საკოლმეურნეო ვენახებში ჰექტარზე აღებული იქნა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ცენტნერისა. 35 ცენტნერი, გამოცდილმა მევენახეებმა კი ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. ჰექტარზე ნაცვლად დაგეგმილი 8 ცენტნერი სიმინდისა საშუალოდ აღებულ იქნა 10 ცენტნერი. გარკვეული ღონისძიებები დასახეს მეცხოველეობის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და მისი ნაყოფიერების ზრდისათვის.

ამასთან ერთად რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მასების იდეური წრთობის გაუმჯობესებისათვის, სოფლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტსკოლებისა და პოლიტწრეების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის, ლექციური პროპაგანდის გაფართოებისათვის და მისი ხარისხის ამაღლებისათვის, რათა კიდევ უფრო მეტი წარმატებები ჰქონდეს სოფელს შემდგომისათვის[6].

აბაშის რაიონულმა, სასოფლო და საქალაქო საბჭოებმა პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. აბაშის რაიონული, საქალაქო, აგრეთვე ქოლობნის, სეფიეთის, კეთილარის, სუჯუნის და ზოგიერთი სხვა სასოფლო საბჭოები სისტემატურად, მომზადებულად და მაღალ იდეურ დონეზე იხილავდნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და საბჭოების მუშაობის სხვა აქტუალურ საკითხებს. ყოველივე ამის შედეგად სოფლის მეურნეობაში 1970 წელს თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ძველი აბაშის, სეფიეთის, ნორიოს კოლმეურნეობებმა და სუჯუნის საბჭოთა მეურნეობამ. სიმინდის მოყვანის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს სამიქაოს მახარაძის სახელობის და ქალაქ აბაშის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობებმა, მაგრამ ასე კარგად ვერ მოაწყვეს მუშაობა მარნის, ქოლობნის, პირველი მაისის, სამიქაოს კოლმეურნეებმა, აბაშის ეთერ-ზეთების ქარხანა-მეურნეობამ. დასახელებულ მეურნეობებში სუსტი იყო შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა[7].

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 28 აპრილს განიხილა საკითხი შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ ლანჩხუთის, ლენტეხისა და ქარელის რაიონებში. პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები გარკვეულ მუშაობას ატარებენ შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დასაცავად, კოლმეურნეობათა უმრავლესობაში რეგულარულად იმართება გამგეობისა და კოლმეურნეთა საერთო კრებები, რომლებზეც იხილავენ საკოლმეურნეო წესდების გატარებისა და შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს. 1971 წელს ლანჩხუთის და ლენტეხის რაიონულ საბჭოების აღმასკომებმა სესიებზე განიხილეს საკოლმეურნეო წესდების დაცვის მდგომარეობის საკითხი. ხოლო ლანჩხუთის რაიონის ქვიმბლაურის, ლესა-ჭინათის, ჯურყვეთის, ნიგოეთის, ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის, ჯახუნდრის და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომების მსჯელობის საგანი იყო მიწათსარგებლობის შესახებ კანონის დაცვის, შრომის ორგანიზაციისა და სხვა საკითხები.

ამასთან, აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების სერიოზული დარღვევის ფაქტებსაც, ზოგიერთ კოლმეურნეობაში არასაკმაო ყურადღება ექცეოდა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის სხდომის რეგულარულად და ორგანიზებულად ჩატარებას.

ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობის წევრთა უკანონოდ დაჯარიმების შემთხვევებს, ბევრ კოლმეურნეობაში ირღვეოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება „კოლმეურნეობებისა

[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 65, აღწ. 29, საქ. I, ფურც. 5—7.

[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 42, აღწ. 23, საქ. 151, ფურც. 19—21.

და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, კოლმეურნეობათა გამგეობებს, ნაცვლად სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა, გამოჰქონდათ დადგენილებები ნათესების და სათიბების წანახედისათვის მოქალაქეთა დაჯარიმებისა და ანაზღაურების შესახებ.

აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სრულიად ვერ იყენებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს, არ ამოწმებდნენ კოლმეურნეობებში შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის საკითხებს და არ იღებდნენ ზომებს არსებულ დარღვევათა გამოსასწორებლად. ამ საქმეში სუსტად იყო ჩაბმული საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები და დეპუტატები.

სიღნაღის რაიონის ტიბაანის სასოფლო საბჭომ, საქართველოს სსრ სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ კანონის შესაბამისად, გასწია მნიშვნელოვანი მუშაობა. იგი პერიოდულად განიხილავს მის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სკოლების საკითხებს; ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობას და სხვ.

საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების და აღმასკომების ინიციატივით, კოლმეურნეობათა და მუშა-მოსამსახურეთა შრომითი დახმარებით ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი. მწყობრში ჩადგა ამბულატორიის ორსართულიანი შენობა.

ახალციხის და ამბროლაურის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. აღნიშნულ რაიონებში ადგილობრივი საბჭოები პერიოდულად იხილავენ სოფლის მეურნეობის საკითხებს და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და საკოლმეურნეო წესდების განუხრელად გატარებისათვის.

ახალციხის რაიონში გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხის და სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები. ამბროლაურის რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ასევე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. წინა წლებთან შედარებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. კოლმეურნეთა უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებს საკოლმეურნეო მუშაობაში.

ცაგერის რაიონის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად შესრულდა ხორცის, რძის, აბრეშუმის პარკის, ხილის სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმები, ხორცი სახელმწიფოს ნაცვლად 18 000 ცენტნერისა მიეყიდა 25 576 ცენტნერი, რძე 24 500 ცენტნერის ნაცვლად 28 732 ცენტნერი, ხოლო 2 051 ცენტნერით მეტი ვიდრე ამას ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა.

ამ მიღწევებში გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოებმა.

ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობა უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახდა. ისინი ახლა

ფართო გეგმებს სახავენ და მეტ კონტროლს უწევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირითადი უბნების საქმიანობას. ბევრი რამ გაკეთდა საბჭოების, სახალხო ხელისუფლების ამ ორგანოთა როლის შემდგომი ამაღლების მიზნით. გაფართოვდა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების უფლებანი. განმტკიცდა საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზა, საბჭოთა აპარატი განმტკიცდა სათანადო კვალიფიციური კადრებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ პერიოდში გატარებულმა ღონისძიებებმა და მიზანსწრაფულმა ბრძოლამ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის კიდევ უფრო აამაღლა საბჭოების როლი, ახლა საბჭოები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის დადგენილებათა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებას მეტ ყურადღებას აქცევენ და აღწევენ გარკვეულ წარმატებებს. საბჭოები თავიანთ მუშაობას წარმართავენ არსებული კანონების შესაბამისად[8]. ასე მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების მე-15 მოწვევის საბჭოს მეექვსე გამსვლელ სესიაზე განიხილეს — თემქისა და გლდანის დასახლებების კეთილმოწყობის, მოსახელობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო კულტურული და სამედიცინო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი და აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ლენიეს რაიონის მშრომელთა კოლექტივებმა გადაჭარბები თშეასრულეს მეცხრე ხუთწლედის გეგმები და აღებული სოციალისტური ვალდებულება, რისთვისაც მათ დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მე-15 მოწვევის საბჭოს პირველ სესიის მიერ გლდანისა და თემქის დასახლების კეთილმოწყობის და მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის 59 პუნქტისაგან შემდგარი კომპლექსური გეგმა ძირითადად შესრულდა. ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ამ მხრივ თბილისის საქალაქო და ლენინის რაიონულ საბჭოებისადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა, რის შედეგად გაუმჯობესდა აღნიშნული დასახელების კეთილმოწყობა, მოსახლეობის კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, კულტურული და სამედიცინო მომსახურება. ასე მაგალითად, 1975 — 1976 წლის განმავლობაში აშენდა და ექსპლუატაციაში გადაეცა საზკვების სავაჭრო და კომუნალური მომსახურების მთელი რიგი ობიექტები, კერძოდ გლდანის პირველ მიკრორაიონში ყოფილი ლუდის ბარი გადაკეთდა პურფუნთუშეულის მაღაზიად. გლდანის მეორე მიკრორაიონში გაიხსნა ნახევარფაბრიკატების მაღაზია გლდანის —ა—მიკრორაიონში გაიხსნა პურფუნთუშეულის მაღაზია და მაღაზია უნივერსამი. კეთილმოეწყო გლდანის სავაჭრო ობიექტების მიმდებარე ტერიტორიები, გამწვანების ხაზით დიდი სამუშაოები ჩატარდა გლდანის დასახლების მთელ ტერიტორიაზე, კეთილმოეწყო სპორტული მოედნები და სხვ.

სესიაზე განსაკუთრებით აღინიშნა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ხელმძღვანელების არა ოპერატიული მუშაობა, თემქისა და გლდანის დასახლებაში მოსახლეობის მომსახურების საქმეში. შეინიშნებოდა

[8] ცაგერის სახ. არქივი, ფ. 82, საქ. 1422, ფურც. 1- 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის და მოსახელობის ზომა-წონაში მოტყუების ფაქტები. ადგილი ჰქონდა პირველი მოთხოვნილების სამრეწველო და სასურსათო საქონლის და ხილბოსტნეულის სიმცირეს. სერიოზული ნეკლოვანებები იყო ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის საქმეში. არასაკმაო დონეზე იდგა მოსახლეობაში კულტსაგანმანათლებლო მუშაობა, ადგილი ჰქონდა მართლწესრიგის დარღვევის ფაქტებს, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა შორის[9].

მეცხრე ხუთწლედში ლენინგორის რაიონში მოპოვებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო წარმატებები და ამაში ლარგვისის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წვლილიც ურევია. ლენინგორის რაიონის ლარგვისის სასოფლო საბჭოში შემავალმა უკანამხარის, დიდონეთისა და ლარგვისის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის გეგმები და საზოგადოებრივ ფერმებში გეგმით გათვალისწინებული 42 200-ის ნაცვლად 43 750 სული ცხვარი და 965-ის მაგიერ 1 210 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია. ლარგვისის სასოფლო საბჭომ როგორც საზოგადოებრივ, ისე ინდივიდუალურ სექტორიდან სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი დავალებები ვადამდე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. ცხვრის ნამატი 103%, ხოლო მატყლის საშუალო ნაპარსმა ყოველ მოზრდილ ცხვარზე 2,45 კილოგრამი შეადგინა. რაიონის კოლმეურნეობების ეკონომიკა არასოდეს ყოფილა ასე მტკიცე და რენტაბელური. შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებამ, რაც სასოფლო საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების ყოველდღიური მიზანდასახული მუშაობის შედეგია, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის მეცნიერულ საფუძველზე გადაყვანამ შესაძლებელი გახადა საგრძნობლად ამაღლებულიყო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება. თუ მაგალითად, 1971 წლის უკანამხარის კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 406 ათასი მანეთი შეადგინა, 1975 წლისათვის ეს თანხა 2 004 ათას მანეთამდე გაიზარდა, ხოლო შრომადღის ღირებულებამ ამ კოლმეურნეობაში 6 მანეთს მიაღწია.

ღღითიდღე საინტერესო ხდება მთიელი კაცის ცხოვრება გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო, კულტურული, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო მომსახურება. საბჭოში შემავალ სოფლებს 3 ექიმი, 13 ექთანი, 65 მასწავლებელი ემსახურება. ნაყოფიერი საქმიანობაა გაჩაღებული სასოფლო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში.

XXV ყრილობიდან XXVI ყრილობამდე განვლილ პერიოდში სოფლების მშრომელებმა ბევრი სიკეთე მიიღეს: აშენდა ლარგვისის საშუალო და დაწყებითი რვაწლიანი სკოლების ტიპიური სკოლების შენობები, კაპიტალურად შეკეთდა ლარგვისის საავადმყოფოს შენობა. გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ორი ობიექტი — ღუმელების შემკეთებელი საამქრო და სამკერვალო. სამანქანო გზები მივიდა თითქმის ყველა უბანში, ლარგვისის, დიდონეთისა და უკანამხარის კოლმეურნეობებისათვის ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე აშენდა ხუთი ფარეხი.

მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო გალამაზდა, კეთილმოეწყო სოფლები. ლარგვისში აშენდა აბანო, გაყვანილ იქნა წყალსადენი, მოასფალტებული იქნა გზა, დაიდგა სატელევიზიო ანძა და სხვ.

---

[9] ლენინის რაისაბჭოს სესიის 1976 წ. 4 მაისის ოქმი № 6, ფურც. 1—2.

სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობათა მშრომელები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებებში სწავლობენ პარტიის XXVI ყრილობის მასალებს და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს ძეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმების განხორციელებაში თავიანთი წვლილის შეტანის შესახებ, სახავენ ახალ გზებს, ახალ ამოცანებს უკეთესი წარმატებების ნოპოვებისათვის.

გაგრის რაიონის საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად იქცა სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში და სარატოველ დეპუტატთა ინიციატივით წამოყენებულ თაოსნობაში — „უდანაკარგოდ ავიღოთ და დავაბინაოთ რაც მოწეულია“, აქტიური მონაწილეობა.

ქალაქ გაგრის ზონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. „მოქალაქეთა პირად საკარმიდამო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, ბევრს აკეთებენ იმისათვის, რომ სოფლის თითოეულ მცხოვრებს ჰქონდეს პირადი დამხმარე მეურნეობა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშავეს მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების შემდგომი განვითარების კომპლექსური გეგმები. კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს პირუტყვისათვის ეძლევათ უხეში და კომბინირებული საკვები, მათ აგრეთვე გამოეყოთ საძოვრები, აღმოუჩნდათ დახმარება პირუტყვის შესაძენად და. ა. შ.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოებს შორის სსრ კავშირის 60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შესახებ. 1892 წლის 10 თვის მონაცემების მიხედვით მოქალაქეთა პირად მეურნეობიდან სახელმწიფოს მიეყიდა 878 ტონა ხორცი, 60 ტონაზე მეტი რძე, 2,4 მილიონი ცალი კვერცხი, 323 ტონა ბოსტნეული, რაც ბევრად აღემატება წლის მაჩვენებლებს. უფრო გადიდებული ვალდებულებები აიღეს მიმდინარე ხუთწლედის დარჩენილ დროში შესასრულებლად სასურსათო პროგრამის განხორციელებაში თავიანთი წვლილის შესატანად.

სახალხო დეპუტატების საბჭოები თანამედროვე ეტაპზე უფრო მეტ გულისხმიერებას იჩენენ, უფრო კონკრეტულად და ენერგიულად ეკიდებიან ადამიანთა შესაძლებლობების სრულად გამოყენებას, მათ ინიციატივას მუშაობაში, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას დავალებათა შესრულებისათვის. საკითხების გადაწყვეტისადმი შემოქმედებით მიდგომას, მუდმივ ძიებას დამატებითი რეზერვების და საშუალებათა გამოსავლენად და ასამოქმედებლად, ფულადი და მატერიალური სახსრების ყაირათიანად და გონივრულად ხარჯვას, მუშაობაში უფრო მეტ შედეგიანობას.

დეპუტატები მონაწილეობენ საბჭოების მუშაობაში და წყვეტენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, უზრუნველყოფენ საბჭოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლს უწევენ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას.

სახალხო დეპუტატების საბჭოების საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი უჯრედი უნდა გახდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. თვით მათი სახელწოდება მოწმობს, რომ ისინი განუხრელად უნდა ასრულებდნენ ხალხის ნებას და იღვწოდნენ, რათა სხვა ორგანოებს მაღალი დონის საშემსრულებლო კულტურა ჰქონდეთ. მაგრამ ამ მიმართებით სახალხო დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასკომების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე. ამის ერთ-ერთი ფაქტი არის ის რომ, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილი 1982 წლის ცხრა თვეში შესრულდა მხოლოდ 93 პროცენტით, თითქმის 19 მილიონი მანეთი არ ათვისებულა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ხაზით. სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების უმრავლესობა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებს მინიჭებულ უფლებებს ადგილობრივი ბიუჯეტების გადიდებას და დამატებითი სახსრების გამოყენებას.

საბჭოური ფორმის სახალხო ხელისუფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული რეალური სოციალიზმის ეკონომიკისა და კულტურის ზრდასთან.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარება დაადგა ახალ, მძლავრ ინტენსიურად წინსვლის გზას. რაც იმის საწინდარია, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატების საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის და ნოემბრის პლენუმების მიერ დასახული დიდი ღონისძიებების და 1983 წლის დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის გამოსვლის ტექსტში მოცემული საბრძოლო ამოცანების განხორციელებაში.

А. И. ЧАРКВИАНИ

ДЕЯТЕЛЬНОСТЬ СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ В ДЕЛЕ ПОВЫШЕНИЯ ТРУДОВОЙ И ПОЛИТИЧЕСКОЙ АКТИВНОСТИ РАБОЧЕГО КЛАССА И КОЛХОЗНОГО КРЕСТЬЯНСТВА

Резюме

В статье на основе соответствующих источников и литературы освещена деятельность Советов народных депутатов и повышение их роли в период строительства развитого социализма. Рассмотрена деятельность Советов народных депутатов и их исполкомов, комиссий и депутатов в борьбе за выполнение плана и обязательств в разных отраслях народного хозяйства республики и повышение социально-культурного и экономического уровня населения, а также показатели и итоги выполненных работ. Указана роль Советов народных депутатов в выполнении больших задач, намеченных XXVI съездом КПСС, майским и ноябрьским (1982 г.) пленумами ЦК КПСС.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უახლესი ისტორიის განყოფილებამ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ვალერიან გაბაშვილი

ტყვის სყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში

(ქართველ ტყვეთა ისტორიის ევროპული მასალები)

ტყვის სყიდვა ფეოდალური საქართველოს ერთი თვალსაჩინო მოვლენათაგანია.

აკად. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით: „ტყვის სყიდვა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მახინჯი და ველური ფორმა იყო საშუალო საუკუნეების საქართველოში“[1] და რომ „ეს მოვლენა ღრმა ეკონომიურ და სოციალურ საფუძვლებს ემყარებოდა“[2].

საქართველოში ტყვის სყიდვის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი პერიოდი: XIV—XV სს. და XVI—XVIII საუკუნეები.

პირველ პერიოდში ტყვის სყიდვის საწყისებთან გვაქვს საქმე, მეორე პერიოდში მის გაძლიერებასთან.

ტყვის სყიდვაში ჩვენ ვგულისხმობთ ადგილობრივი მწარმოებლის (ქართული წყაროების: „კაცის“) უცხოეთში გასყიდვას[3], მის მეურნეობიდან მოწყვეტას, გლეხ-კაცის მონად გადაქცევას, თორემ ომში ნაშოვნ-ნახმლევის ტყვედ წაყვანა და დაპატრონება, როგორც მონობის თავისებური ფორმა, თან გასდევს შუა საუკუნეებს მთელ მანძილზე.

ტყვის სყიდვაში ჩაბმული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის არაერთი ქვეყანა.

ფაქტობრივად ეს მოვლენა მოიცავდა ევროპის, აზიის და აფრიკის კონტინენტებს.

ტყვის სყიდვის გავრცელება XIV—XV სს. ევროპაში ემყარებოდა, ერთი მხრივ, დასავლეთის (გენუის, ვენეციის რესპუბლიკების...) ეკონომიკურ მიზნებსა და ექსპანსიას, ხოლო, მეორე მხრივ, შავიზღვისპირეთის და კავკასიის ქვეყნების დაქვეითების შედეგებს (ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, დაუსრულებელი ფეოდალური შინაომები, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება...).

არავინ ყურადღებას არ აქცევდა ტყვეთა სადაურობას, ეროვნებას, სარწმუნოებას.

ქართველ ტყვეებს ჰყიდდნენ როგორც ქრისტიანულ, ისე მაჰმადიანურ ქვეყნებში.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 172.

[2] იქვე, გვ. 170.

[3] „ასეთი ტყვის სყიდვა გვიან გაჩნდა (XIV—XV საუკუნეებში ის ჯერ კიდევ მცირედ უნდა ყოფილიყო ჩვენში შემოსული“), იქვე.

ქართველ ტყვეებს ჩვენ ვხვდებით თვით შორეულ ესპანეთში (მცირე რაოდენობით), უფრო მრავალრიცხოვანნი კი ისინი იტალიის ქალაქებში იყვნენ; ქართველ ტყვეებს ყიდულობდნენ და ყიდდნენ აგრეთვე ბიზანტიისა და ტრაპიზონის საკეისროებში.

ევროპაში გაყვანილ ქართველ ტყვეთა შესახებ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვება დოკუმენტური მასალები (ყიდვა-გაყიდვის აქტები). ისინი დაცულია უმთავრესად ნეაპოლის, გენუისა და ვენეციის არქივებში. კიდევ უფრო დიდი რაოდენობით არსებობს ლიტერატურა ევროპაში ტყვის სყიდვის საკითხებზე.

XX ს-ის 50-იანი წლებიდან მოკიდებული დღემდე არაერთი გამოკვლევა (მონოგრაფია, სტატია...) დაიწერა და გამოქვეყნდა შუა საუკუნეების ტყვის სყიდვის რაობასა და მნიშვნელობაზე ევროპის საზოგადოებრივსა და ეკონომიკურს ცხოვრებაში.

ამ მხრივ მკვლევრები ინტენსიურად აგრძელებენ იმ კვლევა-ძიებას, რომლის სათავეს XIX საუკუნეში ვნახულობთ და, რომელიც, გარკვეული პერიოდების გამოკლებით (I და II მსოფლიო ომები) XX საუკუნეშიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ზედიზედ ქვეყნდებოდა და ქვეყნდება დოკუმენტური მასალები (ტექსტოლოგიური შენიშვნებით და ისტორიოგრაფიული კომენტარებით) შუა საუკუნეების ევროპული მონობის (l'esclavage) თავისებურებათა შესწავლის მიზნით.[4]

თანამედროვე ევროპელი მკვლევრებიდან, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: ჰავერკამპი, კოპშტაინი, კოსტერი, ჯოფრე, დელორი, ჰოფმანი, ბალარი, ვერლინდენი და სხვ.

ევროპაში გაყიდული, კავკასიელი, კერძოდ კი ქართველი, ტყვეების შესახებ საგულისხმო ცნობები გამოვლენილი, შესწავლილი და შეფასებული აქვთ ჯოფრეს, ბალარს, ვერლინდენს და სხვ.

ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შარლ ვერლინდენის ფუნდამენტური გამოკვლევა: „მონობა შუა საუკუნეების ევროპაში". პირველი ტომი გამოქვეყნდა 1955 წელს[5], მეორე ტომი 1977 წელს[6].

შარლ ვერლინდენის ნაშრომის პირველ ტომში შესწავლილია ტყვის სყიდვა ესპანეთსა და საფრანგეთში, მეორე ტომში კი გენუისა და ვენეციის რესპუბლიკებში, ლევანტის იტალიურ ახალშენებში, ტრაპიზონსა და ბიზანტიაში.

ჩვენთვის განსკუთრებით საინტერესოა დასახლებული გამოკვლევის მეორე ტომი.

მეორე ტომში მოტანილია დიდძალი მასალა (ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის აქტები) იმ ქალაქების არქივებიდან, სადაც ეს მასალებია დაცული (ნეაპოლი, გენუა, ვენეცია...). თვითონ მასალები და მათი განხილვა-შეფასება ამ ქალაქე-

---

[4] უახლესი გამოკვლევები დასახელებული აქვს შარლ ვერლინდენს: Charles Verlinden, L'esclavage dans l'Europe médiévale. t. II. Gent, 1977, გვ. 7—9.

[5] Charles Verlinden, L'esclavage dans l'Europe médiévale, t. I, 1955.

[6] Charles Verlinden' L'esclavage dans l'Europe médièvale„ t. II, 1977.

ბის მიხედვითაა განლაგებულ-განაწილებული ნაშრომის სათანადო პარაგრაფებში.

ქრონოლოგიურად ეს საბუთები მოიცავენ XIV—XV საუკუნეებს.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საყურადღებოა ის დოკუმენტები, რომლებშიც ლაპარაკია ტყვედ გაყიდულ კავკასიელებზე და, კერძოდ, ქართველებზე.

კავკასიელებიდან დასახელებული არიან: ჩერქეზები (ყველაზე დიდი რაოდენობით), აფხაზები, მეგრელები, ქართლელები (თითო-ოროლა), ლაზები, ალანები ანუ ოსები, ჯიქები და სხვ.

დოკუმენტებიდან ირკვევა რომ ქართველი ტყვეები შავიზღვისპირეთიდან[7] და კავკასიიდან[8] გაჰყავდათ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ესპანეთში გაყიდული მეგრელების რაოდენობა ცოტა ყოფილა[9], სამაგიეროდ მათი რიცხვი თვალსაჩინო იყო იტალიის ქალაქებში (ნეაპოლში, გენუაში, ვენეციაში...).

ვერლინდენი ზოგჯერ ცალკე ადგილს უთმობს აფხაზებს და მეგრელებს, ერთად იხსენიებს მათ («Abkhazes et Mingreliens»)[10] უფრო ხშირად კი ცალ-ცალკე ლაპარაკობს მათზე[11].

შარლ ვერლინდენის მიერ მოძიებული მასალები მრავალნაირად უკავშირდება საქართველოში ტყვის სყიდვის ისტორიის საკითხებს.

მოგვაქვს ზოგიერთი მათგანი, თუმცა ყველა საამისო მასალა თავისთავად საინტერესოა და საყურადღებო.

1302 წლის 27 დეკემბერს ნოტარიუსი ამბროჯო დე რაპალდი ადგენს აქტს, რომლის მიხედვით მილონიუს მილონიუსი კორადო მილონზე ჰყიდის აფხაზს, სახელად ნორიელამ („Noriellam“) 18 ლივრად[12].

1451 წლით დათარიღებულ დოკუმენტში იხსენიება აფხაზი მონა («sclavum unam albam apochazum») სახელად მიკელე, 40 წლისა, რომელიც ნეაპოლიტანელ მიკაელ პეროს მიუყიდია იოჰანეს ჯუბინოზისათვის 11 უნციად.[13]

აფხაზებში, უნდა ვიფიქროთ, ნაგულისხმევი არიან როგორც საკუთრივ აფხაზები, ისე დას. საქართველოს მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებიც (იმერლები, გურულები...).

---

[7] ტყვის სყიდვა შავიზღვისპირეთში, როგორც ცნობილია, გააქტიურდა XIII საუკუნეში; როცა ლათინთა იმპერიის დამხობის შემდეგ გენუამ უზრუნველყო თავისი გავლენა შავ ზღვაზე. ქალაქი კაფა ყირიმში იქცა გენუელთა მთავარ დასაყრდენად. დუნაის აუზი, კაფა, ტანა, ტრაპიზონი წარმოადგენდნენ ტყვის სყიდვის მთავარ კერებს შავი ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებზე. ტყვეთა შორის დასახლებული არიან: სლავები, რუსები, ბულგარელები, თურქები, თათრები, ბერძნები და სხვ.

[8] ტყვის სყიდვა ჩანს გენუელთა თაოსნობით მთაში არის დაწყებული და შემდეგ ბარზეც გავრცელებული. „ლეკიანობა“ (მწირი მთის მოძალება დაქვეითებულ ბარზე) გვიან დაუკავშირდა ტყვის სყიდვას.

[9] «Les Mingreliens étaient également rares en Catalon» C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 340; ტ. II, გვ. 308. ამას ავტორი დაძენს, რომ მას მეგრელები არ შეხვედრია არც სიცილიურ საბუთებში: «Je l'en pas trouve en Sicilie». იქვე, გვ. 308. შენ. 720.

[10] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, 487.

[11] იქვე, გვ. 302, 468, 603, 618, 619 და სხვ.

[12] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 468.

[13] იქვე, გვ. 302..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია: ტყვის სყიდვა უმთავრესად დასავლეთ საქართველოს მოვლენას წარმოადგენდა. იტაცებდნენ არა მარტო აფხაზებს და მეგრელებს (მათი ხვედრითი წილი ტყვის სყიდვაში ყოველთვის დიდი იყო), არამედ იმერლებსაც და გურულებსაც.

ევროპული დოკუმენტების მონაცემები არ იძლევა დას. საქართველოს მოსახლეობის იმ წარმომადგენლების კუთხური დახასიათების შესაძლებლობას, რომლებიც ტყვედ მოხვდნენ ევროპაში. დოკუმენტებში ჩვეულებრივ აღნიშნულია მათი სქესი, წლოვანება, ფიზიკური მდგომარეობა, ფერი[14], სადაურობა, სარწმუნოება, ფასი.

დოკუმენტები, აშკარად ჩანს, ერთმანეთისაგან ასხვავებენ „მონათლულ“ (მართლმადიდებელ) და „მოუნათლავ“ (წარმართ) აფხაზებს.

ასე მაგალითად, 16 წლის აფხაზი, რომელსაც ბართოლომიუ პაპავერი ყიდის არის წარმართი, ურწმუნო («infidelum»). მაგრამ უფრო ხშირად დასახელებული არიან ქრისტიანი აფხაზები. ერთ აფხაზ ტყვე ქალს დოკუმენტი მართლმადიდებლად თვლის («grezam»)[15]. ამის გამო შარლ ვერლინდენი შენიშნავს: «On voit que «greza» signifie ici orthodoxe»[16].

დოკუმენტები, აშკარად ჩანს, ერთმანეთისაგან ასხვავებენ „მონათლულ“ (მართლმადიდებელ) და „მოუნათლავ“ (წარმართ) აფხაზებს.

მოუნათლავ («non baptise») კავკასიელთაგან მასალებში დასახელებული არიან ჩერქეზებიც. მაგრამ ბევრი ჩერქეზი ქრისტიანად იხსენიება. ყველა ასეთი ჩერქეზი ატარებდა ქრისტანულ სახელს.[18] XIV—XV სს. იმიერკავკასიაში მაჰმადიანობა ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ ფეხმოდგმული. აქ ისევ ძლიერი იყო ქართული ეკლესიის გავლენა. მოუნათლავ ჩერქეზთა შორის, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ გვაროვნულ წყობილებასთან დაკავშირებული ჩერქეზები, რომლებიც თავიანთი სარწმუნეობით და ყოფა-ცხოვრებით განსხვავდებოდნენ ფეოდალურად განვითარებული ჩერქეზებისაგან.

ტყვის სყიდვის ევროპულ მასალებში ხაზგასმით აღნიშნულია მხოლოდ მეგრელების ქრისტიანობა. ასეა ყველგან, ნეაპოლის, გენუის და ვენეციის დოკუმენტებში.

მაგრამ სარწმუნოებას და სახელებს უცვლიდნენ მეგრელ ტყვე-ქალ-ვაჟებსაც.

თითქმის ყველა დოკუმენტში გვხვდება მართლმადიდებელი მეგრელების გაკათოლიკების ფაქტები.

1421 წლის 26 იანვარს ანდრეა დე აფელტროზე კოლანტონუს ბრანკელონზე ყიდის მეგრელ ქალს («sclavum unam albam de generi Mingreluma») მისი სახელია მარგარიტა. არის 20 წლის და ღირს 12 უნცია[20].

---

[14] ქართველებთან დაკავშირებით საბუთებში ხშირად ნათქვამია «albam» (თეთრი). ამით ტყვე ქართველებს ევროპაში ასხვავებდნენ შავგვრემანი აზიელებისაგან.

[15] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

[16] იქვე, გვ. 618.

[17] 1451 წლის 20 მარტს გაიყიდა 30 წლის ჩერქეზი ქალი, მოუნათლავი სახელად სოფატი (Sofat). C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

[18] იქვე, გვ. 305—306.

[19] იქვე.

[20] იქვე, გვ. 308.

1422 წლის 29 დეკემბერს გაიყიდა 18 წლის მეგრელი ქალი, სახელად მეგრელა, (appelée Megrela dans sa langue, mais baptisée Benedicta»)[21]. მონათვლის შემდეგ (იგულისხმება გაკათოლიკება) მისთვის დაურქმევიათ ბენედიქტა. მეგრელა შეფასებული ყოფილა 72 დუკატად.[22]

1446 წლის 1 იანვარს 50 დუკატად დაფასდა 16 წლის მეგრელი ქალი, სახელად მადლენი («appelée Madeleine»). აქედან კარგად ჩანს, თუ როგორ უცვლიდნენ სახელებს ტყვე ქართველ ქალებსა და ვაჟებს[23].

კათოლიკურ ევროპაში სახელებს უცვლიდნენ სხვა ეროვნების ქრისტიანებსაც (რუსებს, ბულგარელებს...).

ასე მაგალითად, მაიორკელ გაბრიელ როვირას კატალონელი ვაჭრისათვის მიუყიდნია ბულგარელი ქალი ლუჩია, რომელსაც წინათ სტანა რქმევია[24]. ის 23 წლის ყოფილა და გაუყიდნიათ 14 უნციად და 10 ტირანად.

ასევე რუსული სახელია ანესტა[25], ჩერქეზულია სოფიტა. მარგამ ეს მხოლოდ მცირე გამონაკლისებია.

იშვიათად გვხვდება ისეთი სახელებიც, რომელთა მატარებლების ქართველობა თითქოს არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ოღონდ ეს სახელები დამოწმებულია არა კათოლიკური იტალიის მასალებში, არამედ მართლმადიდებლური კონსტანტინოპოლის იტალიური წარმოშობის დოკუმენტებში.

1281 წლის 25 აგვისტოს კონსტანტინოპოლში გაუყიდიათ 12 წლის გოგონა, სახელად თამარ («Thamar»)[26]. შეფასებული ყოფილა ის 25 ჰიპერპერად. ეს თამარი ჩვენ, ალბათ, ქართველად უნდა მივიჩნიოთ. თუ ამაში ეჭვს არ შევიტანთ, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, თუ როგორ იყო ეს სახელი გავრცელებული XIII ს-ის საქართველოში.

იმავე 1281 წლის 25 აგვისტოს და 1 სექტემბერს კონსტანტინოპოლში ყიდიან გოგონებს ხუნნას («Chunna») და კამუსიას («Camusia»)[27]. ეს მეტად თავისებური სახელები ქართულ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, კავკასიურ წარმოშობას უნდა გვაგულისხმებინებდეს. უეჭველია მხოლოდ ერთი რამ: მათ არაფერი აქვთ საერთო არც ბერძნულ და არც იტალიურ ონომასტიკონთან.

იშვიათად უცვლიდნენ სახელებს მხოლოდ მუსლიმან ტყვე ქალებსა და ვაჟებს (თუმცა აქა-იქ მუსლიმან ტყვეთა გაქრისტიანების ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი). დოკუმენტებში ხშირად გვხვდება: მოჰამედი, მასუდი, აბდალაჰი, ალი, ფატიმა და სხვ.[28]

ევროპის ქალაქებში ტყვეთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ.

---

[21] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 308.

[22] ტყვე ქალის ყველაზე მაღალი ფასი 100 დუკატი იყო.

[23] მართლმადიდებელი ქრისტიანების გაკათოლიკება ევროპაში ტყვის სყიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. ტყვეებს ევროპაში უმთავრესად შინამოსამსახურეებად იყენებდნენ. ამდენადვე სასურველად იყო მიჩნეული მათი გაკათოლიკება.

[24] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

[25] სხვათა შორის, ანესტას თავისი 2 წლის ბიჭ ანდროლიუსთან ერთად კაფაში ყიდულობს თბილისელი ქოჯა ამირი. C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 923.

[26] იქვე, გვ. 900.

[27] იქვე.

[28] იქვე, გვ. 300, 482, 429, 439, 440, და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვე მამაკაცებზე მოთხოვნილება შედარებით ნაკლები იყო. ალბათ იმიტომ რომ ევროპაში მათ სამხედრო საქმეში იშვიათად იყენებდნენ[29].

ძვირად ფასობდა ახალგაზრდა და ლამაზი ტყვე ქალი.

თვალში საცემია აფხაზ და მეგრელ ტყვეთა წლოვანებაც; იყიდებოდნენ უმთავრესად 20—22 წლის ტყვე ქალები.

1428 წლის 15 სექტემბერს ნიკოლო ბორზას კოსტანცა და კიარა ზანარელისათვის მიუყიდნიათ 22 წლის ტყვე აფხაზი ქალი, 55 დუკატად[30].

1437 წლის 7 აპრილს ბადოერის წიგნში დასახელებული 5 ჩერქეზი და აფხაზი ქალი, 20-დან 22 წლამდე და ორი14-14 წლის ბიჭი. ტყვე ქალების დამახასიათებელი ნიშანი ყოფილა „მომხიბვლელობა და სილამაზე“ («avantaziate e belle»). ყველა ისინი ვენეციაში გაუგზავნიათ[31].

1446 წლის 1 იანვარს ერთად გაუყიდიათ 7 წლის თათრის ბიჭი და 21 წლის მეგრელი ქალი, ორთავე 90 დუკატად[32].

ტყვის სყიდვის დოკუმენტთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობიდან ირკვევა, რომ მეგრელები უფრო ადრე მოხვედრილან ევროპაში, ვიდრე აფხაზები.

ტყვის სყიდვის XIV საუკუნით დათარიღებულ აქტებში აფხაზები საერთოდ არ ჩანან.

მეგრელთა და აფხაზთა ყიდვა-გაყიდვის ყველაზე ადრინდელი აქტები ნეაპოლშია შედგენილი, ნეაპოლისათვის არის დამახასიათებელი, შედარებით გვიან იხსენიებიან ისინი გენუის და ვენეციის აქტებში.

აღნიშნულ გარემოებას ყურადღება მიაქციეს ჯოფრემ და ვერლინდენმა.

ვერლინდენის სიტყვით, XIV ს-ის გენუის აქტებში ტყვე აფხაზები არ ჩანან («car il n'y a pas d'esclaves abkhazes au XIV siècle»)[33]. მეგრელ ტყვე ქალთან დაკავშირებული ყველაზე ძველი აქტი კი 1337 წლით თარიღდება[34]. სამაგიეროდ ტყვე აფხაზი ქალი გაცილებით ადრე გვხვდება პერაში, გენუელთა კონსტანტინოპოლის კვარტალში, 1281 წელს[35]. ჩანს, ტყვის სყიდვა კონსტანტინეპოლსა და ტრაპიზონში გაცილებით ადრე არის დაწყებული, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ასევ ადრე ჩანან მეგრელი და აფხაზი ტყვეები სამხრეთ იტალიის (სიცილიის გამოკლებით) ქალაქებში, რომელთა მიმართ ყოველთვის დიდი იყო ბიზანტიის გავლენა.

საერთოდ მეგრელი და აფხაზი ტყვეებით ვაჭრობა მეტისმეტად მცირე იყო XIV ს-ის ევროპაში.

---

[29] ევროპის ქალაქები ასრულებდნენ ტრანზიტის როლს შავისზღვისპირეთიდან და კავკასიიდან ტყვეების აღმოსავლეთში (ეგვიპტეში) გადასაყვანად. ამ მხრივ განსაკუთრებული იყო გენუელთა კაფას მონაწილეობა ეგვიპტის მამლუკთა ლაშქრის შევსების საქმეში.

[30] V. Lazari, Del trafico e delle condizioni degli schiavi in Venezia nei tempi mezzo. Miscellianna di storia italianna, t. I, Turin, 1862, გვ. 494; C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 661.

[31] Il libro del conti di Giacomo Badoer, Il Nouovo Ramusio, t. III, 1956, გვ. 90; C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 618.

[32] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 308.

[33] იქვე, გვ. 618, შენ. 294.

[34] იქვე.

[35] G. Bratianu, Actes des notaires génnes de Pera et de Caffa á la fin du XIII siècle (1281—1290), t. II, Bucarest, 1925, გვ. 150; C. Verlinden, დასახ ნაშრომი, გვ. 618.

საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მეგრელ და აფხაზ ტყვეთა სყიდვა თანდათან ვითარდება XIV საუკუნეში და ძლიერდება XV საუკუნეში.

ტყვეთა „კავკასიურ კონტინგენტის“ საერთო რაოდენობასთან აფხაზთა და მეგრელთა თანაფარდობა XIV ს-ში მეტად მცირე ჩანს.

ამგვარი დასკვნა დაფუძნებულია იმ მონაცემებზე, რომელიც ჯოფრეს და ვერლინდენის გამოკვლევებშია მოტანილი. საამისო ციფრობრივი მონაცემები ჩვენ ვერლინდენის გამოკვლევის მიხედვით მოგვაქვს.

ჯოფრეს დაანგარიშებით 1400—1425 წლებში აფხაზები „აღმოსავლური კონტინგენტის» («contigent oriental») (საერთო რაოდენობის) 8,4% შეადგენდნენ. ამ საუკუნის მეორე მეოთხედში ეს შეფარდება 19,5% გაიზარდა. ამავე საუკუნის მესამედში 12,6% დაეცა და 20,3% კვლავ გაიზარდა უკანასკნელ მეოთხედში[36].

ამგვარივე ცვლილებები პროცენტულ თანაფარდობაში შეინიშნება მეგრელი ტყვეების მიმართაც. ჯოფრესავე დაანგარიშებით მეგრელ ტყვეთა პროცენტული თანაფარდობა კავკასიელ ტყვეთა საერთო რაოდენობასთან ასეთია: 0,7%, 1%, 1,5%, 5,6%[37].

ამ პროცენტულ თანაფარდობათა გათვალისწინება ვერლინდენს საშუალებას აძლევს აღნიშნოს აფხაზ და მეგრელ ტყვეთა რადენობრივი ზრდა XV ს-ის დამლევს («Pour ces deux groupes également il y a augmentation a la fin du siècle»).[38] დოკუმენტური მასალების მიხედვით ცხადად ირკვევა, რომ აფხაზ და მეგრელ ტყვეთა სყიდვა თვალსაჩინოდ იზრდება XV ს-ის დამლევს.

ევროპული წყაროების საამისო ცნობებს სავსებით ეთანხმება ქართული ცნობებიც.

ქართული მასალების მონაცემები ნ. ბერძენიშვილს საფუძველს აძლევდა ეთქვა: „XIV—XV საუკუნეებში ის (ტყვის სყიდვა, — ვ. გ.) ჯერ კიდევ მცირედ უნდა ყოფილიყო ჩვენში შემოსული. ტყვის სყიდვა ჩვენში განსაკუთრებით XVI საუკუნიდან ძლიერდება“[39].

XIII—XIV საუკუნეებში, ჩანს, ტყვის სყიდვა საქართველოში მასობრივი არ იყო. ეს მოვლენა თვალსაჩინო ხდება XV ს-ის დამლევს, ვითარდება XVI ს-ში, ინტენსიურად კი XVII—XVIII საუკუნეებში ძლიერდება.

ყურადღებას იქცევს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც: ევროპაში ტყვედ წაყვანილთა უმრავლესობას XIV—XV სს. დას. საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლები (აფხაზები, მეგრელები...) შეადგენენ. ეს არაა მოულოდნელი. ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი, „ყველაზე უფრო ის დასავლეთ საქართველოში ვრცელდება“[40].

ეს ახლა ცხადად დასტურდება ევროპული დოკუმენტებითაც.

ტყვის სყიდვის ევროპულ მასალებში (გამოქვეყნებულსა და გამოუქვეყნებლებში) სულ ორად-ორი ისეთი შემთხვევაა დამოწმებული, რომელთა შინაარსი აღმოსავლეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს უკავშირდება.

---

[36] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 487.
[37] იქვე.
[38] იქვე.
[39] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 170.
[40] იქვე.

1427 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში დასახელებულია ქართველი ქალი, რომელიც მესხური წარმოშობის ჩანს («de genere Mochisorum»)[41]. ეს ქალი 16 წლის ყოფილა და გაუყიდიათ ვენეციაში 64 დუკატად. შარლ. ვერლინდენი მას ქართველად თვლის და აღნიშნავს, რომ მის მიერ იტალიაში მოძიებულ მასალებს შორის მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა ქართველი (მესხი) ქალი. მესხს კი, დასძენს იგი, მიიჩნევენ ქართველად, ქართველთა ერთ-ერთი კუთხის მცხოვრებად («considere élements dont sont constitutieles Géorgiens»)[42].

არც XIV და არც XV საუკუნეების ევროპულ დოკუმენტებში არ ჩანან ქართლელები და კახელები, საზოგადოდ აღმ. საქართველოდან უცხოეთში გაყვანილი ტყვეები. მაგრამ XIV ს-ის ერთი ევროპული დოკუმენტი ასახელებს თბილისელ (და ერთდროულად კაფელ) მოქალაქეს, რომელიც აშკარად ტყვის სყიდვასთან არის დაკავშირებული.

დოკუმენტში იხსენიება თბილისელი ქოია ამირი («Coia Amir de Tiflis»)[43].

ვინ არის ეს ქოია ამირი?

შეიძლებოდა იგი მიგვეჩნია თბილისის ამირადაც, მაგრამ ამას ხელს უშლის ის, რომ ერთდროულად ქოია ამირი კაფას მოქალაქედაც ცხადდება.

ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ქოია ამირი არის არა ფეოდალი, არამედ მოქალაქე.

ამავე დროს ის მეტად კოლორიტული ფიგურაა.

1343 წლის 17 აპრილით დათარიღებულ საბუთში ნათქვამია რომ თბილისელი ქოია ამირი კაფას მოქალაქეა. ამასთან ის ტყვის მყიდველია და არა გამყიდველი («vend a Coia Amir de Tiflis, bourgeois de Caffa»)[44]. მას კაფაში უყიდნია რუსი ანესტა და მისი 2 წლის ბიჭი ანდროიულისი, 670 ასპრად. მაშასადამე თბილისელი ქოია ამირი აშკარად ტყვეებით მოვაჭრეა.

როგორ გახდა თბილისელი ქოია ამირი კაფას მოქალაქედ, ძნელი სათქმელია. ამის გარკვევის შესაძლებლობას საბუთი არ იძლევა. ერთადერთი რამ, რის თქმაც შეიძლება ამ საბუთის მიხედვით, არის ის, რომ გენუელები (ტყვეებით ყველაზე ინტენსიურად მოვაჭრენი ვენეციელებთან ერთად) მოქმედებდნენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, რომ მათ აქ ყველგან ჰყავდათ თავიანთი კონტრაგენტები. ამავე დროს გასათვალისწინებელია თბილისის ეკონომიკური კავშირი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან და ყირიმის განთქმულ ქალაქ კაფასთან. შუა საუკუნეების ეკონომიკისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, როგორც ცნობილია, ტყვეებით ვაჭრობა იყო.

რაში იყენებდნენ ქართველ ტყვეებს ევროპაში?

სულ სხვადასხვანაირად გამოიყენებოდნენ ისინი ევროპასა და აღმოსავლეთში.

საბუთებიდან ჩანს, რომ ევროპაში მსყიდველები მათ (განსაკუთრებით ქალებს) უფრო ხშირად შინამოსამსახურეებად იყვანდნენ, აღმოსავლეთის ქვეყნებში კი ისინი სხვადასხვა მოვალეობას ასრულებდნენ. აღმოსავლეთში ქალე-

---

[41] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 662.

[42] იქვე.

[43] იქვე, გვ. 923.

[44] იქვე.

ბი ჰარამხანებს ავსებდნენ, ახალგაზრდა ვაჟებს კი მეომრებად იყენებდნენ. ტყვე მამაკაცებს ხომალდებზე მენიჩბეებადაც სვამდნენ ან სხვადასხვა მძიმე საქმეს ავალებდნენ. მამლუკებად აღმოსავლეთში უმთავრესად კავკასიელები იყვნენ (ჩერქეზები, აფხაზები, მეგრელები...)[45]. ევროპის ლაშქარში არსად ტყვეებს მეომრებად არ ხდიდნენ; იქ XIV—XV სს. ფეოდალური ლაშქარი არსებობდა ან დაქირავებული ლაშქრის სისტემა იყო გაბატონებული. მაგრამ აღმოსავლეთს ტყვეებით (მომავალი მეომრებით) ევროპელებიც ამარაგებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ყირიმში ქალაქი კაფა ასრულებდა. კარგადაა ცნობილი ის მარშრუტები, რომლითაც კავკასიელი ტყვეები ევროპულ ქალაქებზე და ხმელთაშუაზღვის კუნძულებზე გავლით (კუნძულებიდან ამ მხრივ განსაკუთრებით კრეტა გამოირჩეოდა) აღმოსავლეთში გაჰყავდათ[46].

ევროპული ტყვის სყიდვის თავისებურებათა დასადგენად აუცილებელია აღნიშნული მომენტების გათვალისწინება.

ტყვის ვაჭრობაში მონაწილეობდნენ ევროპის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. მრავლად იყვნენ ესპანელები (კატალონიიდან, ვალენსიიდან, მაიორკადან...). რეკონკისტამ მკვეთრად შეამცირა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა იბერიის ნახევარკუნძულზე, მაგრამ ტყვის ესპანელი მსყიდველები აქტიურად მოქმედებდნენ იტალიის ქალაქებში (განსაკუთრებით ნეაპოლში). ეს კარგად ჩანს იტალიური დოკუმენტებიდან. როგორც ჩანს, ესპანელი ვაჭრები ტყვით ვაჭრობაში შუამავლის როლს ასრულებდნენ, ტყვეთა გადამყიდველებლად ითვლებოდნენ. საამისო ცნობები საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ტყვის სყიდვას შუა საუკუნეების ევროპაში საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა და უკავშირდებოდა საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებს[47].

ტყვეებს ევროპაში ყიდულობდნენ ფეოდალები, დიდვაჭრები, მდიდარი მოქალაქენი და თვით ეკლესიის წარმომადგენლები, მღვდელმთავრები. შარლ ვერლიდენს თავის ნაშრომში ცალკე პარაგრაფებად აქვს გამოყოფილი საკლესიო მონების მდგომარეობა. პირველში შესწავლილი მონობის ევოლოცია საეკლესიო

---

[45] ტყვედ ნამყოფი მეომრების აღსანიშნავად ევროპულ დოკუმენტურ წყაროებში დასახელებულია: „მამლუკი“, და „ბალაბანი“. „მამლუკები“, და „ბალაბანები“, იხსენიებიან უკვე XIII ს-ის ევროპულ დოკუმენტებში.

[46] კავკასიელ ტყვეთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ვიდრე ევროპის ქალაქებში. ჯოფრეს და ვერლინდენს, როგორც ვნახეთ, აფხაზთა და მეგრელთა თანაფარდობა ტყვეთა „აღმოსავლური კონტინენტის“ სხვათა რაოდენობასთან დაანგარიშებული აქვთ ევროპული ქალაქების მაგალითზე. არც ჯოფრე და არც ვერლინდენი არ ითვალისწინებენ იმას, თუ რა დიდი რაოდენობით იყიდებოდნენ კავკასიელი ტყვეები XIII—XIV საუკუნეებში აღმოსავლეთის მონათა ბაზრებზე და როგორ იზრდებოდა კავკასიელ ტყვე მეომართა შემადგენლობა მამლუკთა ლაშქარში. საკმარისია ითქვას, რომ კავკასიელ ტყვეთა რაოდენობა XIII ს. დამლევს ათჯერ აღემატებოდა რუს ტყვეთა რაოდენობას. C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 645.

[47] ტყვის სყიდვის (დასავლეთში, აღმოსავლეთში) ეკონომიკურ კონტექსტს ბევრი მკვლევარი აქცევს ყურადღებას. საამისო საკითხები შესწავლილია სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შუქზე. იხ. Y. Labib, Handelgeschichte Aegyptiens im Spätmittelalter (Beiheit 46. Vierteljahrschrift f. Soz. und Wirtshaftsgeshichte, 1965).

საქართველოში ტყვის სყიდვის ეკონომიკურ მხარეს შეეხო პაატა გუგუშვილი (იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, ტ. I, თბ., 1949, გვ. 306).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფეროში («Evolution de l' esclavage dans les domines eclésiastiques»),[48] მეორეში მონობა ეკლესიის სფეროში («L'esclavage dans la domines eclésiastiques»)[49]. აღნიშნული გარემოებანი აუცილებლივ გასათვალისწინებელია საქართველოში ტყვის სყიდვის ისტორიის შესწავლისას. როგორც ცნობილია, საქართველოშიც ტყვის სყიდვაში მონაწილეობდნენ არა მარტო საერო, არამედ სასულიერო ფეოდალებიც.

დოკუმენტებში საკმაოდ საგულისხმო ცნობები მოიპოვება „მონების" მდგომარეობაზე, მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში გამოყენების თაობაზე.

არსებობდნენ როგორც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მონები («L' esclavage agricole»), ისე ფეოდალთა და მოქალაქეთა ოჯახებში დასაქმებული მონები.

ყველაზე მკაფიოდ შუა საუკუნეების ევროპაში მაინც საოჯახო მონობა («La schiavita domestica») იყო გამოკვეთილი.

ამით განსხვავდებოდა შუა საუკუნეების ტყვის ვაჭრობა ანტიკური პერიოდის მონათმფლობელობისაგან.

ტყვის სყიდვის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები არ სცილდებოდა ფეოდალური საზოგადოების ფარგლებს.

როგორ უყურებენ და აფასებენ შუა საუკუნეების ამ მოვლენას ბურჟუაზიული მკვლევრები?

მკვლევრებს (მედიევისტებს და მოდერნისტებს) მონობის ფაქტების რეგისტრაციასა და ანალიზთან ერთად გამოთქმული აქვთ თეორიული ხასიათის შეხედულებებიც საერთოდ შუა საუკუნეების და ახალი პერიოდის (XVI—XVIII სს.) მონობაზე და, საზოგადოდ, მონობის როლზე და ადგილზე კაცობრიობის ისტორიაში.

მათი თვალსაზრისით შუა საუკუნეების მონობა («l'esclavage») წარმოადგენს ანტიკური და ელინისტური პერიოდის მონობის პირდაპირ გაგრძელებას, ხოლო შუა საუკუნეების მონობის გაგრძელება ახალ პერიოდში არის ე. წ. „კოლონიური მონობა" (უმთავრესად აფრიკასა და ამერიკაში). ამრიგად ისინი არ ნახულობენ არავითარ თვისობრივ განსხვავებას ანტიკურ და შუა საუკუნეების მონობას შორის. ერთი სიტყვით, ევროპელი მედიევისტი და მოდერნისტი ისტორიკოსები აღნიშნავენ უწყვეტ რგოლს მონობის ისტორიული განვითარების ჯაჭვში. კიდევ მეტი: მათი აზრით, შუა საუკუნეების მონობა («l'esclavage») თანდათან გადაიზარდა ბატონყმობაში («servitum»). რა თქმა უნდა, მონათმფლობელობის ზედა საფეხური (მისი რღვევა) ერთგვარად უკავშირდება ბატონყმობის წინამძღვრებს, არსებობს ერთგვარი კავშირი ადრინდელ „კოლონებს" (განთავისუფლებულ მონებს) და გვიანდელ „ყმა-გლეხებს" შორის, მაგრამ ბატონყმობა სულ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და განვითარებული, ვიდრე ანტიკური და ელინისტური პერიოდების მონათმფლობელობა.

შუა საუკუნეების „მონობა" (სულ ერთია აღმოსავლეთში თუ დასავლეთში) ფაქტობრივად ტყვის სყიდვას წარმოადგენდა, ტყვის სყიდვის პირდაპირი შედეგი იყო.

---

[48] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—92.

[49] იქვე, გვ. 98—105.

მართალია, ევროპულ ქვეყნებში მონები სოფლის მეურნეობაშიც გამოიყენებოდა[50], მაგრამ მხოლოდ აქა-იქ, ეპიზოდურად. არსებული დოკუმენტური მასალებიდან ცხადად ირკვევა, რომ ფაქტობრივად ჩვენ საქმე გვაქვს საოჯახო მონობასთან. შემთხვევით არაა რომ ევროპის ქალაქებში გაყიდულ ტყვეთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. ტყვეთა ერთი ნაწილი კი იმავე ევროპული ქალაქებიდან აღმოსავლეთში (ეგვიპტეში) იგზავნებოდა.

მკვლევრები შუა საუკუნეების ევროპულ „მონობას“ განიხილავენ იმდროინდელ ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირში, მიიჩნევენ მას ეკონომიკის ერთერთ შემადგენელ ნაწილად. ამ მხრივ ბევრი რამ საგულისხმო შეიძლება დავძებნოთ მათს გამოკვლევებში შუა საუკუნეების ევროპული ეკონომიკის ძირითად თავისებურებათა დასადგენად და გასათვალისწინებლად. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა საკითხის ეს მხარე (რაც, ცხადია, დამოუკიდებელი კვლევაძიების საგანს შეადგენს), არამედ ქართველ ტყვეთა მდგომარეობა შუა საუკუნეების ევროპის ქალაქებში.

მონებად გადაქცეული ტყვეების მდგომარეობა აქაც მეტად მძიმე იყო, ამბოხებულ მონას ულმობლად უსწორდებოდნენ და სასტიკად სჯიდნენ. ჩვეულებრივი იყო პატრონის მკვლელობაში დადანაშაულებული მონების კოცონებზე დაწვა. მეტად მკაცრი იყო მონებთან დამოკიდებულების კანონმდებლობა. საამისო ნიმუშები მრავლად არის მოტანილი შარლ ვერლინდენის ნაშრომში. არავინ მოითხოვდა მონის შრომის შემსუბუქებას, არავინ იყო მისი გამკითხავი. ფეოდალური საზოგადოების ზედაფენის წარმომადგენლები, საერო და საეკლესიო ფეოდალები, მონობას სავსებით კანონზომიერ მოვლენად თვლიდნენ და მას ყველანაირად ამართლებდნენ კიდეც.

მონობის აუცილებლობა შემაგრებული იყო სხვადასხვა შეხედულებით.

ყველა შეხედულება (განსხვავებული ნიუანსების მიუხედავად) ამართლებდა მონობას.

ეს შეხედულებები თუ თეორიები თავის სათავეს პოულობენ არისტოტელეს ნააზრებში.

არისტოტელე ადამიანის მონურ დამოკიდებულებას ასაბუთებდა ადამიანის დაბალი ინტელექტით. ამ აზრს, დროის შესაფერისი ნაირსახეობით და ფორმით, იზიარებდა ადრინდელი და გვიანდელი ქრისტიანობის ყველა ცნობილი წარმომადგენელი. არისტოტელეს მსგავსად წმ. ბასილი მონობას ამართლებდა მონის დაბალი ინტელექტით. ამგვარსავე შეხედულებას გამოთქვამდნენ იოანე ოქროპირი, ნეტარი ავგუსტინე და თომა აქვინელი. არისტოტელეს მიერ თავის დროზე შემუშავებული წარმოდგენა მონური დამოკიდებულების გამაპირობებელ მიზეზზე, დამახასიათებელია შუა საუკუნეების უკლებლივ ყველა საეკლესიო მოღვაწისათვის. ფაქტობრივად ეს იყო „ერთგვარი ინტელექტუალური რასიზმი“ (შარლ ვერლინდენის გამოთმაა). ეკლესიის მამები მონობას თვლიდნენ აუცილებელ ბოროტებად და, თვით ერთგვარ ფარულ სიკეთედ («Les Peres, en somme, considerent l'esclavage comme une mal inévitable et, quelque fois, comme un bien cache)[51]. ორიგენე ყოველივე ამას დასძენდა: „მონა, რომელიც ეურჩება თა-

---

[50] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, 829—831.

[51] იქვე, გვ. 23.

ვის პატრონს ეურჩება თვითონ ღმერთს“ («l'esclave qué desobeit a son maitre, desobeit a Dieu»)[52].

ნეტარი ავგუსტინეს ნააზრევში შეინიშნება ახალი იდეები, ახალი თვალსაზრისი მონობის ინსტიტუტზე. მისი «De civitate Dei» შეიცავს მთელ თავს მონობის რაობასა და მის დამამსაფუძვლებელ მიზეზებზე. მას მონური დამოკიდებულების წყაროდ ცოდვა მიაჩნდა, ცოდვის შედეგად თვლიდა. ამავე დროს ის მონების პატრონებს მოუწოდებდა გაეთვალისწინებინათ რომ ქრისტიანობა ამსუბუქებდა მონათა მდგომარეობას. მაგრამ ისიც, არისტოტელეს მსგავსად, მონობას ამართლებდა მონის დაბალი ინტელექტუალობით. ამას ნეტარი ავსგუსტინე ერთნაირად მიაწერდა მონა მამკაცებს, ქალებს, ბავშვებს.

მაგრამ ქრისტიან მოაზროვნეებს არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებინათ „სხეულისა და სულის ურთიერთდამოკიდებულება“ და ითვალისწინებდნენ კიდეც. მათი შეხედულებით, დამონებული სხეულის სრულიად საპირისპირო იყო სულის თავისუფლება. იოანე ოქროპირის განმარტებით პირველი არ შეიძლებოდა მძიმე ყოფილიყო, თუ მეორეს თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით მონობა აუცილებელ ბოროტებად იყო მიჩნეული. თომა აქვინელი სტოიკებისა და ადრინელი ქრისტიანი მოღვაწეების მსგავსად ერთმანეთისაგან ასხვავებდა გონების თავისუფლებას და სხეულის მონურ დამოკიდებულებას, მაგრამ, ამავე დროს, მონობის სარგებლობას ბუნებითი სამართლით ასაბუთებდა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, თომა აქვინელი ამართლებდა ბატონყმობას («servitus») და ჰკიცხავდა მონობას («l'esclavage»), მაგრამ ეს ასე არაა. როგორც ვნახეთ, ქრისტიანული სამყაროს უკლებლივ ყველა წარმომადგენელი მონობას სავსებით კანონზომიერ მოვლენად თვლიდა და ამართლებდა მის არსებობას.

ჩვენ განგებ მოვიტანეთ ეკლესიის მამების შეხედულებანი მონობის ინსტიტუტთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ნასყიდ ტყვეს არავინ არ ასხვავებდა მონისაგან. აქედან კარგად ჩანს, რომ ტყვე-მონების გამკითხავი შუა საუკუნეების ევროპაში არავინ იყო, არავინ ცდილობდა მათი მძიმე ხვედრის შემსუბუქებას, ხელის აპყრობას. პირიქით საერთო და სასულიერო ფეოდალები ერთნაირად მონაწილეობდნენ მათს ექსპლუატაციაში. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ იყო ევროპელ და ქართველ მღვდელმთავრებს შორის.

კათოლიკე მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილე საქართველოში ტყვის სყიდვის მოვლენების აღწერისას, ამბობს: „ისინი მათ ყიდულობენ ათასნაირი ფიქტიური და ტყუილი ფიცით, თითქოს ეს ტყვეები სახლში გამოსაყენებელ მსახურებად, ან მათი ნათესავებისათვის ან მეგობრებისათვის უნდოდათ და შემდეგ კი მაღალ ფასებში თურქებზე ჰყიდიან. ამას ყოველდღე ჰხედავენ ღვთისმსახური ბერები, მიტროპოლიტები და პატრიარქები, მაგრამ ისინი ხმას არ იღებენ იმ იმედით, რომ მათაც ორივე მხარისაგან მოგება დარჩეთ: იმათგან ვინც ჰყიდის და ვინც ყიდულობს“[53].

---

[52] G. Consiglio, Le consept d'esclavage dans Saint Thomas d'Aquin (Bulletin du cercle thomiste St. - Nicolas, Caen, 1951).

[53] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), თბ., 1977, გვ. 74.

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ერთნაირი ვითარება იყო ქრისტიანულ ევროპაშიც და ქრისტიანულ საქართველოშიც.

ოღონდ, გარკვეულ ვითარებაში, ქართული ეკლესიის მესვეურნი მხარს უჭერდნენ მეფის ხელისუფლების ტყვეთა სყიდვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. ეს იყო და ეს.

არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს ერთმა გარემოებამ: XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები აღშფოთებით და, რაც მთავარია, გაკვირვებით აღწერენ საქართველოში გავრცელებულ ტყვის სყიდვის მოვლენებს.

ავთანდილ კილასონიამ თავი მოუყარა ყველა იმ ცნობას, რომლებიც ტყვის სყიდვის გამო კათოლიკე მისიონერთა და მოგზაურთა თხზულებებში გვხვდება. მას დასახელებული აქვს: დონ პიეტრო ავიტაბილე, არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, ჟან ბატისტ ტავერნიე, ქრისტეფორე კასტელი, ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი[54]. ისინი გულისწყრომით ლაპარაკობენ ტყვის სყიდვის ამაზრზენ ფაქტებზე საქართველოში.

რით უნდა ავხსნათ ეს?

რატომ უნდა გამოეწვია კათოლიკე მისიონერთა და ევროპელ მოგზაურთა აღშფოთება და გაკვირვება საქართველოში ტყვის სყიდვის ამაღელვებელ სურათებს, როდესაც იგივე ამბები, როგორც ვნახეთ, ფართედ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების ევროპაში და ევროპის ფეოდალური საზოგადოების თვალში ყოვლადჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

კიდევ მეტი: ჩვენთვის ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ტყვე ქართველებს ყიდნენ როგორც მაჰმადიანურ, ისე ქრისტიანულ ქვეყნებში.

XVII და XVIII საუკუნეების ევროპაში ტყვის სყიდვის სარბიელზე სულ სხვა ვითარება არსებობდა, ვიდრე XIV და XV საუკუნეებში იყო.

ჩვენი აზრით, XVII—XVIII საუკუნეების ევროპაში ტყვის სყიდვა საგრძნობლად უნდა შესუსტებულიყო. ტყვის სყიდვის მთავარ სარბიელს ამ დროს აღმოსავლეთი წარმოადგენდა. კათოლიკე მისიონერები და ევროპელი მოგზაურები სწორედ აღმოსავლეთში გაყიდული ქართველი ტყვეების საშინელ მდგომარეობას აღწერენ და გვისურათებენ.

მაშასადამე XVII—XVIII სს. ევროპისათვის ტყვის სყიდვა არ უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი ან, უკეთ, ფართოდ გავრცელებული.

ტყვის სყიდვა ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ჩანს XIV—XV საუკუნეების ევროპისათვის.

ტყვის ყიდვა ორგანულად უკავშირდება შუა საუკუნეებს.

შუა საუკუნეების პერიოდი კი ევროპის ისტორიაში მთავრდება XIV—XV საუკუნეებით.

XVI ს-ში ევროპა განვითარების ახალ გზას შეუდგა.

XVI ს-ის მეორე ნახევრიდან (ამ დროს ხდება პირველი ბურჟუაზიულ რევოლუცია ნიდერლანდებში) ევროპა სულ სხვა მიმართულებით ვითარდება, აქ ახალ პერიოდში სულ სხვა სოციალ-პოლიტიკური სისტემა ყალიბდება.

აზიამ კი, პირიქით XIX ს-ის 60-იან წლებამდე შემოინახა შუა საუკუნე-

---

[54] ა. კ ი ლ ა ს ო ნ ი ა, ტყვეობით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში, „მაცნე", ისტორიის სერია, № 3, 1982, გვ. 107—114.

ების სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ცხოვრების წესები და, თვით, XX ს-ში ძლიერი ფეოდალური გადანაშთებით შემოვიდა.

ამიტომ ტყვის სყიდვა შერჩა არა ევროპას, არამედ აზიას.

სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მოვლენები (ნაციონალური სახელმწიფოებისა და აბსოლუტური მონარქიების წარმოქმნა, ბურჟუაზიული რევოლუციები) ნიადაგს აცლიდა არა მარტო ტყვე-მონების შრომის გამოყენებას, არამედ ბატონყმობასაც. ახალმა საზოგადოებრივმა და ეკონომიკურმა ურთიერთობამ მოითხოვა მონობის ახალი ფორმა — ე. წ. „კოლონიური მონობა". მაგრამ ეს უკვე სცილდება შუა საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

XVI—XVIII საუკუნეების ევროპაში მკვეთრად შეიცვალა ტყვეთა შრომისადმი დამოკიდებულება. დოკუმენტების მიხედვით სულ უფრო და უფრო ფართე ხასიათს იღებს ტყვე-მონების განთავისუფლების პროცესი («afrachissement»)[55]. განთავისუფლებული მონების შრომისა და ცხოვრების პირობები სულ სხვა იყო ვიდრე ტყვე-მონებისა XIV—XV საუკუნეებში.[56] დოკუმენტებში დასახელებული არიან სოფლის მეურნეებად გადაქცეული მონები («Esclaves devenus agriculteurs»)[57]. მაგრამ ეს ნიშნავდა არა მონობის ბატონყმობაში გადაზრდას («Evolution de l'esclavage vers le servage»)[58], არამედ მონური დამოკიდებულების ლიკვიდაციის დასაწყისს. საინტერესოა, რომ მონობა უფრო ადრე გაუქმებულა ბიზანტიაში («Fin de l'esclavage à Byzance»)[59].

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, თუ რამდენად საჭიროა და აუცილებელი ევროპული ტყვის სყიდვის ისტორიის გათვალისწინება იმათ მიერ, ვინც XIV—XV სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს სწავლობს.

ჩვენ შევეხეთ მხოლოდ ევროპული ტყვის სყიდვის ზოგიერთ, განსაკუთრებით ნიშანდობლივ ფაქტებსა და მოვლენებს.

ტყვის სყიდვის არაერთი საკითხია ჯერ კიდევ შესასწავლი და გამოსარკვევი.

საამისოდ არსებობს უხვი წყაროები და ლიტერატურა.

წყაროებისა და ლიტერატურის გულდასმით გაცნობა (მათი მოძიება და გაფართოება) შესაძლებლობას მოგვცემს ახლებურად გავაშუქოთ ტყვის სყიდვის არაერთი მოვლენა, არაერთი საკითხი.

საჭიროა თანაბრად იქნეს გათვალისწინებული ამ პრობლემის როგორც კონკრეტული (ქართული), ისე ზოგადი (ევროპულ-აღმოსავლური) ასპექტები.

საკითხის ამგვარად დაყენება და გაშუქება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

ამჟამად შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ზოგადი ხასიათის წინასწარი მოსაზრებებით.

უწინარეს ყოვლისა, პრობლემის დამუშავებაში თანაბრად უნდა მიიღონ

---

[55] C. Verlinden, დასახ. ნაშრომი, გვ. 241, 335, 541, 693.
[56] იქვე, გვ. 693—704.
[57] იქვე, გვ. 829.
[58] იქვე, გვ. 987.
[59] იქვე, გვ. 996.

მონაწილეობა ქართველოლოგებმა, ევროპეისტებმა და აღმოსავლეთმცოდნეებმა.

კერძოდ, ქართველმა ისტორიკოსებმა ტყვის სყიდვასთან დაკავშირებით შეიძლება იმაზე მეტი რამ თქვან, ვიდრე ნათქვამი აქვთ ევროპელ მკვლევრებს თავიანთ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში.

ევროპული ტყვის სყიდვის მიმოხილვისას ჩვენ უმთავრესად ვეყრდნობოდით შარლ ვერლინდენის გამოკვლევას, მის მიერ მოძიებულ ან გამოყენებულ დოკუმენტებს. თუმცა თვითონ მას და, აგრეთვე, სხვა ევროპელ მკვლევრებს (ჯოფრეს, ბრატიანუს...), მოეპოვება სხვა ნაშრომებიც როგორც ტყვის სყიდვის, ისე შავიზღვისპირეთის და კავკასიის საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა შესახებ.[60]

მისი „მონობა შუა საუკუნეების ევროპაში“ აღიარებულია ფუნდამენტურ ნაშრომად, რომელმაც უკანასკნელ ხანებში ბიძგი მისცა ამ პრობლემის ინტენსიურ კვლევა-ძიებას.

მაგრამ აუცილებლივ საჭიროა ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება.

კლოდ კაენმა როგორღაც შენიშნა, რომ ვერლინდენი ორიენტალისტი არაა. ჩვენი მხრით შეიძლება დავძინოთ, რომ ის, რა თქმა უნდა, არც ქართველოლოგია. მის მიერ მრავალგან მოტანილი ცნობები (უმთავრესად პირველწყაროებიდან) მოითხოვს როგორც ორიენტალისტის, ისე ქართველოლოგის ყურადღებას.

ტყვის სყიდვის ევროპულ მასალებსა და გამოკვლევებში არაერთი ორიენტალისტიკური და ქართველოლოგიური ცნობა გვხვდება. კერძოდ არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს იმან, თუ ქართველი ტყვეები როდის, საიდან არიან გამოყვანილი ან საქართველოს რომელ რეგიონს ეკუთვნიან. ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა მათი ვინაობისა და სადაურობის ამსახველი მასალები, მათი საკუთარი სახელები (ზოგჯერ აშკარად ქართული, ზოგჯერ გაევროპულებული). მასალების ინტენსიურად შესწავლის შედეგად (რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება მათთან უშუალოდ მისვლა და არა შემოვლითი გზით სარგებლობა) ჩვენ შეიძლება მოვიპოვოთ ისეთი ცნობები, რომლებიც ევროპელ მკვლევრებს მხედველობის გარეშე რჩებათ ან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

შარლ ვერლინდენს და სხვა ევროპელ მკვლევრებს არ გაუთვალისწინებიათ იმ ქვეყნების ისტორიული ვითარება, საიდანაც ტყვეები ევროპაში გაჰყავდათ.

საგულისხმო ფაქტია: ერთიან ქვეყანაში ტყვის სყიდვა მკვეთრად გამოკვეთილი არ ჩანს, გაძლიერებით კი პოლიტიკურად დაშლილ ქვეყანაში ძლიერდება. საქართველოს მაგალითზე ეს მკაფიოდ აისახა ევროპულ დოკუმენტებში. ამდენადვე მხედველობაში მისაღებია XIV სს. საქართველოს (ჯერ კიდევ ერთიანი ქვეყნის) და XVI—XVIII სს. საქართველოს (პოლიტიკურად დაშლილი, სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყნის) ისტორიული ვითარება. უა-

---

[60] C. Verlinden, Le commerce en Mer Noir des debuts de l'epoque Byzantine au landmain de la conquète de l'Egypte par les Ottomans (XIII Congres Int. Sc. Historique, M., 1970); მისივე, Esclavage et etnographie sur les bords de la Mer Noir (Mélanges van der Essen, t. I) და სხვ.

მისოდ შეუძლებელია დავასაფუძვლოთ საქართველოში ტყვის სყიდვის გააქტიურებისა და გაძლიერების მიზეზები.

ტყვის სყიდვის ისტორიის საკითხები საჭირო სისრულით არც ქართულ ისტორიოგრაფიაშია შესწავლილი.

ტყვის სყიდვა მხოლოდ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების (აღმოსავლურ სამყაროს) მოვლენა არ იყო.

ამდენადვე აუცილებელია ტყვის სყიდვის შესწავლა-გათვალისწინება მსოფლიო ისტორიული მოვლენების შეჭზე.

ტყვის სყიდვა ერთნაირად დამახასიათებელი იყო წინა აზიის, ხმელთაშუაზღვის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, შავი ზღვის სანაპიროებისა და კავკასიისათვის.[61]

აღნიშნული გარემოებანი, რამდენადაც ვიცით, ქართული ისტორიოგრაფიაში არ გამხდარა ჯეროვანი ყურადღების საგანი.

ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა ევროპულ ისტორიოგრაფიაში.

ევროპელ მედიევისტ ისტორიკოსებს შედარებით სრულად აქვთ შესწავლილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთკავშირი ტყვის სყიდვის სარბიელზე.

ამ კონტექსტში გარკვეული ადგილი ეთმობა შავ ზღვასა და დასავლეთ კავკასიას.

ყურადღების ამგვარად გამახვილებას თავისთავად მოითხოვდა დოკუმენტების შინაარსი.

ცნობილია; ევროპული და აღმოსავლური ტყვის სყიდვა განუყოფელი იყო, ერთი მეორეს ასაზრდოებდა და განამტკიცებდა. ევროპელი ტყვის მსყიდველების აქტიური მოქმედების შედეგადაც ივსებოდა მამელუკთა ლაშქარი ეგვიპტეში.

ტყვის სყიდვის სარბიელზე მონოპოლიური უფლებებით სარგებლობდნენ გენუელები და ვენეციელები.

მათი გავლენა ვრცელდებოდა მთელ ლევანტზე (აღმოსავლეთზე), ხმელთაშუაზღვასა და შავ ზღვაზე.

ასე გაგრძელდა 1453 წლამდე.

კონსტანტინოპოლის დაპყრობამ სულ ერთიანად შეცვალა ტყვის სყიდვის ხასიათი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობაში.

1453 წლიდან იწყება ახალი ხანა ტყვის სყიდვის ისტორიაში.

კარდინალურად შეიცვალა შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვის გეოგრაფიული და პოლიტიკური რუკაც.

1453 წელს დაემხო ბიზანტიის საკეისრო, 1461 წელს ტრაპიზონის საკეისრო, 1475 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ყირიმის ნახევარკუნძული. ყოველივე ამის შედეგად შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად“ გადაიქცა. ოსმალეთმა ხელი დასდო ხმელთაშუაზღვასაც. მასვე დაექვემდებარა ის სახმელეთო გზები, რომელთა საშუალებით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო-ეკონომი-

---

[61] დოკუმენტებში ტყვეთა შორის დასახელებული არიან: ბერძნები, თურქები, ბოსნელები, ალბანელები, უნგრელები, ვლახელები, მავრები, ზანგები და სხვ. ბალკანეთსა და აღმ. ევროპაში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ტყვის გამოსყიდვა («Le rachat des captifs»). C. Verlinden, გვ. 259. ტყვის გამოსყიდვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა შეხებოდა ევროპაში მოხვედრილ კავკასიელ და ქართველ ტყვეებს.

კური ურთიერთობანი მყარდებოდა (ასე გაგრძელდა XVII ს-ის დამლევამდე, სანამ ევროპელები XVI ს-ის დამდეგს აღმოჩენილ საზღვაო გზებს საბოლოოდ აითვისებდნენ). XVI საუკუნემდე ოსმალეთს არ ჰყავდა ძლიერი მეტოქე არც აღმოსავლეთში, არც დასავლეთში. ეს მას საშუალებას აძლევდა წარმატებით განეხორციელებინა ექსპანსიონისტური პოლიტიკა ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ ქვეყნებში (იმიერ და ამიერკავკასიაში, წინა აზიაში, ხმელთაშუაზღვის აუზში, აფრიკაში...).

XVI ს-ში ოსმალეთი სამ კონტინენტზე გადაიჭიმა (აღმ. ევროპის, აზიის და აფრიკის).

ოსმალეთმა ყველგან გადაკეტა ძველი სახმელეთო და საზღვაო გზები.

ამან ბიძგი მისცა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს.

ხმელთაშუაზღვაზე და შავ ზღვაზე დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გენუა და ვენეცია.

XV ს-ის მეორე ნახევარში ისინი ოსმალეთის მფარველობით და ხელისშეწყობით განაგრძობდნენ ტყვის სყიდვას.

ამიტომაა რომ XV ს-ის მეორე ნახევარშიც ევროპულ დოკუმენტებში კვლავ ვხვდებით კავკასიელ და ქართველ ტყვეებს.

ტყვის სყიდვა და, საზოგადოდ, ყოველგვარი სახის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ოსმალეთსა და იტალიის საზღვაო რესპუბლიკებს შორის კაპიტულაციების საფუძველზე იყო მოწესრიგებული.

პირველი კაპიტულაცია 1497 წელს მიიღო ვენეციამ, საფრანგეთმა კი უფრო გვიან — 1535 წელს.

კონსტანტინოპოლში გენუა და ვენეცია ექსტერიტორიული უფლებით სარგებლობდნენ. აქ მათ ჰყავდათ საკუთარი ბაილო, რომელიც ოსმალეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმეებს აწესრიგებდა.

მაგრამ სულთნის ხელისუფლების აშკარა მფარველობის მიუხედავად აღარც ვენეცია და აღარც გენუა აღარ სარგებლობდნენ მონოპოლიური უფლებებით ტყვის სყიდვის სარბიელზე.

ტყვის სყიდვის მონოპოლია ოსმალეთის ხელთ აღმოჩნდა.

1453 წლიდან ოსმალეთი გვევლინება ტყვის სყიდვის მთავარ ორგანიზატორად.

ოსმალეთმა ტყვის სყიდვა ძირითადად აღმოსავლეთში გადაიტანა.

მისი თაოსნობით აღმოსავლეთი მოიფინა მონათა ბაზრებით.

გამრავლდნენ ტყვით მოვაჭრენი.

XVI—XVIII საუკუნეებში ტყვის სყიდვამ ფართო მასშტაბები მიიღო.

ტყვის სყიდვის მასშტაბების გაფართოებას XVI—XVIII სს. აღმოსავლეთში ემთხვევა ტყვის სყიდვის გაძლიერება იმავე საუკუნეების საქართველოში.

აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც „ტყვეს“ ყიდულობდნენ განურჩევლად სქესისა და ასაკისა. მაგრამ განსაკუთრებით ძვირად ფასობდა ჯანსაღი, ლამაზი და ახალგაზრდა ქალ-ვაჟები, ასეთ „საქონელს“ იმ დროს ყველგან

ყიდულობდნენ როგორც „ქრისტიანულ“, ისე „მაჰმადიანურ“ ქვეყნებში. მაგრამ ტყვეთა უმთავრესი მომხმარებელი მეზობელი ოსმალეთი იყო“.[62]

ზღვის სანაპიროზე მომდგარ ოსმალების გემებზე დიდი რაოდენობით აჰყავდათ მოტაცებული და გაყიდული ტყვე ქალ-ვაჟები[63].

საამისო ცნობები მრავლად მოეპოვებათ ევროპელ კათოლიკე მისიონერებს და მოგზაურებს[64].

შავი ზღვის სანაპიროს სხვადასხვა პუნქტში მოჰყავდათ არა მარტო დას, საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან (იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან), არამედ ქართლ-კახეთიდანაც.

დას. საქართველოში ტყვის სყიდვის ადგილები იყო: ბათუმი, ჭობულეთი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი, ანაკოფია და სხვ.[65].

ახლაც, ისევე როგორც XIV—XV საუკუნეებში ტყვის სყიდვა ძირითადად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული.

დას. საქართველოში არსებობდა ტერმინები, რომლებითაც აღინიშნებოდნენ ტყვეების მომტაცებელ-გამსყიდველები და მსყიდველები.

ის, ვინც ტყვეს იტაცებდა და ყიდდა ყ უ რ ს ა ლ ი ეწოდებოდა, იმას კი, ვინც ტყვეს ყიდულობდა ი ე ს ი რ ჯ ი[66].

ეს ტერმინები, ჩანს, XVI—XVIII სს. საქართველოშია გაჩენილი და გავრცელებული.

ტყვის სყიდვის გაძლიერებას XVI—XVIII სს. საქართველოში სხვა სიახლენიც ახლდა.

XVI—XVIII სს. წესად იქცა ერთი მოვლენა, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო XIV—XV სს. საქართველოში.

XVI საუკუნიდან დაწყებული სპარსეთში და ოსმალეთში დიდი რაოდენობით გაჰყავდათ ახალგაზრდა ტყვე ქალ-ვაჟები სავალდებულო ძღვენისა და მისართმეველის სახით. ესეც, თავის მხრივ, ტყვის სყიდვის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. თუნდაც იმიტომ, რომ სულთნისა და შაჰის კარზე გასაგზავნ ქალ-ვაჟებს ფულითაც ყიდულობდნენ. საამისოდ იყო სწორედ დაწესებული გადასახადი „საური“ (ქართულ წყაროებში ეს „თათრის საურის“ სახელით არის ხშირად აღნიშნულ-დასახელებული).

XVI—XVIII საუკუნეებში ტყვის სყიდვის გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე „ლ ე კ ი ა ნ ო ბ ა“.

„ტყვის სყიდვა“ და „ლეკიანობა“ თავისებურად ავსებდა ერთი მეორეს, ორთავე ტყვეების მოტაცება-გაყიდვასთან იყო დაკავშირებული. ოღონდ, „ტყვის სყიდვა“ უფრო მეტად დასავლეთ საქართველოს მოვლენა იყო, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოსი.

XXVI—XVIII სს. ტყვის სყიდვის ერთ-ერთ თავისებურებას საქართველოში ისიც შეადგენდა, რომ ქართველი ტყვეები ახლა უმთავრესად აღმოსავლეთში გაჰყავდათ, გაცილებით მცირე რაოდენობით ევროპაში. ასევე მცირე იყო მათი რაოდენობა XIV—XV სს. ევროპაში.

---

62 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 171.

63 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 239.

64 ა. კ ი ლ ა ს ო ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 107—114.

65 იქვე, გვ. 111—113.

66 იქვე, გვ. 107—108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენადვე ქართველების მასობრივად გამოყენება სამხედრო საქმეში შესაძლებელი იყო არა ევროპაში, არამედ აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთში (ერაყში, ეგვიპტეში) ქართველი ტყვე მამაკაცები ავსებდნენ მამელუკთა რიგებს. მამელუკებად ქართველები ხდებოდნენ უკვე XIII საუკუნეში[67].

ეს შესაძლებელს ხდიდა მათ სამხედრო სარბიელზე აღზევება-დაწინაურებას[68].

ამგვარი იყო ტყვის სყიდვის ძირითადი თავისებურებანი XIV—XV სს. და XV სს. და XVI—XVIII სს. საქართველოში.

ქართული და აღმოსავლური წყაროების მიმოხილვა შესაძლებლობას გვაძლევს აღვნიშნოთ: XIV—XV სს. საქართველოში ტყვის სყიდვა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ფართოდ გავრცელებული. ამ დროს, როგორც უკვე ვთქვით, ჯერ კიდევ არსებობდა ერთიანი საქართველო. ამდენადვე მეფის ხელისუფლებას შეეძლო ასე თუ ისე ეფექტური ღონისძიებანი განეხორციელებინა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. ზოგიერთი ღონისძიება მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდება თვით XVI საუკუნეში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მართებულად არის აღნიშნული, რომ ტყვის სყდივა ფეოდალურ საქართველოში XIV—XV საუკუნეებში ჩაისახა და საზოგადოებრივი განვითარებისათვის განსაკუთრებით საშიშარი ხასიათი XVI—XVIII სს. მიიღო[69].

ახლა ამას გვიდასტურებს ის ევროპული მასალები, რომელთაც ჩვენ ზემოთ გავეცანით.

შეიძლება დავასკვნათ: ტყვის სყიდვა XIV—XV სს და XVI—XVIII სს. საქართველოში, საერთო ნიშნის მიუხედავად, მასშტაბურობით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებოდა.

ადრე ის ეპიზოდური იყო, გვიან მასობრივი.

განსხვავების მთავარ თავისებურებას ორსავე პერიოდში საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საგარეოპოლიტიკური პირობები ქმნიდა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში ტყვის სყიდვა თანდათან შესუსტდა და, ბოლოს, სავსებით გადაშენდა. ეს იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთი

---

[67] აღნიშნულ გარემოებას ყურადღება მიაქცია კ. მარქსმა თავის ქრონოლოგიურ მონაწერებში: К. Маркс, Хронологические выписки, I, — «Архив Маркса и Энгельса», под. редакцией В. Адоратского, т. V, М., 1938.

[68] ქართველმა მამლუკებმა, როგორც ცნობილია, წარმოქმნეს დამოუკიდებელი დინასტიები. ამას გარდა, ქართველები სპარსეთსა და ოსმალეთში ჯარის თითქმის ყველა მთავარ სახეობაში მონაწილეობდნენ. (ყულის ჯარი სპარსეთში, მამელუკები ერაყსა და ეგვიპტეში). მაგრამ არც ქართველები და არც უნგრელები არასოდეს არ ყოფილან იანიჩრებად. იანიჩართა რიგების შესავსებად 5—6 წლის ქრისტიანი ბიჭები „დევშირმეს“ წესით იკრიბებოდნენ, ამაჰმადიანებდნენ და ფანატიკური სულისკვეთებით ზრდიდნენ და წვრთნიდნენ. იანიჩრებად ქართველები და უნგრელები ვერ გახდებოდნენ იმის გამო, რომ ოსმალებმა შედარებით გვიან განამტკიცეს თავიანთ გავლენა საქართველოსა და უნგრეთში XVI საუკუნის დამლევს. ამ დროს იანიჩართა კორპუსი უკვე გადაგვარებული იყო და იმ როლს აღარ ასრულებდა, რასაც წინარე XIV—XV სს. ასრულებდა.

[69] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171; ა. კილასონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

მნიშვნელოვანი შედეგთაგანი. ტყვის სყიდვისა და ლეკიანობის ლიკვიდაცია ორგანულად უკავშირდება ფეოდალური გადანაშთების ლიკვიდაციის პროცესს. თვისობრივად ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მყარ საფუძველს უქმნიდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებას.

В. Н. ГАБАШВИЛИ

ТОРГОВЛЯ ПЛЕННЫМИ В СРЕДНЕВЕКОВОЙ ЕВРОПЕ

(европейские материалы к истории грузинских пленных)

Резюме

Торговля пленными, одна из ярких форм проявлений классовой борьбы, была самым уродливым и диким явлением феодальной Грузии.

Торговля пленными стала заметной в XIV—XV вв. Усилилась же она в XVI—XVIII вв. Это подтверждают грузинские, восточные и европейские источники.

Публикуемая статья касается вопроса торговли грузинскими пленными в XIV—XV вв.

Грузинских пленных продавали как в христианских, так и в мусульманских странах. Их продавали даже в далекой Испании, но численность их тут была невелика. Зато достаточно много было их в городах Италии (Неаполь, Генуя, Венеция...). Европейские источники показывают и то, что большинство пленных было из Западной Грузии (мегрелы, абхазы...). Этот факт нам известен и из других источников. Численность проданных в Италии пленных из Восточной Грузии была незначительна.

Следовательно, торговля пленными в XIV—XV вв. была характерна главным образом для Западной Грузии.

В Европе женщин-пленниц использовали в качестве служанок, а мужчин-пленных — на тяжелых работах (грузчики, гребцы и т. п.). В военном деле их использовали редко, ибо в условиях политической раздробленности Италии и феодальных междоусобиц не было необходимости в больших военных контигентах. Зато города Южной Италии средиземноморские острова были теми транзитными пунктами, через которые кавказских пленных вывозили в Египет с целью пополнения вооруженных сил мамлюков.

Торговля пленными окончательно была упразднена в Грузии в первой половине XIX в. Это было одним из значительных результатов присоединения Грузии к России.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით პაიჭაძე

ლუდოვიკო და ბოლონია და ქართველთა ელჩობა დასავლეთ ევროპაში

1965 წელს პარიზში გამოქვეყნდა ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორის ენტონი ბრაიერის სტატია „ლუდოვიკო და ბოლონია და ქართველთა და ანატოლიელთა ელჩობა 1460—61 წწ.“[1]. ნაშრომი ეხება რომის პაპების მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების მცდელობას, რითაც ქართველი პოლიტიკოსებიც დაინტერესებულან და დასავლეთ ევროპასთან დიპლომატიური კონტაქტი დაუმყარებიათ. ბრაიერი ამ მოსაზრებას კითხვის ქვეშ აყენებს, პაპის წარგზავნილს ლუდოვიკო ბოლონიელს თაღლითად შერაცხავს და „ასაბუთებს“, რომ მისა და აღმოსავლეთელი ელჩების მიერ ევროპაში ჩატანილი წერილები შეთხზული და ფალსიფიცირებულია თვით ლუდოვიკოსა და მისი მხლებლების მიერ. ენტონი ბრაიერის ნაშრომის გაცნობისთანავე აშკარად იგრძნობა, თუ რა წინასწარგანწყობით ეკიდება იგი ხსენებულ პიროვნებასა და საკითხს. იგი თავიდანვე ტენდენციურად უდგება კვლევის საგანს და ძალღონეს არ იშურებს, რათა ელჩობის ფალსიფიკაცია დაგვისაბუთოს, მაგრამ მის არგუმენტაციას დამაჯერებლობა აკლია.

რა თქმა უნდა, რომ ბრაიერის ამგვარ განწყობას კვლევის საგნისადმი თავისი ფესვები აქვს. ევროპულ ისტორიოგრაფიაში ამგვარი ტენდენცია ბრაიერამდეც არსებობდა, მას საფუძველი თვით რომის პაპმა — პიუს II-მ ჩაუყარა თავის „მემუარებში“[2] და მასზე დაყრდნობით არაერთმა ევროპელმა მკვლევარმა უარჰყო ბოლონიელის მიერ ევროპაში ჩაყვანილი ელჩების ნამდვილობა. ყველა ისტორიკოსს, რომელიც ამ ელჩობას უარყოფს პიუს II-ის „მემუარები“ ჭეშმარიტად ობიექტურ და უტყუარ წყაროდ მიაჩნია. როგორც ჩანს, მათ ბრმად სწამთ, რომ „უცოდველია მხოლოდ პაპი რომისა“, მაგრამ ვინაიდან არც ერთი სხვა ჩვენს ხელთ არსებული წყარო არ იძლევა ამ ელჩობაში დაეჭვების საშუალებას და თანაც პიუს II მომხდარი ამბების ერთ-ერთი თანამონაწილეა, ჩვენი აზრით, უნდობლობა სწორედ მის მონაცემებს უნდა გამოვუცხადოთ.

ვეხებით რა აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ წყაროებს, უნდა მოვიხსენიოთ ბურგუნდიის ჰერცოგის — ფილიპე კეთილის მრჩეველი და მემატიანე ჟაკ დიუ კლერკი, რომლის მემუარებში შემონახულია ცნობები ლუ-

---

[1] A. Bryer, Ludovico da Bologna and the Georgian and Anatholian Embassy of 1460—61, «Bedi Kartlisa revue de Kartvelologie», vol. XIX—XX, Paris, 1965.

[2] Aenea Silvio de Piccolomini, Commentarii... Basileae, 1525. სამწუხაროდ, პაპის მემუარების ამ პირველ გამოცემაზე ხელი არ მიგვიწვდა და ვისარგებლეთ მისი ინგლისური თარგმანით. The Commentaries of Pius II, translated by Florence A. Gragg, edited by Leona C. Gabel, N. Y., 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოვიკო ბოლონიელისა და მასთან ქართველი ელჩების ბურგუნდიაში ჩასვლის შესახებ[3].

მათი ფლანდრიაში მოგზაურობა აისახა ჟ. გენტის ქრონიკაში[4].

ყოველივე ამის შემდეგ ლუდოვიკო ბოლონიელს ყურადღება დაუთმო ირლანდიელმა ისტორიკოსმა და ბიოგრაფმა, ფრანცისკანელთა ორდენის წევრმა ლუკა ვადინგმა თავის ნაშრომში „მინორიტთა ანალები“[5]. ვადინგის ეს ნაშრომი უდავოდ წყაროს ტოლფასია, ვინაიდან აქ შეკრებილია დოკუმენტები, რომლებიც, მინორიტთა ორდენის[6] ისტორიას ეხება. თვით ავტორისეული ტექსტი კი იმდენად მცირეა, რომ რიგ შემთხვევაში მხოლოდ დოკუმენტების ურთიერთდაკავშირებას ეთმობა.

ვადინგზე დაყრდნობით შექმნა თავისი ნაშრომი რაინალდმაც[7]. გასულ საუკუნეში აღნიშნულ საკითხს არაერთმა დასავლეთევროპელმა ისტორიკოსმა დაუთმო ყურადღება. მ. დე ბარანტემ, ი. ფ. ფალმერაიერმა, გ. ფოიგტმა, კ. ი. ჰეფელემ, ვ. ჰეიდმა, მ. და ჩივეცამ, ი. ჰამერმა, ი. ვ. ცინკაიზენმა, ლ. პასტორმა, მარი ბროსემ[8].

ზემოხსენებულ ავტორთაგან მხოლოდ ჩივეცამ, როგორც ნეტარი ფრანჩესკოს ორდენის მორჩილმა ძმამ, სცადა დაეცვა თავისი წინამორბედი მოძმის ღირსება. ფალმერაიერმა, როგორც ტრაპიზონის ისტორიის მკვლევარმა, ულაპარაკოდ აღიარა ელჩობის ჭეშმარიტება, ელჩობის ნამდვილობა ნაწილობრივ

---

[3] Jacques du Clercq, Les Memoires, dans J. A. C. Buchon, Choix de Chroniques et memoires relatifs i'histoire de France (8), Paris, 1875.

[4] Dagboek der Gentsche Collatie beraltende een Nauwrkeurig Verhail vande Geheurtenissen te Gent, en elders in Vlaenderen, voorgerallen, vande jaren 1446—tot 1515, ed. A. G. B. Schages. Gent-Rotterdam, 1842. ამ ქრონიკის პირი გადმოგვცა იენის ფ. შილერის სახ. უნივერსიტეტის პრორექტორმა, მედიევისტმა გეორგ ლინდენლაუბმა, ხოლო ფლამანდურიდან გერმანულად გვითარგმნა იმავე უნივერსიტეტის პროფესორმა ჰაინც მეთკემ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

[5] L. Waddingo Hiberno, Annales Minorum..., Ramae, 1734. ვადინგი წარმოშობით ირლანდიელი იყო, სწავლა-განათლება ესპანეთსა და პორტუგალიაში მიიღო და მოღვაწეობდა იტალიაში. ანალების იტალიურ გამოცემაში მისი გვარი იტალიური დაბოლოებით წარმოგვიდგება, მაგრამ აქვე ახსნილია მისი წარმომავლობა (Waddingo Hiberno—ვადინგო ირლანდიელი). ამ უნიკალური გამოცემის პირი პარიზიდან და რომიდან ჩამოიტანა და გადმოგვცა პროფ. ი. ტაბაღუამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[6] მინორიტთა ორდენი — ფრანცისკანელთა ორდენის განშტოებაა ე. წ. მცირე ძმათა ორდენი (Ordinis Fratrum Minorum)

[7] Raynaldo, Annales ecclesiasticci. Lucae, 1747—56, t. 21—34.

[8] M. B. de Barante, Histoire des Ducs de Bourgogne de la maison de valois, t. II, Bruxelles, 1838, P. 179; J. Ph. Fallmerayer, Geschichte des Kaiserthums von Trapezunt, München , 1827, გვ. 264—274; G. Voigt, Enea Silvio de Piccolomini als Papst Pius der Zweite und sein Zeitalter, Bd. III, Berlin, 1863, გვ. 643—650; C. J. Hefele, Conciliengeschichte, Bd. VIII, Freiburg im Breisgau 1887, გვ. 144; W. Heyd, Geschichte des Levantehandels im Mittelalter, Bd II, Stuttgart, 1879, გვ. 362—364; Marcejino da Civezza, Storia universale della missione Franscescane, vol V, Romae, 1861, გვ. 145—204; J. Hammer, Geschichte des osmanischen Reiches, Bd. II Pest., 1834, გვ. 111—116; J. W. Zinkeisen, Geschichte des Osmanichen Reiches in Europa, Bd. II, Gotha, 1854, გვ. 327—334; L. Pastor, Histoire des Papes depuis la fin du Mogen Age, trad, de l'allemand par. F. Raynaud, v. II, Paris, 1888, გვ. 234—237; M. Brosset, Additions et ecclaircissements a l'histoire de la Georgie depuis l'antiquite jusqu-en, 1469, St. - Petersbourg, 1851, გვ. 406—411.

ირწმუნა მარი ბროსემაც. დანარჩენები თავიანთ ეჭვებს გამოთქვამენ, ხოლო ლუდოვიკო ბოლონიელს თაღლითს უწოდებენ.

არც ჩვენ საუკუნეში განელებულა ინტერესი ამ „არაჩვეულებრივი ბერისა“ და „უეპარქიო პატრიარქისადმი“. მის შესახებ წერდნენ: მ. ლ. ფონ პრაგენაუ, ბ. ბუგეტი, ფ. ბაბინგერი, ე. ბრაიერი, ა. ბარჯელეზი სეევერი, ჟ. რიშარი[9].

აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ პრაგენაუს სტატიას. ავტორი მრავალ ახალ ფაქტობრივ მასალას გვაწვდის, რაც უეჭველად ლუდოვიკო ბოლონიელის სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად იგი ნეიტრალური რჩება დასკვნების გაკეთებისას და საბოლოოდ ახალი მასალების მოძიებისაკენ მოგვიწოდებს. ბაბინგერი ძველი ტენდენციის ერთგული რჩება იმდენად, რომ არც კი თვლის საჭიროდ შეცვალოს ფოიგტისეული თხრობის სტილი და რიგ ადგილებში კი ყოველგვარი მითითების გარეშე სიტყვა-სიტყვით იმეორებს თავისი წინამორბედის ნააზრევს. ბაბინგერის წიგნს ქრონოლოგიურად ბრაიერის ნაშრომი მოსდევს. როგორც ზემოთ ითქვა, თავისი აშკარა ტენდენციურობის მიუხედავად მას ის დადებითი მხარე აქვს, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ ეჭვებსა და ბრალდებებს თავი მოუყარა და სცადა მეცნიერულად დაესაბუთებინა ამგვარი შეხედულებების სისწორე.

ლუდოვიკო ბოლონიელისა და ხსენებული ელჩობის ისტორიის შესწავლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ბუგეტისა და სეევერის პუბლიკაციებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც, აქვე უნდა ითქვას, საქართველოს ისტორიისათვის მეტად საინტერესო დოკუმენტებს შეიცავენ, ამასთან სეევერიმ გადადგა პირველი ნაბიჯი ლუდოვიკოს პიროვნების შესწავლისათვის.

აი იმ დასავლეთევროპელ ისტორიკოსთა ნაშრომების არასრული სია, რომლებშიც ქართველი მეფისა და ათაბაგის მიერ ევროპაში გაგზავნილ ელჩთა ისტორია აისახა.

სამწუხაროდ, აღნიშნული ფაქტი ქართულ ისტოროგრაფიაში ჯერ კიდევ ჯეროვნად შესწავლილი არ არის.

ლუდოვიკო ბოლონიელის სახელი ქართველ ისტორიკოსთათვის ცნობილი გახდა მ. თამარაშვილის ფასდაუდებელი მოღვაწეობის წყალობით. თავის წიგნში მას მოჰყავს წერილებიც, რომლებიც გიორგი VIII-მ და ყვარყვარე II ათაბაგმა ბურგუნდიის ჰერცოგს ფილიპე კეთილს მისწერეს[10]. მ. თამარაშვილის მიერ შეკრებილი დოკუმენტებით იხელმძღვანელა ივ. ჯავახიშვილმა და აღმო-

---

[9] M. L. von Pragenau, Ludwig von Bologna, Patriarch von Antiochien «Mitteilungen des Instituts für österreichische Geshichtsforschung Bd XXII, Wien, 1901; B. Bughetti, Nuovi documenti intorno afr Lodovico da Bologna OFM Missionario e Nunzio Apostolico in Oriente (1460—61) — Studi Francescani ser. 3a, anno X(XXXV), 1938; F. Babinger, Mehemed der Eroberer und seine Zeit, München, 1953, გვ. 196—210; A. Bargelessi Severi, Nuovi documenti su fr, Lodovico da Bologna, al secolo Lodovico Severi nunzio apostolico in Oriente—Archivum franciscanum historicum, 69, 1976, J. Richard, La Papaute et les missions d'Orient au moyen-age XIII-e—XV-e siecles, Romae, 1977, გვ. 274—279.

[10] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 47—63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლეთელი მოკავშირეების დამახინჯებული სახელებისა და ტიტულების ახსნა მოგვცა[11]. ამ საკითხს საგანგებო სტატია მიუძღვნა აგრეთვე კ. კეკელიძემ[12].

ახლანდელ დროში ჩვენთვის საინტერესო საკითხი განიხილეს ი. ბერაძემ, ე. მამისთვალიშვილმა და ს. კარპოვმა[13]. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ი. ბერაძე და ე. მამისთვალიშვილი ერთგული დარჩნენ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრისა და ელჩობის ჭეშმარიტება ეჭვგარეშედ მიიჩნიეს, ს. კარპოვი თითქოსდა დაუბრუნდა ძველ ევროპულ უკვე ტრადიციულ ტენდენციას და ლუდოვიკოს კეთილსინდისიერება და მისი მხლებლების უფლებამოსილება კვლავ კითხვის ქვეშ დააყენა.

აი, დაახლოებით ის აზრთა სხვადასხვაობა, რაც ამ საკითხის ირგვლივ არსებობს. იმისათვის, რომ ჩვენი საკუთარი აზრი შეგვექმნას მორჩილ ძმა ლუდოვიკოსა და მის მიერ ევროპაში ჩაყვანილი ელჩების შესახებ, მივყვეთ მოვლენების მსვლელობას და თვალი შევავლოთ ლუდოვიკოს პიროვნებას.

იგი გვარად სევერი ყოფილა, მისი წინაპრები ბოლონიაში ცხოვრობდნენ და ხე-ტყით ვაჭრობას ეწეოდნენ. 1438 წლიდან კი ფერარაში გადასახლდნენ, სადაც ახალი სახელი—ბოლონიელნი (da Bologna)—დაერქვათ. ლუდოვიკოს გენეალოგია გამოქვეყნებული აქვს ბარჯელეზი სევერის[14].

ოფიციალურ დოკუმენტებში ლუდოვიკო პირველად 1431 წელს არის მოხსენიებული[15]. პაპმა ევგენი IV-ემ დააარსა 6 ფრანცისკანელისაგან შემდგარი კაპიტული, რომლის დანიშნულება ყოფილა შეესწავლა აღმოსავლეთის ეკლესიის განკურვნის საშუალებები მისი ერეტიკული (წაიკითხე ორთოდოქსალური) შეცდომებისაგან, რაც მისი თურქთა ტირანიისაგან განთავისუფლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. პაპის რჩეულნი იყვნენ: „იოანე კაპისტრანოელი, იაკობ პრიმადიციუსი ბოლონიელი, იაკობ პიცენუსი მონტე-პრანდოვოდან, ალბერტ სარტეანელი ეტრუსკელი (ტოსკანელი), ბართლომე იანენელი უმძრიიდან და ლუდოვიკო ბოლონიელი[16] — ყოველმხრივ ერუდირებული მეცნიერები".

ასეთ საზოგადოებაში ლუდოვიკოს გამოჩენა უდავოდ მის სასარგებლოდ მეტყველებს. იოანე კაპისტრანოელი ცნობილი პიროვნება გახდა. იგი პაპის დავალებით ჯვაროსნული ომის პროპაგანდას ეწეოდა უნგრეთში და როდესაც 1456 წ. ოსმალები ბელგრადს მიადგნენ, შეძლო შეეგროვებინა 70000 მოხალისე და მიგვარა იანოშ ჰუნიადს. ბელგრადთან გამარჯვების შემდეგ იგი გარდაი-

---

[11] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 62—74.

[12] К. Кекелидзе, Отклики в Грузии на падение Константинополя (к 500-летию взятия Константинополя турками), „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიდან", ტ. III, თბ., 1955, გვ. 87—95.

[13] ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI ს-ში, თბ., 1981, გვ. 38—56; С. Карпов, Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII—XV вв., М., 1981, გვ. 143—145, 158—165; ი. ბერაძე, ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, „მაცნე", № 4, 1965.

[14] A. Bargelessi Severi, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[15] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, t. X ad an 1431 N°5

[16] ის გარემოება, რომ ლუდოვიკო უკვე 1431 წ. ე. ი. მისი გვარის ფერარაში გადასახლებამდე ბოლონიელად იწოდებოდა იმით აიხსნება, რომ ფრანცისკანელთა წესის მიხედვით ძმობაში შესულს უნდა მიეტოვებინა თავისი გვარი და მას წარმომავლობის მიხედვით იხსენიებდნენ.

ცვალა (1456) და იმავე წელს უნგრეთის ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა, კანონიზირებულ იქნა მოგვიანებით პაპ ალექსანდრე VIII-ის მიერ. ამრიგად, თითქოს გასაგები უნდა გახდეს ლუდოვიკო ბოლონიელის, რომელიც თავისი მომძის ესოდენ აღზევებას მოესწრო, დაუცხრომელი სურვილი გამხდარიყო პატრიარქი.

1436 წ. ალბერტ სარტეანო ჩავიდა იერუსალიმში, რათა ორგანიზაცია გაეწია აღმოსავლეთის ეკლესიის კათოლიციზმთან შეერთებისათვის. აქედან იგი წერს თავის მეგობარს, მოდენის ეპისკოპოს შიპიონეს, რათა პაპისათვის წარედგინა ლუდოვიკო ბოლონიელი — ღირსეული და ღვთისმოშიში პირი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა იერუსალიმში[47].

1437 წ. ევგენი IV-მ სამი ფრანცისკანელი: „ფრანჩესკო ბოლონიელი, ლუდოვიკო იმავე ქალაქიდან და იაკობ პრიმადიციუსი აღმოსავლეთში გააგზავნა, თან მრავალი წმინდა საჩუქარი და პრივილეგია გაატანა". იმავე წლის 11 ივლისს ისინი გზას გადგომიან და მშვიდობიანად ჩასულან კაფაში[18]. მას შემდეგ ლუდოვიკო იერუსალიმის მინორიტთა მონასტერში ცხოვრობდა[19].

აღსანიშნავია, რომ ბრაიერი, რომელიც ხშირად იმოწმებს ვადინგს, არ იცნობს არც ერთ ზემოთ მოყვანილ ფაქტს.

1437 წლის შემდეგ ლუდოვიკოს შესახებ კარგა ხნის განმავლობაში არაფერი ვიცით. იგი სარბიელზე კვლავ მხოლოდ 1454 წელს ჩნდება ე. ი. მაშინ, როდესაც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ პაპებმა განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს აღმოსავლეთ საქრისტიანოს მიმართ.

აღნიშნული წლის 20 მარტს პაპმა ნიკოლოზ V-მ ლუდოვიკოს რიგი პრივილეგიები და შეღავათები მიანიჭა, რათა „გაუადვილდეს მოგზაურობა ეთიოპიასა და ინდოეთში, რომელიც ლუდოვიკოს სურს ჩაატაროს 2 ამხანაგითურთ კათოლიკური სარწმუნოების სასარგებლოდ". ლუდოვიკოს პრივილეგიები შემდეგში გამოიხატებოდა: მას ეძლეოდა უფლება გაეცა ეკლესიის წყალობები და მათ შორის ინდულგენციები იმ პირთათვის, ვინც მას დაეხმარებოდა. შეეძლო შეწირულებათა შეგროვება; ჰქონდა უფლება: ეტარებინა ნებისმიერი სამოსი, მჯდარიყო ცხენზე, შეემოსა ფეხთ, თავისი შეხედულებებისამებრ აერჩია მხლებლები, მარხვის დროს ეჭამა ხორცი და არავის არც სასულიერო და არც საერო წოდების პირს არ ჰქონდა უფლება ხელი შეეშალა მისი მგზავრობისა თუ განზრახვისათვის[20].

ამ მოგზაურობიდან ლუდოვიკო ბოლონიელი დაბრუნდა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ. რომში მას ახალი პაპი დახვდა, ამჯერად კალიქსტ III, რომელიც გამალებულად ემზადებოდა ჯვაროსნული ლაშქრობისათვის.

1455 წ. 11 მაისს კალიქსტ III-მ გამოსცა ბულა, რომელშიც თავისი წინამორბედის ზემოხსენებული ბრძანება შეიტანა და ამით ლუდოვიკოს პრივილეგიები ხელახლა დაამტკიცა[21].

მომდევნო წლის დასაწყისში ფრანცისკანელი ბერი გზას გაუდგა. ეთიოპიის ქრისტიან მეფე კონსტანტინე ზარა-იაკობთან იგი ამჯერად ვერ მოხვედრილა, მაგრამ სამაგიეროდ ჩამოსულა საქართველოში, სადაც მრავალი კათო-

---

[17] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. X, n°5.
[18] იქვე, ტ. XI, n°6.
[19] A. Bargelessi. Severi, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.
[20] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 292.
[21] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკე დახვედრია, რომელთა სურვილი იყო ჰყოლოდათ პატრიარქი. მას რომში ქართველი მეფე-მთავრების წერილები ჩაუტანია[22]. გარდა ამისა ჩაუყვანია რვა ეთიოპიელი ბერი, რომლებსაც მოუთხოვიათ წმ. პეტრესა და პავლეს ადგილების მონახულება და მხოლოდ ამის შემდეგ პირდებოდნენ მას ზარა-იაკობთან მიყვანას. რომში ლუდოვიკო 1456 წ. ბოლოსათვის დაბრუნებულა, ვინაიდან 1 დეკემბრით არის დათარიღებული კალიქსტ III-ის წერილი ზარა-იაკობისადმი რომელიც პაპმა ორ ეთიოპიელ ბერს გაატანა; უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი იმ რვათაგანი არიან, რომლებიც ბოლონიელმა ჩაიყვანა[23].

ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ლუდოვიკოს შესახებ არაფერი ვიცით.

1457 წ. 2 დეკემბერს კი ლუდოვიკოს თხოვნით, რომელიც ისევ მგზავრობისათვის ემზადება, პაპი პრივილეგიებს ანიჭებს ვინმე ბარტოლომეო ფულგინეოს. იგი აღმოსავლეთში დარჩენილა კათოლიციზმის ქადაგების მიზნით[24].

14 დეკემბერს პაპმა ლუდოვიკო ბოლონიელს აღმოსავლეთში სამოგზაუროდ ოფიციალური საშვი უბოძა[25]. 19 დეკემბერს წერილი შეადგინა „ქართველ და სპარს მორწმუნეთ, რომლებიც ფრანკებად იწოდებიან“[26]. აქ კალიქსტ III-ემ აღმოსავლეთელ კათოლიკებს პატრიარქად არჩევისათვის ლუდოვიკოს კანდიდატურა შესთავაზა, თუმცაღა უფლება დართო თავისიანი აერჩიათ, ორივე შემთხვევაში რჩეული უნდა ჩასულიყო რომში რამდენიმე ადგილობრივი პირის თანხლებით.

ეს გარემოება გახლავთ პაპ პიუს II-სა და მასთან ერთად ყველა იმ ევროპელი ისტორიკოსის, რომლებიც ელჩობას უარყოფენ, ეჭვების ამოსავალი წერტილი. მათი მსჯელობა დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ: სურდა რა პატრიარქობა, ლუდოვიკომ ყოველივე პირადი მიზნებისათვის გამოიყენა და მის მიერ 1460 წ. ევროპაში ჩაყვანილი ელჩები სწორედ ის „რამდენიმე მანდატური პირნი“ იყვნენ და არა ოფიციალური სახელმწიფო ელჩები. ამ პირების კათოლიკობაზე მიგვითითებს ისიც, რომ ისინი, თავზე კათოლიკე ბერების მსგავს ტონზურებს ატარებდნენ[27].

ჩვენი აზრით, ერთი მეორეს სულაც არ გამორიცხავს. საგულისხმოა, რომ ელოდნენ რა სარგებელს წმ. პეტრეს მემკვიდრისაგან, ქართველებმა იმისდა მიუხედავად, რომ უფლება ჰქონდათ პატრიარქად „თავისიანი“ აერჩიათ, უპი-

---

[22] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 26; Raynaldo, დასახ. ნაშრომი, 1457 N 66—68.

[23] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 420—23.

[24] იქვე, ტ. XIII, გვ. 27—28.

[25] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[26] L. Waddingo, ტ. XIII, გვ. 27; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50. როგორც ქვემოთ დავინახავთ „სპარსეთად“ გიორგი VIII-ის უშუალო სამფლობელო იგულისხმება. აქედან მოდის მისი „სპარსთა მეფედ“ მოხსენიებაც. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ევროპულ წყაროებში საქართველო სპარსეთად არასოდეს არ იხსენიება ამ კერძო შემთხვევის გარდა. ყურადსაღებია, რომ ტერმინი სპარსეთი ამ გაგებით პირველად გვხვდება 1456 წ., როდესაც ლუდოვიკომ მოახსენა კალიქსტ III-ეს, რომ სპარსეთსა და საქართველოში მრავალი კათოლიკე შეხვედრია. ასეა თუ ისე, ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ინტერესმოკლებული არ არის და სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

[27] Pius II, The Commentaries, გვ. 182; G. Voigt, დასახ. ნაშრომი, გვ. 645; L. Pastor, დასახ. ნაშრომი, გვ. 234; A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 181—182; 184; 187. ტონზურა უზუნ-ჰასანის ელჩსაც ჰქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატესობა პაპის წარგზავნილს მიანიჭეს; ხოლო რაც შეეხება ელჩების ტონზურებს, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

როგორც უკვე ითქვა, 1456 წ. მოგზაურობიდან დაბრუნებისას ლუდოვიკო ბოლონიელმა პაპს საქართველოს მმართველთა წერილები ჩამოუტანა. სამწუხაროდ, ეს უაღრესად საინტერესო დოკუმენტები ჩვენ არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ სევერის პუბლიკაციაში წავაწყდით კალიქსტ III-ის პასუხს ქარციხის (Charreche) ჰერცოგ (duci) გორგონასადმი (Gorgoni). რა თქმა უნდა, ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ ეს „საქართველოს ათაბაგი და სამცხისა სპასალარი ჯაყელ-ციხისჯუარელი პატრონი ყუარყუარე“ გახლავთ. ვინაიდან ეს დოკუმენტი ქართული ისტორიოგრაფიისათვის ჯერ კიდევ უცნობი და ჯეროვნად შეუსწავლელია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სრულად მოვიტანოთ ტექსტი.

1457 წ. 22 დეკემბერი — პაპ კალიქსტეს პასუხი კეთილშობილ ბატონ გორგონას ქარციხეს ჰერცოგისადმი, რომელმაც მას აპოსტოლური ნუნციოს ლუდოვიკო და ბოლონიას ხელით წერილები (sic!) გამოუგზავნა[28].

კალიქსტო ეპისკოპოსი მონა ღმრთისა

ძვირფას შვილსა და კეთილშობილ ბატონს გორგონას, ქარციხის ჰერცოგს, მოკითხვა და აპოსტოლური კურთხევა.

შენი წერილი მოგვართვა საყვარელმა შვილმა ლუდოვიკო დე ბოლონიამ (sic!), ნეტარი ფრანჩესკოს ორდენის ძმამ, ობსერვანტელმა[29], ჩვენმა ნუნციომ. დიდი სიამოვნებით დავრწმუნდით შენს ერთგულებაში აპოსტოლური ტახტისა და ჩვენს — უფლისა იესო ქრისტეს დედამიწაზე მოადგილისა და წარმომადგენლის — მიმართ. ჩვენმა ნუნციომ ისიც მოგვახსენა, თუ რაოდენი მორჩილებით შეხვდი შენ ჩვენს მითითებებსა და შეგონებებს ქრისტეს მიერ ჩვენს უძვირფასეს შვილთან საქართველოს მეფესთანა და იმ ადგილების სხვა მმართველებსა და ქრისტიან ერებთან მშვიდობის შესახებ. ამ მშვიდობის საშუალებით თქვენ ადვილად შეძლებთ შეუდგეთ ურწმუნო ბარბაროსთა გაწყვეტას, რომლებიც თქვენთან ახლოს ცხოვრობენ. იმავე ნუნციოს მონათხრობიდან შევიტყვეთ შენი პირობა გააგრძელო ომი ყველა ქრისტიანის მტრის — თურქის წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც ამბობ, ბრძოლის ველზე ყოველთვის ამარცხებდი ხოლმე და შენი ეს პირობა ჩვენთვის ძალზე სასიამოვნოა. თუ შენ შენი დანაპირების აღსრულებაში სიმტკიცეს გამოიჩენ, რისი იმედიც ჩვენ გვაქვს, ყოვლისშემძლე ღმერთი მტრებზე უფრო დიდ გამარჯვებასა და ალაფს მოგანიჭებს.

ხოლო რაც შეეხება შენთვის ადმირალობის (sic!) ანუ მთავარსარდლობის ბოძებას მთელს სამხედრო ძალებზე, რასაც თქვენი ქვეყნების ქრისტიანები

---

[28] A. Bargelessi Severi, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—22. სევერიმ ეს დოკუმენტი თავის საგვარეულო არქივში აღმოაჩინა. დაწერილია ლათინურად, ორიგინალურ პერგამენტზე 320×340 მმ. რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ აღნიშნული წერილი ლუდოვიკოს ოჯახის კუთვნილებად იქცა, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იგი, უფრო ზუსტად კი დედანი, ადრესატს არ მიეღოს.

[29] ობსერვანტები — ბერები, რომლებიც განსაკუთრებულად მკაცრად იცავდენ აღთქმასა და სხვა სასულიერო წეს-ჩვეულებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარბაროსებზე სალაშქროდ მოაგროვებენ, ჩვენ შენ ამისათვის სავსებით ღირსეულად გთვლით და შენ შეგიძლია მამაშენის მსგავსად მთავარსარდალი იყო. ასე რომ, ჩვენ ამ წოდებას გიწყალობებთ. ოღონდაც თქვენს შორის, იქაური ქვეყნების ქრისტიანებს შორის მშვიდობა და თანხმობა იყოს, რისთვისაც ჩვენ მოგიწოდებთ უფლის მიერ და ღმრთის ნებით. უმოკლეს ხანში თქვენი გაერთიანების დიად ნაყოფს შეუერთდება უფრო დიდი, დასავლეთის ქრისტიანთა ძალების მეშვეობით, რომლებიც გაცხარებულნი დაესხმიან თურქებს მეორე მხრიდან. ვინაიდან დასავლეთის ყველა ხელმწიფეებსა და ხალხებს მოვუწოდებთ წერილით, რომლის პირიც ერთვის, რათა შეიკრიბონ ჩვენთან, დედასა ქალაქს რომში და უფლის წინამძღოლობით მონაწილეობა მიიღონ დიდ ლაშქრობაში თურქების განადგურებლად. ასე რომ, ჩვენ ვიმედოვნებთ ვიხილოთ, თუ როგორ შეუერთდება ჩვენი, დასავლეთის ლაშქარი, თქვენსას, აღმოსავლეთისას, ურწმუნო ბარბაროსთა დასამარცხებლად და განადგურებლად. ჩვენი მხრიდან, როგორც მთელმა მსოფლიომ იცის, მცირერიცხოვანმა ქრისტიანებმა ტრანსილვანიის ვოევოდას — იოანე დე ჰუნიადის თავკაცობითა და ღირსეული ძმის ნეტარი ფრანცისკოს ორდენიდან, იოანე დე კაპისტრანოს მეშვეობით დიადი საქმე გააკეთეს. როდესაც ბელგრადთან, უნგრულ ქალაქთან, მცირერიცხოვანმა ქრისტიანებმა თურქთა მმართველის მაჰომედ-ბეის უზარმაზარი ლაშქარი დაამარცხეს და გააქციეს, დახოცეს 80000 კაცი და ამდენივე ტყვედ ჩაიგდეს, ძნელი წარმოსადგენია, რამდენი აღფრთოვანება, რამდენი ოქრო, ვერცხლი და სხვა სიმდიდრე გადმოვიდა ჩვენს ქრისტიანულ ხელთ. უკანასკნელ დღეებში იგივე მაჰომედ-ბეიმ გადაწყვიტა დაეპყრო ქრისტიანული პროვინცია ალბანეთი და იქითკენ თავისი ლაშქრის, რომელიც ბელგრადთან განცდილი მარცხის შემდეგ ის-ის იყო მოსულიერდა, უმეტესი ნაწილი გაგზავნა. მაგრამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა ალბანეთის ქრისტიანმა მმართველმა და ხელმწიფემ — სკანდერბეგმა. მან ღმერთის დახმარებითა და წყალობით მარტომ შეასრულა საგმირო საქმე. თურქებს იმდენად მძიმე მარცხი მიაყენა, რომ მხოლოდ ცოტა მათგანმა გაქცევით უშველა თავს. ამას გარდა ამ სულთანმა დიდი ჯაფითა და ხარჯით აღჭურვა მრავალი ტრირემა თუ კატარღა და სხვა ხომალდი, სულ 200-მდე. იმედოვნებდა რა ხმელეთზე განცდილი მარცხის შემდეგ წარმატება ზღვაზე მოეპოვებინა, ეს ფლოტი კუნძულ მითილენის მიმართებით დაძრა, სადაც მისი ცნობით ქრისტიანები ცოტანი იყვნენ, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა მრავალი მათგანი დახოცეს, ხელთ ჩაიგდეს მათი ხომალდებისა და ტრირემების ნაწილი, ფლოტის დანარჩენი ნაწილი კი აიძულეს უწესრიგოდ გაქცეულიყო შინისაკენ. ასე შეგიძლია წარმოიდგინო, თუ რა რიგ მძლავრად გამოვა ეს ახალი ლაშქარი, რომელსაც ვამზადებთ, ხსენებული მაჰომედის წინააღმდეგ... მასა და ხსენებულ განადგურებას გააძლიერებს... ასე, რომ მთელი შენი ზრახვები, სურვილები და გეგმები ურწმუნოთა განადგურებას მიაპყარი, ისე, როგორც უკვე დაწყებული გაქვს, იმ რწმენით, რომ გამარჯვება შენ და სხვა ქრისტიანებს დაგრჩებათ. ამის შესახებ ბევრის თქმაა საჭირო რასაც სიტყვიერად გადმოგცემს ჩვენი ნუნციო, რომელსაც სავსებით შეგიძლია ენდო.

დაიწერა რომში, წმ. პეტრესთან, უფლისა წელსა 1457 დეკემბრის კალენდებში, ჩვენი პონტიფიკატის მესამე წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, აღნიშნული დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ პაპები ქართველ მეფე-მთავრებთან აშკარა და ოფიციალურ მოლაპარაკებას ეწეოდნენ, თანაც პიუს II-ის სამოციქულო ტახტზე ასვლამდე ბევრად ადრე. აშკარად ჩანს, თუ რაოდენ დაინტერესებული იყო პაპი, ამ შემთხვევაში კალიქსტე, III, ამ ლაშქრობაში აღმოსავლეთ ქრისტიანთა კერძოდ კი თვით ათაბაგის მონაწილეობით. იგი არაერთხელ მოუწოდებს მას, დაამყაროს მშვიდობა თავის მეზობლებთან და ეს უკანასკნელი, როგორც შფოთისთავი რა ძვირად აფასებს თავის მშვიდობიანობას. იგი აღმოსავლეთის მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლობას თხოულობს. ეს სწორედ რომ „საქართველოს ათაბაგისა და სამცხის სპასალარისათვის“ „ღირსეული ადგილია“. და სავსებით შეეფერება ყვარყვარეს პოლიტიკურსა და პირად მისწრაფებებს, რომლის დაუოკებელი პატივმოყვარეობა, სავალალოდ, კარგად არის ცნობილი.

რა თქმა უნდა, ჩვენ აქაც შეგვიძლია ბრალი დავდოთ ლუდოვიკო ბოლონიელს დიდი ათაბაგის წერილის შეთხზვაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ფრანცისკანელს საკმაოდ კარგად უნდა სცნობოდა „პატრონი ყუარყუარე“ პირადად. რაც უკვე თავისთავად გამორიცხავს მისთვის ყალბი წერილის შეთხზვის საჭიროებას.

ამრიგად, 1457 წ. 14 დეკემბერს პაპი ლუდოვიკო ბოლონიელს აძლევს სიგელს აღმოსავლეთში სამოგზაუროდ. 19-ში წერს წერილს ქართველ კათოლიკებს, ხოლო 22-ში — ყვარყვარე ათაბაგს. 30 დეკემბრის ბულით კი ფრანცისკანელ ბერს ძველ პრივილეგიებს უმტკიცებს და უმატებს ახლებს: მას ეძლევა უფლება ყველგან თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ნეტარი ფრანცისკოს ორდენის ძმები, ეთიოპიასა და ინდოეთში დააარსოს ფრანცისკანელთა მონასტრები[30].

ლუდოვიკოც გზას გაუდგა. ამასობაში გარდაიცვალა კალიქსტ III და კონკლავმა პაპად პიუს II აირჩია. როგორც ჩანს, ამ მოგზაურობიდან იგი 1458 წ. სექტემბრისათვის დაბრუნებულა, ვინაიდან 4 ოქტომბერს პიუს II-ემ მას წერილი მისწერა, სადაც ნამოღვაწარი მოუწონა. ფრანცისკანელი ბერის დამსახურება შემდეგში გამოიხატებოდა: მან შეაკავშირა და უნიაზე დაითანხმა შემდეგი მღვდელმთავრები: ანტიოქიაში სამი პატრიარქი (1.აღმოსავლეთ-ბერძნული ეკლესიის, 2. მარონიტების, 3. სომეხთა, ბაბილონელთა და ქალდეველთა); ალექსანდრიის იაკობიტი პატრიარქი; იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი და ქართველთა კათალიკოსი. მათთან შეკავშირებულნი ყოფილან „მეფე სპარსთა“, მეფე ქართველთა, მეფე მეგრელთა და ტრაპეზუნტის კეისარი, აგრეთვე „სპარსეთის ერი“[31]. მეორე დღეს, ე. ი. 5 ოქტომბერს ლუდოვიკო პაპის ოფიციალური ბულით დაამტკიცეს აღმოსავლეთის კათოლიკეთა პატრიარქად[32]. ამის გამო ე. ბრაიერი წერს: „ლუდოვიკოს პრივილეგიები, როგორც აპოსტოლური ნუნციოსი, დაადასტურეს და სპარსეთისა და საქართველოს ქრისტიან „ფრანკებს“ უბრძანეს აერჩიათ იგი in vestrum omnium caput-ად. სწორედ 1458 წ. 5 ოქტომბრის ამ ბულამ, როგორც ჩანს, გაამხნევა ლუდოვიკო, რათა მოგვიანებით პიუსისათვის მიეყენებინა ასეთი დიდი გასაჭირი ბერის ზუსტ სასულიერო

---

[30] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 26.

[31] იქვე, ტ. XII, გვ. 60; შეადარე მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51; 592.

[32] A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

წოდების სტატუსთან დაკავშირებით“[33]. ამავე დროს, პიუს II-ემ ქართველ და „სპარს“ კათოლიკებს თავისი წინამორბედის წერილები გაუმეორა[34]. 11 ოქტომბერს ლუდოვიკოს მისცეს წერილი თავისი ორდენის გენერალ-ქორეპისკოპოსთან — ბაბტისტა დე ლევანტოსთან[35]. პაპი უბრძანებს მას ყველაფერში დაეხმაროს ბოლონიელს.

ამრიგად, 1458 წ. მიწურულში ლუდოვიკო ბოლონიელმა კიდევ ერთხელ დატოვა სამშობლო და აღმოსავლეთში გაემგზავრა.

პიუს II კი მანტუაში წავიდა, სადაც დასავლეთის პოლიტიკური მესვეურები ჰყავდა დაბარებული, რათა შეეგულიანებინა ისინი ერთობლივად აღემართათ ჯვარი ოსმალთა წინააღმდეგ. მაგრამ პაპის ცდა ამაო გამოდგა. ევროპელ ხელისუფალთა გაერთიანება ვერ მოხერხდა; პირიქით, მანტუას კონგრესზე თავი იჩინა იმ წინააღმდეგობებმა, რომლებიც იმდროინდელი ევროპის დღის წესრიგში იდგნენ[36]. გაწბილებული პაპი უკან დაბრუნდა და გზად თავის ძველ ეპარქიაში — სიენაში შეჩერდა. აქ მის წინაშე წარსდგა ანტიოქიის საპატრიარქოს არქიდიაკონი, სირიელი აზნაური მოზეს გილბეტი. იგი გამოუგზავნიათ იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის მართლმადიდებელ პატრიარქებს, ყარამანიის ბატონს იბრაჰიმ-ბეგსა და აღმოსავლეთის სხვა მმართველებს. ისინი პაპს თურქთა უღლისაგან განთავისუფლებას თხოვდნენ, რის სანაცვლოდაც კი აცხადებდნენ თანხმობას ფერარა-ფლორენციის უნიაზე. 1460 წ. 21 აპრილს შედგენილ იქნა აქტი, რომლის ძალითაც მათ პაპის ქვეშევრდომობა მიიღეს. ეს საბუთი მოთავსებულია პაპების საიდუმლო არქივში ზემოთ აღნიშნული პატრიარქებისა და მთავრების წერილებთან ერთად[37]. პაპი ამით დაკმაყოფილებულა და ამის შესახებ მეტი კრინტიც კი არ დაუძრავს, მას თურმე ეჭვი შეპარვია წერილების ნამდვილობასა და მოზესის პიროვნებაში. თუმცაღა არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ მოზესი აღმოსავლეთში თვით პაპმა მიავლინა[38].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლუდოვიკო ბოლონიელი პირველი არაა, ვინც პაპის „ეჭვიანობის“ მსხვერპლი გახდა. უნდა ვიფიქროთ, რომ პიუს II-ის ამგვარ განწყობას ამინდი მანტუას ყრილობის კრახმა შეუექმნა.

ახლა კი ისევ ბოლონიელ ბერს დავუბრუნდეთ. ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი საბუთი, რომელიც დაგვიდასტურებდა მის საქართველოში ყოფნასა და მოღვაწეობას; თუმცა-ღა ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. კერძოდ კი 1457—61 წლებში საქართველოს ისტორიაში არ არის ფიქსირებული არც ერთი შინა ბრძოლა, რაც იმ ეპოქაში საკმაოდ მრავლად ხდებოდა. უნდა ვიფიქროთ ეს დროებითი მშვიდობა ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის გარკვეული მხრივ ლუდოვიკო ბოლონიელის მოღვაწეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საქართველოდან ლუდოვიკო ბოლონიელს ორი ელჩი წაუყვანია — გიორგი VIII-სა და ყვარყვარე ათაბაგისა.

---

[33] A. Bryer დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

[34] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

[35] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 60.

[36] Pius II, The Commentaries, გვ. 118—145.

[37] L. Pastor, დასახ. ნაშრომი, გვ. 233—34; Archives secretes des Papas, arm IV, caps III NI, f 22; f°23.

[38] L. Waddingo, ტ. XIII, გვ. 59—60.

მათი მარშრუტი ასეთი იყო: გაიარეს კოლხეთი და სკვითების ქვეყანა, დონისა და დუნაის გავლით ჩავიდნენ უნგრეთში[39], სადაც ისინი მიუღია ზემოთ დასახელებულ ჰუნიადის შვილს, უნგრეთის მეფეს — მატიაშ კორვინს[40], აქედან ლუდოვიკომ თავისი მხლებლები ვენაში ჩაიყვანა რომის საღვთო იმპერიის ხელმწიფე ფრიდრიხ III-თან (1452—1493)[41], საიდანაც მისიამ ვენეციაში გადაინაცვლა, სენატმა ისინი დიდი პატივით მიიღო. ამის თაობაზე პიუს II წერს: „ვენეციას სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთთან და ვინაიდან სენატმა ისინი პატივით მიიღო, ამან გამოიწვია, რომ შემდგომში რომშიც ნამდვილ ელჩებად ჩათვალეს"[42].

ჩვენ არაფერი ვიცით მათი ვენეციაში ყოფნის შესახებ, გარდა იმისა, რომ ყვარყვარეს ელჩმა ვენეციის დოჟს თავისი პატრონის წერილი გადასცა. ეს უაღრესად საინტერესო დოკუმენტი ასევე უცნობია ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის და ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი გამოქვეყნება.

1469 წ. — საქართველოს მთავრის (Duca) წერილი ვენეციის დოჟს, უბრწყინვალეს და უგანათლებულეს პასხალიუს მალიპიეროს

უბრწყინვალეს და უგანათლებულეს ხელმწიფეს პასხალიუს მალიპიეროს, ვენეციის ჰერცოგს და სხვ. მე, ყვარყვარემ (Gorgora) საქართველოში (Zorzania) ქარციხეს მთავარმა ამას წინათ მივიღე პაპის წერილი მისი ელჩის, ძმა ლუდოვიკო და ბოლონიას ხელით, სადაც ნათქვამი იყო, რომ პაპი თქვენთან, ფრანკებთანა და ლათინებთან ერთად ჩავიდა ქალაქ მანტუაში, რათა ჩვენი რწმენისათვის ღირსეულ და სასარგებლო საქმეზე მოგეთათბიროთ. ამან მე და ჩემი ბარონები ძალზე გაგვახარა და რათა თქვენთან შევთანხმდე და შევიტყო, თუ რა მოიმოქმედეთ და რაზე შეთანხმდით, ვაგზავნი ჩემს მოციქულს თქვენს ბრწყინვალებასთან და პაპთან რომში.

ამისათვის გთხოვთ კეთილი ინებოთ და შემატყობინოთ, თუ რა ღონეს ხმარობთ კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად, რათა მე ჩემის მხრივ ჩემი ვალის მოხდა შევძლო. დაე ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ მე ხსენებული ელჩის, ძმა ლუდოვიკო და ბოლონიას სიტყვით, რომელმაც მე პაპის მითითება გადმომცა, შევურიგდი მეფე გიორგის (Zorzo) განსვენებულ ალექსანდრეს შვილსა და პანკრატიუსს, ქუთაისის (Chotatissa) საქართველოში (Zorzania) მეფეს და ბენდიანს, პართიის ერთ-ერთ ხანთაგანს (la Chan de li Partia), მთელი სამეგრელოს ბატონს.

დაე, ასევე ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ ჩვენ ამ აღგილების მაცხოვრებელმა ყველა ქრისტიანმა, ხელშეკრულება დავდეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ მთელი ჩვენი ძალებით ერთობლივად გამოსვლის შესახებ, მაშინ, როდესაც თქვენი ბრწყინვალება და პაპი შეგვატყობინებთ დროს: დღე-

---

[39] ელჩების მარშრუტი, იხ. Pius, II დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

[40] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980, გვ. 21.

[41] ფრიდრიხ III-ემ 17 ოქტომბერს საქართველოს მეფეს წერილი მისწერა. ანალოგიური ხასიათის წერილი მიუწერია ყვარყვარესთვისაც, რომელსაც წინამძღოლს უწოდებს. იხ. Archiv für Kunde österreichisher Geschichsquellen, Bd XI, Wien, 1856, გვ. 156.

[42] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

სა და საათს გალაშქრებისათვის. ჩვენ მზადა ვართ და შეგვიძლია თქვენი ნებისმიერი ბრძანება აღვასრულოთ, რასაც თქვენ ელჩების მეშვეობით შეგვატყობინებთ.

დაე, ცნობილი იყოს თქვენთვის, რომ ჩვენ გვთავაზობთ შემდეგს: მე ყვარყვარე, გამოვიყვან 20000 კაცს, მეტწილად ცხენოსანს, მეფე გიორგი პირობას იძლევა გამოიყვანოს 40000 კაცი გულიებთანა (guglie) და ავოგასტებთან ერთად, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან მის ქვეშევრდომებად, და ამჯერად კი იკისრეს მასთან ერთად ურწმუნოთა წინააღმდეგ გალაშქრება. ბენდიანი, სამეგრელოს ბატონი ქუთაისის მეფე პანკრატიუსთან ერთად პირობას დებენ გამოიყვანონ იმდენივე ჯარისკაცი, როგორც მეფე გიორგი, ძე ალექსანდრესი. ტრაპეზუნდის იმპერატორი, მისი სიძე უზუნ-ჰასანი და ბერდებეკ არმენიელი დამოყვრდნენ, შეგვპირდნენ დაგვრთონ გზა ხმელეთსა და ზღვაზე და მთელი თავიანთი ძალებით ჩვენთან ერთად მათი მტრების — ოტომანი თურქების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ასე რომ, ღმერთის წყალობით ვიმედოვნებთ დავიპყროთ ანატოლია. თქვენს ბრწყინვალებას კი გთხოვთ, კეთილი ინებოთ და მთელი ძალები კონსტანტინოპოლის აღებას მოახმაროთ.

გაახლებთ ჩემს დესპანს, რომელიც მოგითხრობთ იმ საქმეებზე, რაც ზემოხსენებული პაპის ელჩთან ერთად მოვიმოქმედეთ.

ამით ყველაფერი, დაე გწყალობდეთ უფალი.

დაიწერა ქარციხეს და გამოგეგზავნათ თქვენ[43].

როგორც ვხედავთ, ხსენებული დოკუმენტი ინტერესმოკლებული არ არის: გარკვეული კუთხით შეიძლება იმდროინდელი შინა აშლილობის ფორმებიც დავინახოთ, თანაც ამ აშლილობის ერთ-ერთი ინიციატორის, დიდი ათაბაგის თვალით. როგორც დავინახეთ, საქართველოში შინა ომი ყოფილა, მაგრამ ლუდოვიკოს თქმითა და პაპის მითითებით მოქიშპეები დაზავებულან.

ბედიანი სამეგრელოს დამოუკიდებელ მთავრად წარმოგვიდგება. გაუგებარია მხოლოდ, თუ რატომ არის იგი პართიის ერთ-ერთ ხანთაგან ხსენებული; როგორც ჩანს, ამგვარი უზუსტობა წერილის მთარგმნელისა და გადამწერთა ბრალი უნდა იყოს.

ბაგრატი, როგორც ვხედავთ, ჩიხორის ომამდე ქუთაისის მეფედ არის წარმოდგენილი. ის, რომ იგი მხოლოდ ქუთაისსა და საკუთრივ იმერეთს ფლობდა, სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, ხოლო მისი მეფედ მოხსენიება იმერითის ერისთავის განდიდებას მოწმობს. დაბოლოს, მეფე გიორგის სამართლიან ქვეშევრდომებად გულიები და ავოგასტები იხსენიებიან, რომლებიც, ჩვენი აზრით, გურულებთან და აფხაზებთან უნდა გავაიგივეოთ.

ვენეციიდან ელჩები ფლორენციაში ჩასულან, სადაც 1460 წ. 14 დეკემბერს ქალაქის საბჭოს წინაშე აუდიენცია მიიღეს.

ჩვენს ხელთ არსებული ფლორენციული დოკუმენტები შეიცავენ რამდენი-

---

[43] წერილი იტალიურად არის თარგმნილი და არა აქვს თარიღი. იხ. B. Bugheti, დასახ. ნაშრომი, გვ. 130—131 (დედანი ინახება Archivo di Stato di Milano—(A. S. M.); Acrhivo Sforzesco, Venezia, cart 352.

მე საინტერესო ცნობას ლუდოვიკოსა და მისი მხლებლების ფლორენციაში ყოფნის შესახებ[44].

აღნიშნულ დღეს ფლორენციაში ჩავიდნენ ტრაპიზონის იმპერატორის, დიდი სომხეთის ხელმწიფის (როგორც ქვემოთ დავინახავთ ამ ტიტულით საქართველოს მეფე გიორგი VIII წარმოგვიდგება), და საქართველოში ქარციხის მთავრის ელჩები ძმა ლუდოვიკო ბოლონიელთან ერთად. ტრაპიზონის კეისრის ელჩმა სიტყვა ლათინურად წარმოსთქვა. მან სენატს მოუთხრო ლუდოვიკოს მოღვაწეობაზე აღმოსავლეთში. მას შეუკავშირებია აღმოსავლეთის მმართველები, ზოგი მათგანი, მართალია, მტრობდა ერთმანეთს, მაგრამ პაპის ავტორიტეტისა და ლუდოვიკოს მითითების წყალობით დაზავდნენ და ხელშეკრულება დადეს. მათ შეუერთდათ ვინმე ძლევამოსილი თურქი — მთიანი ოლქის მფლობელი, დიდი თურქის დაუძინებელი მტერი (ლაპარაკია თურქმანთა თეთრბატკნიანი სახელმწიფოს ხელმწიფე უზუნ-ჰასანზე). მათ სურთ დაიწყონ ომი, მაგრამ ეს საქმე იქამდე გადასდეს, სანამ არ გააგზავნიდნენ ელჩებს პაპთანა და დასავლეთის სხვა მმართველებთან და მათ პასუხს არ შეიტყობდნენ. დიდი თურქის მტერი, ძლევამოსილი თურქი თავის მოწინააღმდეგე ქრისტიანებთან კავშირს იმიტომ მიემხრო, რომ მათ ურთიერთშფოთს ხელი არ შეეშალა ასეთი დიდი საქმისათვის[45].

დაახლოებით ასე ჟღერდა ტრაპიზონის კეისრის ელჩის სიტყვა. ამდაგვარი მოხსენებებიც გაუკეთებიათ სხვა ელჩებსაც[46].

მათ მოწოდებაზე სენატს თანხმობა განუცხადებია. მეორე დღეს ფლორენციელებმა აღნიშნულ მთავრებთან წერილები შეადგინეს.

ა. ტრაპიზონის იმპერატორს

უდიდესი სიხარულით მოვისმინეთ თქვენი ელჩის, იმ ხელმწიფის წარგზავნილის მოხსენება, რომელიც თავისი სიმამაცისა და ქრისტიანული ხსნის საქმეში უდიდესი მონდომების გამო ყველა ქრისტიანის თაყვანისცემასა და სიყვარულს იმსახურებს. ვინაიდან მან მოგვიწოდა ქრისტიანული სარწმუნოების, რასაც ყოველთვის დიდის სიბეჯითით ვიცავთ, ხსნისა და დიდებისაკენ, ჩვენ უზენაეს პონტიფიკოსსა და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ერთად არ დავაყოვნებთ მონაწილეობის მიღებას ასეთ აღსანიშნავსა და მხსნელ საქმეში, რომელიც კათოლიკური სარწმუნოების ასამაღლებლადაა მიმართული. ამიტომ გულითად მადლობას გიძღვნით, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი ელჩის მეშვეობით შემოთავაზებულ მეგობრობისა და თქვენს სამეფოში კეთილად მიღების გამო.

15 დეკემბერი 1460

---

[44] G. Müller, Documenti sulle relazioni delle citta Toscane coll 'Oriente cristiano e coi turchi, Firenze, 1879, გვ. 188—189. აქედან ჩანს, რომ ფლორენციის სენატმა საქართველოს მეფის, ტრაპიზონის კეისრისა და ყვარყვარე ათაბაგის წერილები მიიღო, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ვენეციის დოჟიც ასევე სამი ეპისტოლეს ადრესატი უნდა ყოფილიყო.

[45] იქვე. გვ. 188.

[46] იქვე.

ბ) დიდი სომხეთის მეფეს ასეთივე შინაარსისა და ხასიათის წერილი

გ) საქართველოში ქარციხის ბატონს

ქებათა ქებას გიძღვნით თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი ელჩისაგან შევიტყვეთ, რომ თქვენ შეუთანხმდით სხვა აღმოსავლეთ ქრისტიანებს ქრისტეს სახელის გადარჩენისა და დიდებისათვის გასალაშქრავად. ასევე უდიდეს მადლობას გწირავთ იგივე ელჩის მეშვეობით დიდსულოვნად შემოთავაზებულ მეგობრობისათვის, რომლის ღირსად გვყოფთ[47].

აღნიშნული თვის 15

ეს დოკუმენტები ფლორენციის არქივში ინახება და, რა თქმა უნდა, ოფიციალური წერილების პროექტებს წარმოადგენენ.

ამის შემდეგ ლუდოვიკომ თავისი ამალა რომის გზას გაუყენა. 20 დეკემბერს პროცესია „სამარადისო ქალაქში“ შევიდა. „ელჩები გამოირჩეოდნენ არა მარტო თავიანთი უჩვეულო მანერებით, არამედ საოცარი და საკვირველი ჩაცმულობითაც. ეს იმდენად უცხო სანახაობა იყო, რომ ყველა მათზე ხელით უთითებდა და ბავშვების დიდი ჯგრო კი ყიჟინით მისდევდა უკან“[48]. ასე გვიხატავს მათ რომში ჩასვლას პაპი პიუს II.

რომში ელჩები შემდეგი შემადგენლობით ჩავიდნენ: „დავითმა, ტრაპიზონის იმპერატორმა, გამოაგზავნა მიქაელ ალიგიერი; გიორგიმ, ალექსანდრეს შვილმა, სპარსეთის, დიდი სომხეთისა და მცირე იბერიის მეფემ — ნიკოლოზ თბილისელი ((Tephelum); ჰასანმა, იმპერატორის სიძემ, მესოპოტამიის მეფემ, ქრისტიანთა მეგობარმა, მაგრამ არაქრისტიანმა, რომლის მამა იყო ყარა-იულუქ თურქმანი (Carailucas Trucomano) — მაჰომეტ თურქმანი (Trucomano); ყვარყვარემ (Gorgora),დიდი იბერიის ჰერცოგმა, გაზაბეკის შვილმა (Gazabecchi) — ქასადან ქარცეხამი; ურთუბეკუსმა, მცირე არმენიის მთავარმა — მორატ არმენიელი“[49].

პიუსი მოგვითხრობს: „სპარს ელჩს თავი გადაპარსული ჰქონდა, გარდა თმის პატარა წრისა, ჩვენი ბერების მსგავსად, მესოპოტამიელს იგივე გარდა იმისა, რომ თავის კორტოხზე თმის პატარა ბუჩქი ჰქონდა, როგორც თვით მათი სიტყვებით წარმართი ქურუმები ატარებენ ქუდებზე... აქვე უნდა ითქვას რომ ზოგიერთი მათგანი ყოველდღე ჭამდა 20 ფუთ ხორცზე მეტს თითოეული“[50].

ელჩებმა პაპს სიტყვით მიმართეს[51], სადაც განაცხადეს, რომ მათთან შეკავშირებულნი ყოფილან: „ბენდია — სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე, პანკრატიუსი — იბერთა მეფე, რომლებიც ეხლა გორგიანებად იწოდებიან, ნანია — გურიის მარკიზი; ისმაილი — სინოპისა და კასტემონის მთავარი, რომლს მამა იყო სბედიარი; ფაბრია—ანაკოფიის მთავარი; ყარამანი—კილიკიის მთავარი. მათ

---

[47] G. Müller, დასახ. ნიშრომი, გვ. 189.

[48] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

[49] L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 153; Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 181—182.

[50] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 182,

[51] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62.

პაპს 120 000 არმია შესთავაზეს და სთხოვეს ლუდოვიკო აღმოსავლეთის კათოლიკეთა პატრიარქად დაემტკიცებინა“[52].

პაპმა მათ უპასუხა, რომ მანტუაში ძალი და ღონე არ დაუშურებია დასავლეთის მმართველთა გასაერთიანებლად, მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა, ამისათვის ელჩები თავად უნდა გამგზავრებულიყვნენ საფრანგეთსა და ბურგუნდიაში, ვინაიდან შარლ VII-სა და ფილიპე კეთილის გარეშე ამგვარი ომის წარმოება წარმოუდგენელი იქნებოდა. პიუსი მოგვითხრობს, რომ ელჩები დათანხმებულან, ოღონდ მისთვის სამგზავრო ფული და ლუდოვიკოს პატრიარქად დამტკიცება უთხოვიათ[53].

პაპმა მათ ორივე თხოვნა შეუსრულა და 1461 წ. 9 იანვარს გამოსცა ბულა, რომლის ძალითაც ლუდოვიკო ბოლონიელი ინიშნებოდა ანტიოქიის პატრიარქად. ძაგრამ ამ ბულას ძალა არ ექნებოდა იქამდე, სანამ მისი ახალი მისია არ დაგვირგვინდებოდა წარმატებით და პაპი ახალი საპატრიარქოს საზღვრებს არ დააზუსტებდა[54].

პიუს II-ის საქციელი მის „დაეჭვებაზე“ მიგვითითებს. საინტერესოა ბულის პირობები. პირველი, ახალი მისია წარმატებით უნდა დამთავრდეს და მეორე, უნდა დადგინდეს საპატრიარქოს საზღვრები, სხვა სიტყვებით, შევლენ თუ არა საქართველოსა და ტრაპიზონის საპატრიარქოები მის შემადგენლობაში, ე. ი. მიიღებენ თუ არა აღნიშნული სახელმწიფოები კათალიკობას. პაპის თამაში აშკარაა, მას სურს ეს ქვეყნები ფერარა-ფლორენციის უნიას შეუერთოს ისე, რომ თავის მხრივ არავითარი მოვალეობა არ შეესრულებინა მათ წინაშე, თუმცა-ღა ასეთი სურვილის არ ქონას ვერ დავწამებთ, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ მას არ შესწევდა ძალა ამგვარი მოვალეობის შესასრულებლად და რომ მანტუას კრახის შემდეგ ეს თვითონაც კარგად იცოდა. ამრიგად, პიუს II-ემ პასუხისმგებლობა მოიხსნა და მთლიანად ლუდოვიკო ბოლონიელს გადაულოცა. მას უნდა ემოგზაურა, ამჯერად დასავლეთში, ქართველი ელჩების თანხლებით და უნდა გაეკეთებინა ის, რაც ვერ შეძლო პაპმა, ე. ი. შეეკავშირებინა და დაეინტერესებინა ევროპის ხელისუფალნი. წარმატების შემთხვევაში ანტიოქიის საპატრიარქოს მიიღებდა, ხოლო წარუმატებლობა კი მთლიანად მისი ბრალი იქნებოდა. მეორე მხრივ კი მოლაპარაკებიდან არსაიდან ჩანს, რომ ქართველები უნიაზე თანხმდებოდნენ, ისინი მხოლოდ „კათოლიკური სარწმუნოების დიდებისათვის“ აპირებდნენ ბრძოლას. ამ დიპლომატიური კატა-თაგვობანას შედეგი იყო ასეთი ორაზროვანი ბულის გამოცემა პაპის მიერ. საბოლოოდ, როგორც ვიცით, ვერც ერთი პირობა ვერ შესრულდა. არც დასავლეთის გაერთიანება მოხერხდა, ვინაიდან ამას „აფერისტი“ და „გაიძვერა“ ბერი ცდილობდა და არც ქართველებსა და ტრაპიზონელებს მიუღიათ კათოლიკობა, ესეც იმიტომ, რომ „ელჩები ნამდვილები არ იყვნენ“. ყოველივე ამის სავალალო შედეგი იყო ქართველ მეფე-მთავართა მიერ ისედაც არამყარი ზავის დარღვევა, რამაც საბოლოოდ ქვეყანა დაშლამდე მიიყვანა.

---

[52] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 182—183; L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 153.

[53] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[54] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 130 (ლუდოვიკოს არ ჰქონდა უფლება თავი პატრიარქად გაესაღებინა; იხ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 63).

ამრიგად, როგორც უკვე ვთქვით, შექმნილ ვითარებაში პიუსისათვის თავისი საერთაშორისო პრესტიჟის დასაცავად, რა თქმა უნდა, ყველაზე რაციონალური გამოსავალი ელჩობის უარყოფა იქნებოდა, რაც მან არ დააყოვნა კიდეც, ლუდოვიკო ბოლონიელი „Persona non grata"-დ გამოაცხადა, ხოლო ელჩობა კი ფალსიფიცირებულად.

მაგრამ მიუხედავად თავისი „ეჭვებისა" 1461 წ. 13 იანვარს პაპმა ლუდოვიკოსა და მის მხლებლებს დასავლეთში სამოგზაუროდ სარეკომენდაციო წერილები მისცა[55]. რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ჩვენ მიერ წამოყენებულ ვარაუდს.

რომიდან ლუდოვიკომ თავისი ამალა ჯერ ფლორენციაში ჩაიყვანა[56], იქიდან მილანში ჩასულა ჰერცოგ ფრანჩესკო სფორცას კარზე. ლუდოვიკოს მილანის ჰერცოგზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია, ვინაიდან სფორცა აქტიურად შეამდგომლობდა პაპის წინაშე ბოლონიელის პატრიარქად დანიშვნისა და ხელთდასხმის გამო[57]. მილანიდან მისიამ გეზი პირდაპირ საფრანგეთისაკენ აიღო და მაისში აღმოსავლეთელი ელჩები თავიანთ წინამძღოლთან ერთად საფრანგეთის მეფის შარლ VII-ის წინაშე წარსდგნენ[58]. მაგრამ, როგორც ჩანს, მოხუც მეფეზე მათმა გეგმებმა მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. შარლ ვალუას მონახულების შემდეგ ისინი ბურგუნდიაში ჩავიდნენ 1461 წ. 23 მაისს საღამოს რვა საათზე სენტ-ომერში მათ წვეულება გაუმართა ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპე კეთილმა[59]. ელჩებმა მას თავიანთი პატრონების წერილები გადასცეს[60]. ჰერცოგს ისინი მდიდარი დაპირებებით აუვსია. დაურწმუნებია თავის სურვილში, შური ეძია ქრისტიანული სარწმუნოებისათვის და დაპირებია, რომ თუ მეფე (ე. ი. — შარლ VII) უზრუნველყოფდა მის სამფლობელოებს მშვიდობით, იგი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას ამ წმინდა საქმეში.

ფილიპე კეთილს ევროპელი ისტორიკოსები ერთხმად „მონდომებულ ჯვაროსანს" უწოდებენ. შეპყრობილი იყო რა გვირგვინის დადგმის სურვილით, იგი მზად იყო სამსახური გაეწია აპოსტოლური ტახტისათვის, მაგრამ საფრანგეთის მუქარა არ აძლევდა საშუალებას თავისი სახელმწიფოს ხანგრძლივი დროით მიტოვებისა. აღმოსავლელ დესპანებსა და მათ გეგმებს, როგორც ჩანს მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებიათ. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას

---

[55] G. Müller, დასახ. ნაშრომი, გვ. 185. მას ეს დოკუმენტი 1460 წლითა აქვს დათარიღებული, რაც გამოწვეულია კალენდრის სხვაობით, ფლორენციაში ახალ წელს გაზაფხულზე ზეიმობდნენ; L. Waddingo, დასახ. ნაშრომი, ტ. XIII, გვ. 155—156.

[56] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 136. აქ ელჩები 3 თებერვალს ჩასულან მიულერს დეკემბერის და თებერვლის ამბები ერთად მოჰყავს და 15 დეკემბრით ათარიღებს. თუმცა-ღა დოკუმენტიდანაც ნათლად ჩანს, რომ ელჩები ფლორენციაში ორჯერ ყოფილან და მეორედ პაპის მონახულების შემდეგ.

[57] B. Bughetti, დასახ. ნაშრომი, გვ. 138—142.

[58] du Clercq, დასახ. ნაშრომი, გვ. 172; Dagboek... გვ. 442; de Barante, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[59] de Barante, დასახ. ნაშრომი, გვ. 179—180.

[60] გიორგი VIII-სა და ათაბაგის წერილები იხ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59—60; 57—59; ტრაპიზონის კეისრის წერილი იხ. J. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 266——267; A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 198; ნ. ბერაძე, ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, „მაცნე" № 4, 1965, გვ. 63.

შემდეგი გარემოება გვაძლევს: დავით კომნენოსი თავის წერილში პირდება მას, რომ გამარჯვების შემთხვევაში იერუსალიმის მეფედ გახდიდა, ძველ ჯვაროსნულ ტრადიციისდაგვარად. და აი, ფილიპე კეთილმა თავის ანდერძში დაიბარა, რომ მისი გული იერუსალიმში დაეკრძალათ[61]. მაგრამ ყოველივე ამისდა მიუხედავად იგი ფაქტობრივად არაფრით დახმარებია კავშირს. სენტ-ომერიდან დაუღალავ ფრანცისკანელს მისია ფლანდრიაში გადაუყვანია. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები ქართველი ელჩების ქ. გენტში მოგზაურობის შესახებ: „1461 წ. 4 ივლისს შაბათს საღამოს ზემოთ აღნიშნული შვიდი ელჩი გენტში მოვიდა, მათ დაათვალიერებინეს ქალაქი, აჩვენეს ხელოვნების ნიმუშები, ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში გენტის პრივილეგიები და უფლებები გააცნეს. მათ საპატივცემულოდ მოწვეულ იქნა ტურნირი წყალზე მდ. ლისის ხიდებს შორის. აქ გათამაშდა ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებული ჯილდოები. ზეიმი დიდებული იყო. ელჩები ცხოვრობდნენ იაკობ ვან ვესის სასტუმროში „ოქროს თავი“ (Gulden Hooft) ბურგშტრასეზე. აქ ისინი თავს თავისუფლად გრძნობდნენ, ვინაიდან ჩვენმა ძლევამოსილმა სენიორმა (ე. ი. ბურგუნდიის ჰერცოგმა) გამცილებლად თავისი რაინდი გამოაყოლა. ოთხშაბათს, 8 ივლისს მათ გამცილებელთან ერთად ქალაქი დატოვეს“[62]. უკან გამობრუნებისას ლუდოვიკომ თავისი მხლებლები კვლავ საფრანგეთში ჩაიყვანა, სადაც შარლ VII-ის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს და დაესწრნენ მისი მემკვიდრის ლუი XI კორონაციას[63]. რაც მოხდა რეიმსში 1461 წ. 15 აგვისტოს. როგორც ჩანს, ჯვაროსნული სულისკვეთებით არც ახალი მონარქი გამოირჩეოდა და ელჩები რომში გაწბილებულნი დაბრუნდნენ.

მისიის ევროპაში მოგზაურობისას პაპს მრავალი ამბავი მისვლია ლუდოვიკო ბოლონიელის შესახებ. მას თურმე დაურღვევია პიუსის ბრძანება და თავს პატრიარქად ასაღებდა. ამასთან უნგრეთსა და გერმანიაში ცოდვებიც კი შეუნდვია, რისი უფლება კი თვით ლეგატებსაც კი არ ჰქონდათ.

პაპი დაეჭვებულა ლუდოვიკოს კეთილსინდისიერებასა და ელჩების ნამდვილობაში, მაგრამ ამის გადაჭრით მტკიცება ჯერ არ შეეძლო, ამიტომ მისცა მათ უკანდასაბრუნებელი ფული. ლუდოვიკო მათთან ერთად გაემგზავრა და ვენეციაში ეკურთხა კიდეც. პაპმა ეს რომ შეიტყო, ვენეციის პატრიარქს უბრძანა დაეპატიმრებინა იგი, მაგრამ ბოლონიელი დროზე გააფრთხილა და მას გაქცევის საშუალება მისცა[64]. იქვე იკარგება ქართველი წარგზავნილების კვალიც.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულმა პიუსი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ადამიანები, რომლებიც ლუდოვიკომ ჩამოიყვანა, არ იყვნენ ოფიციალური სახელმწიფო ელჩები და რომ ყოველივე ეს ფრანცისკანელის ავანტიურა იყო, რათა ანტიოქიის პატრიარქი გამხდარიყო.

თავისი დებულების საარგუმენტაციოდ მას შემდეგი მოსაზრებები მოჰყავს. ჯერ ერთი, რომ ელჩებს ტონზურები ჰქონიათ, რაც იმას აფიქრებინებს, რომ ეს უბრალოდ ქართველი კათოლიკები იყვნენ, რომლებიც გამორჩენის მიზნით შეუერთდნენ ლუდოვიკოს. მეორე ის, რომ თურმე სადაც კი ჩავიდოდნენ, ფულს თხოულობდნენ. ყოველივე ამისათვის სათანადო ფონის მისაცემად კი იგი მოგვითხრობს, რომ ქართველი ელჩები დღეში 20 გირვანქა ხორცს

---

[61] J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

[62] Dagboek... გვ. 443.

[63] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[64] იქვე, გვ. 183—184.

შეექცეოდნენ ხოლმე თითოეული, რაც ზომიერების მოყვარული ევროპელებისათვის აშკარად არასასურველ შთაბეჭდილებას ქმნის.

რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ ამ არგუმენტებს?

რაც შეეხება ტონზურებს, მართალია არ არსებობს არავითარი ეთნოგრაფიული თუ სხვა სახის მასალა, რის შედეგადაც შეიძლება იმდროინდელ ქართველთა თმის ვარცხნილობის აღდგენა. მაგრამ არსებობს თვით პიუს II თანამედროვეთა და თანამემამულეთა ცნობები. ბარბარო და კონტარინი, რომლებმაც საქართველოში იმოგზაურეს, ერთხმად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღნიშნავენ, რომ ქართველები იმ დროს თურმე ამგვარ ტონზურებს მასიურად ატარებდნენ[65]. ყურადსაღებია აგრეთვე ჟ. რიშარის აზრიც. მსჯელობს რა ამ საკითხის შესახებ, იგი აღნიშნავს, რომ თათრული მოდის მიხედვით იმ დროს ტონზურებს პოლონეთშიც იპარსავდნენ[66].

პიუსის შემდეგი არგუმენტია ის, რომ ელჩებს მისთვის სამგზავრო ფული უთხოვიათ და საერთოდ, სადაც კი ჩავიდოდნენ, ყველგან მათხოვრობდნენო. ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში არსად, პაპის მემუარების გარდა, არ არის ხსენებული ამგვარი პრეცედენტი, პირიქით ყველგან აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთელი სტუმრები უაღრესად საპატივცემულო პირები ყოფილან და გენტის ქრონიკაში კი პირდაპირ ნათქვამია: „საფრანგეთის მეფეს მათ განუცხადეს, რომ ფული საკმაო ჰქონდათ“[67]. ამრიგად, როგორც ითქვა ,პიუს II, როგორც აღწერილი ამბების ერთ-ერთი მოქმედი პირი, აშკარად ტენდენციურია და მისი მონაცემების ბრმად ნდობა ყოვლად დაუშვებელია.

დაბოლოს, პაპის მთავარი თეზისის შესახებ. იგი შემდეგში მდგომარეობს: ლუდოვიკოს ეს ელჩობა ინსცენირებული ჰქონდა, ვინაიდან ჯერ კიდევ კალიქსტ III-ემ ურჩია ქართველ კათოლიკებს მისი პატრიარქად არჩევა, თუ იგი რამდენიმე ადგილობრივი პირის თანხლებით ჩავიდოდა რომში. ეს გამოიყენა ლუდოვიკომ თავისთვის და მთელი მისი მოქმედება მიმართული იყო ანტიოქიის პატრიარქად გახდომის მიზნისათვის.

უეჭველად ლოგიკურია და დასაშვებიც კი, რომ არა ერთი ფაქტი, კერძოდ, კალიქსტ III-ის ეს წერილი ლუდოვიკომ 1457 წელს წაიღო საქართველოში და ამის შემდეგ რომში დაბრუნდა კიდეც. ესე, რომ სრული საშუალება ჰქონდა ინსცენირება მაშინვე მოეწყო და არ გადაედო ეს ჩანაფიქრი რამდენიმე წლითა და თანაც ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. აშკარაა, რომ მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა როგორც გიორგი VIII-თან, ასევე ყვარყვარე II-თანაც. დაბოლოს, თუკი ლუდოვიკო ასეთი ხელაღებული თაღლითი იყო, რატომ შეიწუხებდა თავს მისი გაფრთხილებითა და გაპარებით ვენეციის დოჟი?

ე. ბრაიერი თავის გამოკვლევაში უფრო შორს მიდის და პაპის ბუნდოვნად გამოთქმული ეჭვების დასაბუთებას ცდილობს. ინგლისელმა პროფესორმა ამ მიზნისათვის აღმოსავლეთელ მოკავშირეთა წერილების გამოკვლევას მიმართა[68]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცაღა იგი საკმაოდ კარგად იცნობს კონ-

---

[65] Е. Ч. Скржинская, Барбаро и Контарини о России, Л., 1971, გვ. 160 215. კონტარინის მეგრელთა ტონზურები ფრანცისკანელ ბერთა ტონზურებს შეადარა.

[66] J. Richard, დასახ. ნაშრომი, გვ. 276.

[67] Dagboek... გვ. 442.

[68] იგი იხილავს მხოლოდ მათ წერილებს ბურგუნდიის ჰერცოგისადმი და ძირითად აქცენტს კი დავით კომნენოსის წერილზე აკეთებს.

ტარინის მემუარებს, უგულებელყოფს მის მონაცემებს ქართველთა თმის ვარცხნილობის შესახებ.

აი რას ამბობს იგი ქართველი მეფის და ათაბაგის წერილების შესახებ: „ისინი ამჟღავნებდნენ საქართველოს პოლიტიკური ვითარების დეტალურ ცოდნას, მაგრამ ნათელია, რომ ორივე წერილი ერთი და იმავე პირის მიერაა დაწერილი. ისინი იწყება იმის აღწერით, თუ ლუდოვიკო ბოლონიელმა „ჩვენმა პატრიარქმა“ — როგორ დაამშვიდა საქართველოს მოშუღლე სამეფოები, შემდეგ კი ჩამოთვლილია მებრძოლთა რაოდენობა, რომელთა ბრძოლის ველზე გამოყვანა შეეძლო აწ გაერთიანებულ სახელმწიფოებს... ბროსეს აზრით ეს წერილები ისეთსავე სტილშია დაწერილი, როგორც მრავალი კათოლიკური საეკლესიო დოკუმენტი... ის, რომ აღნიშნული ეპისტოლები ლუდოვიკოს კარნახითაა დაწერილი, აშკარად ჩანს იმ უზარმაზარი პოლიტიკური როლის გამო, რასაც მას საქართველოში ანიჭებდნენ... ჩვენ იმაშიც უნდა შევთანხმდეთ, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლათინური ტექსტები ამ წერილებისა არ წარმოადგენენ ქართული ორიგინალების თარგმანს, ყოველ შემთხვევაში ეს ძლიერ რედაქტირებული ვერსიებია“[69]. თუმცაღა ,თვით ბრაიერის თქმით, ყოველივე ზემოთქმული არ უარყოფს ქართველი ელჩების რწმუნებულების სიგელებს.

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტი, ყვარყვარეს წერილი ვენეციის დოჟისადმი, როგორც შეგვიძლია დავინახოთ, საკმაოდ განსხვავდება ბრაიერის მიერ განხილული წერილებისაგან, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ აქ საქმე ეხება ლუდოვიკო ბოლონიელს კი არა, არამედ მათ მთარგმნელსა თუ მოგვიანებით გადამწერს[70].

დავით კომნენოსის წერილზე ბრაიერი განსაკუთრებულად აჩერებს ყურადღებას. იგი ამბობს: „იმის საბუთად, რომ ეს წერილი არ არის გერმანული ორიგინალის თარგმანი მისი სტილის გარდა რამდენიმე ნიშანს მოვიყვანთ. დავითი ნახსენებია „ტრაპიზონის იმპერატორად“ ასე უწოდებდნენ მას, იტალიური დოკუმენტები საერთოდ და ასე იგი არასდროს უწოდებს საკუთარ თავს. აქ მას მოჰყავს ტრაპიზონის კეისრის სრული ტიტული. იგი ჰერცოგს იერუსალიმის გვირგვინს შეპირებია, რისი შესრულებაც რეალურად არ შეეძლო და არც 30 ხომალდი გააჩნდა მაშინ. ყოველივე ამან ბრაიერს აფიქრებინა, რომ წერილი შეიძლებოდა მიქაელ ალიგიერის დაეწერა, ვინაიდან.... მან ლათინური იცოდა.

გარდა ამისა, განაგრძობს იგი, რომ ამ წერილის სტილი არ განსხვავდება ზემოთ მოხსენებულთაგან, იგი მათგან მაინც განსხვავდება ორი რამით. პირველი ისაა, რომ მასში მცირე სომხეთის მთავრის მიერ შეპირებულ მებრძოლთა განსხვავებული რიცხვია მოცემული და იგი დათარიღებულია 22 აპრილით, მაშინ, როცა გიორგი მეფის წერილი 5 ნოემბერს დაიწერა. მეორე, რომ მასში სულ არაა ნახსენები ლუდოვიკო ბოლონიელი, როცა სხვა წერილები სავსეა მისი ქებით[71].

---

[69] A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[70] ბრაიერის თანახმად, ლუდოვიკოს არ შეეძლო ამ წერილების დაწერა, ვინაიდან მან ლათინური არ იცოდა, ეს ფაქტი მოწმდება წყაროებითაც, ისინი მისი კარნახითაა დაწერილი. რაც შეეხება იმ „უზარმაზარ პოლიტიკურ როლს“, რასაც მას საქართველოში ანიჭებდნენ, აღნიშნული წერილების გარდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, სხვა უფრო სანდო წყაროებიც მოწმობენ.

[71] იქვე, გვ. 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გარემოება, რომ დავით კომნენოსის წერილი 22 აპრილს დაიწერა, ვფიქრობთ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლუდოვიკო ჯერ ტრაპიზონის კეისართან ყოფილა და იქიდან გადმოსულა საქართველოში. ურთუბეკუსის ჯარის განსხვავებული რიცხვი არაფერს ნიშნავს, პირიქით, თუკი ვივარაუდებთ, რომ იგი ალიგიერის მიერაა შეთხზული, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ამგვარი შეცდომა არ გაეპარებოდა. რაც შეეხება კეისრის ტიტულის იტალიურად ხმარებას ვფიქრობთ, სწორედ იმაზე მიგვითითებს, რომ მთარგმნელმა მას რედაქტირებაც გაუწია, რაც იმ დროში იშვიათი მაგალითი არ გახლავთ.

კეისრის შეპირება ბურგუნდიის ჰერცოგისათვის იერუსალიმის მეფობა ებოძა, აშკარად არ შეესაბამება მის რეალურ პოლიტიკურ ძალას, მაგრამ ვფიქრობთ, ისევე, როგორც აღმოსავლეთის მოკავშირეთა საერთო საომარი ძალის გაზვიადება დიპლომატიური ხერხი უნდა იყოს. ზემოთ მოყვანილ წერილში პაპი კალიქსტ III-სა ათაბაგისადმი, წმ. პეტრეს მემკვიდრე აშკარად აზვიადებს ბელგრადთან დამარცხებულ და დატყვევებულ თურქთა რაოდენობას, მაგრამ ამის გამო არავის მოუვა აზრად მისი წერილი ყალბად გამოაცხადოს.

ამრიგად, ბრაიერის ვარაუდი იმის შესახებ, რომ წერილები შეთხზულია და ორიგინალიდან არ არიან თარგმნილი სერიოზულ საფუძველს მოკლებულია. ალიგიერი, რომლის მთელი დანაშაული იმაშია, რომ ლუდოვიკოს სპირისპიროდ ლათინურ ენას ფლობდა, უნდა ვიფიქროთ, მოჰკიდებდა რა ხელს ამგვარი სიყალბის შეთხზვას, იმაზეც იზრუნებდა, რომ ამგვარი ლაფსუსები არ გაპარვოდა, მით უმეტეს, რომ იერუსალიმის გვირგვინის მითით იგი დიდ რისკს გასწევდა ჰერცოგის წინაშე.

ყურადღებას საჭიროებს აგრეთვე ერთი საინტერესო დეტალიც. კერძოდ, აღნიშნული წერილები ე. ი. გიორგი მეფის, ყვარყვარე ათაბაგისა და დავით კომნენოსის წერილები ფილიპე კეთილისათვის მ. თამარაშვილისათვის ცნობილი გახდა პაპ პიუს II-ის ლიტერატურული მემკვიდრეობის მეშვეობით. საინტერესოა, რატომ დაურთო პიუს II-მ თავის „კომენტარებს“ ამ „ისედაც საეჭვო“ ხელისუფალთა წერილები ბურგუნდიის ჰერცოგისადმი და არა მისი პირადი კორესპონდენცია. საოცარია, რაღა სწორედ თავისთვის განკუთვნილი წერილები „დაეკარგა“ მას და ასეთი გულმოდგინებით შემოგვინახა ფილიპე კეთილისადმი განკუთვნილი ეპისტოლები. ჩვენი აზრით, ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

დაბოლოს, მსჯელობს რა ლუდოვიკო ბოლონიელის შესახებ, ე. ბრაიერი აშკარად მცდარსა და არამეცნიერულ დასკვნას აკეთებს, როდესაც მას ადანაშაულებს ტრაპიზონის დაცემაში. თითქოსდა, ლუდოვიკოს მისვლა-მოსვლამ გააღიზიანა სულთანი. სინამდვილეში კი კარგად არის ცნობილი მეჰმედ II-ის ტრაპიზონის წინააღმდეგ გალაშქრების საბაბი. ეს გახლდათ ის ფაქტი, რომ დავით კომნენოსმა სულთანს უარი უთხრა წლიური ხარკის გადახდაზე[72], რაც ჩვენი აზრით საკმარისად ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ ტრაპიზონის გარშემო რაღაც კოალიცია იქმნებოდა, ვინაიდან რაიმე იმედი რომ არ ჰქონოდა, სა-

[72] J. Ph. Fallmerayer, დასახ. ნაშრომი, გვ. 272; J. W. Zinkeisen, დასახ. ნაშრომი, გვ. 336.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარი ძალებით დავით კომნენოსი ვერ გაბედავდა სულთანთან კონფლიქტში ჩაბმას.

ახლა კი, რამდენიმე სიტყვით ქართველი ელჩების ვინაობაზე შევჩერდეთ. ჩვენს ხელთ არის ელჩობის შემადგენლობის რამდენიმე სია[73].

ქართველი მეფის ელჩი ყოფილა ვინმე ნიკოლოზი, რომელიც ჩვენს წყაროებში შესაბამისად შემდეგნაირად იხსენიება: ნიკოლას ტელეფუს; რაინდი მეტრ ნიკოლი; მინჰერ ნიკლესი; ნიკოლაუმ ტეფელუმ; ჩვენს ისტორიოგრაფიაში ნიკოლოზი თბილელ ეპისკოპოსად არის მიჩნეული.

ვადინგთან იგი მოხსენიებულია ნიკოლაუმ ტეფელუმად, რაც მ. თამარაშვილმა თბილელად გადმოაქართულა[74]. მაგრამ არც ერთი ევროპული წყარო არ გვაძლევს უფლებას ნიკოლოზი სასულიერო წოდებას მივაკუთვნოთ. პირიქით, ზემოთ დასახელებული წყაროების უმრავლესობა მას საერო, რაინდულ წოდებას მიაკუთვნებს. პიუსის „ეჭვიც“ ხომ იმაში მდგომარეობს, რომ საერო წოდებისდა მიუხედავად მას თავზე ტონზურა ჰქონია. ასე რომ, ნიკოლოზის სასულიერო პირად გამოცხადება, ვფიქრობთ, საფუძველმოკლებულია; ვადინგთან ყველა ელჩი მისი წარმომავლობის მიხედვით არის მოხსენიებული მაგ.: მიქაელ ალიგიერი, ნიკოლოზ ტეფელუმ (თბილისელი) მაჰმუდ თურქმანი, ქასადან ქარციხელი, მორატ არმენიელი. ამრიგად, ვადინგის ტეფულუმ ნიკოლოზის წარმომავლობას — თბილისელს ნიშნავს და არა სახელოს-თბილელს. დაბოლოს, ორ შემთხვევაში ნიკოლოზის ტიტულიც კი მოიხსენიება — „კონსული“[75]. შუა საუკუნეებში ამ ტერმინს დასავლეთ ევროპაში ქალაქის მუნიციპალური საბჭოს მაგისტრატის მნიშვნელობით ხმარობდნენ. ჩვენში, რამდენადაც ვიცით, ქალაქებს და მით უმეტეს თბილისს თვითმმართველობა არ ჰქონიათ, ამდენად, ნიკოლოზი შეიძლება თბილისის მოურავად, ამირად ჩავთვალოთ[76].

ყვარყვარე ათაბაგის ელჩი ყოფილა ვინმე ქასადანი. ვფიქრობთ, სწორია მ. თამარაშვილისა და კ. კეკელიძის ვარაუდი, რომ ეს ფარსადანის დამახინჯება უნდა იყოს[77]. ვადინგთან ქასადანის წარმომავლობა ასეა ახსნილი — Carcecham. ყვარყვარე II-ის წერილი ბურგუნდიის ჰერცოგისადმი დაიწერა ქარციხეში — Carcecche ანუ ახალციხეში[78]. ესე რომ Carcececham ქარციხელს ანუ ახალციხელს ნიშნავს.

---

[73] Pius II, დასახ. ნაშრომი, გვ. 181—182; du Clercq, დასახ. ნაშრომი, გვ. 172; Dagboek... გვ. 441—442; L. Waddingo, დასახ ნაშრომი, გვ. 153; 155; 156.

[74] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62—63. მ. თამარაშვილს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ თბილელი შეიძლება თბილისში დაბადებულს ნიშნავდეს, მაგრამ სამუშაო ჰიპოთეზად ნიკოლოზის ეპისკოპოსობა არჩია.

[75] ფრანჩესკო სფორცა წერილში თავის ელჩთან რომში ნიკოლოზს კონსულად იხსენიებს. B, Bugheti, დასახ. ნაშრომი, გვ. 138. დე ბარანტეს მოჰყავს ფლამანდური ქალაქის იპრის არქივის ცნობა, სადაც ნიკოლოზი ასევე კონსულად იხსენიება. de Barante, დასახ. ნაშრ. გვ. 179—180.

[76] Ш. Месхия, Города и городской строй в феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 65—86.

[77] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61; კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 93.

[78] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59; 596.

Д. Г. ПАЙЧАДЗЕ

ЛЮДОВИКО ДА БОЛОНЬЯ И ГРУЗИНСКОЕ ПОСОЛЬСТВО В ЗАПАДНУЮ ЕВРОПУ

Резюме

В статье рассматриваются опубликованные западноевропейские документальные материалы о грузинском посольстве в Европу в 1460—1461 гг., которые еще не являлись предметом исследования в грузинской историографии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები და შენიშვნები

გიორგი შაჟულაშვილი

ამქრის სოციალური ბრძოლის ისტორიიდან

საქართველოს ქალაქების ისტორიის კვლევისთვის ნარატიული და დოკუმენტური წყაროების გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი თბილისის მხატვრულ სიტყვას. იგი უშუალოდ ქალაქის მრავალმხრივი ცხოვრების ამსახველი ლიტერატურული ფაქტია და მასში შემონახული მდიდარი აღმოსავლური ურბანისტული ტერმინოლოგია, ზნეობრივ-მორალური თუ ეთიკური სენტენციები და სოციალურ-ყოფითი კოლიზიები დიდ შესაძლებლობას იძლევიან აღნიშნული პრობლემატიკის ანალიზისათვის.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოგვეტანა ძველი თბილისის პოეზიის ერთერთი წარმომადგენლის XIX ს-ის დასასრულის მელექსეს, ანტონ განჯისკარელის ლექსი, რომელიც მწვავე პამფლეტია ამქრული ორგანიზაციის ადმინისტრაციული იერარქიის ყველაზე მაღალი საფეხურის პირზე — უსტაბაშზე:

რომელიც რომ ჩვენს დროში
უშრომელ ჭამაშია,
იგი ყველას იკადრებს
თუ რომ უსტაბაშია!

დაურცხვენლად ხელს ჩაჰყოფს
ყველას სავსე ჯამშია.
აბა, ვინ რას აკადრებს...
რადგან უსტაბაშია!

მუდამ ლხინობს, ქეიფობს,
ყველგან ტოლუმბაშია,
მთვრალი კანონებს ადგენს,
რა ჰქნას — უსტაბაშია!..

თითქმის ხალხი დაარჩოს
ერთობ დიდ ამბავშია,
ტყავებს აძრობს ჰამქარსა...
რა ჰქნას — უსტაბაშია!

გიბრძანებს და გიყვირებს
თუ შეგხვდა ქუჩაშია.
კანონს ემსახურება...
რა ქნას — უსტაბაშია!

თუ არა გაქვს, მაშინვე
მისწერს „უჩასტკაშია“,
ზედვე „შტრაფს“ წაუმატებს—
იზამს, — უსტაბაშია![1]

ლექსის მიხედვით უსტაბაში განუკითხველი ბატონ-პატრონი, უკიდურესი ექსპლუატატორი და აბსოლუტური დიქტატორია, რომელსაც სრული მხარდაჭერა აქვს ქალაქის მმართველობაში, უფრო ზუსტად ზემდგომი ორგანოების წარმომადგენელია ამქრულ ორგანიზაციაში[2]. ამის გამოა, რომ უსტაბაში საჭიროების დროს „მისწერს უჩასტკაში“, რაც მთავრდება არა არამქონებლის შეწყნარებით, არამედ „შტრაფით“.

საზოგადოდ, ანტონ განჯისკარელის პოეზია ყურადღებას იქცევს სოციალური თემატიკის შედარებითი სიუხვითა და ასახვის რეალისტური იერით.

---

[1] ან. განჯისკარელი, კინტოს გოდება, თბ., 1904, გვ. 7.

[2] К. Куция, О характере самоуправления аснафов в городах Сефевидского Ирана XVII века, იხ. წიგნში «Ближний и Средний Восток», М., 1980; Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии (17—18 вв.), Тб., 1959, გვ. 333—359.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოტახილ ლექსში ავტორს ხელოსანთა პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლის ტიპიური სახე აქვს შექმნილი. ეს მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტია, იშვიათი ფაქტი, როდესაც ლიტერატურულ თხზულებას წყაროს ან დოკუმენტის ღირებულება ენიჭება და მეცნიერული კვლევის საყრდენად იქცევა.

ურბანისტულ სამეცნიერო ლიტერატურაში უსტაბაშის შესახებ ორი ურთიერთსაპირისპირო შეხედულება დომინირებს. ერთი შეხედულების თანახმად, უსტაბაში წარმოადგენს ამქრის შიდა ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების დამცველ პირს, ამქარზე მზრუნველ მეთაურს, რომლის მეოხებითაც კორპორაციაში არსებობს სრული სოციალურ-უფლებრივი თანასწორობა და მაღალი მორალურ-ზნეობრივი ჰარმონია. ასეთი ტენდენცია გატარებულია ი. ახვერდოვის, ს. ელიაზაროვისა და ი. გრიშაშვილის შრომებში[3].

საწინააღმდეგო მოსაზრების მიხედვით უსტაბაში ამქრული ორგანიზაციის ერთპიროვნული მმართველია, რომელიც სურვილისდამიხედვით ეპყრობა ხელოსახთა სტატუსს, დაუზოგავად ეწევა ამქრის წევრთა ექსპლუატაციას და სხვ[4]. ეს შეხედულებაა გამოთქმული ზემომოყვანილ ლექსშიც. სხვათა შორის, ანტონ გახჭისკარელის ლექსი იმითაც არის საგულისხმო, რომ მისი ავტორი თვით იყო ხელოსნური წრის ტიპიური წარმომადგენელი, კარგად იცნობდა ამქრის სტრუქტურას, ამქრისშიდა სოციალურ დაპირისპირებასა და დიფერენციაციას[5].

ამქრის შიდა სოციალ-კლასობრივი მწვავე ანტაგონიზმი გაძლიერებული იყო ამქრის ადმინისტრაციის, განსაკუთრებით კი უსტაბაშის თითქმის განუსაზღვრელი უფლებამოსილებით. უსტაბაშის ზეგავლენა ვრცელდებოდა ამქრის არა მარტო საწარმოო-ეკონომიკურ მხარეზე, არამედ სასწავლო პროცესზეც, ამქრის იდეურ-მორალურ პრინციპებზეც და საერთოდ ყოველ სფეროზე. რაც შთავარია, საკანონმდებლო უფლების მქონე საერო კრების მოწვევაც უსტაბაშის ხელთ იყო[6]!

ს. ელიაზაროვის თქმით, ბევრი ამქრის მეთაურს ამიერკავკასიაში იურისპრუდენციის თვალსაზრისით ბევრად მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს[7]. ამა-

---

[3] Ю. Ахвердов, Тифлисский Амкари, Тифлис, 1883; С. Егиазаров, Исследования по истории учреждений в Закавказье, ч. II, Казань, 1891; ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1927. ცნობილია, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში თბილისის ბურჟუაზიულ წრეებში შეიქმნა მოსაზრება ამქრის მოძველებული საწარმოო-სავაჭრო ფორმების უვარგისობის შესახებ. ამის გამო, როგორც პრესაში, ისე თბილისის მმართველობის ორგანოებში წარმოდგენილ იქნა სათანადო მტკიცებანი. ამ მოვლენის საპირისპიროდ დაიწერა ორი ვრცელი გამოკვლევა ი. ახვერდოვისა და ს. ელიაზაროვისა, სადაც ავტორები ცდილობენ დაასაბუთონ ამქრის სარგებლიანობა როგორც ეკონომიკური, ისე მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით. ამიტომ, მათი შრომები უაღრესად სუბიექტური ხასიათისაა და ბევრ არასწორ დებულებას შეიცავს. რაც შეეხება ოსებ გრიშაშვილის პოეზიას, უნდა ითქვას, რომ პოეტი განუზომელი ტრფიალი იყო ძველი თბილისური ყოფისა და ყოველივე მას შეფასებული აქვს ეგზოტიკის პრინციპით.

[4] ძველ ავტორთაგან აღსანიშნავია თბილისის ბურჟუაზიული ფენის წარმომადგენელი გრ. იზმიროვი, აგრეთვე გაზეთ «Кавказ»-ში (1850, № 93) დაბეჭდილი სტატია — «О Тифлисских цехах».

[5] ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1963, გვ.

[6] ს. ელიაზაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 319

[7] იქვე, გვ. 280.

ვე დროს, უსტაბაშის შემოსავალი ისეთ დონეს აღწევდა, რომ არა მარტო უფლებრივად, არამედ სოციალურად უახლოვდებოდა მმართველი კლასის მდგომარეობას და ამითვე ეწინააღმდეგებოდა და უპირისპირდებოდა მისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციის მშრომელ მასებს.

ამის მიზეზია, რომ არც ერთი წყარო არ იცნობს შემთხვევას, როცა უსტაბაშად არჩეულ პირს უარი ეთქვას მასზე, თუმცაღა დიდ უფლებებთან ერთად უსტაბაშს ერთობ მძიმე მოვალეობებიც აწვა[8]. უფრო მეტიც, ბევრი ამ თანამდებობის მოპოვებას ცდილობდა[9].

ასეთი ვითარება ამჭრის წევრთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა. ამ ვახწყობილების გამომხატველია ლიტერატურაში შემონახული გამონათქვამი: „წავიდეს, ადგილი გაყიდული ხომ არ არის, ახლა სხვა იყოსო“

სამეცნიერო ლიტერატურაში სავაჭრო ხელოსნური კორპორაციების შიდა სოციალური ბუნების, ბრძოლის ისტორია მონოგრაფიულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ეს ვითარება ამართლებს ისეთი პატარა საკითხის გამოტანას, რომელიც მოცემულ წერილშია წარმოდგენილი.

Г. Н. ШАКУЛАШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ СОЦИАЛЬНОЙ БОРЬБЫ АМКАРОВ

Резюме

В грузинской урбанистике определенное значение имеют образцы художественного творчества мастеров слова старого Тбилиси, которые, вобрав в себя терминологию и сентенции морально-этических кодексов амкаров (торгово-цеховые корпорации), дают возможность пролить свет на некоторые вопросы городской жизни.

Объектом исследования послужило стихотворение представителя поэзии старого Тбилиси Антона Ганджискарели «Устабаши», в котором дан типический образ главы амкара.

Социальное звучание и реалистический характер стиха придает ему значение документального источника.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

[8] ი. ახვერდოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[9] კ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები, იხ. წიგნში: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, თბ., 1966, გვ. 80.

[11] Несколько замечаний на статью «О Тифлисских цехах», «Закавказский Вестник» 1850, № 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადი ხეცურიანი

გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის) საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი

ქართველი სტუდენტების ერთი ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთში არსებული ნაროდნიკული ორგანიზაციების საქმიანობაში. რუსული ნაროდნიკობის გავლენით ხალხოსნური ორგანიზაციები ჩამოყალიბდა საქართველოშიც.

რუსეთში მოღვაწე ქართველი ხალხოსნებიდან ჩვენ ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილზე.

წარმოშობით პოლონელი, ქართველ ინტელიგენტად აღზრდილი გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი (მაიაშვილი) ეკუთვნოდა XIX ს-ის 70-იანი წლების რევოლუციონერთა იმ ბრწყინვალე პლეადას, რომელსაც ვ. ი. ლენინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად თვლიდა. XIX ს-ის 70-იანი წლებიდან სრულიად ახალგაზრდა სტუდენტი გ. ზდანოვიჩი ეწევა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას მოსკოველთა ორგანიზაციაში, რომელსაც 1875 წელს დამფუძნებელ ყრილობაზე „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია“ ეწოდა. ორგანიზაციის პირად შემადგენლობაში გ. ზდანოვიჩის გარდა შედიოდნენ შემდეგი ქართველები: ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი, მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩიკოიძე, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მამაცაშვილი, ანთიმოზ ევდოს ძე გამყრელიძე, ისიდორე გიორგის ძე ქიქოძე[1].

გიორგი ზდანოვიჩი ივ. ჯაბადარის, პ. ალექსეევისა და ბარდინარის დაპატიმრების შემდეგ ხელმძღვანელობდა „მოსკოველთა ორგანიზაციას“[2]. იგი განაგებდა საზღვარგარეთიდან ლიტერატურის შემოტანას და განაწილებას, კავშირს ამყარებდა პატიმრობაში მყოფ ამხანაგებთან, აწყობდა ციხიდან გაქცევის გეგმებს, ხელმძღვანელობდა პერიფერიებში მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობას, კავშირ-ურთიერთობას ამყარებდა სხვადასხვა რევოლუციურ წრესთან, ეხმარებოდა მათ ლიტერატურითა და იარაღით და ა. შ.

გ. ზდანოვიჩი ბაკუნისტურ პოზიციებზე იდგა, მომხრე იყო ბუნტისა და ტერორისა. ეს ნათლად ჩანს ერთ-ერთ წერილში, რომელსაც იგი უგზავნის ქართველ მეგობარს პროპაგანდის გაძლიერების საკითხთან დაკავშირებით: „გიგზავნით წიგნებსა და რევოლვერებს, გაშალეთ მუშაობა, დაერიეთ მტერს და დაუნდობლად ხოცეთ იგი“[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 461—462.

[2] იქვე.

[2] Г. М е г р е л и ш в и л и, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, გვ. 465.

[3] Журн. «Красный архив» 1917, № 11 (3-е письмо Г. Здановича), ზ. შ ვ ე ლ ი ძ ე, ამიერკავკასიელები სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციურ ორგნიზაციაში (1874—1876 წწ.), თბ., 1974, გვ. 105.

გ. ზდანოვიჩი, თავის რევოლუციურ გამოცდილებას უზიარებდა პერიფერიებში მომუშავეებს, აძლევდა მათ სათანადო რჩევა-დარიგებას. ასეთი რჩევა-დარიგებებია მოცემული მის წერილებში სხვადასხვა ორგანიზაციის წევრებისადმი. აქ ლაპარაკია პროპაგანდისტული მუშაობის გაშლა-გაფართოების გზების შესახებ.

გ. მაიაშვილს მიაჩნდა, რომ „ჩვენთან რუსეთში, ძლიერ ცოტანი არიან რევოლუციონერები, (ე. ი. ხალხში პრაქტიკულად მომუშავენი, — მ. ხ.) ვიმეორებ ცოტანი არიან“[4].

გ. ზდანოვიჩის ეს არასწორი მოსაზრება გამომდინარეობს იქიდან, რომ მას ნამდვილ რევოლუციონერებად მიაჩნდა მხოლოდ ის პირები, რომელთა პრაქტიკული მუშაობა ხალხში გასვლით გამოიხატებოდა. იგი უარყოფდა თეორიულ მუშაობას.

გ. ზდანოვიჩი აქტიური მონაწილე იყო აგრეთვე „ქართველთა წრისა“, რომელიც III განყოფილებას ყველაზე საშიშად მიაჩნდა. „ქართველთა წრის“ მონაწილე ქართველი რევოლუციონერ-ნაროდნიკები და მათ შორის ზდანოვიჩიც არ ისახავდნენ მიზნად საქართველოს რუსეთიდან გამოყოფას. მართალია, ოცნებობდნენ ეროვნული თავისუფლების მოპოვებაზე, მაგრამ ამის მისაღწევად სოციალურ რევოლუციას სახავდნენ, რომელიც სოციალურ ჩაგვრასთან ერთად მოსპობდა ეროვნულ ჩაგვრასაც[5].

გ. ზდანოვიჩი რევოლუციურ მოღვაწეობას 16 წლიდან იწყებს, ხოლო 20 წლის ასაკში, 1875 წლისათვის, იგი უკვე პატიმარია. მას მიესაჯა 6 წლითა და 8 თვით პატიმრობა და საკატორღო სამუშაოები. ჩამოერთვა ყოველგვარი უფლებები. იგი სასჯელს ჯერ ნოვო-ბელგოროდის ცენტრალურ საკატორღო ციხეში იხდიდა (3 წელი ცალკე საკანში იჯდა), ხოლო შემდეგ კი ციმბირში გადაასახლეს.

რევოლუციური მოღვაწეობა გ. ზდანოვიჩს არც ციხის პირობებში შეუწყვეტია. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს 1878—1879 წლების პატიმართა გაფიცვაში. აი, რა წერია მის შესახებ ერთ საარქივო დოკუმენტში. გ. ზდანოვიჩი წერილობით მოუწოდებდა დანარჩენ ტუსაღებს, მოეხდინათ ჯანყი ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომელიც ტუსაღებს ცუდად ეპყრობოდა, ამის გამო 1882 წლის 13 თებერვალს გ. ზდანოვიჩი გადაყვანილ იქნა კარის პოლიტიკურ დამნაშავეთა საკატორღო ციხეში, პატიმრობის ვადის დამთავრებამდე[6].

ციმბირში ყოფნის დროს გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილი აქტიურად მონაწილეობს ჟურნალების „კარის“ და „კარიისკი ლისტოკ ობიავლენიას“ გამოშვებაში. იგი „კარის“ ერთ-ერთი ნომრის რედაქტორი ყოფილა[7].

გადასახლებაში მყოფი ქართველი პატრიოტი არ ივიწყებდა თავის სამშობლოს. ჟურნალში იგი ათავსებდა სტატიებს საქართველოში რევოლუციური

---

[5] ი. ნორაკიძე, გ. ფ. ზდანოვიჩი-მაიაშვილი და ნაროდნიკობის საზოგადოებრივი-ეკონომიური აზრის ევოლუცია საქართველოში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში, თბ., 1968, გვ. 71.

[6] ზ. შველიძე, ამიერკავკასიელები სრულიად რუსეთის სოციალურ რევოლუციურ ორგანიზაციაში (1874—1876 წწ.) თბ., 1974, გვ. 110.

[7] ი. ნორაკიძე დასახ. ნაშრომი. Н. Виташевский, На Каре «Минувшие годы», 1914, № 8, გვ. 117—119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის შესახებ, მოუწოდებდა ქართველებს ებრძოლათ როგორც ეროვნული, ასევე სოციალური ჩაგვრის მოსასპობად. ციმბირში ყოფნის დროს მან „ივერიის“ რედაქტორს გამოუგზავნა „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“. სტატია დაიბეჭდა „ივერიაში“.

ამ წერილში ავტორი ავითარებს თავის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს. მისი აზრით, პოლიტიკურ და ეროვნულ მოვლენებს შეიძლება ყურადღება მიექცეს მხოლოდ ეკონომიკური მოვლენების (ამ შემთხვევაში სამიწაწყლო ურთიერთობა) შემდეგ, რადგანაც ეს უკანასკნელი (ე. ი. პოლიტიკური და ეროვნული მოვლენები) „პირდაპირ შედეგს წარმოადგენენ ეკონომიკურ მოვლენათა, თავისუფლება და მისი მოთხოვნილებანი, ყოველი პოლიტიკურად მონიჭებულნი, უფლებანი და პოლიტიკური თავაზიანობაც დავიწყებულ და უკუ-ტყორცნილ იქმნებიან ხოლმე თვით თავისუფლების მომხრეთა და მოყვარეთა მიერ, როდესაც საასპარეზოდ გამოდის სცენაზე ეკონომიური და პოლიტიკური საგანი... თავისუფლება უსაჭიროესი საგანია, მავრამ ამ საგნით სარგებლობა ეთავაზება ეკონომიურად ძლიერს თავის ინტერესების დასაცველად. ასეთი გახლავთ ეს ქებული პოლიტიკური თავისუფლება“[8].

გ. მაიაშვილი, აღწერს რა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრებას, პირველ რიგში აყენებს სოციალურ საკითხს, მოუცილებელს და საჭირო საგანს, რომელსაც უსათუოდ ადგილი უნდა ჰქონდეს პარტიების პოლიტიკურ ცხოვრებაში; დასავლეთ ევროპის პარტიებს შორის ბრძოლის გაცხარებას ზდანოვიჩი ხსნის ამ პარტიათა აზრების სხვადასხვაობით ეკონომიკურ საგნებზე. აღნიშნულ წერილში გ. ზდანოვიჩი ირლანდიის მოძრაობას თავისი ხასიათისა და მიმართულებით პოლიტიკურს უწოდებს. ამ მოძრაობის გამომწვევ მიზეზად კი ასახელებს ეკონომიკურ შევიწროებას. ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება გ. მაიაშვილს საკმარისად არ მიაჩნია ხალხის ნამდვილი განთავისუფლებისათვის: „ირლანდიელებისათვის მთავარია არა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, არამედ ხალხის ეკონომიური ურთიერთობის გადაკეთება, შეცვლა სამიწაწყლო ურთიერთობისა, გადაცემა მიწა-წყლისა მიწათმოქმედთა ხელში...“ ირლანდიელთა მოძრაობა გ. მაიაშვილის აზრით, „ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა, იგი რომ აგრარულ ნიადაგზე აღმოცენდა, ეს არ ცვლის მის არსს. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ინგლისელები ირლანდიაში გაბატონებული იყვნენ არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც“[9].

გ. მაიაშვილს სწამდა, რომ „ღრმა ეკონომიური ცვლილებებისათვის ბრძოლა, არის გზა ნამდვილი თავისუფლებისადმი, მხოლოდ საუკეთესო წესწყობილების დამყარება, რასაკვირველია, ნამდვილად გაათავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას“[10].

ამ აზრის დასასაბუთებლად ავტორს მოჰყავს იტალიის მაგალითი, სადაც მოძრაობას არ ჰქონია ეკონომიკური ხასიათი: „იტალიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ იმის გამო, რომ დავიწყებულ იქნა ხალხის ეკონომიური

---

[8] გ. ზ დ ა ნ ო ვ ი ჩ - მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ, გაზ. „ივერია“ № VII, გვ. 137.

[9] იქვე, გვ. 99.

[10] იქვე.

ინტერესი, იტალიელი ერის უმრავლესობას მძიმე შრომითაც კი არ შეუძლია მოიპოვოს საკმარისი საარსებო საშუალებანი და ამიტომ ტოვებს „ვანთავისუფლებულ სამშობლოს და მიდის სხვა ქვეყნებში „ლუკმა-პურის მოსაპოვებლად“[11].

იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ რომ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი არ მიიღო, ამის მიზეზს გ. მაიაშვილი ხედავს მოძრაობის ხელმძღვანელთა შეცდომებში. ამ შემთხვევაში კი ცდება, ეშვება სუბიექტური სოციოლოგიის პოზიციებზე და აშკარად ეწინააღმდეგება მარქსს, რომლის ციტატითაც იგი ამაგრებს თავის მრწამსს ეკონომიკის გადამწყვეტი როლის შესახებ.

გ. ზდანოვიჩი იწონებდა საფრანგეთის მაგალითს, სადაც მისი აზრით, აღარ არიან ბევრი პარტიები, სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისადმი განსხვავებული დამოკიდებულების ნიადაგზე გათიშულნი. იქ იყო, მისი აზრთ, ორი პარტია — ბურჟუაზიისა და ხალხის პარტია. პირველი იბრძოდა ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, მეორე — ხალხის ნივთიერი კეთილდღეობისათვის: „არასოდეს ბრძოლა მარტო პოლიტიკური პრინციპებისათვის არ ყოფილა ისეთი მედგარი და შეურიგებელი, როგორც ბრძოლა ეკონომიური ინტერესებისათვის“[12]; გერმანიის მაგალითის განხილვისას გ. ზდანოვიჩი აღნიშნავდა: „გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების განცხოველება პირდაპირი შედეგია მებრძოლთა პარტიების ეკონომიური პროგრამისაო“[13].

გ. მაიაშვილი იწონებდა ბისმარკის მიხვედრილობას, რომელმაც შეიგნო, რომ „სოციალური საქმე შეადგენს ქვაკუთხედს თანამედროვე ცხოვრებისას, რომ იგი ბატონობს სხვათა საქმეთა შორის, რომ მარტო მას აქვს მერმისი, მომავალი“, თუმცა მისივე აზრით, მართალია, ბისმარკმა შეძლო თავისებურად გადაეჭრა სოციალური საკითხი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგანაც მან იაფი დაპირებებით ვერ შეძლო მუშების მოტყუება, რომელთაც არ სურდათ საკითხის გადაწყვეტა რეფორმებით.

გ. მაიაშვილი კარგად ამჩნევდა კაპიტალიზმის მახინჯ მხარეებს, მაგრამ ვერ ხედავდა, რომ კაპიტალიზმი თვითვე ამზადებდა წინამძღვრებს თავისივე უარყოფისათვის, შობდა თავის მესაფლავეს პროლეტარიატს, რომელსაც ისტორია აკისრებდა კაპიტალიზმის დამხობის მსოფლიო ისტორიულ მისიას.

80-იან წლებში გ. მაიაშვილი თანდათან თავისუფლდება ხალხოსნური იდეების, სუბიექტური სოციოლოგიის გავლენისაგან. 1882 წელს მის მიერ გამოქვეყნებულ მთელ რიგ წერილებში კარგად ჩანს უკვე, რომ მას ეჭვი ეპარებოდა ხალხოსანთა ბევრ დოგმაში. იგი წინასწარ ჭვრეტდა ქვეყნის მომავალი განვითარების კონტურებს და მიხვდა, რომ კაპიტალიზმი არის მოწინავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და მისი განვითარების შეჩერება ადამიანის ძალას აღემატება. სწორედ ეს აზრი გამოხატა მან წერილში „ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი და მისი მოქმედება“, სადაც იგი აღიარებს: „როცა ქვეყანა პირვანდელ მეურნეობას ტოვებს და ითვისებს აღება-მიცემას და ფულად მეურნეობას, როცა კაპიტალი მეფობს ყველა დაწინაურებულ ქვეყანაში... მა-

---

11 გ. ზ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი - მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, წერილი ჩვენ საზოგადებრივ მოღვაწეთა მიმართ, გაზ. „ივერია“, VII, გვ. 99.

12 გ. ზ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი-მ ა ი ა შ ვ ი ლ ი დასახ. ნაშრომი, გაზ. „ივერია“, 1882, IX, გვ. 139.

13 იქვე.

შინ სვლა ნორჩი და უკან ჩამორჩენილის ქვეყნისა ამ ახალ გზაზედ ისეთი სწრაფია და ძლიერი, რომ რჩევა-დარიგებებით, საზნეობო ქადაგებით ძნელია შეუცვალოთ ხასიათი უკვე ფეხადგმულ საეკონომიო ევოლუციას[14].

გ. მაიაშვილი ამჟღავნებს უარყოფით დამოკიდებულებას საერთოდ კაპიტალიზმისადმი „ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, მისი აზრით, მოასწავებს, „მეტის უფლების მჭონეთა გამდიდრებას და ხალხის გაღატაკებას“.

გ. ზდანოვიჩი თავისი მსჯელობით გვევლინება ნამდვილ რევოლუციონერად, რომელსაც სოციალურ-ეკონომიკური წყობის შეცვლა შეუძლებლად მიაჩნია რეფორმებით და ასეთი ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებლად თვლიდა რევოლუციას, რომელიც დაამკვიდრებდა სოციალისტურ წყობილებას.

გ. ზდანოვიჩი ხსნას რევოლუციაში ხედავდა და ოცნებობდა იმ დროზე, როცა მშრომელი ხალხი ნაცრად აქცევდა თანამედროვე ბურჟუაზიულ და ჯერ კიდევ ერთგვარად ფეოდალურ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს და დაამყარებდა სოციალიზმს[15].

გ. ზდანოვიჩი ახასიათებს თავის თანამედროვე რევოლუციურ ახალგაზრდობას, მაგრამ პირველი ნაბიჯები, საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის გზა წარუმატებელი აღმოჩნდა. შემდეგ რევოლუციურ ახალგაზრდობას დაეხმარა, ერთი მხრივ, სოციალური სწავლების პროგრესი რუსეთში, მეორე მხრივ, რუსეთის შინაგანი პირობები, ამის საფუძველზე რევოლუციურმა ახალგაზრდობამ შეძლო გადაემუშავებინა სოციალიზმი მშვიდობიან-სახელმწიფოებრივ რევოლუციურ სოციალიზმად. გ. ზდანოვიჩი აღფრთოვანებულია ახალგაზრდობის რევოლუციური შემართებით და მთელი თავისი არსებით მათ გვერდით დგას.

„იგი არ შეიძლებოდა არ შემხებოდა მე, — წერს გ. ზდანოვიჩი, — მეც ამ გზით წავედი, ვმუშაობდი მთელი მონდომებით სახალხო განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, სანამ არ დამაპატიმრეს“[16].

გ. ზდანოვიჩი 1877 წ. „50-ის პროცესზე“ ასე განმარტავდა საზოგადოებრივი მოძრაობის არსს: „რა არის სახალხო აღორძინება? ის გამოიხატება იმაში, რომ ხალხის შრომა არ იყოს ექსპლუატირებული არავის მიერ არავითარი სახითა და საშუალებით, რომ ხალხის შეგნება არ დაიბუროს იმ უმეცრების ცრურწმენით, რომელიც არის შედეგი გამოუვალი სიღარიბისა. ამის მიღწევა შეიძლება სრული დამოუკიდებლობისა და თემების ავტონომიით, რომლებიც ფლობენ ერთობლივად მიწისა და შრომის ყველა საწარმოო იარაღებს. ამისათვის კი აუცილებელია შრომის თავისუფლება თითოეული ინდივიდისათვის“[17].

ყოველივე ამის განსახორციელებლად გ. ზდანოვიჩს აუცილებლად მიაჩნდა: 1. შეაგნებინოს ხალხს თავისი ინტერესების სოლიდარობა; 2. ნათელყოს ხალხის უკმაყოფილება; 3. გააერთიანოს დაქსაქსული ძალები და ერთიანი ძალით მიაღწიოს სამართლიანი არსებობის პირობებს.[18]

გ. მაიაშვილი აუცილებლად მიიჩნევს რა სოციალურ რევოლუციას, რწმენას გამოთქვამს, რომ იგი უეჭველად გაიმარჯვებს და მასში წამყვან როლს შეასრულებს ხალხი და პირველ რიგში ახალგაზრდობა: „სოციალური რევოლუ-

---

[14] მოამბე, 1896, № 12, გვ. 100—105.

[15] ЦГЛОР, ф. 102, д. 202, л. 30; ი. ნორაკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[16] Речи и биографии, М., 1907, გვ. 107—108.

[17] იქვე, გვ. 107.

[18] იქვე.

ცია ძლიერია თავისი პრინციპების სიწმინდით, მისი წევრების თავდადებით, მისი გამარჯვება გარდაუვალია... მე ღრმად მწამს ხალხის გამარჯვება ამ რევოლუციაში... ხალხი აძლევს მოძრაობას დიდ ძალას და მნიშვნელობას"[19].

ამ სტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ როლს ანიჭებდა გ. ზდანოვიჩი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში ხალხთა მასების როლს. რომ იგი ამ საკითხში შორდებოდა 70-იანი წლების ნაროდნიკებს, რომლებმაც ხალხთა მასების გადამწყვეტი როლის რწმენა სრულიად დაჰკარგეს და პოლიტიკური ბრძოლის გზად ტერორი გამოაცხადეს.

მართალია, გ. ზდანოვიჩი აღიარებდა ხალხთა მასების როლს საზოგადოების განვითარების ისტორიაში, მაგრამ ამავე დროს იგი არ უარყოფდა ისტორიის მსვლელობაში გენიალური ადამიანების როლსაც. მათზე მას აქვს საკუთარი მოსაზრებაც. „პოლიტიკურ მოქმედ პირთ ჰგონიათ, რომ პოლიტიკური მოძრაობა და ამბოხება იმათი მოქმედების წყალობით ხდება, მაგრამ ის კი არ იციან, რომ თვითონ ისინი არიან წარმოშობილი პოლიტიკური მოძრაობისაგან, რომლის ფესვი და ძირი იმალება ეკონომიურის ცხოვრების გაუვარგისებაში და მატერიალურის წარმოების შეცდომაში"[20].

გ. მაიაშვილი ახასიათებს რა ბელადებს, აღნიშნავს, რომ მათ არა აქვთ შეგნებული მოძრაობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი და ზოგჯერ არა სწორი გზით მიჰყავთ ხალხი.

გ. ზდანოვიჩის აზრით, ბელადები იწყებენ ზოგადიდან და გადადიან კერძოზე, მაგრამ ხშირად სურვილები არ უსრულდებათ და როცა ხედავენ ყოველივეს, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ „მოძრაობის დროს პირველად ხალხის ეკონომიური ინტერესები უნდა ვიქონიოთ სახეში და მერე სხვა ინტერესებიც, რომელთაც ხალხი აგრეთვე თანაუგრძნობს, — პოლიტიკური და ნაციონალური"[21].

ისტორიულ გმირებს — ბელადებს, გ. მაიაშვილის მსჯელობით, შეუძლიათ ისტორიას დაეხმარონ, შეუძლიათ გაასწორონ გამრუდებული გზა ისტორიისა, იქით მიმართონ გზა მისი, საითაც უკეთესია და სასურველი, ე. ი. მათ შეუძლიათ თავისი სურვილისამებრ მოაწყონ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთი[22].

კლასთა ბრძოლის თეორიას გ. მაიაშვილი აყალიბებს წერილებში „პასუხი ბატონ ჟორდანიას" და „ერთხელ კიდევ პატარა ადამიანებზე". იგი აკრიტიკებს ჟორდანიას, რომელიც საჭიროდ მიიჩნევს ყველა პარტიას თანაგრძნობა გამოუცხადოს, თუ ის პატარა ადამიანებისაგან შედგება. ავტორის აზრით, პარტიის და დაჯგუფებების შემადგენლობას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. არც კიდევ საზოგადოებაში წარმოებული ყველა ბრძოლა წარმოადგენს ბრძოლას ერთი კლასისას მეორის წინააღმდეგ. „ძალიან ხშირად,—ამბობს გ. ზდანოვიჩი—ბრძოლა მიმდინარეობს არა მერტო კლასთა შორის, არამედ ერთი და იმავე კლასის შიგნითაც. ეს რომ სხვანაირად ყოფილიყო, არ შეგვეძლო გაგვეგო ახალი ისტორიის ბევრი მოვლენა, არ შეგვეძლო აგვეხსნა ბურჟუაზიული

---

[19] Речи и биографии, М. 1907, გვ 107.

[20] გაზ. „ივერია", 1882, წ. № 9, გვ. 124.

[21] იქვე, გვ. 130.

[22] გ. ფ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი (ზდანოვიჩი), რჩ. ნაწ., ტ. 1, გვ. 106—107; ი. ნ ო რ ა კ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, .

კლასის შიგნით მრავალი პარტიის არსებობა. ყოველ ამ პარტიას აქვს თავისი ინტერესები და ამოცანები, მოქმედებენ გარკვეული პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეალების შესაბამისად. მაგრამ ყველა ისინი ეკუთვნიან ერთი და იმავე კლასს. ეს არის ერთი მთლიანის ნაწილი. შინაკლასობრივი ბრძოლის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც შეთვისებული აქვთ ცნობილი მოძღვრების არსი, მაგრამ მოკლებულნი არიან მისი სულისა და შინაგანი აზრის შეცნობის უნარს[23].

მართალია, გ. მაიაშვილს სჯეროდა სოციალური რევოლუციის გამარჯვებისა და ისიც სწორად განსაზღვრა, რომ კაპიტალიზმი უნდა შეცვლილიყო სოციალიზმით, მაგრამ თვით სოციალიზმზე მას გარკვეული წარმოდგენა არ ჰქონდა, მან ვერ შეძლო განესაზღვრა პროლეტარიატის წამყვანი როლი ამ რევოლუციაში და ამიტომაც ბუნებრივია, მან ვერ შეძლო სწორად განესაზღვრა სოციალიზმში გადასვლის გზები და ფორმები.

მართალია, გ. ზდანოვიჩი აღიარებდა კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ ვერ ამაღლდა ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგად დარჩა.

მიუხედავად ამისა, დიდია დამსახურება გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილისა, რადგანაც საქართველოში მარქსიზმის გავრცელებამდე მან აღიარა, რომ სოციალიზმი კაპიტალისტური განვითარების გარდაუვალი შედეგია, რომ სწორედ კაპიტალიზმი ქმნის მატერიალურ წანამძღვრებს სოციალიზმისათვის.

გ. ზდანოვიჩი არასწორად მიიჩნევდა ქართველი პატრიოტების პროგრამას და განაწყენებული ასე მიმართავდა საქართველოს საზოგადო მოღვაწეებს: „ღაღადება სკოლებში ქართული ენის შემოღებად, ქართული თეატრის გამართვაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენი ენის გამშვენებაზედ და სხვ. ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანავრძნობის ღირსნი საგნები არიან. მაგრამ ამ საგნებზე გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი იმას ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არ გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზედ დამყარებული. ეს მიუტევებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არც ერთ წრეს ხალხის ბელადთა... არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ ან გაუგებლობით უქცევს გზას ეკონომიური საგნების ახსნას და გადაწყვეტას, რომლების გამოსარკვევადაც იბრძვის ყველა თანამეღროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა“[24].

შემდეგ ავტორი გულისტკივილით ამბობს, რომ ჟურნალ-გაზეთებში ბევრი იწერება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაზე, საქართველოს ეკონომიკურ ტკივილებს კი ყურადღებას არავინ აქცევსო. აქვე გ. მაიაშვილი ბრალს დებს ქართველ მოღვაწეებს და მათ შორის თავის თავსაც, რომ ისინი კარგად არ იცნობენ ქართველ ხალხს, არ იციან მისი გაღარიბების მიზეზი, ხოლო ამის გარეშე კი მათ საზოგადო მოქმედებას არავითარი ნაყოფი არ მოყვება. ბოლოს ავტორი მოუწოდებს საზოგადო მოღვაწეებს, რომ დააარსონ სტატისტიკური კომიტეტები, რომლებსაც ქალაქის თვითმმართველობებსა და ბანკების გამგეობასთან ერთად შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ სოციალ-ეკონომიკური მასალების გამოვლენა-გამოცემაში.

---

[23] «Новое обозрение», Г. Маяшвили, 1899, № 5242.

[24] გაზ. „ივერია“, 1882, № 9, გვ. 190.

გ. ზდანოვიჩის აზრით, ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარის შესწავლით „შეიძლება გამოიკვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჭეშმარიტი, რომლის წყალობით შესაძლებელი იქნება მოიპოვოს კაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დამაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირვების და უილაჯობის ცრემლების მოსაწმენდად“[25].

სთავაზობს რა საზოგადო მოღვაწეებს თავის მოქმედების პროგრამას, გ. მაიაშვილს გამოკვლევის ღირსად მიაჩნია შემდეგი საკითხები: 1. რა ცვლილებები იქნენ შემოტანილი რუსეთის მიერ ქართველი ხალხის ცხოვრებაში; 2. რა გავლენა მოახდინა ხალხის ეკონომიკურ ყოფაზე საგლეხო რეფორმამ? 3. რა ზომის მიწა აქვთ ამჟამად გლეხებს? 4. როგორია ურთიერთობა გლეხთა და ნაბატონართა შორის[26].

შემდეგ ავტორი აყალიბებს კვლევა-ძიების მეთოდს, რომლისთვისაც აუცილებლად სცნობს, განისაზღვროს მეურნეობის შემოსავალ-გასავალი, წმინდა მოგება, დეფიციტი.

გ. მაიაშვილი იძლევა საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ანალიზს. რეფორმატორებს მიზნად არ ჰქონიათ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. მათი სურვილი იყო გზის გაკაფვა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისათვის. ვაჭარ-მრეწველთა კლასის გაძლიერება: „არაფერი არ გაკეთდა სოფლის ყოფა-ცხოვრების განკეთილებისათვის, ხალხის მდგომარეობა თუ არ გაუარესდა, არ გაუკეთესებულა... რუსეთის გლეხი წელშია მოხრილი და ძლივსღა სუნთქავს გადასახადების ტვირთის ქვეშ“[27].

გ. მაიაშვილის მსჯელობიდან ირკვევა, რომ „რუსეთის ხალხს, გლეხობას, არ შეუძლია თავის საჭიროებას გაწვდეს, რადგან მას მცირესაგან მცირე საგლეხო ნადელები აქვს და ეს სიმცირე ნადელებისა ხელს უშლის მას დამოუკიდებელი მეურნეობა ჰქონდეს“.

როგორც დავინახეთ, მაიაშვილის ლოგიკის თანახმად, გლეხთა საკითხის გადაწყვეტა გლეხთათვის მიწის სრულ საკუთრებად გადაცემაში იყო. ივი ვერ საზღვრავდა, რომ ამით გლეხისათვის სასურველი სოციალურ-ეკონომიკური წყობა ვერ დამყარდებოდა.

გ. მაიაშვილი სტატიაში „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“ აკრიტიკებს მწერლებს, რომლებიც საქართველოს წარსულისა და დიდების ქებას გაჰყოლიან და ვერ შეძლეს გაეცნოთ ხალხისათვის მაშინდელი უფლებრივი, იურიდიული და ეკონომიკური ურთიერთობა.

მართალია, გ. ზდანოვიჩი ქართულ მწერლობას ევროპულზე (რომელიც დაშორდა ხალხს) მაღლა აყენებს, მაგრამ მასაც უსაყვედურებს, რომ იგი გაყოლია უსაგნო მიბაძვას უცხოური ლიტერატურისას. გ. მაიაშვილის აზრით, საჭიროა: „შევაწყოთ და შევუთანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებებს „ვისწავლოთ და განვვითარდეთ ხალხთან ერთად, მასთან ერთადვე შევიმუშაოთ საზოგადოებრივი იდე-

[25] გაზ. „ივერია“, 1882, № 9, გვ. 190.
[26] იქვ.
[27] იქვე.

ალები, რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ უდიდეს ძალას და შეიძლებენ ყოველგვარი ბრძოლის და დევნის ატანას".[28].

გ. ზდანოვიჩი აყალიბებს თავის შეხედულებას ლიტერატურის ხალხურობის შესახებ: „ლიტერატურა უნდა შეიქმნეს, უპირველეს ყოვლისა, სახალხო ლიტერატურად. უკეთუ გვსურს, რომ მას ჰქონდეს გავლენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა. ჩვენი ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროს. მხოლოდ ეს მაშინ მოხდება, როცა ლიტერატურა ერთ-ერთ ნამდვილ გზას და ჭეშმარიტ მიმართულებას დაადგება, როცა იგი მიიღებს პატივდებაში ხალხის სურვილს... დაიცავს მის ინტერესებს, ე. ი. როცა ლიტერატურის მიერ ხშირად და უმთავრესად წამოყენებული იქნება საასპარეზოდ ხალხის გულის მომგები საგნები — ეკონომიკური და საზოგადოებრივი საქმეები"[29].

წარმოშობით პოლონელი, ქართველი ერის დიდი მოამაგე და პატრიოტი გ. ზდანოვიჩი აუცილებლად თვლის, რომ ქართველმა ქალებმა შეიძინონ სწავლა-განათლება, რადგანაც ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ერს აღუზარდონ განათლებული შვილები. „პირუტყვსავით დედად ყოფნა", აღნიშნავს გ. მაიაშვილი, ყველა დედაკაცს შეუძლია, ხოლო ყველას არ შეუძლია, სამწუხაროდ, სახელით და დიდებით აღასრულოს ის მოვალეობანი, რომლის ასრულებასაც უბრძანებს დედას ბუნებაცა და საზოგადოებაც"[30].

გ. ზდანოვიჩი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ქონებისა და დოვლათის წარმოებაში დედაკაცი მწარმოებლის როლში კი არ გამოდიოდა (როგორც მისი წინამორბედნი), არამედ მხოლოდ მომხმარებელი იყო და ბოლოს იგი იმედს გამოთქვამდა, რომ დედაკაცი, რომელიც ჩამორჩა მამაკაცს, მალე გაუთანაბრდება მასთ.

გადასახლებიდან ქუთაისში დაფუძნების შემდეგ, გ. ზდანოვიჩი მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. 1896 წ. არჩეულ იქნა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ. იგი აქტიურად ჩაება ბურჟუაზიულ პრაქტიკულ საქმიანობაში და იცავდა ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს. იგი საჭიროდ თვლიდა ქართველ მრეწველთა აქციონერულ საზოგადოებაში გაერთიანებას, რაც საშუალებას მისცემდა მათ დამოუკიდებლად გასულიყვნენ მსოფლიო ბაზარზე, რათა გაეზარდათ თავისი მოგება. მართლაც, მრეწველთა მიერ რამდენადმე იქნა შეფერხებული უცხოური კაპიტალის შემოჭრა ჭიათურის სამრეწველო რაიონში.

უცხოელი ექსპორტიორები აკრიტიკებდნენ მრეწველთა საბჭოს საზოგადოებას. მათ მხარი დაუჭირა ნ. ნიკოლაძემ, რომელიც გ. ზდანოვიჩის ბრძოლას უცხოელ ექსპორტიორთა წინააღმდეგ მის სუბიექტურ მისწრაფებად და შეცდომად თვლიდა, რაც თვით ნ. ნიკოლაძის მხრიდან იყო შეცდომა.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ზდანოვიჩი არსებითად ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგი გახდა, იგი ამავე დროს ცდილობდა, დაეცვა მშრომელი ხალხის ინტერესები, ასე მაგ., გ. მაიაშვილი მარგანეცის მრეწველობის პრობლემათა ზოგადი გადაწყვეტის დროს ეხებოდა (ნებით თუ უნებლიეთ) მუშათა მდგომარეობასაც, მაგრამ სწორად ვერ ახსნა ჭიათურის მუშების გაღატაკების ფაქტი და მის მიზეზად მიაჩნია მარგანეცზე ფასის დაცემა. მას აზრად არ მოს-

[28] გაზ. „ივერია", 1882 წ., № 9, გვ. 99—124.

[29] იქვე.

[30] გაზ. „ივერია", 1891 წ., № 267.

ვლია ის, რომ მუშათა ხელფასის შემცირება დამოკიდებული იყო მრეწველ კაპიტალისტებზე.

ხოლო როცა საქმე მრეწველთა ინტერესების დაცვას შეეხებოდა, გ. ზდანოვიჩი არ ერიდებოდა მთავრობის კრიტიკას. ერთ-ერთ სხდომაზე იგი აცხადებდა: „მთავრობა არა თუ არ ზრუნავს მრეწველობის განვითარებისათვის, არამედ პირიქით, მისი ღონისძიებები იწვევენ მარგანეცის მრეწველობის შეფერხებას“[31].

გ. მაიაშვილი, თავისუფლდება რა ხალხოსნური სუბიექტური სოციოლოგიის გავლენისაგან, ფხიზლად ადევნებდა თვალს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას და ცდილობდა განეჭვრიტა მისი მომავალი გზები. იგი მიხვდა, რომ კაპიტალიზმის განვითარების შეჩერება ადამიანის ძალას აღემატებოდა და უსაფუძვლოდ ჩათვალა ქვეყნის განვითარების ტენდენციასთან უაზრო ჭიდილი. მაგრამ გ. მაიაშვილს კაპიტალიზმი არასდროს მიუჩნევია იდეალურ წყობილებად — მეტნაკლები სიმწვავით აკრიტიკებდა მის სოციალურ წყლულებს და სიკვდილამდე ეძებდა უკეთესი მომავლისაკენ მიმავალ გზებს.

М. А. ХЕЦУРИАНИ

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЕ ВЗГЛЯДЫ Г. ЗДАНОВИЧА (МАЯШВИЛИ)

Резюме

В статье говорится о революционной деятельности грузинского народника Г. Здановича (Маяшвили). Если в 70-х годах Г. Маяшвили стоял на позициях Бакунина и был сторонником бунта и террора, то в 80-х годах он постепенно освобождается от влияния народнических идей и субъективной социологии.

Прекрасно сознавая недостатки капитализма, Г. Зданович видел избавление в революции и мечтал о том времени, когда трудящиеся массы свергнут буржуазию и установят социалистический строй. Признавая классовую борьбу, Маяшвили все же не смог подняться до уровня познания роли исторического материализма и остался мелкобуржуазным идеологом, не сумев правильно определить формы борьбы и пути перехода к социализму, а также ведущую роль пролетариата в революции. Критикуя капитализм, Г. Зданович до последних дней жизни искал пути борьбы за светлое будущее человечества.

წარმოდგენა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

[31] Труды XIII съезда марганцепромышленников, გვ. 86—88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა გაჭრაძე

თუმანიშვილთა საგვარეულოს გენეალოგიის დადგენის ცდა XVII—XVIII სს.

პირველი ცნობა თუმანიშვილთა შესახებ შემონახულია XV ს-ის დასაწყისიდან ამირეჯიბთა გვაროვნობით სიგელში, სადაც ნათქვამია: „... ვიყიდე ქუჩმო ბრეძა კლიმიჩაძისაგან და შევსწირე პატიოსანსა ულუმბისა ღთისმშობელსა და განუჩინე აღაპი ჩემი და ჩემის შჯლის რამინისათჳს საღულო შენი ჩიტალაძისაგან კუჭაძისთჳს მისყიდული. ახალდაბისათჳს მომცა, ვითაც ახალდაბა კუჭაძისაგან ჩემი ნასყიდი იყო. მისად სანაცვლოდ ახალდაბა თუმანიშვილისავე მისცა, ძუჩლთაგან მათი ყოფილიყო“[1].

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ამ გვარის არსებობა XIII ს-ში თუ არა XIV ს-ში მაინც უდავოდ სავარაუდებელია. ნ. ბერძენიშვილის აზრით, თუმანიშვილთა გვარის დამწყები ვინმე თუმან უნდა ყოფილიყო XIII—XIV სს პირი და რომ ეს გვარი უკვე XIV ს-ის დამდეგს ქართლში ბინადრობდა. ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd ფონდის № 14632 საბუთში მოხსენიებულ პირებს თუმანს, მურადს, ზაქარიას, ჯანისა და რატის ნ. ბერძენიშვილი თუმანიშვილებად მიიჩნევს[2].

პირველი ცნობა ამ საგვარეულოში მდივნის სახელოს არსებობის შესახებ ეკუთვნის XV ს-ის შუა წლებს. ეს არის ზაქარია თუმანიშვილი — სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი, რომელიც 1454—1487 წწ. ჩანს[3]. ამავე ხანებშია მდივნად სამეფო კარზე მურადი 1468 წ.[4] ორივე მათგანი დოკუმენტების შემდგენლებად ჩანან.

შემდეგი ცნობა თუმანიშვილების საგვარეულოში მდივნობის ხელის არსებობის შესახებ ეკუთვნის XVI ს-ეს. 1512—30 წწ. დავით მეფისა და მისი შვილის ლუარსაბის მეფის კარზე ჩანს მანუჩარ მდივანი[5]. 1546 წ. ლუარსაბ მეფის მიერ გაცემული სითარხნის წიგნი დაწერილია მდივან დავით თუმანიშვილის მიერ[6]. ხოლო 1558 წ. კონსტანტინე მეფის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის მიცემული შეწირულების წიგნი შედგენილია მდივან ბირთველის მიერ[7]. 1570 წ. მდივნად ჩანს ელიზბარი იმერეთის მეფის გიორგის კარზე[8]. 1581—84 წწ. სვი-

---

[1] თ. ჯორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, გვ. 201—213. (ქრ.).

[2] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, ნაკვ. I, 1937, გვ. 64.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 2007, Qd 9221, ქრ. II, გვ. 305—306, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსა) ფ. 1448, № 64,

[4] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, წ. II, № 30.

[5] ხელნაწერთა ინსტ., Hd 1372; სცსა, ფ. 1448, № 61.

[6] თ. ჯორდანია, ქრ., II, გვ. 387. გამოცემაში სწერია დავით მანიშვილი; უნდა იყოს თუმანიშვილი — ა. ბ.

[7] ხელნაწერთა ინსტ., Qd 1447; აღსანიშნავია, რომ ამ წელს კონსტანტინე მეფე წყაროებით ცნობილი არ არის.

[8] ხელნაწერთა ინსტ., Hd 2270.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონ მეფის კარზე საბუთის შემდგენელია შაველი, რომელიც სამეფო კარის ვაზირად იწოდება[9]. 1593—1624 წწ. მდივან-მწიგნობრად ჩანს ნასრი სვიმონ I, ლუარსაბ, ბაგრატ და სვიმონ II კარზე[10]. მისი შვილები არიან ბაინდურ, ყორხმაზ, მანუჩარ, სარაზან, ბეჟან[11].

ცნობების სიმცირის გამო ჩვენთვის ძნელი ხდება XV—XVI საუკუნეების თუმახიშვილთა საგვარეულოს გენეალოგიის დადგენა; გაცილებით მეტია დოკუმენტური მასალა მათ შესახებ XVII—XVIII სს. რაც გვაძლევს შესაძლებლობას მეტ-ნაკლებად დადგინდეს მათი ურთიერთდამოკიდებულება და იმ მდივნების მოღვაწეობის ხანა, რომლებსაც ვხვდებით მათ შორის ამ დროს.

1626 წ. სოფ. დარბაზის წყალობის წიგნში, რომელიც მიცემულია სვიმონ მეფის მიერ თუმანიშვილებისათვის, მოხსენებული არიან ბირთველ თუმახიშვილი და მისი ძმები თაყა, მანუჩარ, დავით[12]. 1683 წ. საბუთში მოხსენიებულია მათი მეხუთე ძმა ჯიმშიტა[13].

მოხსენიებული პირების გაყრის შედეგად XVIIს-ში დგინდება ამ საგვარეულოს სამი ძირითადი შტო (თაყასი, ბირთველისა და ჯიმშიტასი)[14]. ამ სამ ძირითად შტოზეა აგებული ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ორი საბუთი—თუმანიშვილთა გენეალოგიური ნუსხა Q 158/ბ, მიხეილ თუმანიშვილის პირად არქივში დაცული N 1072 თაყა თუმანიშვილის ჩამომავლობითი შტო და საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ძველი საბუთების ფონდში—ფ. 1448 № 8873—დაცული ამ საგვარეულოს მეორე წარმომადგენლის ჯიმშიტა თუმანიშვილის ჩამომავლობა.

ჩვენ ძირ შედგენილი გენეალოგიური ტაბულაც თუმანიშვილთა ამ სამი წარმომადგენლის ჩამომავლობაზეა აგებული.

თუმანიშვილთა საგვარეულოს მთელი გენეალოგია გამოქვეყნებული აქვს კ. თუმანოვს. Cyrille Toumanoff, Manuel de généalogie et de Chronologie pour l'histoire de la Caucase Chretienne (Armenie, Géorgie, Albanie) 1976, Roma[15].

თაყა თუმანიშვილის შტო. 1635 წ. როსტომ მეფის მიერ თუმანიშვილებისათვის მიცემულ სოფლის წყალობის წიგნში მოხსენიებული არიან ძმები თუმახიშვილები—თაყა, ბირთველ, მანუჩარ, დავით და მათი შვილები ბაინდურ,

---

[9] ხელნაწერთა ინსტ., Sd 2909.

[10] სცსა, ფ. 1540 დ. 26 № 3, ხელნაწერთა ინსტ., Hd 3056.

[11] ხელნაწერთა ინსტ., Ad 973. დასახელებულ პირთა დამოკიდებულება თუმანიშვილთა ძირითად შტოსთან, რომლის გენეალოგიის დადგენას ჩვენ ქვემოთ ვცდილობთ, ვერ გამოვარკვიეთ.

[12] ხელნაწერთა ინსტ., Sd 530.

[13] ხელნაწერთა ინსტ., Sd 44.

[14] მანუჩარი უშვილოდ გარდაიცვალა (ხელნაწერთა ინსტ., Sd 109, 1712 წ. საბუთი); დავითის შესახებ ჩვენ მეტად მცირე ცნობები გვაქვს; იგი ჩანს 1626—35 წწ. (ხელნაწერთა ინსტ., Sd 530, Ad 973).

[15] უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შედგენილ გენეალოგიაში არის ზოგიერთი ხარვეზი დოკუმენტური მასალის სიმცირის გამო. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვსარგებლობთ ძველი გენეალოგიებით. ჩვენსა და ძველ გენეალოგიებს შორის არის განსხვავებები, რაც მოტანილი გვაქვს სქოლიოებში. განსხვავებები არის ძველ გენეალოგიებს შორისაც. კ. თუმანოვის გენეალოგია იწყება XI საუკუნიდან და მისი ნუსხა წყვეტილია, ზუსტად არ ჩანს ჩამომავლობით თანმიმდევრობა, რაც სავსებით გასაგებია. რაც შეეხება ხელნაწერთა ინსტიტუტის და საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივის გენეალოგიებს აქ ის იწყება XV საუკუნის დასასრულიდან და XVI საუკუნის დასაწყისიდან.

გიორგი, ნასყიდა და მამუკა.[16] საბუთიდან არ ჩანს თუ რომელი ძმის შვილები არიან ეს უკახასკნელნი. 1657 წ. საბუთით ბაინდურიი თაყას შვილია. ამავე დოკუმენტიდან ჩანს თაყას კიდევ ორი შვილის სახელი — პაპა (პაპუა) და გორჯასპი და შვილიშვილები ზაალ და ბახუტა[17]. ბაინდურ და გორჯასპი საბუთებში ჩანან 1626—78 წწ.[18]. ზაალი და ბახუტა Q 158/ბ ნუსხით ბაინდურის შვილები არიან.



თაყა თუმანიშვილი დოკუმენტებში მდივნის თანამდებობაზე ჩანს 1607 წ. დედოფალ ნესტან-დარეჯანის კარზე, 1651 წ. ქარსიძეების გაყრის წიგნში როგორც მოხაწილე და 1658 წ. თუმანიშვილებისათვის მიცემულ სოფლის წყალობის წიგნში[19]. ზაალ თუმანიშვილი იხსენიება 1670—1726 წწ. 1675 წ. იგი ლევან ბატონიშვილის მდივნად იწოდება, 1726 წ. ადგენს ვახტანგ VI-ის მიერ გაცემულ საბუთს[20].

1800 წ. თუმანიშვილმა პაპუას შვილმა სილიბისტრომ და მისმა ძმამ იოსებმა მიჰყიდეს საწისქვილო თავის ბიძაშვილებს მდივან ეგნატის და მის შვილებს იესეს და დავითს[21]. ეგნატი ჩანს 1770 წ. ხელნაწერის ერთ ცნობაში. „აღმწერელი წმინდისა ამის სახარებისა თავადი ეგნატი ბაინდურის ძე თუმანიშვილი მსახურებდა ორთა საქართუველოს მეფეთა, ე. ი. ირაკლი მეორესა და გიორგისა, მდივნობის ხარისხითა“[22]. ამავე ხელნაწერში 229r აღნიშნულია ეგნატესა და მისი შვილების დაბადების თარიღები: ეგნატესი 1746 წ. გიორგის 1774 წ., იესესი 1777 წ., დავითის 180 წ, ანასი 1788 წ., ელისაბედის 1789 წ. ეგნატე მდივნად ჩანს 1801 წლამდე[23].



[16] ხელნაწერთა ინსტ., Ad 97.
[17] იქვე, Hd 13051.
[18] იქვე, Sb 530, Hd 2029, Ad 1016.
[19] ხელნაწერთა ინსტ. Hd 8273; სცსა, ფ. 1450, დ. 29 № 59, ხელნაწერთა ინსტ., Sd 532, 36.
[20] ხელნაწერთა ინსტ., Hd 2737, Ad 1521, სცსა, ფ. 1450 ღ. 5 № 42.
[21] იქვე, Hd 4796.
[22] იქვე, H 395, 3v.
[23] იქვე, Hd 2512.

ხელნაწერთა ინსტიტუტში Q 158/ბ დაცულ თუმანიშვილთა გენეალოგიური შტოსა და მიხ. თუმანიშვილის არქივში გენეალოგიურ ტაბულის მიხედვით ეგნატე თაყას ჩამომავალია.



ჩვენ მიერ შედგენილი გენეალოგიური ნუსხის მიხედვით თაყას ჩამომავლობა შემდეგი სახით გვაქვს დადგენილი:



თუ შევადარებთ ჩვენ მიერ შედგენილ ტაბულას მიხ. თუმანიშვილის არქივში დაცულ გენეალოგიას, დავინახავთ, რომ ჩვენს ნუსხას აკლია ერთი რგოლი, სახელდობრ ეგნატეს პაპა იესე და მისი ბიძა სვიმონ, რომლებიც ორივე ძდივხის ტიტულით არიან მოხსენიებული მიხ. თუმანიშვილის ტაბულაში. იესე ბაიდურ თაყას ძის შვილია[24]. 1680—1722 წწ. საბუთებში ჩანს ვინმე იესე თუმანიშვილი, ძირითადად როგორც საბუთის შემდგენელი[25]. ხოლო 1749 წ. თუმანიშვილთა ნასყიდობის წიგნში დასახელებულია ბაიდურა თუმანიშვილი იესეს ძეს[26] სვიმონის შესახებ არავითარი ცნობა არ გვაქვს[27].

---

[24] ამ შემთხვევაში ძირითადად ვეყრდნობით მიხ. თუმანიშვილის გენეალოგიურ ნუსხას.

[25] სცსა ფ. 1450 დ. 15 № 49; ხელნაწერია ინსტ., Hd 638.

[26] ფ. 1450 დ. 46 № 183.

[27] მიხ. თუმანიშვილის არქივში და Q 158/ბ დაცული თაყა თუმანიშვილის გენეალოგიური ნუსხა ერთნაირია. კ. თუმანოვისა კი ნაკლულია. იგი წყდება თაყას შვილიშვილებზე ზაალსა და ბახუტაზე.



თაყა თუმანიშვილის ძმის ჯიმშიტას ჩამომავლობაზე პირდაპირი ცნობა მხოლოდ ერთ საბუთში გვაქვს. 1664 წ. აბდულას, მის ძმას ესტატეს და მის შვილს ბეჟანს მიუყიდნიათ რეხას ვენახი თავის ნათესავების ჯიმშიტასა და მისი შვილების ზურაბ, სულხან, ქიშვარ, ყალანდარ, გიორგი და ლიპარიტისათვის[28]. მთელ რიგ დოკუმენტებში მოხსენიებული არიან ჯიმშიტა, მისი ძმა მანუჩარ და მათი შვილები ზურაბ, სულხან, ქიშვარ, ყალანდარ გიორგი და ლიპარიტ[29]. მანუჩარი, როგორც 1712 წ. საბუთიდან ჩანს უძეოდ გარდაცვლილა[30].

შემდეგი ცნობა ჯიმშიტას ჩამომავლობის შესახებ დაცულია 1688 წ. საბუთში, რომელშიც მოხსენიებული არიან თუმანიშვილი მდივანი ზუბიაშვილი გივი და მისი ბიძაშვილები შიოშ და მანუჩარ[31]. 1669 წ. იხსენიებიან მანუჩარის ძმისწულები ზურაბ, სულხან, ყალანდარ, ლიპარიტ, გიორგი და მისი შვილიშვილები გივი და დავით[32]. გივი ზურაბ მდივნის შვილია და თვითონაც ამ თანამდებობაზე ჩანს[33]. რაც შეეხება დავითს, იგი გივი მდივნის ძმა უნდა იყოს[34].



[28] ხელნაწერთა ინსტ., Hd 11032. საბუთში ჯიმშიტა გვარის გარეშეა დასახელებული. მაგრამ იგი ნამდვილად თუმანიშვილია.

[29] ხელნაწერთა ინსტ., Hd 2111, 8054, Sd 54. ჯიმშიტას შვილები ხშირად იწოდებიან ჯიმშიტაშვილებადაც.

[30] იქვე, Sd 109 მანუჩარი საბუთებში ჩანს 1626—73 წწ. იგი მკრიქიფეთუხუცესია (Hd 3164) 1628 წ. 1654 წლიდან მორდარია (Sd 798), ხოლო 1670 წ. იგი მდივნად იხსენიება (Sd 35). ცნობების უქონლობის გამო გაურკვეველია ერთდროულად ეჭირა მას სამივე ხელი თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ იგი მდივნად იხსენიება საბუთის შემდგენლად იგი არც ერთხელ არ შეგვხვედრია. უკანსკნელად საბუთებში იგი 1673 წ. ჩანს (Sd 41).

[31] იქვე, Hd 1994. ძველი გენეალოგიების მიხედვით (Q 158/8 მიხ. თუმანიშვილის არქ № 1072, სცსა, ფ. 1448 № 8873) ჯიმშიტას ოთხი შვილი ჰყოლია: გივი, სულხან, ყალანდარ, ლიპარიტ. სამეფო ჯარის ცნობილი მდივანი ზურაბ ჯიმშიტას ძე არც ერთ ნუსხაში არ ჩანს.

[32] იქვე, Sd 30, 40.

[33] ხელნაწერთა ინს. ,S 424, გვ. 453, ხელ. აღწერილობა S ტ. I, №424 ანდერძი.

[34] დავით ზურაბ მდივნის შვილის მოღვაწეობის წლებია 1668—97 ? (Sd 14, Hd 403).

ეროვნული
ბიბლიოთეკა







1720 წ. დოკუმენტში მოხსენიებული არიან მდივანი გივი, მისი შვილები დავით და ზურაბ და შვილიშვილი გივი, რომელიც ჩანს აგრეთვე 1733 წ.[35]. 1724 წ. ბაქარ მეფე უწყალობებს ტანისპირს სოფელს თუმანიშვილს მდივან დავითს, მის ძმას ნაზირს ზურაბას და ქაიხოსროს... საბუთში მოხსენიებული დავით მდივანი გივი მდივნის შვილია. იგი დოკუმენტებში გვხვდება 1703—1727 წწ. ხოლო მდივნად ჩანს 1723 წლიდან[36]. მისი ძმა ზურაბი გვხვდება 1703—24 წწ.[37]. 1749 წ. მოხსენიებული არიან თუმანიშვილი გივი მდივნის შვილის დავითის შვილები პატარკაცი და გივი[38]. პატარკაცი საბუთებში ჩანს 1737—54 წწ. იგი უშვილოდ ამოწყდა[39]. გივი დავითის ძე 1720—50 წწ. იხსენიება[40]. გივი მდივნის მესამე შვილი ქაიხოსრო ზემოთ მოტანილი საბუთის მიხედვით იხსენიება 1724 წ.[41]. იგივე პირი შეიძლება იყოს 1716 წ. მოხსენიებული ქაიხოსრო თუმანიშვილი, რომელიც ჩანს თავის შვილ ღვთისავართან ერთად[42]. ღვთისავარი გვხვდება კიდევ 1751 წ. ამავე საბუთში ჩანს მისი შვილი გიორგი[43].



1703 წ. ნაზარალიხანის მიერ გაცემულ წყალობის წიგნში მოხსენიებული არიან თუმანიშვილები მდივანი შიოშ-ბეგ, ძმა მისი მანუჩარ და მისი (ან მათი — ა. ბ.) შვილები სულხან, ნიკოლოზ, ქაიხოსრო და გივარგი[44]. საბუთიდან არ ჩანს თუ ვისი შვილები არიან შიოშ და მანუჩარ. ამის გარკვევაში ჩვენ გვშველის 1717—19 წწ. თუმანიშვილების გაყრის წიგნი, საიდანაც ჩანს,

---

35 ხელნაწერთა ინსტ., Sd 91, 241.
36 იქვე, Sd 127, Hd 14013, 9457,4472.
37 იქვე, Hd 14013, Sd 127.
38 იქვე, Qd 9037/ჱ.
39 იქვე, Hd 10359. სცსა, ფ. 1448 № 1913, ხელნაწერთა ინსტ. Hd 6360.
40 იქვე, Sd 91 Hd 9444.
41 იქვე, Sd 127.
42 იქვე, Hd 6376.
43 სცსა ფ. 1450 დ. 46 № 139.
44 ხელნაწერთა ინსტ. Hd 37.

რომ იყრებიან გივი მდივანი, მისი ბიძაშვილი მანუჩარ და მისი ბიძაშვილის შვილები — ნიკოლოზ და გიორგი, ყალანდარის შვილი ქარმიშ და ლიპარიტის შვილი ქიშვარ[45]. დასადგენია მანუჩარისა და შიოშის ადგილი გენეალოგიურ ნუსხაში. გივი მდივნის ბიძაშვილებიდან მეორე რიგში დასახელებული არიან შიოშ და მანუჩარ, რომლებიც ზურაბის მომდევნო ძმის სულხანის შვილები უხდა იყვნენ. შიოშის ძმა მანუჩარი ჩანს 1687 წლიდან[46]. შიოშ მდივნის ძე გიორგი გვხვდება აგრეთვე 1720 წ.[47]

1779 წ. სამამულე დავის განჩინების წიგნში აღნიშნულია „აბაშისშვილი ლუარსაბ ჩიოდა ჩემი მამული კიკეთი, ჩემი წილი, მდივნის შიოშის შვილს სულხან მდივანს მივყიდე ცარიელი ხარაბა მიწა უკაცოდ. კაცი არც დამიწერია, არც მიმიყიდია და მრავლის ჭირისა და ყიზილბაშობაში **შეწუხებისავან კახეთს** წაველ და ჩემს კახეთს ყოფაში სულხან მდივნის შვილს შიოშს ვეზირისათვის მიუყიდია...“[48] ე. ი. შიოშ მდივნის შვილი ყოფილა სულხან (2) მდივანი, რომელიც მოღვაწეობდა 1703—38 წწ. ხოლო ამ უკანასკნელისა შიოშ (2), რომელიც საბუთებში გვხვდება 1738—79 წწ.[49] ამავე წლებში იხსენიება სულხანის (2) შვილი გიორგი.



დასახელებული პირებიდან მდივნებად გვხვდებიან: ზურაბ ჯიმშიტას ძე კახეთის მდივანი 1665—1703 წწ. საბუთებში იგი საერთოდ ჩანს 1648 წლიდან[50]. სულხან ჯიმშიტას ძე ქართლის მდივანია 1673—99 წწ. საბუთებში ჩანს 1656 წლიდან[51]. ზურაბის შვილია სამეფო კარის ცნობილი მდივანი გივი თუმანიშვილი, რომელსაც ეს თანამდებობა ეჭირა 1681—1723 წწ. დოკუმენტებში იგი ჩანს 1664 წლიდან[52]. იგი მოღვაწეობს ჯერ გიორგი XI-ისა და ნაზარალიხანიდან ხოლო მერე ვახტანგ VI-ისა და ბაქარის კარზე. იგი ადგენს აგრეთვე ლევან და სვიმონ ბატონიშვილების მიერ გაცემულ საბუთებსაც. მის მიერაა

---

[45] სცსა ფ. 1448 № 608.
[46] ხელნ. ინსტ., Ad 984.
[47] იქვე, Qd 9037/დ.
[48] იქვე, Qd 273.
[49] სცსა ფ. 1450 დ. 13 № 232, ფ. 1448 № 79, ხელნაწერთა ინსტ. Qd 273.
[50] ხელნაწერთა ინსტ., Hd 2244, 1560, Qd 6922.
[51] იქვე, Ad 2246, Hd 9343, 2111; 1704—05 წწ. მოხსენიებულია ზურაბ მდივანი გვარის გარეშე. იგი თუმანიშვილი უნდა იყოს (სცსა ჯ. 1448 № 1075, ფ. 1450 დ. 10 № 114).
[52] სცსა, ფ. 1448 № 2283, ფ. 1450, დ. 52, № 72, ხელნაწერთა ინსტ., Hd 14538.

შედგეხილი 1701—03 წწ. არჩილ მეფის თხზულებათა კრებული, იგი ავტორია ვახტანგ VI-ის ეპიტაფიისა[53].

შიოშ სულხანის ძე მდივნად 1693—1714 წწ. გვხვდება[54]. საბუთებში იგი 1673 წლიდან იხსენიება[55]. მოღვაწეობდა ნაზარალიხანის და იმამყულიხანის კარზე. ნაზარალიხანმა მას უბოძა თუშეთის მდივნობა[56]. მისი ძმა მანუჩარი საბუთებში ჩახს 1718 წლამდე[57].

ძველ გენეალოგიებში შიოშ მდივნის შვილებად დასახელებული არიან სულხან და სვიმონ, ხოლო შიოშის ძმისწულად გორჯასპი[58]. 1748 წ. ვინმე სვიმონმა მისცა პირობა თავის ბიძაშვილს გორჯასპის[59]. საბუთში ამ პირების გვარი არ ჩანს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი თუმანიშვილები არიან, ვინაიდან ამ დროს მხოლოდ ამ საგვარეულოშია ცნობილი მდივნის თანამდებობაზე გორჯასპი, რომელიც უნდა იყოს იგივე ხელმწიფის მდივან-მწიგნობართ-უხუცესი მოხსენებული თავის შვილებით სულხან და მანუჩართან ერთად 1749 წ.[60]. და 1757 წ. სულხან, მანუჩარ და ყალანდართან ერთად[61]. მისი მეოთხე შვილი მაია ჩანს 1794 წ.[62].

სულხან გორჯასპის ძე აგრეთვე მდივანია 1766—1802 წწ[63]. იგი სამეფო კარის პირველ მდივნად იწოდება[64]. მანუჩარ გორჯასპის ძეს ლაშქარნივისის თანამდებობა უჭირავს 1773—1802 წწ.[65].

შემდგომი ხანის ცნობებს იძლევა 1785 წ. ნასყიდობის წიგნი: „ესე ნასყიდობის წიგნი და პირი დაგიწერე და მოგეც მე შენმა ბიძაშვილმა თუმანიშვილმა გიორგის შვილმა ზურაბ თქვენ ჩემს ბიძაშვილს მდივან გორჯასპის, მდივანს სულხანს და ძმასა თქვენსა ლაშქარნივისს მანუჩარს და კიდევ ძმასა თქვენსა ყალანდარს, შვილსა თქვენსა შიოშს, გივს, იოანეს, ზაალს და გორჯასპის და ძმისწულსა თქვენსა ლაშქარნივისის შვილს დავითს და ჯიმშერს... (მერე დასახელებულია ხასყიდობის რაობა)[66]. ჩვენი აზრით, აქ საბუთის მიმღები მდივანი გორჯასპი კი არ არის, არამედ მისი შვილი სულხანი თავის ძმებით, ვინაიდან საბუთი წარმოადგენს პირს და ტექსტი შემდეგნაირად უნდა იქნეს შესწორებული. „...მოგეც... თქვენ ჩემს ბიძაშვილს მდივან გორჯასპის (შვილს) მდივანს სულხანს და ძმასა თქვენსა ლაშქარნივისს მანუჩარს და კიდევ ძმასა თქვენსა ყალანდარს.“[67]

საბუთში მოხსენიებული პირებიდან სულხან მდივანი, ლაშქრნივისი მანუ-

---

53 ხელნაწერთა ინსტ. S 424 გვ. 453; ელ. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, თსუ შრომები ტ. 43.

54 სცსა, ფ. 1448 № 8829; ხელნაწერთა ინსტ. Ad 782.

55 ხელნაწერთა ინსტ., Ad 2246.

56 სცსა ფ. 1448 № 10035.

57 ხელნაწერთა ინსტ., Sd 95.

58 იქვე, Q 158/ბ სცსა ფ. 1448 № 8873.

59 იქვე, Hd 7864.

60 იქვე, Hd 1828. გორჯასპი იხსენიება მდივნად 1748 წ. (Hd 38).

61 იქვე, Sd 211.

62 იქვე, Hd 3852.

63 იქვე, Hd 2743, 4820.

64 იქვე, Sd 174.

65 სცსა ფ. 1450 დ. 34, № 135, ხელნაწერთა ინსტ. Hd 3589.

66 ხელნაწერთა ინსტ. Qd 9037/რიზ.

67 საბუთ-ს მიმცემი უნდა იყოს შიოშ (I) მდივნის შვილიშვილი ზურაბ გიორგის ძე.

ჩარ და ყალანდარ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდივან გორჯასპის შვილები არიან. საბუთში ნათქვამია, რომ დავით და ჯიმშერ მანუჩარ ლაშქარნივისის შვილები არიან. დანარჩენი პირები სულხანისა და ყალანდარის შვილებად უნდა ვიცნოთ[68]. ამათგან შიოშ და გივი მდივან-მწიგნობრები არიან, 1787 წ. ერეკლეს მიერ დემეტრე ბეგიაშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნი დაწერილია მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილ სულხან მდივნის ძის შიოშის ხელით[69], ხოლო 1796 წ. იულონ ბატონიშვილის მიერ გაცემული წყალობის წიგნი შედგენილია მდივან-მწიგნობარ გივი თუმანიშვილის მიერ, რომელიც 1795 წ. სულხან მდივნის ძედ იწოდება[70]. შიოში ამ თანამდებობაზე ჩანს 1792 წლამდე, ხოლო გივი 797 წლამდე[71]. საბუთში მოხსენიებული არიან მანუჩარ ლაშქარნივისის შვილები ჯიმშერ და ელისაბედ[72].



ჯიმშიტას მესამე შვილია ყალანდარ — 1656—97 წ.[73]. რომელსაც ერთი შვილი ჰყოლია ქარმიშა. იგი ჩანს 1711 წ.[74] 1719 წ. იგი ბერად შემდგარა ჭრისტეფორეს სახელით, უმოგზაურია იერუსალემში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიუღია თბილელობა[75]. ამ თანამდებობით იხსენიება იგი 1762 და 1763 წწ. საამშენებლო წარწერებში[76] 1763 წ. წარწერა საინტერესო ცნობას იძლევა თუმანიშვილთა საგვარეულოში მდივნობის სახელოს არსებობის შესახებ. „... მე უნდო უღირსს მონასა, ტომად ვიდრემე ქართველთ მეფის მწიგნობართუხუცესის ძეს თუმანისშვილს მროველყოფილს ტფილელს [ქრ]ისტეფორეს მოსახსენებლად სულისა ჩემისა“...[77] როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, ჭრისტეფორე-ქარმიშას თბილელობამდე რუისის კათედრა სჭერია. იგი ყოფილა მწიგნობართუხუცესის ძე. მისი მამა ყალანდარი ამ ტიტულით სხვა-

---

[68] სცსა ნუსხით (1448 № 8873) შიოშ და იოანე სულხანის შვილები არიან. ამავე ცნობით სულხანს კიდევ ჰყოლია შვილი ქაიხოსრო.

[69] ხელნაწერთა ინსტ., Qd 1920.

[70] სცსა ფ. 1448 №№ 1021, 4206.

[71] იქვე, ფ. 1450 დ. 5 № 89, ხელნაწერთა ინსტ., Qd 761.

[72] ხელნაწერთა ინსტ., Sd 414. (1799 წ.)

[73] იქვე, Hd 2111, Sd 396.

[74] იქვე, Sd 89.

[75] იქვე, Qd 7905 (1666 წ. საბუთი).

[76] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, № 45, 49., თბ., 1953.

[77] იქვე, № 49.

ვან არსად არ არის მოხსენიებული. ქრისტეფორე საბუთებში ჩანს 1769 წლამ დე.[78]

ლიპარიტის (1664—83)[79] ჩამომავლობის შესახებ შემდეგი ცნობები გვაქვს. 1703 წ. დემეტრე შანაშვილმა მიჰყიდა მიწა თუმანიშვილს მდივან გივის, ლიპარიტს და „შვილთა თქუენთა დავითს, ზურაბს, ქიშვარს, დემეტრეს“[80]. დავითი და ზურაბი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მდივან გივის შვილები არიან, ხოლო ქიშვარი და დემეტრე ლიპარიტის ძენი უნდა იყვნენ. 1719 წ. ყალანდარის შვილმა ქარმიშამ მიჰყიდა თავის ბიძაშვილს ლიპარიტის შვილს ქიშვარს და მის ძმებს დემეტრეს და გიორგის საკომლო[81]. გიორგი ლიპარიტის შვილი იხსენიება აგრეთვე 1767 წ.[82]. მას ჰყოლია ძე ზურაბ და შვილიშვილი დავით (ზურაბის ძე), რომლებსაც ვხვდებით 1791 წ.[83]



ბირთველ თუმანიშვილი სამეფო კარის მდივან-მწიგნობრად საბუთებში გვხვდება 1626—81 წწ.[84]. მდივნად იგი 1630 წლიდან მოღვაწეობს. იხსენიება მდივანთ-უხუცესადაც[85].

1683. წ თუმანიშვილების ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული არიან ბირთველის შვილი ბეჟან თავისი შვილებით ბირთველ, მანუჩარ, ფირან, და ზაზა; ამავე საბუთიდან ჩანს ბირთველის მეორე შვილი—ბეჟანის ძმა გიორგი[86]. ამათგან ბირთველი ჩანს 1688 წლამდე,[87] ხოლო მანუჩარ, ფირან და ზაზა 1702 წლამდე[88]. ბეჟანი გვხვდება 1658—97 წწ.[89]

---

78 ხელნაწერთა ინსტ., Sd 204.

79 იქვე, Hd 11032. Sd 44.

80 იქვე, Hd 14013.

81 იქვე, Qd 9037/რიგ.

82 იქვე, Hd 8526.

83 ხელნაწერთა ინსტ., Hd 14853. ძველი გენეალოგიების მიხედვით ლიპარიტ ჯიმშიტას ძეს სამი შვილიდან. — გიორგი, დავით, ქიშვარ—დავით და ქიშვარ უძეოდ ამოწყდნენ; მესამე შვილის გიორგის ძეა ზურაბი, რომელსაც ამ ნუსხებით სამი შვილი ჰყოლია — გიორგი, ტეტია, დავით.

84 ხელნაწერთა ინსტ. Sd 530, Hd 3911, სცსა ფ. 1450 დ. 12 № 116.

85 სცსა, ფ. 1448 № 5101, 560.

86 ხელნაწერთა ინსტ. Sd 44.

87 იქვე, Sd 43.

88 იქვე, Sd 75.

89 იქვე, Sd 36, 396. 1677 წ. საბუთში ჩანს კიდევ ერთი ბეჟანი, რომელიც იხსენიება თავის ბიძებთან — ესტატე, ჭაიხოსრო და ქიშვართან ერთად (Hd 9652). იგი თუმანიშვილთა სხვა შტოს ჩამომავალი უნდა იყოს.

გიორგი ბირთველის ძე სამეფო კარის მდივანია, რაც დასტურდება 1755 წლის თეიმურაზ მეფის მიერ თუმანიშვილებისათვის მიცემულ დავის განჩინებით. ამ ცხობის მიხედვით მდივან ოთარსა და მისი ბიძის ზაქარიას შვილებს ჭოუტახიათ საბუთი, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ ეს მამულები "...პაპის ჩვენის მაძის ბირთველისა და მდივნის გიორგის ნასყიდი იყო და ამის ძმის ბეჟახისაო. ბეჟან და პაპა ჩვენი გიორგი მდივანი რომ გაყრილან, ეს ხოდაბუხი ვასაყოფი დარჩაო..."[90].



1686 და 1689 წწ. საბუთებში მოხსენიებულია ზაქარიას ძმა მდივანი ოთარ[91]. მისი შვილია ოთარ, რომელიც ჩანს თავის მამასთან ერთად 1716 წ. ნასყიდობის წიგნში. „... მოგეცით ჩვენ ცალქალამანიძემ ფირან და ლუარსაბ... თქვენ თუმახიშვილს მდივანს ოთარს და შვილსა თქვენსა პატარა ოთარსა..."[92] „პატარა ოთარიც" მდივანი ყოფილა და იგი ამ თანამდებობაზე ჩანს 1755 წ.[93]. 1647 წ. ნასყიდობის წიგნში გვხვდება გიორგი ბირთველის ძის მეორე ძმა ნასყიდა. იგივე პირი უნდა იყოს 1658 წ. მოხსენიებული ნასყიდა თავის ბიძებთან ერთად[94]. (სქემა იხ, გვ. 95).

1718 წ. ზაქარია თუმანიშვილს და მის შვილებს ბირთველსა[95] და ზაალს გაბრიელ ჩხიკვაძემ მიჰყიდა მიწა, ხოლო 1723 წ. ვახტანგ მეფემ უბოძა ზაქარია თუმანიშვილს და მის შვილებს ბირთველს, ზაალსა და ფარემუზს მამული. 1735 წ. იხსენიებიან მდივანი ბირთველი და მისი ძმები ფარემუზ, ედი

---

[90] ხელნაწერთა ინსტ., Hd 9658. საბუთებში გვხვდება გიორგი ბირთველის ძის გარდა მეორე გიორგი; იგი ჯიმშიტას შვილია. ორივე მათგანი დაახლოებით ერთი და იმავე დროს მოღვაწეობენ, მაგრამ არც ერთხელ არ იხსენიებიან მამის სახელით. იმის დადგენა თუ რომელი მათგანი იგულისხმება საბუთში ირკვევა დოკუმენტის შინაარსიდან. გიორგი ჯიმშიტას ძე იხსენიება ყოველთვის თავის ძმებთან — ზურაბ, სულხან, ქაშვარ, ყალანდარ და თავის ბიძა მანუჩართან ერთად. გიორგი ბირთველის ძე კი ჩანს თავის მამისა და ბიძების თაყას, მანუჩარის და მათ შვილებთან ერთად. ამის მიხედვით შეიძლება დადგინდეს მათი მოღვაწეობის წლები: გიორგი ბირთველის ძე ჩანს 1635—96 წწ. (Ad 972, 1751); 1653 წლიდან იგი სამეფო კარის მწერალია (Qd 1653); 1658 წლიდან კი მდივან-მწიგნობარია (Sd 2975). გიორგი ჯიმშიტას ძე ჩანს 1664—71 წწ. (Hd 14538, Sd 59).

[91] მატენადარანი, ფ. 252 № 9; სცსა ფ. 1450 დ. 30 № 102.

[92] ხელნაწერთა ინსტ. Ad 1498/4.

[93] სცსა ფ. 1450 დ. 46 № 143, დ. 2 № 155.

[94] იქვე. ფ. 1448 № 273; ხელნაწერთა ინსტ., Sd 532.

[95] Q 158/ბ ნუსხის მიხედვით ბირთველს ორი შვილი ჰყავდა გიორგი და ფირანი, მ. უკანასკნელის შვილი ყოფილა ბეჟან და შვილიშვილი გიორგი, რომელიც უძეოდ გარდაიცვალა.



შერ, დემეტრე, ყარდაშ და მისი შვილები გიორგი და ზაალ[97]. ამათგან ედიშერი მდივანია, რაც ჩანს შემდეგი დოკუმენტიდან. 1755 წ. თუმანიშვილ მდივან ოთარის შვილმა ოთარ მდივანმა მისცა პირობა თავის ბიძაშვილებს ფარემუზს და მდივან ედიშერს და მათ ძმისწულებს ზაალსა და კაცოს[98]. ამავე წლით დათარიღებულ მეორე საბუთიდან ჩანს ოთარ (უმცროსის) მდივნის და თამარი, რომლისთვისაც ოთარს მიუყიდია თავისი წილი დუქნის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი მის ბიძას ზაქარიას რგებია[99]. 1756 წ. იხსენიებიან ედიშერ მდივანი და მისი შვილი იოსებ[100]. 1781 წ. თუმანიშვილმა ბირთველის შვილმა კაციამ, მისმა შვილებმა ბირთველმა და ზაალმა, ფარემუზის შვილმა ოთარმა მიჰყიდეს სახლის ალაგი თავის ბიძაშვილს მდივან ედიშერის შვილს მდივან იოსებს და მის შვილებს დიმიტრის, ზაქარიას, გოგიას, დავითს, სვიმონს, იოანეს და ედიშერს[101]. 1782 წლიდან დოკუმენტებში ჩანს იოსების შვილი სოლომონ, ხოლო 1797 წლიდან მისი შვილი ოთარ[102]. იოსებ მდივნის ყველა შვილი, ედიშერის გარდა, საბუთებში გვხვდებიან 1803 წლამდე[103] (სქემა იხ. გვ. 96).

გიორგი ბირთველის ძის ორივე შვილი ზაქარია და ოთარ მდივნები არიან. ზაქარია გიორგის ძე მდივნად ჩანს 1690 წ.[104] იგივე პირი უნდა იყოს 1658—1722 წწ. დოკუმენტებში მოხსენიებული ზაქარია მდივნობის ტიტულის გარეშე[105]. ოთარ გიორგის ძე გვხვდება 1662—1716 წ. მდივნად იგი 1685 წლიდან

---

[96] სცსა, ფ. 1450 დ. 46 № 145. დ. 2 № 159.
[97] იქვე, ფ. 1450 დ. 2 № 162.
[98] იქვე, ფ. 1450 დ. 2 № 155.
[99] იქვე, ფ. 1450 დ. 2 № 163.
[100] იქვე, ფ. 1450 დ. 2 № 164.
[101] იქვე, ფ. 1450 დ. 2 № 154.
[102] იქვე, ფ. 1450 დ. 46 № 267.
[103] სცსა ფ. 1448 № 6083. რაც შეეხება ედიშერს იგი საბუთებში 1783 წლიდან აღარ ჩანს (სცსა ფ. 1450 დ. 2 № 157).
[104] სცსა ფ. 1448 № 8898.
[105] ხელნაწერთა ინსტ., Sd 36, Hd 6380.

ჯახს[106]. მისი შვილი ოთარ (2) კი 1705—55 წწ.[107] ბირთველ (2) მდივნის ჩამოშავლებში ამ თანამდებობაზე გვხვდებიან კიდევ ბირთველ (3) ზაქარიას ძე 1710—35 წწ. საბუთებში იგი ჩანს 1709 წლიდან[108]. ედიშერ ზაქარიას ძე 1749—78 წწ. საერთოდ იგი გვხვდება 1735 წლიდან[109]. იოსებ ედიშერის ძე 176—91 წწ. საბუთებში საერთოდ ჩანს 1756 წლიდან[110]. დიმიტრი იოსებ მდივნის შვილი მდივნის თანამდებობაზე ჩანს 1781—1803 წწ.[111] ბირთველ (4) კაციას ძე მდივნად იხსენიება 1779—1802 წწ.[112] ოთარ ფარემუზის ძე ჩანს 1778 წლიდან, მდივნად კი 1785 წლიდან[113].



თუმანიშვილთა საგვარეულოში ჩვენ ვხვდებით რამდენიმე პირს, რომლებსაც უჭირავთ მდივნის თანამდებობა და რომელთა ვინაობა და ადგილი დასადგენია გენეალოგიურ ნუსხაში. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის არ ხერხდება სათანადო მასალის უქონლობის გამო. ეს პირები არიან გორჯასპი, ბეჟან, ზაალ, თამაზ, ესტატე, პაპუა, ქაიხოსრო და დემეტრე.

გორჯასპი თუმანიშვილი ჩანს XVII საუკუნის შუა წლებიდან მთელი

---

[106] ხელნაწერთა ინსტ., Sd 66, Ad 1498/4; სცსა ფ. 1448 № 610.

[107] სცსა ფ. 1450 დ. 46 № 143, დ. 2 № 155; 1722 წ. ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია ოთარ მდივანი. ჩვენთვის გაურკვეველია თუ რომელ ოთარზეა აქ საუბარი (Ad 1498/17).

[108] ხელნაწერთა ინსტ., Sd 596, სცსა ფ. 1450 დ. 2 № 162, დ. 46 № 151.

[109] ხელნაწერთა ინსტ., Hd 3237, სცსა ფ. 1450 დ. 46 № 175, დ. 2 № 162. 1758, 1761 და 1773 წწ. დოკუმენტებში მოხსენიებულია ვინმე ედიშერ მდივანი როგორც საბუთის შემდგენელი, მიმღები და მოწმე გვარის გარეშე (ხელნაწერთა ინსტ., Qd 6965, Ad 2057, Hd 4970); ვინაიდან ამ დროს ედიშერის სახელით სხვა მდივანი არ ჩანს, საფიქრებელია, რომ იგი თუმანიშვილი უნდა იყოს.

[110] სცსა, ფ. 1450 დ. 48 № 37, ფ. 1448, № 26, ფ. 1450 დ. 2 № 164.

[111] ხელნაწერთა ინსტ., Sd 144, სცსა ფ. 1448 № 6083.

[112] იქვე, Hd 31, Ad 2193.

[113] სცსა ფ. 1450 დ. 46 № 131 საქ. სიძველენი წ. III № 585.

XVIII საუკუნის მანძილზე. პირველად იგი მდივნად [1664—75] წწ. დათარიღებულ საბუთში იხსენიება, ხოლო უკანასკნელად 1782 წ.[114] ასეთი დათარიღება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ ორ სხვადასხვა პირთან გვაქვს საქმე. ამიტომაც დასადგენია ზღვარი გორჯასპი I-სა და გორჯასპი II-ეს მოღვაწეობის შორის. ამ სახელით ცნობილია თაყა თუმანიშვილის შვილი, რომელიც პირველად 1626 წ. ჩანს.[115] მის მიერ არის შედგენილი დოკუმენტი, გაცემული არჩილ მეფის მიერ მისი კახეთში მეფობის დროს 1664—75 წწ.[116] იგივე პირი უნდა იყოს 1678 წ. ქსხის ერისთავის დავითის მიერ თუმანიშვილებისათვის მიცემულ წყლის ვახწესების წიგნში მოხსენიებული გორჯასპი, მდივნის ტიტულის გარეშე.[117] ჭეორე გორჯასპი სამეფო კარის მდივან-მწიგნობართუხუცესი მდივან სულხანის შვილიშვილია და შიოშ მდივნის ძმისწული. მდივნად 1733 წლიდან ჩანს[118]. 1713 წ. საბუთში მოხსენიებული არიან მდივანი გივი, მისი ბიძა ლიპარიტ, მისი ბიძაშვილები მანუჩარ, ქარმიშა და „შვილნი მათნი დავით, ზურაბ, ქიშვარ, ტეტია და გორჯასპი“[119]. ჩამოთვლილი პირებიდან ყველა ცნობილია გორჯასპის გარდა. აქ მოხსენიებული გორჯასპი მანუჩარის ძე უნდა იყოს. საბუთში მოხსენიებული არიან გივი მდივანი, მისი ბიძაშვილები მანუჩარ სულხანის ძე, ქარმიშა ყალანდარის ძე და მათი შვილები, რომელთაგან დავითი და ზურაბ გივის შვილები არიან, ტეტია და ქიშვარ ლიპარიტის, ხოლო გორჯასპი მანუჩარის. ქარმიშა უძეო იყო. გორჯასპი ჩანს აგრეთვე 1712 წელსაც[120]. ამრიგად გორჯასპის მოღვაწეობის ქვედა თარიღად 1712 წ. ხოლო ზედა თარიღად 1782 წ. უნდა იქნეს მიღებული. მდივნად იგი 1733 წლიდან გვხვდება.

ზაალ თუმანიშვილი საბუთებში იხსენიება 1670—1726 წწ.[121]. 1675 წ. იგი ლევან ბატონიშვილის კარის მდივანია[122] 1726 წ. იგი ადგენს ვახტანგ VI-ის მიერ გაცემულ საბუთს[123]. ზაალი, ჩვენი აზრით უნდა იყოს თაყა თუმანიშვილის შვილიშვილი, რომელიც საბუთებში პირველად გვხვდება 1657 წ.[124] თუმცა ამის პირდაპირი ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება.

დანარჩენი პირები (თამაზ ესტატე ,ბეჟან, ქაიხოსრო) ჩვენს გენეალოგიურ ნუსხაში ვერ თავსდებიან. სავარაუდებელია, რომ ისინი თუმანიშვილთა საგვარეულოს სხვა განშტოების წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ეს ყველაზე უკეთესად ჩანს 1678 წ. ესტატე თუმანიშვილის მიერ ზურაბ ჯიმშიტას ძე თუმანიშვილისათვის მიცემულ ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნიდან, სადაც ზურაბი

114 ხელნაწერთა ინსტ. Ad 1212, სცსა, ფ. 1448 № 5480.

115 ხელნაწერთ ინსტ., Sd 530.

116 იქვე, Ad 1212, სცსა ფ. 1448 № 602.

117 იქვე, Ad 1016.

118 იქვე, Sd 718.

119 იქვე, Sd 85.

120 იქვე, Hd 9298, Qd 9037/ნზ.

121 იქვე, Hd 2737, Ad 1521.

122 სცსა, ფ. 1450 დ. 5 № 42.

123 ხელნაწერთა ინსტ. Ad 1521.

124 ხელნაწერთა ინსტ., Hd 13051. ზ. ჭიჭინაძე და თ. ჟორდანია ფიქრობენ, რომ ზაალის მიერ არის გადმოთარგმნილი „ლეილ-მაჯნუნიანი“. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეს ცნობა ხელნაწერის 790 ფ. 46 მინაწერის არასწორი გაგების შედეგი უნდა იყოს და დადასძენს, რომ აქ ზაალი მთარგმნელი კი არა, არამედ გადამწერი უნდა იყოს (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ II, 1952, თბ., გვ. 284); ალ. ბარამიძის ცნობით, ეს ხელნაწერი XVIII საუკუნის პირველ ნახევრისაა და მაშასადამე ზაალიც ამ დროს მოღვაწეობდა (თეიმურაზ I, გვ. 013, ალ. ბარამიძის გამოცემა, 1934). ამასვე ადასტურებს ჩვენ მიერ მოტანილი 1726 წ. დოკუმენტი Ad 1521).

მოხსენიებულია როგორც ესტატეს განაყოფი[125]. ესტატე თუმანიშვილი გვხვდება 1660—1705 წწ.[126]. იგი 1693 წლიდან დედოფლის კარის მდივნად იხსენიება[127]. მის მიერ არის შედგენილი აგრეთვე კერძო პირთა მიერ გაცემული დოკუმენტები[128]. იგი ზოგჯერ მამის სახელით ხოსიტას შვილად იწოდება. 1660 წ. ხოსიტა თუმანიშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში იხსენიებიან ხოსიტას შვილები ესტატე და აბდულა[129]. 1673 წ. ესტატემ და მისმა შვილებმა ქაიხოსრომ და შაველიმ თავის განაყოფ მანუჩარ თუმანიშვილს მიჰყიდეს ყმა[130], ხოლო 1677 წ. ესტატესთან ერთად იხსენიებიან მისი ძმები ქიშვარ, ქაიხოსრო და მისი ძმისწული ბეჟან[131].



1703 წ. თუმანიშვილების მამულის ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული არიან აბდულა და ესტატე და „მისი შვილი ბეჟან“[132]. ვინაიდან ზემოთმოტანილი დოკუმენტებით ცნობილია, რომ ბეჟანი ესტატეს ძმისწულია, გამოდის რომ იგი აბდულას შვილია.



ამრიგად, ესტატე თუმანიშვილი მანუჩარ თუმანიშვილის და მისი ძმისწულების გახაყოფია და თუმანიშვილების ცალკე შტოს ეკუთვნის. იგი ზოგჯერ, როგორც აღვნიშნეთ, ხოსიტას შვილად იწოდება, ხოლო მისი შვილი ქაიხოსრო ესტატეს შვილად[133].

---

125 ხელნაწერთა ინსტ., Sd 41.
126 იქვე, Hd 8054, 6059.
127 იქვე, Sd 785, Hd 1676.
128 იქვე, Sd 24, 30, 35, 40, 41, 179, Ad 956.
129 იქვე, Hd 8054.
130 იქვე, Sd 41.
131 იქვე, Hd 9652.
132 იქვე, Ad 961.
133 იქვე, Sd 12, Ad 974.

1662—75 წწ. საბუთებში ჩანს პაპუა თუმანიშვილი[134], რომელიც მხოლოდ ერთხელ იხსენიება მდივან-მწიგნობრის ტიტულით გიორგი ბატონიშვილის კარზე[135]. 1712—30 წწ. საბუთის შემდგენელია ქაიხოსრო თუმანიშვილი[136]. იგი სამეფო კარის მდივან-მწიგნობრად იხსენიება[137]. დოკუმენტებში ამ დროს ჩანს ორი ქაიხოსრო: ქაიხოსრო შიოშ მდივნის შვილიშვილი მოხსენიებული 1727 წ. მდივნის ტიტულის გარეშე[138]. ხოლო მეორე ქაიხოსრო, გივი ძივხის ძე, გვხვდება 1716—24 წწ[139]. ვინაიდან ორივე პირი დაახლოვებით ერთ და იმავე დროს მოღვაწეობდა, ჩვენთვის ძნელია დადგენა თუ რომელ ჯათგანს ეჭირა ეს თანამდებობა.

1757 წ. ვახტანგ ბატონიშვილის მიერ პაატა გერმანოზიშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნი დასწერა მწიგნობარ ბეჟან თუმანიშვილმა[140]. 1748 წ. ბელთუბანს თუმანიშვილების ნასყიდობის წიგნში მოწმედ დასახელებულია კიხძე მდივახი დემეტრე გვარის გარეშე. იგი თუმანიშვილია, რაც დასტურდება საბუთის ტექსტიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ იურიდიული აქტის ჴოწმეა „ჩვეხი“ (ე. ი. საბუთის მიმცემის დავით მდივნის შვილის პატარკაცის. — ა. ბ.) ბიძაშვილი დემეტრე[141]. საბუთის შემდგენლად იგი უფრო ადრეც, სახელდობრ 1737 წ. იხსენიება[142].

1723 წ. მდივნად იხსენიება თამაზ თუმანიშვილი[143]. მასთან ერთად ამავე დოკუმენტში ჩანს მისი ძმა მირველ. როგორც საბუთის დამწერი იგი ჩანს 1716 წლის საბუთში[144]. ხოლო 1717 წ. ვახტანგ მეფის მიერ მდივან თამაზ თუმანიშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნში იხსენიებიან მისი ბიძაშვილები სალმახანი და პაპუა და ძმა მირველ[145].

საბუთების შემდგენლებად თუმანიშვილთა საგვარეულოს სხვა წევრებიც ჰყრიან, მიუხედავად იმისა რომ მათ მდივნობის თანამდებობა არ უჭირავთ. ძირითადად ისინი ადგენენ კერძო პირთა მიერ გაცემულ დოკუმენტებს და ამ საბუთებში ისინი დამწერებად იხსენიებიან. მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც მდივნობის ტიტულის გარეშე ლიპარიტ თუმანიშვილი ადგენს გიორ-

---

134 სცსა ფ. 1448 № 2321; ხელნაწერთა ინსტ., Ad 994.

135 იქვე, ფ. 1448 № 2321. იგი შეიძლება იყოს თაყა თუმანიშვილის შვილი პაპუა, რომელიც საბუთებში ჩანს 1657 წლიდან (Hd 13051).

136 ხელნაწერთა ინსტ., Sd 86, Ad 1498/22.

137 სცსა, ფ. 1450, დ. 18 № 84, დ. 26 № 214.

138 ხელნაწერთა ინსტ., Ad 1037.

139 იქვე, Hd 6376, Sd 127.

140 სცსა ფ. 1450 დ. 14 № 2.

141 ხელნაწერთა ინსტ. Hd 38.

142 სცსა, ფ. 1448, № 1178.

143 იქვე, ფ. 1450 დ. 10 № 167.

144 იქვე, ფ. 1450 დ. 2 № 147.

145 იქვე, ფ. 1450 დ. 10 № 174. 1720—28 წწ. ქართლის საბუთებში შემდგენლად ჩანს ვინმე თამაზ მდივანი მოხსენიებული გვარის გარეშე (Hd 2929, 4465, Sd 112, 785, Qd 210). საბუთები კერძო პირებისაა; მათი სადაურობა, მასში მოხსენიებული პირები და ტოპონიმები გვაფიქრებინებს, რომ აქაც თამაზ თუმანიშვილი უნდა იგულისხმებოდეს. მით უფრო რომ ამ ხანებში ქართლში ამ სახელისა და საგვარეულოს პირი ჩანს მდივნის თანამდებობაზე.

გი მეფის მიერ 1691 წ. გაცემულ სითარხნის წიგნს[146]. იგივე ლიპარიტია მოხსენიებული 1685 და 1696 წწ. დოკუმენტებში[147].

ძველ გეხეალოგიებსა და კ. თუმანოვის ნუსხაში თუმანიშვილთა ჩამომავლობა უფრო ადრეული ხანიდან იწყება და ერთნაირია.



ვინაიდან მოტანილი გენეალოგიური სქემა მოკლებულია ქრონოლოგიას და სათანადო არგუმენტაციას ძნელია სავსებით მასზე დაყრდნობა[148] ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ შედგენილი თუმანიშვილთა შტოს წარმომადგენელნი საბუთებში ზოგჯერ იხსენიებიან თუმანიშვილ მამუკაშვილებად, და ჯახსხვავებით თუმანიშვილ ნასრიას შვილებისა და თუმანიშვილ ფარსიას შვილებისაგან, რომელთა გენეალოგიის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება ცნობების სიმცირის გამო.

ამრიგად, შესწავლილი დოკუმენტური მასალის შედეგად ვლინდება:

ისტორიულ საბუთებში თუმანიშვილთა გვარი პირველად XV საუკუნის დასაწყისიდან იხსენიება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ გვარის არსებობა XIII ს-ში თუ არა XVI ს-ში მაინც არის სავარაუდებელი.

თუმანიშვილები მდივან-მწიგნობრის თანამდებობაზე პირველად იხსენიებიან XV ს-ის შუა წლებიდან .ამ დროიდან მოყოლებული ამ გვარის წარმომადგენლები გამუდმებით ჩანან ამ თანამდებობაზე აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე.

XV—XVIII სს მანძილზე თუმანიშვილთა საგვარეულოში მდივნის თანამდებობაზე ეხვდებით 44 პირს.

შესწავლილი საბუთების საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა თუმანიშვილების საგვარეულოს ერთი შტოს გენეალოგია, რომლის ტაბულა თან ერთვის წარმოდგენილ წერილს.

---

[146] სცსა ფ. 1448 № 2284.

[147] იქვე, ფ. 1450 დ. 1 № 86, დ. 38 № 62.

[148] იქვე, ფ. 1448, № 8873, საბუთში გივის ნაცვლად იხსენიება გიორგი.

თუმანიშვილთა საგვარეულოს წევრები და მათი მოღვაწეობის წლები

1. ბაინდურ თაყას ძე 1626—78 წწ.
2. ბაინდურ იესეს ძე 1749 წ.
3. ბახუტა ბაინდურის ძე 1657 წ.
4. ბირთველ (1) მდივანი 1558 წ.
5. ბირთველ (2) მდივანი 1626. (30) 81 წწ.[149]
6. ბირთველ ბეჟანის ძე 1683—88 წწ.
7. ბირთველ (3) ზაქარიას ძე ,მდივანი 1709 (10)—35 წწ.
8. ბირთველ (4) კაციას ძე, მდივანი, 1779—1802 წწ.
9. ბეჟან ბირთველ (2) მდივნის ძე, 1658 — 97 წწ.
10. ბეჟან მდივანი 1757
11. გივი (1) ზურაბ მდივნის ძე, მდივანი, 1664 (81) — 1723 წწ.
12. გივი დავითის ძე, 1720—50 წწ.
13. გივი (2) სულხანის ძე, მდივანი 1785 (96)—97 წწ.
14. გიორგი ბირთველ (2) მდივნის ძე, მდივანი 1635 (58) — 96 წწ.
15. გიორგი ჯიმშიტას ძე, 1664—71 წწ.
16. გიორგი შიოშ მდივნის შვილი, [1717—19]—1720 წწ.
17. გიორგი ლიპარიტის ძე, 1719—67 წწ.
18. გიორგი ზაქარია მდივნის შვილიშვილი, 1735
19. გიორგი ღვთისავარის ძე, 1751 წ.
20. გორჯასპი თაყას ძე, 1626—78 წწ.
21. გორჯასპი მანუჩარის ძე, მდივანი, 1712(33)—82 წწ.
22. დავით მდივანი 1546 წ.
23. დავით თაყას ძმა, 1626—35 წწ.
24. დავით გივი მდივნის ძე, მდივანი, 1703 (23) — 27 წწ.
25. დავით ზურაბის ძე, 1791 წ.
26. დემეტრე ლიპარიტის ძე, 1703—19 წწ.
27. დემეტრე ზაქარია მდივნის ძე, 1735 წ.
28. დემეტრე (თუმანიშვილი). მდივანი, (1737)—1748 წწ.
29. დიმიტრი იოსებ მდივნის ძე, მდივანი, 1781—1803 წწ.
30. ეგნატე ბაინდურის ძე, მდივანი, 1746 (70)—1801 წწ.
31. ედიშერ ზაქარია მდივნის ძე, მდივანი, 1735 (49)—78 წწ.
32. ედიშერ იოსებ მდივნის ძე, 1781—83 წწ.
33. ელიზბარ მდივანი, 1570 წ.
34. ესტატე, მდივანი, 1660(93)—1705 წწ.
35. ზაალ ბაინდურის ძე, მდივანი, 1670(75)—1726 წწ.
36. ზაალ, ზაქარია მდივნის ძე, 1718 წ.
37. ზაალ ზაქარია მდივნის შვილიშვილი, 1735—55 წწ.
38. ზაზა ბეჟანის ძე, 1683—1702 წწ.
39. ზაქარია მდივანი, 1454—87 წწ.
40. ზაქარია (2) გიორგი მდივნის ძე, მდივანი, 1658(90)—1722 წწ.
41. ზურაბ ჯიმშიტას ძე, მდივანი, 1648 (65)—1703 წწ.
42. ზურაბ გივი მდივნის ძე, 1703—24 წწ.
43. ზურაბ გიორგის ძე, 1791 წწ.
44. თამაზ მდივანი, 1723 წ.
45. თაყა მდივანი, 1607—58 წწ.
46. იესე [1680—1722] წწ.
47. იოსებ ედიშერ მდივნის ძე, მდივანი, 1756 (67) — 91 წწ.
48. კაცია ბირთველ (3) მდივნის ძე, 1755—81 წწ.
49. ლიპარიტ ჯიმშიტას ძე, 1664—83 წწ.
50. მანუჩარ (1) მდივანი, 1512—30 წწ.
51. მანუჩარ (2) მდივანი, 1626—[73] წწ.
52. მანუჩარ ბეჟანისძე, 1683—1702 წწ.
53. მანუჩარ გორჯასპის ძე, მდივანი, 1749 (73)—1802 წწ.
54. მანუჩარ სულხან (1) მდივნის ძე, 1687—1718 წწ.
55. მურად მდივანი, 1468 წ.
56. ნასრი მდივანი, 1593—1624 წწ.
57. ნასყიდა, ბირთველის (2) ძე, 1635—1658 წწ.
58. ნიკოლოზ შიშო მდივნის შვილი, [1717—19]
59. ოთარ (1) გიორგის ძე, მდივანი, 1662(85)—1716 წწ.
60. ოთარ (2) ოთარის ძე, მდივანი, 1705 — 55 წწ.
61. ოთარ ფარემუზის ძე, მდივანი, 1705 — (85) წწ.
62. პაპა თაყას ძე, 1657 (62)—75
63. პატარკაცი დავითის ძე, 1737—54 წწ.
64. სულხან (1) ჯიმშიტას ძე, მდივანი, 1656 (73) — 99 წწ.

---

[149] ფრჩხილებში აღნიშნულია მდივან-მწიგნობრის თანამდებობაზე პირველად მოხსენიების თარიღი.

65. სულხან (2) შიოშ მდივნის ძე, მდივანი, 1703—38 წწ.
66. სულხან (3) გორჯასპის ძე, მდივანი, 1749 (66)—1802 წწ.
67. ფარემუზ ზაქარია მდივნის ძე, 1723 წ.
68. ფირან ბეჟანის ძე, 1683—1702 წწ.
69. ქაიხოსრო მდივანი, 1712—30 წწ.
70. ქაიხოსრო გივი მდივნის ძე, [1716]—1724 წწ.
71. ქარმიშ (ქრისტეფორე) ყალანდარის ძე, 1711—69 წწ.
72. ქიშვარ ჯიმშიტას ძე, 1656—70 წწ.
73. ქიშვარ, ლიპარიტის ძე 1703—19
74. ღვთისავარ, ქაიხოსროს ძე, 1716—51 წწ.
75. ყალანდარ, ჯიმშიტას ძე, მდივანი, 1656—97 წწ.
76. ყალანდარ გორჯასპის ძე, 1757 წ.
77. ყარდაშ ზაქარიას ძე, 1735 წ.
78. შაველ ვეზირი, 1581—84 წწ.
79. შიოშ სულხანის ძე, მდივანი, 1673 (93)—1714 წწ.
80. შიოშ (2) სულხან (?) მდივნის ძე, 1738—79 წწ.
81. შიოშ (3) სულხან (3) მდივნის ძე, მდივანი, 1785 (87) — 92 წწ.
82. ჯიმშერ მანუჩარის ძე, 1785—99 წწ.
83. ჯიმშიტა 1664 წ.

А. К. БАКРАДЗЕ

ГЕНЕАЛОГИЯ РОДА ТУМАНИШВИЛИ В XVII—XVIII вв.

Резюме

На основании изучения грузинских исторических документов XV—XVIII вв. установлена генеалогия Туманишвили ,одного из представителей крупного рода феодальной Грузии, занимавшего при царском дворе Восточной Грузии высокую должность «мдиван-мцигнобари».

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ითონიშვილი

მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში

(მოსახლეობის აღწერის მონაცემები)

მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა მიუხედავად მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილებისა და საზოგადოებრივი აზროვნების კვლევაში, დღემდე სუსტად არის შესწავლილი. ამ ხარვეზის შევსებას ითვალისწინებს XIV—XVIII სს. ძეგლების გამომზეურება მონოგრაფიული კვლევის დონეზე, რომლის ერთ ნაწილსაც ამ სტატიაში მიმოვიხილავთ.

არსებული წყაროების მიხედვით, მთიულეთი (ხადა, ცხავატი) და გუდამაყარი, საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებთან ერთად, სოციალური განვითარების დონით ყოველთვის ჩამორჩებოდა საქართველოს ბარის რაიონებს. ამას ნათლად გვიჩვენებს გიორგი ბრწყინვალის (1314—1346); „ძეგლის დადება“, ძველი დროის წყაროები და ეთნოგრაფიული მონაცემები. ამ მხრივ XVIII საუკუნე გამონაკლისს არ წარმოადგენს. დროის ამ მონაკვეთში, როდესაც მთიულეთი და გუდამაყარი ჯერ არაგვის საერისთავოს, ხოლო მისი გაუქმების დროიდან (1743 წ.) საუფლისწულოს შემადგენლობაში შედიოდა, აღნიშნული კუთხეების მოსახლეობა გაცილებით უფრო სუსტად იყო დიფერენცირებული, ვიდრე არაგვის ხეობის ბარის ზოლის მოსახლეობა, რომლის განსახლების ტერიტორია ანახურის ქვემოთ ლოკალიზდებოდა[1]. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება XVIII ს-ის უკლებლივ ყველა საისტორიო საბუთი, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის 1774 წლის აღწერა—ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო XVIII ს-ის მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის.

არაგვის ხეობის მოსახლეობის 1774 წლის აღწერა ჩატარდა ერეკლე მეორის ბრძანებით და მის მთავარ მიზანს შეადგენდა იმის დადგენა, „თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეიძლებოდა ომიანობის დროს კომლიდან და რამდენ მეკომურს ედვა სახელმწიფო გადასახადი“[2].

აღწერიდან ირკვევა, რომ XVIII ს-ის II ნახევარში არაგვის საუფლისწულო ადმინისტრაციულად დაყოფილი იყო სამოურაოებად, რომელთა მართვა-

---

[1] წერილობითი წყაროების და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით არაგვის ხეობის მთისა და ბარის ზოლის გამმიჯნავ პუნქტად ანანური წარმოგვიდგება: იხ. „წილკნელის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი (1669 წ.), ქართული სამართლის ძეგლები (ქვემოთ ყველგან ქ ს ძ), ი. დოლიძის რედ., ტ. III, თბ., 1970, გვ. 559; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 89.

[2] ე. თაყაიშვილი, წინასიტყვაობა წიგნისა-მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში... ტფ., 1907, გვ. IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობას ახორციელებდნენ მეფის მიერ ადგილზე დანიშნული არაგვის მოურავები: ზანდუკელი გოგია ოტიასშვილი, კობიაშვილი საამი, კობიაშვილი გრიგოლი, ნადიბაიძე შიო, ღუდუშაური მარტია, ღუდუშაური თომა ფირანისშვილი, ჭაბურიშვილი იოთამ ბოქაულთ-უხუცესი, შაბურიშვილი ფირანი, ჭილასშვილი ბაბანა, ჩოფიკაშვილი ყაზიბეგი, ჩქარეული, აღდგომლიშვილი, იასე. მათ გარდა, 1774 წლის აღწერაში მოიხსენიებიან აგრეთვე არაგვის ხეობის ჰებატონეები: არაგვის ერისთავი[3], ყარანგოზისშვილი ადამი და ჩრდილელი ოთარასშვილი, რომლებიც აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა რაოდენობის სახელოს (ყმა-მამულის) მფლობელებად წარმოგვიდგებიან ხევში და მთიულეთში (ხადა, ცხავატი, მრევლი, გარეშემო).

როგორც აღწერიდან ჩანს, მთიულეთის და გუდამაყრის მოურავებად მეფეს დანიშნული ჰყავდა შესაბამისად საამ და გრიგოლ კობიაშვილები, რომლებიც წვრილ მფლობელ აზნაურთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ და ცხადია, მეფის ყმებად ითვლებოდნენ. მართალია, ისინი აღნიშნულ კუთხეებში მოურავებად იყვნენ გამწესებულნი, მაგრამ საერისთავო ბარის ზოლში ცხოვრობდნენ, ისევე, როგორც არაგვის საერისთავოს სხვა ცნობილი აზნაურული სახლები (მაგ., ყარანგოზიშვილები, შაბურიშვილები და სხვ.) რის გამოც მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის გარკვევისას მხედველობაში არ მიიღებიან.

აღწერის მონაცემების თანმიმდევრულ გაცნობას იმ აზრამდე მივყავართ, რომ XVIII ს-ის II ნახევარში მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობა სოციალურად საკმაოდ ერთფეროვანი იყო და ძირითადად შედგებოდა მ ე მ კ ვ ი დ რ ე გლეხებისაგან. მათ გარდა აღწერაში ვეცნობით გლეხთა ისეთ კატეგორიებსაც, როგორიცაა მ ს ა ხ უ რ ი, ბ ო გ ა ნ ო და ხ ი ზ ა ნ ი[4]. მათი რაოდენობის დადგენა ადვილად ხერხდება, ვინაიდან ყოველი სოფლის სრულწლოვან მამაკაცთა ჩამოთვლისას ბოლოში დაჯამებულია სოფელში მოსახლე გლეხთა რიცხვი და მინიშნებულია თუ რამდენი იყო მათ შორის მემკვიდრე (მემკვიდრის ობოლი), ბოგანო, ხიზანი თუ მსახური. ამასთან ერთად, აღწერაში აღნიშნულია ცალკეულ პირთა მდგომარეობა მათი საქმიანობის რიგის მიხედვით. ამის შესაბამისად მთიულეთში და გუდამაყარში დგინდება 5 ნაცვლის, 9 მღვდლის, 2 მეჯიხიბის და 3 ფარეშის არსებობა[5].

---

[3] ცხადია, უფრო მართებული იქნებოდა, რომ აღმწერებს „არაგვის ერისთავის“ მაგივრად ეხმარათ გამოთქმა „არაგვის უფლისწული“, ვინაიდან 1774—1775 წწ-ში არაგვის საუფლისწულოს გოორგი ბატონიშვილი განაგებდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ არაგვის საერისთავოს გაუქმებისა (1743) და საუფლისწულოდ გადაქცევის შემდეგაც, როგორც ჩანს, ძველი ტრადიციის ძალით, ყოფილი არაგვის საერისთავოს მმართველები (მაგ., ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, ვახტანგ ბატონიშვილი) საბუთებში კვლავ არაგვის ერისთავის ტიტულით ფიგურირებდნენ, ხოლო სახელწოდება — „არაგვის საერისთავო“ არ შეცვლილა სახელწოდებით — „არაგვის საუფლისწულო“. (იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, ი. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964, ზ. ხ ი დ უ რ ე ლ ი, არაგვის საერისთავო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კრ. „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“, თბ., 1983).

[4] აღნიშნული ტერმინები მთიულურსა და გუდამაყრულ ლექსიკაში არ გვხდება: 1774 წლის აღწერაში, როგორც სახელმწიფო დოკუმენტში, მათი ხმარება შეესატყვისება ოფიციალურ ფეოდალურ ნომენკლატურას.

[5] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში... გვ. 428—473.

1774 წლის აღწერიდან ირკვევა, რომ მთიულეთში ნაცვლის მოვალეობას ასრულებდნენ ადგილობრივი მოსახლეობიდან დაწინაურებული პირები: ნაზღაიძე ჯახუყას შვილი ბერი (მცხოვრები სოფ. ზემო მლეთაში), ბურდული ხუცას შვილი ივანე (სოფ. არახვეთი), ნადიბაიძე ნადიბაიძის შვილი ბერი (სოფ. ნადიბაიძიანთ-კარი) და ამირიძე ნასყიდას შვილი ხოსრო (სოფ. ამირთ-კარი). რაც შეეხება გუდამაყრის თემს, აქ ნაცვლის სახელოს ფლობდა სოფ. დუმაცხოში მცხოვრები აფციაური გიორგის შვილი გივი.

წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთიანეთში ნაცვლის თანამდებობაზე გლეხი ინიშნებოდა, მაგრამ არა ყველა გლეხი, არამედ ის, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენდა თავს სამეფო კარის „ერთგულად სამსახურსა შინა“. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ 1774 წლის აღწერის მიხედვით ნაცვლის თანამდებობაზე დანიშნული პირები სწორედ იმ გვარების წარმომადგენლებია, რომლებიც იმთავითვე აქტიურად ჩაებნენ ცენტრალური ხელისუფლების (უფრო ადრე კი არაგვის ერისთავთა) სამსახურში და ამის „სანუფჭოთ“ მათ მეფისგან სხვადასხვა წყალობა მიიღეს. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ერეკლე II-ის მიერ მთიულშიო ნაზღაიძისადმი მიცემული ჯამაგირის წიგნი (1752 წ.), რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ პატრონმა ერეკლემ ეს წყალობის ჯამაგირის წიგნი გიბოძეთ შენ ვეხს თავდადებით დიდად ერთგულსა და ნამსახურსა მთიულს ნაზღაიძეს შიოს. ასე რომ ერთგულად დიახ ბევრჯელ კარგათ გაისარჯე, გვემსახურე და გვაამე. ამდენს სამსახურითა და ერთგულობის სანუფჭოთ სხვას წყალობას გარდა მუდამ წელიწადს ორი თუმანი ჯამაგირი გაგვიჩენია. ყოველ წელიწადს ჩვენს კარზე მოხვიდოდე და ჩვენის მოხელების ხელით ორი თუმანი თეთრი სარჭვლიდამ მოგეცემოდეს. ეს ჩვენი წყალობაა...“[6]

მოტანილი საბუთიდან არ ჩანს, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა ერეკლე ამ „სხვას წყალობაში“, მაგრამ, ჩვენი აზრით, მეფეს აქ უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა ჰქონოდა თავისი ერთგული ყმისათვის ნაცვლობის, ან სხვა რამ სახელოს ბოძება. როგორც ჩანს, მეფისაგან მიღებულ ასეთსავე წყალობას უხდა უმადლოდენ თავის სამსახურებრივ დაწინაურებას 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული სხვა გვარების (ბურდულები, ნადიბაიძეები, ამირიძეები, აფციაურები) წარმომადგენელნიც, რომლებიც მთიულეთის და გუდამაყრის სამოხელეო აპარატის შემადგენლობაში აღირიცხებიან. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVIII ს-ში საკვლევ რეგიონში შეინიშნება ცალკეული საგვარეულოების გავლენის და ავტორიტეტის ზრდის ტენდენცია, რომლის გამომხატველად უნდა ჩაითვალოს ის საგულისხმო ფაქტი, რომ მთიულეთ-გუდამაყარში გამწესებული ადგილობრივ მოხელეთა შორის ძირითადად ერთი და იმავე გვარების წარმომადგენლები ფიგურირებენ. როგორც 1774 წლის აღწერიდან ირკვევა, მთიულეთში ნაცვლის სახელოს ნაზღაიძის, ამირიძის, ხადიბაიძისა და ბურდულის გვარებიდან გამოსული პირები ფლობდნენ, მაშინ როდესაც გუდამაყარში იმავე თანამდებობაზე აფციაურები ისხდნენ. ანალოგიური ვითარება დგინდება XVIII ს-ის უფრო ადრინდელი საბუთების

---

[6] ჯამაგირის დანიშვნის წიგნი მიცემული ერეკლე მეფის მიერ მთიულ შიო ნაზღაიძისათვის, აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—2225[2] (1752 VII უმ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიხედვითაც[7], რომელთა გაცნობა ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ მთიულეთის და გუდამაყრის თემებში სწორედ აღნიშნული გვარები თაოსნობდნენ. საკითხის ამგვარად დაყენება მოითხოვს იმ ობიექტური ვითარების გათვალისწინებას, რომ საკვლევ რეგიონში ამა თუ იმ საგვარეულოს გავლენის გაზრდის და თემის თავკაცობის მიღწევის უცილობელ პირობას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, თემის წინაშე პირადი დამსახურება, მეორე მხრივ, კი ბატონის (ვგულისხმობთ მეფეს) სამსახურში დაწინაურება და სახელოს მფლობელობა. ამ ორი განმსაზღვრელი ფაქტორის მოქმედების ძალით მთიულეთ-გუდამაყარში ყველა საგვარეულო თანაბარი გავლენით და ავტორიტეტით არ სარგებლობდა, რაც კარგად ჩანს ზემოთ დასახელებული გვარების, პირველ რიგში კი ბურდულების მაგალითზე.

როგორც მთიულეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, ბურდულთა გვარის დაწინაურება თემში დაკავშირებული იყო ლომისის ეკლესიის დეკანოზობის უფლების მიღებასთან, რაც დაახლოებით XVIII ს-ის შუა პერიოდში უნდა მომხდარიყო[8]. გადმოცემის თანახმად, ბურდულებს იოსების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში გამოუჩენიათ თავი, რის შემდეგაც სათემო კრებაზე დასმულა საკითხი იმის შესახებ, თუ რითი დაესაჩუქრებიხათ თემის წინაშე თავდადებით ნამსახურევი გმირები. სათემო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც საკუთრივ ბურდულთა ნება-სურვილს გამოხატავდა, მათთვის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მუდმივი დეკანოზობის უფლება მიუციათ[9], რის შესახებაც ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„დაასაჩუქრეს, გადასცეს წინამძღოლობა თემისაო,
დიდი ლომისის ტაძარი, გასაღებები კარისაო;
რომელიც მოეწონება, ცოლად წაყვანა ქალისაო,
გამრავლდეს საქართველოში, მთლად ბურდულების გვარისაო“[10].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თემში დაწინაურებული პირები ადრე თუ გვიან სამეფო ხელისუფლების ყურადღების ცენტრში ექცეოდნენ, სავსებით კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ XVIII ს-ის საბუთებში ბურდულთა გვარის ცალკეული წარმომადგენლები უკვე ადგილზე გამწესებულ მთიელ მოხელეთა შორის ფიგურირებენ. ასე მაგალითად, 1774 წლის არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის აღწერაში ნაცვლის თანამდებობაზე მყოფ პირად მოხსენიებულია სოფ. არახვეთში მცხოვრები ბურდული ხუცას შვილი ივანე[11], რომლის შესახებ სათანადო ცნობებს ვხვდებით ამავე

[7] 1732 წლის პირობის წიგნი მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვრის-შვილისადმი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“. ნ. ბერძენიშვილის რედ., I, თბ., 1940, გვ. 233; განჩინება აფციაურებისა და მათი სახლისკაცების მამულის საქმეზე, 1758 წ. 27 აგვისტო, ქსძ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 466—467.

[8] მთიულეთში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით ირკვევა, რომ ბურდულების გმირობას წინ უძღოდა მათი მონაწილეობა აზატ-ხანის წინააღმდეგ ომში (1751). სწორედ აზატ-ხანის ომიდან მობრუნებულ 9 ძმა ბურდულს უსახელებია თავი ოსებთან ომში, რომლებიც ხარგებლობდნენ საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით და ადვილობრივ მოსახლეობას ავიწროვებდნენ. (ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1982, წ. მასალები, რვ. II).

[9] მანამდე დეკანოზობა მორიგეობით ყოფილა სხვადასხვა გვარს შორის. ბურდულებამდე დეკანოზებად ლომისში ბუთხუზები ყოფილან (ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1981 წ., მასალები, რვ. I).

[10] ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978, გვ. 119.

[11] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში,... გვ. 440.

პერიოდის მთელ რიგ სხვა დოკუმენტებშიც[12]. არანაკლებ საყურადღებოა 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერაც, რომელშიც ბურდულები სახელოს მფლობელად წარმოგვიდგებიან ჭართალში (პავლერი, ციხისძირი)[13]. ამასთან, როგორც XVIII ს-ის წერილობითი წყაროების მონაცემებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, სახელმწიფო სამსახურში იმთავითვე უფრო აქტიურად ჩაებნენ სოფ. არახვეთში მცხოვრები ბურდულები, რომლებიც სოფ. მლეთაში მოსახლე ბურდულებისაგან განსხვავებით, XVIII ს-დან მოყოლებული, სისტემატურად ფლობდნენ ამა თუ იმ სახელოს (ნაცვლისას, შესაძლოა მამასახლისისას და. ა. შ.) და ამდენად, მთიულეთის სამოხელეო აპარატში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს შეადგენდნენ. აღნიშნული ტენდენციის გამომხატველი ჩანს ადგილზე გაბმოკითხვით დაფიქსირებული ის ფაქტიც, რომ არახვეთში მოსახლე ბურდულთა გვარის ერთ-ერთი მამიშვილობა მ ო ჯ ე ლ ი ა ნ ი ს (ან მ ა ჯ ე ლ ი ა ნ ი ს) სახელწოდებას ატარებს.

ბურდულების მიერ ჭართლის სოფლებში (პავლეური, ციხისძირი) სახელოს ფლობა თავისთავად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით რიგით მოხელეებზე (ნაცვალი, მამასახლისი) მაღლა იდგნენ და შესაძლოა მოურავის თანამდებობაზეც კი იყვნენ გამწესებულნი. ასეთი ვარაუდის უფლებას გვაძლევს ის გარემოებაც, რომ არაგვისა და ქსნის ხეობათა მთიან ზოლში, ბარისაგან განსხვავებით ამა თუ იმ ხევისა და სოფლების მოურავებად ხშირად არააზნაურული გვარის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ[14]. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება ნადიბაიძეთა გვარიდან გამოსული პირების დაწინაურება მოურავის სახელოზე, რაც დაახლოებით XVIII ს-ის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში ღებულობენ მეფის წინაშე ერთგულად ნამსახურევი ნადიბაიძეები მთელ რიგ წყალობებს ერეკლე მეორისაგან, რომელიც აღნიშნული გვარის ცალკეულ წარმომადგენლებს ათარხნებს და ამა თუ იმ თანამდებობაზე ნიშნავს. საყურადღებოა, რომ 1774 წლის არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის აღწერაში ხევის მოურავთა შორის იხსენიება შიო ნადიბაიძე[15], ხოლო მთიულეთის ნაცვლად დასახელებულია სოფ. ნადიბაიძიანთ-კარში მცხოვრები ნადიბაიძე ნადიბაიძის

---

[12] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ივანე ბურდული ძირითადად იმ არზებსა და განჩინებებში მოიხსენიება, რომლებიც უშუალოდ შეეხება მასა და ადამ ყარანგოზიშვილს შორის წარმოებულ საადგილმამულო დავას (იხ. „არზა ადამ ყარანგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 8 მაისი", ქსძ, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 287—288; „განჩინება ადამ ყარანგოზიშვილისა და ივანე ბურდულის მამულის საქმეზე 1780 წ. 21 ივლისი", ქსძ, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 120—121) ივანე ბურდულის შესახებ ცნობას ვხვდებით აგრეთვე 1779 წ. სალეკო თეთრის ნუსხაში ზაალეში კაღასბაშისა, „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის", წ. III, თბ., 1955, გვ. 65—66.

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, (1781 წ. არაგვის ხეობის ბარის სოფლების აღწერის დავთარი), თბ., 1967, გვ. 120—121.

[14] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს ქართლში, თბ., 1965, გვ. 158.

[15] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 407—413.

საყურადღებოა, რომ 1774 წლის აღწერაში იხსენიება ვინმე ნადიბაიძე ბეჟანის შვილი შიო, რომელიც სოფ. ნადიბაიძიანთ-კარში ცხოვრობდა (გვ. 449). როგორც ჩანს, ერთ-ერთ მოურავად მოხსენიებული შიო ნადიბაიძე და სოფ. ხადიბაიძიანთ-კარის მკვიდრი შიო ბეჟანის შვილი ნადიბაიძე ერთსა და იმავე პიროვნებას წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი ბერი[16]. როგორც ჩანს, შედარებით გვიან (დაახლ. XVIII ს-ის 80-იან წლებში) იქნა დანიშნული მრევლის ნაცვლის თანამდებობაზე ნადიბაიძეთა კვარის კიდევ ერთი წარმომადგენელი — ადია ნადიბაიძე, რომელიც 1804 წლის აჯანყების მონაწილეთა შორის ფიგურირებს[17]. ამასთან ერთად, ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია „ყაზიბეგის ბატონის“[18] სამსახურში მყოფი ივანე ნადიბაიძე, რომელსაც სოფ. სტეფანწმინდის მახლობლად თავისი მამულიც ჰქონია.

ვფიქრობთ, ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ნადიბაიძეებმა მთიულეთში სხვებზე მეტად გამოიჩინეს თავი სახელმწიფო სამსახურში, თუმცა ამ ხიადაგზე მათი სოციალური სტატუსის შეცვლა მაინც არ მომხდარა. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი მკვლევრის იმ მოსაზრებას, რომ ნადიბაიძეებმა აზნაურობას მიაღწიეს[19]. მით უმეტეს, რომ XVIII—XIX სს-ის დოკუმენტებში ისინი აზნაურებად არ იხსენიებიან. რამდენადაც ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმ თეზისის სასარგებლოდ, რომ ნადიბაიძეები აზნაურებს წარმოადგენდნენ, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათი გაფორმება აღნიშნულ წოდებაში საერთოდ არ მომხდარა. რაც შეეხება აზნაურული სახელოს მფლობელობის ფაქტს, ეს უკანასკნელი აზნაურული მდგომარეობის უტყუარ საბუთად ვერ გამოდგება, ვინაიდან მთელ რიგ შემთხვევებში (ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი), არაგვის და ქსნის ხეობის მთის რაიონებში მოურავებად გლეხებიც ინიშნებოდნენ. ცხადია, ასევე არ შეიძლება ამა თუ იმ მეთემისათვის რაიმე წყალობის მიცემა (მაგ., გათარხნება, ჯამაგირის დანიშვნა და სხვ.) მისი გააზნაურების ტოლფასად ჩაითვალოს. ამდენად, ნადიბაიძეები თავისი სოციალური მდგომარეობით მსახურ გლეხებად უნდა ვიგულოთ, რომელთა სამსახურებრივი დაწინაურების და „გათარხნების ერთ-ერთი მოტივი თვით გლეხის პირადი დამსახურება უნდა ყოფილიყო თავის ბატონის წინაშე“[20].

ვითარების ასეთნაირად შეფასების საფუძველზე მსახურ გლეხთა სოციალურ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ მთიულეთის სამოხელეო აპარატში დაწინაურებული სხვა გვარების (ამირიძეების, ნაზღაიძეების) წარმომადგენლებიც, რომელთაც სახელმწიფო სამსახურში ერთგული გარჯა ჯეროვნად დაუფასდათ. ამაზე ხათლად მეტყველებს 1752 წლის ჯამაგირის დანიშვნის წიგნი, მიცემული ერეკლე მეფის მიერ მთიულ შიო ნაზღაიძისათვის, რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით. საყურადღებოა აგრეთვე 1774 წლის არაგვის საერისთავოს მთის ზოლის მოსახლეობის აღწერაში დაცული ცნობები „მთიულთ ხოხელეების“ (ნაცვლების) —ნაზღაიძე ჯანუყას შვილი ბერის (სოფ. ზემო ხლეთი)[21] და ამირიძე ნასყიდას შვილი ხოსროს (სოფ. ამირთ-კარი)[22] შესახებ. ამასთან, როგორც ადგილზე ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი

---

[16] მასალანი., გვ. 449.

[17] ვ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804), თბ., 1951, გვ. 163.

[18] „ყაზიბეგის ბატონად“ უნდა ვიგულოთ ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი, რომელიც ერეკლე მეორის დროს ქვემო ხევის მოურავად იჯდა.

[19] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241; რ. ხარაძე, ალ. როგაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 18—19.

[20] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

[21] მასალანი..., გვ. 428.

[22] იქვე, გვ. 459.

გვიჩვენებს, ხაზღაიძეების გვარიდან გამოსული პირები ციხისთავის სახელოსაც ფლობდნენ. ხადის უხუცეს მკვიდრთა ხსოვნას დღემდე შემორჩა გადმოცემები ბიხია და ლევან ნაზღაიძეების შესახებ, რომელთაც „ჲ კოშკოვანი“[23] (ე. ი. 60 კოშკოვანი) ხადის თემის ციხეების გამგებლობა ებარათ[24]. მთხრობელთა თქმით, ბიხია ნაზღააიძე ზემო მლეთის ციხე-გალავნის უფროსი იყო და ამ თანამდებობაზე იგი ერისთავს დაუნიშნავს. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მთხრობლებს აქ არაგვის საუფლისწულოს დროებითი მმართველი ჯიმშერ ჩოლოყაშვილი (1747—1756) ჰყავთ მხედველობაში, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ნინიას დაწინაურება აღნიშნულ სახელოზე დაახლოებით XVIII ს-ის შუა პერიოდში უნდა მომხდარიყო. სოფ. ზემო მლეთაში ციხისთავად მჯდარა აგრეთვე ლევან ნაზღაიძე, რომელსაც მთხრობლები ასევე მთელი ხადის ციხეების უფროსად თვლიან. ერთ-ერთი მთხრობლის განმარტებით ლევან ნაზღაიძე 1804 წლის მთიანეთის აჯანყების აქტიური მონაწილე იყო (მიხაკა იაკობის ძე ნაზღაიძე. დაბად. 1879 წ. სოფ. ზემო მლეთა 31. V. 1983 წ.). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის დასაწყისში შედგეხილ მთელ რიგ საბუთებში[25], რომელიც ქართლის მთიანეთში მომხდარ 1804 წლის აჯანყებას შეეხება, ფიგურირებს ლევან ნაზღაიძე, როგორც დაწყებული აჯახყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ლევან ნაზღაიძე დეკანოზ შიო ბურდულთახ და მამასახლის მამუკა ამირიძესთან ერთად აჯანყების ერთ-ერთ მოთავედ, მთიულეთში განწესებულ მოხელედ წარმოგვიდგება. ყურადღებას იპყრობს ის დეტალიც, რომ აჯანყების რვა მეთაურიდან დოკუმენტებში „ექვსი ძაძასახლისად იხსენიება და ერთი დეკანოზად არის ხმობილი“[26], მაშინ როდესაც საკუთრივ ლევან ნაზღაიძის სახელოს შესახებ საბუთებში პირდაპირი ჩვენება არ არის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ლევანი სხვა რამ სახელოს ფლობდა. არ არის გამორიცხული, რომ იგი სწორედ ციხისთავად ყოფილიყო დაწესებული ხადაში. თუ ამას დავუშვებთ, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნულ საბუთებში ხსენებული ლევან ნაზღაიძე და ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილი ლევან ნაზღაიძე ერთსა და იმავე პიროვნებას წარმოადგენს[27].

საერთოდ ხადელი ციხისთავების შესახებ სათანადო ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ „ძეგლის დადებაში“, რომლის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ XVI ს-ში ციხისთავებად დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. როგორც ჩანს, ამ მხრივ ვითარება არ შეცვლილა მომდევნო საუკუნეებშიც, როდესაც ციხისთავის ინსტიტუტი მთიულეთში დაახლოებით ისეთივე ფორმით და შინაარსით შემოინახა, როგორითაც ის „ძეგლის დადებაში“ იყო წარმოდგენილი. მართალია, XVIII ს-ის საბუთების მიხედვით არაგვის

---

[23] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 355.

[24] ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1982 წ., მასალები, რვ. I, გვ. 12, 35.

[25] АКАК, т. II, Тифлис, 1868, с. 307; АКАК, т. II, გვ. 335.

[26] ვ. ტოგონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

[27] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლევან და ნინია, აგრეთვე შიო და ბერი ნაზღაიძეების სახელები აღნიშნული გვარის შიგნით წარმოქმნილ მამიშვილობებსაც ეწოდა (ლევანიანი, ნინიანი, შიოიანი, ბერიანი), ერთ-ერთმა მთხრობელმა ნაზღაიძეთა გვარის წინაპრად დაგვისახელა ვინმე ჯანუყო, რომლის შესახებ ცნობას ვხვდებით 1774 წლის აღწერაში — აქ იგი ნაზღაიძე ბერის (ნაცვლის თანამდებობის შემსრულებელი პირის) მამად იხსენიება.

ხეობის მთიანეთის მოსახლეობის შიგნით დასტურდება ციხისთავის სოციალური კატეგორია, მაგრამ ამ სახელოზე გამწესებულ პირთა ვინაობის დადგენა აღნიშნულ საბუთებში დაცული მონაცემების მიხედვით პრაქტიკულად ვერ ხერხდება. მაგ., ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვრისშვილისადმი მიცემულ პირობის წიგნში (1732 წ.) მოხსენიებულია ვინმე ციხიბერას ზეითი ციხისთავი ბერი[28]. 1733 წლის ერთ საბუთში („Письма старшин горных провинций Гудамакари, Мтиулети, Кистетии, Тагаури и Хеви к царю Вахтангу VI, с изъявлением своей верноподданности) ვხვდებით ცნობას ციხისთავ გიორგის შესახებ[29], ხოლო 1779 წლის სალეკო თეთრის ნუსხაში ფიგურირებს ციხისთავი, როგორც აღნიშნული გადასახადის გადამხდელი[30]. სამივე შემთხვევაში, ციხისთავის ვინაობის შესახებ საბუთებში პირდაპირი ჩვენება არ გვხვდება, თუმცა ეს გარემოება არ გვართმევს უფლებას, რომ აღნიშნული სახელოს მფლობელებად ადგილობრივი მოსახლეობიდან გამორჩეული პირები ვიგულოთ. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ XVIII ს-ის საბუთებში ხსენებული ციხისთავებიდან ერთ-ერთი მაინც სწორედ ნაზღაიძის გვარისა ყოფილიყო.

ყურადღებას იპყრობს ის დეტალიც, რომ „ძეგლის დადების“ მიხედვით ხადაში დასტურდება ორი ციხისთავის არსებობა. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საკუთრივ ხადის თემი ტერიტორიულად იყოფოდა გაღმა ხადად (ან საკუთრივ ხადის ხევად, ვახუშტისეულ ციკარად) და გამოღმა ხადად (ვახუშტისეული დაბა ჯადა, დღევანდელი დიდველი)[31]. ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ ერთ-ერთი ციხისთავი განაგებდა სწორედ გაღმა ხადის ციხეებს, მაშინ როდესაც მეორე ციხისთავს გამოღმა ხადის ციხეები ებარა. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ხადაში მხოლოდ ერთი ციხისათავი შემორჩა, თუმცა აღნიშნული თემის ტერიტორიული დაყოფის ძველი ტრადიცია შემდგომშიც არ დარღვეულა. ამასთან, ხადელი ციხისთავის ადგილსამყოფელად XVIII ს-ში უნდა ვიგულოთ სოფ. ზემო მლეთა[32], რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს მოზრდილი ციხე-გალავნის კომპლექსი. მთხრობლების გახმარტებით, ნაზღაანთ ციხე (ასე უწოდებენ მთიულები ამ ციხეს) სოფელს და მთიულეთს საერთოდ, ოსებისაგან იცავდა. ძნელი სათქმელია, რამდენად ახლოს დგას სინამდვილესთან ციხე-გალავნის დანიშნულების ასეთნაირად განსაზღვრა, მაგრამ ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ნაზღაიძეთა ციხე თავის დროზე მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც გააჩნდა ოთხკოშკიანი გალავანი და თავისი მცველები ჰყავდა. სოფლის საცხოვრებელი ნაგებობანი გალავნის შიგნით იყო მოქცეული, ხო-

---

[28] 1732 წ. იანვრის 20-ის პირობის წიგნი, მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვრის-შვილისადმი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, I, გვ. 233.

[29] Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., Тб., 1968, გვ. 123.

[30] 1779 წ. სალეკო თეთრის ნუსხა ზაალ ეშიყალაბაშისა, „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“, წ. III, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1955, გვ. 66.

[31] ხადის თემის ტერიტორიულ დაყოფას ვეხებით დასაბეჭდად მომზადებულ ნაშრომში, რომელშიც განხილულია არაგვის ხეობის ლოკალიზაციის საკითხები.

[32] საყურადღებოა, რომ 1774 წლის აღწერაში ზემო მლეთა ხადის თემში შემავალ სოფლადაა დასახელებული, ისევე როგორც სოფ. ქვემო მლეთა (მასალანი... გვ. 428, გვ. 430).

ნებით, დაიჩემებდა სათემო (სასოფლო) მიწებს და ამ გზით ცდილობდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. ასეთ თავგასულ და ძალმომრე კაცზე მთიულები იტყოდნენ ხოლმე: „გაბუდაყდა და არც ვის არაფრად არ აგდებსო“. რამდენადაც „გაბუდაყებულ კაცს სოფელი ჩალად უღირდა და იგი სხვისი ქონების მითვისებას, სხვის ჩაგვრას იყო ჩვეული, თემიც ვერა თოლით უყურებდა მისთანა ადამიანს“ (წიკლაური გიგოლა ივანეს ძე, დაბად. 1892 წ., სოფ. გამსიდან, ამჟამად ცხოვრობს დ. ფასანაურში, 26. VII. 1981 წ.) ცხადია, თავგასული მეთემე საბოლოოდ მაინც ვერ იხეირებდა. ვინაიდან იგი თავისი უღირსი საქციელით ადრე თუ გვიან ხალხის სამართლიან რისხვას დაიმსახურებდა და საკადრისად დაისჯებოდა. გაბუდაყებული, ურჩი მეთემის „დასჯის ყველაზე მაღალ ფორმას თემისაგან მოკვეთა წარმოადგენდა. მაგრამ თემს ჰქონდა დასჯის სხვა სახეც—სამრისხველო სამანის ჩადგმა, რასაც ის მიმართავდა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი დანაშაული შედარებით უფრო მცირე იყო და თემისაგან მოკვეთას არ საჭიროებდა“[42]. აღნიშნული ჩვეულების სახეობებს ამჟამად არ განვიხილავთ. დავჯერდებით მხოლოდ იმის აღნიშვნას, რომ „ჩვეულებრივად ასეთ ურჩობას მაინც შედარებით უფრო შეძლებულები იჩენდნენ, ვინაიდან ისინი თემისაგან უფრო მეტ დამოუკიდებლობას გრძნობდნენ“[43]. მართალია, ბრძოლა თემსა და პიროვნებას შორის არაგვის ხეობის მთიანეთში XVIII ს-ში ისეთ მწვავე ხასიათს უკვე აღარ ატარებდა, როგორც წინა საუკუნეებში, როდესაც თემის პირის გამტეხთა დასჯის ფორმებიც რამდენიმე უფრო მკაცრი იყო[44], მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვისაც (ე. ი. XVIII ს-ში) თემი ყოველმხრივ „ცდილობდა, რომ ურჩი მეთემე საერთო მორჩილებაში მოეყვანა და მოეკვეთა ისეთი წევრი საზოგადოებისა, რომელიც თვითნებობდა“[45]. როგორც ჩანს, ამას ითვალისწინებდა ყველა ჭკუათმყოფელი მთიელი და ისეთნაირად წარმართავდა თავის საქმიანობას, რომ ხალხს არ დაპირისპირებოდა, რაც მას სრულ იზოლაციაში მოქცევის რეალურ საფრთხეს უქმნიდა. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საკვლევ რეგიონში ამა თუ იმ მეთემის მიერ რაიმე სახელოს მფლობელობა და ამ ნიადაგზე მისი გავლენის გაზრდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღნიშნული

---

42 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

43 იქვე.

44 ხევის ისტორიული წარსულიდან (XVII ს.) ცნობილია, გადმოცემა გაახნაურების გზაზე დამდგარი მოხევის შიოლა ღუდუშაურის მოკვლის შესახებ (ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, გვ. 43, გვ. 97; ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, ჟიბ., 1960, გვ. 91—92; ნ. ბერძენიშვილი, ხევის ისტორიული ფოლკლორიდან, „მრავალთავი“, I, თბ., 1964, გვ. 35—37). მას სასიკვდილო განაჩენი სავანგებოდ მოწვეულმა თემის ყრილობამ გამოუტანა. ეს გარემოება იმას გვაფიქრებინებს, რომ არაგვის ხეობის მთიანეთში (XVIII ს-მდე თემის პირის გამტეხთა დასჯის ჩვენთვის ცნობილ ფორმებთან (მოკვეთა, დარისხება) ერთად ადგილი ჰქონდა დამნაშავის სიკვდილით დასჯის შემთხვევებსაც. არ არის გამორიცხული, რომ ურჩი მეთემის დასჯის ეს უსასტიკესი ფორმა მთიულეთსა და გუდამაყარშიც ყოფილიყო მიღებული, თუმცა ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ფაქტი ასეთი ვარაუდის დასასაბუთებლად. ასეა თუ ისე, ის კი სავსებით ნათელია, რომ XVIII ს-ში თემი „გაბუდაყებულ“ მეთემეთა მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მეთოდს ვეღარ გამოიყენებდა, ვინაიდან თემის ერთობის რღვევის პირობებში ასეთი რადიკალური ზომის მიღებას იგი ვეღარ გაბედავდა. ამჯერად თემი დამნაშავეთა მოკვეთით ან დარისხებით იფარგლებოდა, რაც თავისთავად სასჯელის ნორმების შემსუბუქებაზე მიგვანიშნებს.

45 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

ბირის „გაბუდაყებას“ არც იწვევდა. ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების ძიხედვით ირკვევა, რომ სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებული მეთემეები უმეტეს შემთხვევებში სათანადო სიფრთხილეს და წინდახედულებას ჰჩენდნენ რიგით მეთემეებთან ურთიერთობაში და არ არღვევდნენ სათემო ცხოვრების ნორმებს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მათ ავტორიტეტს მთელი თემის მასშტაბით. არაიშვიათად, ნაცვლის ან მამასახლისის თანამდებობაზე დანიშნული მთიელი მოხელეები „თემის კითხულ კაცებად, თემის თავკაცებად“ ითვლებოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ კომპეტენციაში შიდასათემო საქმეების რეგულირება-დაკონტროლება და ადგილზე წარმოქმნილი საპრობლემო საკითხების გადაწყვეტაც შედიოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს თემისა და სახელმწიფო სამსახურში „აღზევებული“ მეთემის ინტერესების ერთგვარი კოორდინირების მომენტთან, რომელიც მინიმუმამდე ამცირებდა მათ შორის არსებული „ანტაგონიზმის“ უფრო სერიოზული ხასიათის სოციალურ კონფლიქტში გადაზრდის შესაძლებლობას. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობის პრივილეგირებული პერსონალი შეგნებულად არიდებდა თავს თემთან ურთიერთობის გამწვავებას და პრეროგატივისაკენ სწრაფვას შედარებით უფრო შენიღბული ფორმით ახორციელებდა. თემი ამას ერთგვარად ურიგდებოდა კიდეც, ვინაიდან მას ობიექტურად უკვე აღარ შეეძლო ადგილობრივი მოსახლეობის შიგნით მიმდინარე სოციალური დიფერენციაციის პროცესის შეჩერება. სულ სხვა საქმეა, რამდენად შესწევდა მას კიდევ იმის ძალა, რომ ხელოვნურად მაინც შეეფერხებინა აღნიშნული პროცესის გაღრმავება, რომელიც საკვლევ რეგიონში თავისი ინტენსიური ხასიათით დროის არც ერთ მონაკვეთში არ გამოირჩეოდა. მართალია, ცენტრალური ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ამ პროცესის დაჩქარებას და ამ მიზნით წყალობებს (ჯამაგირს, სახელოს და სხვ.) არ იშურებდა ადგილობრივი წარმოშობის პირთა მიმართ, მაგრამ ამავე დროს იგი „იძულებული იყო მთაში პრივილეგიური ხალხის მფარველობაში ზომიერება დაეცვა და თემს არ დაპირისპირებოდა“[46].

ვითარების ასეთნაირად შეფასების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1774 წლის არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის აღწერაში მოხსენიებული მთიული და გუდამაყრელი მოხელეები (ძირითადად ნაცვლებია) რიგით მეთემეთა მასიდან გარკვეული პრივილეგიებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამავე დროს, უფლებრივად იურიდიულად ისინი ისე მკვეთრად არ გამიჯვნიან დანარჩენ მეთემეებს, რომ ეს საკმარისი გამომდგარიყო მათი სოციალური სტატუსის შეცვლისა და წარჩინებულთა წოდებაში გაფორმებისათვის. მართალია, ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებული ვითარება შეინიშნება მთიულეთ-გუდამაყრის მეზობლად მდებარე ხევში, სადაც 1774 წლის აღწერის მიხედვით არამც თუ ნაცვლის, არამედ მოურავის აზნაურული სახელოს მფლობელთა შორის ადგილობრივი გვარების არაერთი წარმომადგენელი ფიგურირებს, მაგრამ აქაც, ისევე როგორც საკვლევ რეგიონში, „სახელოს მფლობელობა აზნაურული მდგომარეობის უეჭველი საბუთი ჯერ კიდევ ვერ არის“[47]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქსნის საერისთავოს მთის ხევების (ქარჩოხი, ცხრაზმა, ცხაოტი), მოურავებად გლეხები იყვნენ დანიშნუ-

[46] გ. მელიქიშვილი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერ., 1979, № 1, გვ. 33.

[47] გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

ლი: ქარჩოხის მოურავად—თინიკას შვილი აბრამი, ცხრაზმის მოურავად—ბაშარული ბერის შვილი მახარობელი, ცხაოტის მოურავად კი ბუნტური ოთარას შვილი შიო[48]. მართალია, 1774 წლის აღწერაში ხევის მოურავებად დასახელებული ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი, მარტია ღუდუშაური და თომა ფირანისშვილი ღუდუშაური რიგით მეთემეებად აღარ შეიძლება ვიგულოთ, მაგრამ რამდენადაც აღნიშნული პირები აღწერაში არც აზნაურთა კატეგორიაში მოიხსენებიან, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათი აზნაურთა წოდებაში გაფორმება XVIII ს-ის II ნახევარში ჯერ კიდევ დასაწყის სტადიაშია. აღნიშნული ვითარების გათვალისწინების საფუძველზე სავსებით კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 1774 წლის აღწერა არ შეიცავს მტკიცე ჩვენებას არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის წოდებრივი შედგენილობის შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერაც, რომლის მონაცემების გაცნობა რამდენადმე ავსებს ჩვენს ცოდნას XVIII ს-ის მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესახებ.

1781 წლის არაგვის ხეობის აღწერის ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ არაგვის ხეობის მთიანეთში (ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო) მოსახლე გვარები სოციალური ნიშნის მიხედვით თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ რიგითი მეთემეები (// გლეხები), რომელთაც სახასო ყმების კუთვნილი სტატუსის შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულებები ეკისრებოდათ სახელმწიფოს მიმართ. სწორედ მათი წრიდან შეიძლებოდა გამოსულიყო თითოეროლა მთიელი მოხელე, რომელთაგან 1781 წლის აღწერაში მოხსენებულია ჯარტოლოდენ ნაცვლის თანამდებობაზე მჯდარი ამირიძე ხოსრო (სოფ. ამირთ-კარიდახ), ხოლო სასულიერო პირთაგან მთიულეთ-გუდამაყრის სოფლებში აღრიცხულია სულ 2 მღვდელი (მღვდელი მჭედლიშვილი სოფ. სვიანთკარიდან და სოფ. ქვემო მლეთში მცხოვრები მღვდელი ათანასე თადიაშვილი). საყურადღებოა, რომ მთიულეთ-გუდამაყრის სოფლების აღწერისას არსად გვხვდება მინიშნება საბატონო გადასახადების და საბატონო ყმების შესახებ, ისევე როგორც არ გვხვდება ცნობა ადგილობრივი აზნაურის ან თავადის არსებობის შესახებ[49]

საერთოდ, XVIII ს-ის სტატისტიკურ მასალებში, აგრეთვე XVIII ს-ის სხვა საისტორიო დოკუმენტებში[50], მოხსენიებული ყველა აზნაურული გვარი (კობიაშვილები, ზანდუკელები, შაბურიშვილები, ჩრდილელები, ყარანგოზიშვილები) არაგვის ხეობის ბარის ზოლის მკვიდრს წარმოადგენს, „მაშინ როდესაც არაგვის ხეობის მთიან ნაწილში აზნაურების გაჩენა XVII — XVIII სს-ში მხოლოდ დასაწყის სტადიაშია“[51]. ეს გარემოება თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ არაგვის ხეობის მთიანეთში ჩვენთვის საინტერესო პერი-

---

[48] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I (1774 წ. ქსნის ხეობის ხალხის აღწერა), გვ. 186—196; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 276, გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

[49] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, გვ. 105—119.

[50] ნუსხა ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა 1783 წ., ქსძ, ტ. II, თბ., 1965; გვ. 488—492. XVIII ს-ის სხვა საბუთების დასახელებას აზრი არ აქვს იმდენად, რამდენადაც მათში მოხსენიებული ყველა აზნაურული გვარის შესახებ ამომწურავ პასუხს იძლევა აღნიშნული ნუსხა ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა.

[51] გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

ოდშიც არ შექმნილა სათანადო პირობები ბარული ფეოდალური ინსტიტუტების (თავადი, აზნაური) განვითარებისათვის და ამდენად, ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ საკვლევ რეგიონში ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობამ ვერც XVIII საუკუნეში მოიკიდა ფეხი. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების (ძხედველობაში გვაქვს XVIII ს. სტატისტიკური აღწერილობანი და ადგილზე ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები) მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XVIII ს-ის მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობის სახით „ჩვენ საქმე გვაქვს ეკონომიკურად და სოციალურად, უფლებრივად სუსტად დიფერენცირებულ საზოგადოებასთან. თუმცა მასში არიან მდიდრები და ღარიბები, სუსტნი და ძლიერნი, მაგრამ განსხვავება მათ შორის, ჯერ ერთი, ღრმა არ არის და, ამის გარდა თემიც მუდმივ იბრძვის აქ გათანაბრებისათვის, ეწინააღმდეგება ერთთა აღზევებას, გამდიდრებას, ბატონკაცებად და მჩაგვრელებად, ხოლო მეორეთა დამორჩილებულ და ჩაგრულ პირებად გადაქცევას“[52].

ახალგიური ვითარება შეინიშნება მთიულეთის და გუდამაყრის მეზობლად მდებარე მთის კუთხეებშიც, ხანდოში, ხევში და ქსნის ხეობაში (ხეობის ძაღლივ ნაწილში, მაგ. ცხრაძმის თემში).

XVIII ს-ის სტატისტიკური აღწერის მონაცემების განხილვა და ადგილზე მოპოვებული საველე ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხანდოს ხევში სოციალურად აღზევებულ გვარებს არ უცხოვრიათ. საყურადღებოა, რომ მთხრობლები აღნიშნავენ ვიღაც „ბატონების“ დროდადრო მოსვლას, იხსენიებენ გადასახადების ამკრეფი მოხელეების ხანგამოშვებით ყოფნას, მაგრამ საკუთრივ ხანდოს მკვიდრთაგან არ ასახელებენ არც ერთ აზნაურს და მით უმეტეს თავადს[53]. ეთნოგრაფიულ მონაცემებთან წერილობითი წყაროების შეჯერება ცხადყოფს, რომ ხანდოს მოსახლეობა შედგებოდა რიგითი მეთემეებისაგან (// გლეხებისაგან), საიდანაც შეიძლებოდა გამოსულიყო ნაცვალი, მამასახლისი თუ სხვა რომელიმე მოხელე[54], მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ძეტყველი საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ ხანდოელ კაცს მიეღოს მაღალი სოციალური წოდება.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების თითქმის ერთ საფეხურზე იდგნენ მთიულეთი, გუდამაყარი და მათ ჩრდილოეთით მდებარე ხევი, სადაც ალ. ყაზბეგის განმარტებით „... არასოდეს არა ყოფილა ბატონყმობა, თავად-აზნაურობა და კაცი დაფასებულა მხოლოდ პირადის ღირსებისათვის... ხევი იმართებოდა ერობით (საერო კრებით) და სადაც საქმე მთლად ხევის საქმეს შეეხებოდა, ძის გადაწყვეტა მხოლოდ თემობას შეეძლო“[55]. მართალია, ამ მთის კუთხეში ადგილი ჰქონდა ცალკეულ საგვარეულოთა დაწინაურებას სახელმწიფო სამსახურში, რასაც თვალნათლივ მოწმობს ღუდუშაურებისა და ჩოფიკაშვილების ძიერ აზნაურული სახელოს მფლობელობის ფაქტი, მაგრამ მათი გაფორმება აზნაურულ წოდებაში 1774 წლის აღწერის შედგენის დროისათვის არ ძოძხდარა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1783 წლის

---

[52] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

[53] ვახტ. ითონიშვილი, ხანდოს ხევი, ეთნოგრაფიული მასალები (1980 წ.), რვ. I, II, III.

[54] 1774 წლის აღწერაში ხანდოს ხევის მოსახლეობაში გვხვდება ნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი პირი ნათობიძე ივანეს შვილი შიო (გვ. 473).

[55] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, გვ. 225.

ხუსხაში ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა, აღნიშნული გვარები ქართლის სახასო აზნაურთა შორის ასევე არ იხსენიებიან, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ XVIII ს-ის 80-იან წლებშიც მათი გააზნაურება ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას.

ქსნის ხეობის მთიანეთში, XVIII ს-ის სტატისტიკური აღწერის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოციალური დიფერენციაციის პროცესი რამდენადმე უფრო გაღრმავებული ჩანს, ვიდრე არაგვის ხეობის მთიანეთში. ამას ვაფიქრებინებს თუნდაც ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობის შიგნით დასტურდება აზნაურთა სოციალური კატეგორია (მაგ. 1774 წლის ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერაში ლარგვისის მოსახლეთა შორის აღირიცხება „მემკვიდრე აზნაურიშვილთა“ — ჟურულთა 3 კომლი)[56], თუმცა ამავე ქსნის ხეობის მთიანეთში მოურავის აზნაურულ სახელოზე გლეხების დანიშვნის ფაქტი თავისთავად აღნიშნულ რეგიონში აზნაურთა სიმცირეზე მიგვანიშნებს.

ამრიგად, განხილული მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობა XVIII საუკუნეში ექვემდებარებოდა სახელმწიფო ხელისუფლებას, სახასო ყმობის სტატუსის შესაბამისად ასრულებდა დაწესებულ მოვალეობას, მაგრამ თვით ამ მოსახლეობის შიგნით სოციალური დიფერენციაციის პროცესი საქართველოს ბარის დონეს ბევრად ჩამორჩებოდა. მთიულეთი და გუდამაყარი ამ მხრივ დაახლოებით ისეთსავე მდგომარეობას ინარჩუნებდა, როგორსაც არაგვის და თერგის ხეობის სხვა კუთხეები (ხანდო, ჭართალი ,ხევი), სადაც სოციალური დიფერენციაცია XVIII ს-ში ასევე სუსტად იყო განვითარებული. ვფიქრობთ, XVIII ს-ის მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაზე დაკვირვება კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იმ დებულების მართებულობას, რომ საქართველოს „მთის მოსახლეობა (კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობა— ვ. ი). მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრეული ხანიდან ბარში არსებული პოლიტიკური წარმონაქმნების გავლენის სფეროში მოექცა და პოლიტიკურად მუდამ მათთან მჭიდრო ერთობაში იმყოფებოდა, მაინც შინაგან ცხოვრებაში ინარჩუნებდა ავტონომიურობას და სოციალურ-ეკონომიკური წყობილების თვალსაზრისით მკვეთრ განსხვავებას ავლენდა ბარის საზოგადოებასთან შედარებით“[57].

В. В. ИТОНИШВИЛИ

СОЦИАЛЬНАЯ СТРУКТУРА НАСЕЛЕНИЯ МТИУЛЕТИ И ГУДАМАКАРИ В XVIII ВЕКЕ

(по статистическим данным)

Резюме

На основе сравнительного анализа статистических данных XVIII века, исторических документов той же эпохи и этнографических материалов в статье показана социальная структура населения нагорной части Восточной Грузии (Мтиулети и Гудамакари). Исторические и

[56] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, გვ. 193.
[57] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

этнографические данные свидетельствуют, что в XVIII веке основную массу сравнительно мало дифференцированного населения исследуемого региона составляли государственные крестьяне (или рядовые общинники), среди которых устанавливается наличие таких социальных категорий, как мемквидре, мсахури, богано и хизани. Выясняется, что именно из рядов мсахури и мемквидре (эти последние и составляли большинство населения Мтиулети и Гудамакари) выдвигались отдельные лица на должности крупных и мелких чиновников (моурави нацвали, мамасахлиси), или церковных служителей (мгвдели), что способствовало определенному росту их привилегий по сравнению с рядовыми общинниками. Но ни один привилегированный горец не достиг положения азнаура, социальная категория которого вообще не устанавливается среди населения Мтиулети и Гудамакари. Это обстоятельство служит еще одним доказательством того, что население исследуемого региона в XVIII веке по уровню социальной дифференциации значительно отставало от населения равнинной части Восточной Грузии, где тот же процесс носил более интенсивный характер.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

С. А. МАРКАРЯН

О ЗНАЧЕНИИ И ДАТИРОВКЕ БИТВЫ ТЮРОК-СЕЛЬДЖУКОВ С ВОЙСКАМИ СОЮЗНИКОВ (1049 г.)

Сельджуки после разгрома ими в 1040 г. в битве у Данданакана военных сил Газневидов приступили к широким завоевательным акциям в Западном Иране и Закавказье. Лишь в конце 40-х гг. XI века византийское правительство обратило внимание на опасность вторжения тюрок-сельджуков (да и то не в полной мере) и снарядило войско против них. Первое сражение с сельджуками этой византийской армии, объединившейся с грузинскими и армянскими воинскими силами в Закавказье, мы и предполагаем рассмотреть в данной работе.

Следует отметить, что обстоятельства битвы войск союзников с сельджукидом Ибрахимом Йиналом по-разному трактуются в исторической литературе. Различия касаются прежде всего датировки и оценки результатов битвы, которые византийские авторы освещают как победу византийских войск и поражение грузино-армянских сил, участвовавших в сражении, а Ибн ал-Асир и армянские историки (как и грузинская летопись «Матиане Картлиса») без всяких колебаний говорят о поражении всех войск союзников (византийцев, грузин и армян) в сражении с сельджуками Ибрахима Йинала[1].

Нашей целью в данной работе является рассмотрение сообщений разноязычных источников по этим вопросам и установление даты сражения войск союзников во главе с Липаритом Багваши с тюрками-сельджуками главным образом по армянским источникам.

Основными источниками, сообщающими нам об этой битве, являются работы византийских историков Скилицы-Кедрина, Зонары, армянских историков Аристакэса Ластивертци (XI в.), Маттеоса Урхаеци (XII в.), Смбата Гунстабля (XIII в.) и Степаноса Орбелиани (XIII в.) и грузинская летопись «Матиане Картлиса» (XI в.) (составная часть свода «Картлис Цховреба»), а также сведения Ибн ал-Асира (XIII в.), сообщающего некоторые подробности сражения. Различные исследователи в той или иной степени касались этого сражения. Так, К. Каэн пишет об этой битве вскользь[2], К. Босворт также не уделяет ей особого внимания[3], а что касается Г. Шлюмберже и В. Ф. Минорского, то они считали, что это одна из тех немногих в истории «ничейных» битв, которая, однако, на некоторое время приостановила продвижение сельджу-

---

[1] Аристакэс Ластивертци даже главу, посвященную этой битве, назвал «О великой битве в долине Басеана, в которой ромеи понесли поражение», см.: «Повествование вардапета Аристакэса Ластивертци» перев., с древнеарм., вступ. статья, коммент. и прилож. К. Н. Юзбашяна, М., 1968, с. 94 (далее—«Повествование...»).

[2] Cl. Cahen, Pre-Ottoman turkey. N. Y.-L., 1968, с. 23; 68.

[3] C. E. Bosworth. The political and dynastic history of the Iranian world (A. Д. 1000—1217), The Cambridge History of Iran, vol. V, Cambridge, 1968, с. 43.

ков на Запад[4] (т. е. в Малую Азию — С. М.). Однако под впечатлением этого сражения византийцы заключили в 1049 г. предварительный торговый договор, более выгодный сельджукам, чем им, и оказавшийся, впрочем, очень недолговечным, хотя им и пришлось ради этого договора с султаном согласиться на открытие мечети в Константинополе, что, как известно, египетские Фатимиды приписывали их собственным усилиям[5].

В работах В. У. Копалиани, Н. Н. Шенгелия, М. Д. Лордкипанидзе об этой битве говорится лишь в связи с вопросами внешней политики Грузии в XI в[6]. Что касается работы С. В. Борназяна, то в ней эта битва рассматривается более подробно. Здесь освещены подробности битвы по византийским источникам и Ибн ал-Асиру[7], но автор не касается спорных вопросов датировки и значения этой битвы. Следует отметить, что византийские авторы занимают своеобразную позицию в отношении оценки этого сражения: они считают, что византийские войска во главе с Катакалоном Кекавменом и Аароном одержали победу над сельджуками, в то время как Липарит потерпел поражение и был взят в плен[8]; можно думать, будто речь идет о разных сражениях. Что касается армянских авторов, то они, как Ибн ал-Асир и другие мусульманские авторы, утверждают, что объединенные войска союзников потерпели поражение в этом сражении. Кроме того, различные армянские авторы называют датой сражения осень 1049 г., в то время как византийские авторы говорят о том, что сражение состоялось в 1048 г., а Ибн ал-Асир называет годом этой битвы 440 г. хиджры (1048—1049 гг.). Следом за ним эту дату повторяют и другие мусульманские авторы.

Прежде чем приступить к рассмотрению спорных вопросов, обратимся к ходу самого сражения. Нам известно из различных источников, что битва эта состоялась в местности Арджовит, у крепости Капутру[9]. По сообщению Маттеоса Урхаеци, Смбата Гунстабля и «Матиане Картлиса» император Константин XI Мономах отправил войска на восток[10] «для защиты страны Армянской и сражения с войсками персов»[11].

[4] G. Schlumberger L'Epopee byzantine a la fin du X s, Paris, 1905, с. 559—560; Minorsky. V. «Studies in Caucasian history», London, 1953, с. 63. (Там же В. Ф. Минорский указывает на 18 июля 1048 г. как на дату этой битвы — С. М.).

[5] Cl. Cahen. La diplomatie orientale de Byzance Face a la pousse Seldjukide, Bruxelles, 1965, с. 12—13.

[6] В. У. Копалиани, Политические взаимоотношения Грузии и Византии в 970—1070 гг.», Тб., 1971, с. 250—258 (на груз. яз.); Н. Н. Шенгелия, Сельджуки и Грузия в XI в., Тб., 1968, с. 180—191 (на груз. яз.); М. Д. Лордкипанидзе, История Грузии XI—начала XIII в., Тб., 1974, гл. II., § 2—3, 4.

[7] С. В. Борназян, Армения и сельджуки в XI—XII вв., Ереван, 1980, с. 50—57 (на арм. яз.).

[8] Сведения византийских писателей о Грузии, т. V, Греческие тексты с грузинским переводом издал, примечаниями снабдил С. Г. Каухчишвили, Тбилиси, 1963, с. 76—78 (на груз. яз.) (далее —«Сведения...»)

[9] «Повествование...», с. 95; «Сведения...», с. 75—76 и др.

[10] Маттеос Урхаеци, Хронография, Ереван, 1973, с. 69 (на арм. яз.); Смбат, Спарапет, Летопись, перев. с древнеарм, предисловие и примечания А. Г. Галстяна Ереван, 1974, с. 26; Летопись Смбата Гунстабля, Венеция, 1956, с. 39 (на арм яз.); Матиане Картлиса, перев., ведение и примечание М. Д. Лордкипанидзе, Тбилиси, 1974, с. 50. Летопись Картли, перевод, введ. и примеч. Г. В. Цулая. Тбилиси, 1982, с. 70. Интересно, что Р. А. Гусейнов, также на основании византийских авторов считающий, что битва эта имела место в 1048 г., пишет, что грузинский царь, Баграт IV обратился к Византии за помощью против сельджуков и та послала было пятнадцатитысячное войско,

По сообщению этих же источников и Аристакэса Ластивертци[12] (и в этом с ними идентичны сведения византийских историков) командующими этими войсками были назначены правители фем Иверия и Васпуракан Катакалон Кекавмен и Аарон Булгар, а также известный армянский феодал середины XI в. Григор Магистр. Маттеос Урхаеци, Смбат Гунстабль и «Матиане Картлиса» сообщают, что император назначил и Липарита главнокомандующим войсками, наряду с указанными выше лицами[13]. Византийские авторы пишут, что император обратился к Липариту с таким посланием: «Захвати все свои войска[14] и скорее иди на помощь и объединись с ромейскими полководцами и вместе с ними воюй с варварами, если считаешь себя союзником и другом ромейцев»[15]. Тем временем, Катакалон Кекавмен и Аарон Булгар, объединив свои войска, держали военный совет. Кекавмен предлагал вступить в переговоры с тюрками-сельджуками, с тем, чтобы дарами побудить их покинуть пределы Армении. Аарон, наоборот, предлагал все богатства запереть в неприступных крепостях и обратиться с письмом о помощи к императору[16]. Победила точка зрения Аарона, и император в ответ на их послание предложил своим полководцам дождаться помощи Липарита и потом лишь выступить против тюрок-сельджуков[17]. Пока Липарит собирал войска и вел переписку с императором, тюрки-сельджуки разорили многие районы в Армении и ушли в Васпуракан[18]. Узнав об этом, Кекавмен и Аарон повернули свои войска и направились в фему Иверия, а войска Ибрахима Инала, видимо, неожиданно для византийцев, оставили Васпуракан и принялись преследовать их, стремясь дать бой[19]. Тогда византийские полководцы, согласно сведениям Зонары, укрепились в труднодоступном месте, возвели со всех сторон земляные валы и, осажденные сельджуками, снова обратились к Липариту с просьбой не задерживаться[20]. Зонара считает, что позиции византийцев были не-

---

которое, однако, «до Закавказья не дошло» (см. Р. А. Гусейнов. Взаимоотношения Византии и сельджуков в Малой Азии в XI—XIII вв. (по сирийским источникам, в сб.: «Средневековый Восток», М., 1980, с.121). Однако следует признать, что это мнение противоречит данным византийских и армянских источников. А на страницах 271 — 272, 274 второго тома «Истории Византии» под ред. С. Д. Сказкина (М., 1967 г.,) на которые ссылается Р. А. Гусейнов, о битве с тюрками-сельджуками в 1049 г. (или в 1048 г. —?) не идет речь —там разбираются вопросы дипломатии Византии на Балканах и на Востоке и восстание Льва Торника. Откуда же вывод о том, что пятнадцатитысячное войско трапизундских легионов, которыми командовал правитель фемы Иверия Катакалон Кекавмен, в сражение с сельджуками не вступило?

[11] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 69. (Под «персами» тут подразумеваются тюрки-сельджуки — С. М.).

[12] «Повествование...», с. 94.

[13] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 69—7,0; См. Гунстабль, с. 39; то же, русск. перевод, с. 26; Матиане Картлиса, с. 50.

[14] Буквально «... все войска, которые под твоим управлением» — С. М.

[15] «Сведения...», с. 72.

[16] К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, ч. II, Византийские писатели, Тифлис, 1890, с. 45—46.

[17] «Сведеня...», т. 5, с. 72—73.

[18] Там же.

[19] Там же, т. 5, с. 73.

[20] Там же, т. 6, Тбилиси, 1966, с. 236.

приступны, и потому тюрки-сельджуки ушли в сторону Арчеша и занялись осадой Арцна[21]. Это существенный момент, который, как мы увидим ниже, является одним из основных фактов, из которых исходит наша аргументация вопроса.

Пока византийцы ждали помощи Липарита, тюрки-сельджуки учинили резню в гаваре Мананали[22], взяли и разорили Арцн[23]. А византийцы, как пишет Аристакэс Ластивертци, все «... умоляли Липарита прийти на помощь»[24]. Зонара прямо указывает, что войска византийцев не решались вступить в бой с тюрками-сельджуками, пока «иверийские войска не соединились бы с ними»[25].

Объединение войск союзников произошло в местности Арджовит, у крепости Капутру. Маттеос Урхаеци пишет, что войска тюрок-сельджуков, узнав об этом, пришли туда же[26]. По сообщению византийских авторов Кекавмен командовал правым флангом войска союзников, Липарит —центром войска, а Аарон и Григор Магистр находились на левом фланге. Войска тюрок-сельджуков расположились следующим образом: против Кекавмена стоял Ибрахим Йинал, против Липарита — брат Ибрахима Йинала Аспан Селиарос, которого армянские источники идентифицируют с Куталмышем[27], а против Аарона—некий предводитель тюрок-сельджуков, названный «Хорасанитом»[28]. Ибрахим Йинал завязал сражение в субботу днем и потеснил Катакалона Кекавмена. Когда тот попросил о помощи, Липарит ему ответил: «Сегодня суббота и грузинам не положено в этот день воевать»[29].

Сельджуки не смогли одолеть днем византийцев и сражение разгорелось с новой силой ночью. Видимо, не выдержав напряжения, один из грузинских военачальников, Чортванели, доводившийся родственником Липариту и, судя по всему, бывший его любимцем, вступил со своим полком в бой и погнал тюрок-сельджуков[30]. В ночном бою Чортванели попала в горло шальная стрела и он был убит. Узнав о его смерти, Липарит пришел в неописуемую ярость и с остальными своими войсками обрушился на Куталмыша. Войска Куталмыша, не выдержав удара, обратились было в бегство, но в этот кульминационный момент сражения с поля боя исчезли византийцы. Маттеос Урхаеци пишет, что «... ромейские войска, увидев храбрость Липарита, предали его и отдались бегству, оставив его одного среди иноземцев, чтобы он не приобрел славы храброго человека»[31].

А Аристакэс Ластивертци пишет, что с поля битвы бежал только Аарон Булгар со своими войсками[32]. Смбат Гунстабль также говорит

---

[21] «Сведения...«, т. 6; т. 5, с. 73—74.

[22] «Повествование...», с. 89.

[23] Там же, с. 91—93.

[24] Там же, с. 94.

[25] «Сведения...», т. 6, с. 236.

[26] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 71.

[27] Нам кажется, что правильную догадку высказал С. В. Борназян (см. его книгу «Армения и сельджуки в XI—XII вв.,» с. 51, примеч. 59), считающий, что «Аспан Селиарос» — это искаженная романизированная форма титула «исфахсалар».

[28] «Сведения...», т. 5, с. 73—74.

[29] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 71.

[30] Там же.

[31] Там же.

[32] «Повествование...», с. 95.

о бегстве всех византийцев с поля сражения[33]. Все трое армянских авторов едины во мнении, что Липарит со своими войсками в разгар сражения был оставлен византийскими союзниками, на помощь которым он, собственно говоря, и явился. И вот тогда, видимо, тюрки-сельджуки с правого и левого фланга замкнули кольцо окружения вокруг войск Липарита — Ибрахим Йинал и Хорасанит пришли на помощь Куталмышу. «Сражение накалилось. Липарит дрался в первых рядах своих воинов и рычал как лев, а иноверцы укрывались от его разящего во все стороны меча» — пишет Маттеос Урхаеци[34]. В это время случился эпизод, корни которого надо искать во внутриполитической ситуации в Грузии. Аристакэс Ластивертци пишет, что у коня Липарита ноги была рассечены мечом и потому его захватили в этот момент в плен тюрки-сельджуки[35]. Маттеос Урхаеци сообщает, что сделал это один из грузинских воинов, подкравшийся сзади, незаметно, к Липариту[36]. Зачем же понадобилось грузинскому воину губить Липарита? Дело в том, что в 40-е годы XI века Липарит был лидером феодального сепаратизма у себя на родине, в Грузии, и неоднократно выступал против царя Баграта IV. По всей вероятности, можно предположить, что грузинский воин, подрубивший сухожилия на ногах коня Липарита, действовал по приказанию грузинского царя Баграта IV и был отправлен им в поход с войсками Липарита, чтобы при удобном случае погубить его политического противника.

Маттеос Урхаеци сообщает, что Липарит, соскочив с погибающего коня, обернулся к тому, кто это сделал, и рассек его ударом меча пополам[37]. Окруженное войско Липарита дралось до последнего воина и многие представители знати пали в этом сражении. Увидев небольшое количество своих воинов, оставшихся в живых и желая отвлечь от них внимание противника, Липарит крикнул, обращаясь к тюркам-сельджукам: «Эй, сюда! Я Липарит! Я здесь!»[38] Тюрки-сельджуки набросились на него и захватили в плен, как самую ценную добычу.

А византийские историки утверждают, что Катакалон Кекавмен и Аарон не бежали якобы с поля боя, а погнали стоявших перед ними тюрок-сельжуков и, преследуя противника, оторвались от войск Липарита и с недоумением и удивлением узнали о пленении Липарита от одного грузинского воина, бежавшего с поля битвы[39]. Самое интересное, что Скилица-Кедрин пишет о пленении Липарита Ибрахимом Йиналом и его братом (т. е. Куталмышем — С. М.) еще каким-то тюркским вождем. (Видимо, речь идет о третьем предводителе войска тюрок-сельджуков Хорасаните — С. М.). Между тем, нам известно, что Ибрахим Йинал стоял напротив Катакалона Кекавмена, а Хорасанит —напротив Аарона. Непонятно, кого преследовали в ночном бою Катакалон Кекавмен и Аарон Булгар, если те, против кого они дрались, окружили войска Липарита и сражались с ним? Ответ может быть только один: правы Маттеос Урхаеци, Смбат Гунстабль и Аристакэс Ластивертци, повествующие нам об измене византийских полководцев и их бегстве с поля боя. И никого не преследовали Катакалон Кекавмен и Аарон Бул-

[33] Смбат Спарапет, Летопись, с. 28; Летопись Смбата Гунстабля, с. 47.
[34] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 71.
[35] «Повествование...», с. 95.
[36] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 71.
[37] Там же.
[38] Там же.
[39] «Сведения...,» т. 5, с. 76—77.

гар — они просто бежали от тюрок-сельджуков и, дождавшись их ухода из Армении в Рей, осторожно вернулись в свои разоренные фемы— Катакалон Кекавмен в фему Иверия, Аарон Булгар — в фему Васпуракан[40]. Желая объяснить свое поведение современникам и императору, они, видимо, и изобразили события таким образом, как это описывают византийске авторы. То, что это так и было, подтверждает дальнейшая судьба обоих полководцев — Кекавмен еще некоторое время управлял фемой Иверия, а Аарон сменил его на этом посту в 50-е годы XI века[41] и даже получил титула магистра и дуки «Иверии» и «Великой Армении». По всей вероятности, они сумели оправдаться перед императором Константином IX Мономахом в своем отнюдь не благородном поведении в битве 1049 г. с тюрками-сельджуками.

Как сообщает Степанос Орбелиан: «...цари.., опасаясь лично выступить против измаильтян, усиленными просьбами склонили доблестного и непобедимого Липарита, в виду будущего сражения, идти на соединение с греческими легионами, сами же укрылись в своих укрепленных замках»[42].

Смбат Гунстабль и Маттеос Урхаеци говорят о трех главнокомандующих[43], поставленных, якобы, императором Константином Мономахом, судя по сообщениям, на равных правах — это Катакалон Кекавмен, Григор Магистр и Липарит Багваши[44]. Но Аристакэс Ластивертци говорит о том, что Кекавмен, Григор Магистр и правитель Васпуракана Аарон обратились к Липариту с просьбой возглавить войска и после щедрых даров Липарит согласился [5]. Кто бы ни обращался к Липариту с просьбой возглавить войска в битве с сельджуками—царь грузинского царства, армянского Вананда или военачальники византийского войска или даже сам император Константин IX Мономах — в любом случае сам факт приглашения Липарита, долгих его уговоров и богатых ему даров говорит нам, конечно же, о его воинской славе и высоком авторитете среди современников. Маттеос Урхаеци, Аристакэс Ластивертци, Смбат Гунстабль подчеркивают богатырскую силу и воинскую доблесть Липарита, его презрение к опасности и смерти, но тут же отмечают, что Липарит не смог объединить войска и правителей. Так и не придя к согласию, военачальники готовились к сражению у крепости Капутру [6]. Когда же произошла эта битва с сельджуками войск союзников во главе с Липаритом? В отношении даты этой битвы мы можем встретить у многих авторов лишь неясные указания. В литературе эта битва

---

[40] «Сведения...», т. 5, с. 78.

[41] К. Н. Юзбашян, Новые данные для изучения византийской администрации в Армении и Грузии в XI в. В кн.: Кавказ и Византия, вып. 2, Ереван, 1980, с. 70.

[42] Степанос Орбелиан. История области Сисакан, Тифлис, 1910, с. 374 (на арм. яз.); «Извлечения из сочинений Стефана Сюнийского, армянского писателя XIII в. перевел с древнеармянского Х. Иоаннесов М., 1883, с. 5 (далее—«Извлечения».)

[43] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 68—69; Летопись Смбата Гунстабля, с. 39.

[44] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 69; Летопись Смбата Гунстабля, с. 39, Смбат Спарапет, «Летопись», с. 26.

[45] «Повествование», с. 94.

[46] Маттеос Урхаеци, Хронография; с. 67; Летопись Смбата Гунстабля, с. 46; то же, русск. перев., с. 27.

обычно датируется 18 сентября 1048 г.[47]. Клод Каэн пишет, что в 1048 г. тюрки-сельджуки под командованием Ибрахима Йинала в районе между реками Мурад-Су и Кара-Су разбили «иверийского князя Липарита и захватили его в плен»[48], но несколько раньше он же утверждает, что крупный поход в Армению был проведен Ибрахимом Ййналом в 1049 г.[49].

При этом М. Д. Лордкипанидзе пишет о пленении Липарита сельджуками в 1048 г.[50], но тут же указывает, что битва Липарита с сельджуками имела место в 1049 г.[51]. При этом, указывая на 1048 г., М. Д. Лордкипанидзе ссылается на с. 299—300 грузинского летописного свода «Картлис Цховреба» («История Грузии»), одной из составных частей которого является летопись XI в. «Матиане Картлиса». На с. 299 действительно летописец говорит об осаде Анакопии царем Багратом IV и о втором посольстве тбилисских бэров (старейшин) к нему с просьбой занять Тбилиси, имевшем место в 1048 г. Но из текста на с. 299—300 вовсе на следует, что Липарит в это время находился в плену у сельджуков. Скорее наоборот, уже после рассказа о занятии Тбилиси Багратом IV летописец рассказывает еще об одном столкновении между Багратом IV и его могущественным вассалом: «... царь Баграт в страшную зимнюю метель перешел Шарвашети и спустился в Картли»[52]; видимо, речь идет о зиме 1048—1049 гг., ибо до этого говорится о событиях, имевших место, как пишет М. Д. Лордкипанидзе, летом 1048 г. Кроме того, следует отметить, что осенью 1047 или в зиму 1047—1048 гг. эти события (столкновения Баграта IV и Липарита Багваши) не могли иметь места, ибо летописец повествует о поведении Липарита как о непрерывной цепи действий и поступков на протяжении периода «весна-лето-осень». Это время в 1047 г. Липарит провел под стенами Двина. Нам известно, что Катакалон Какавмен, правитель фемы Иверия, назначенный в 1946 г., в конце того же года выступил на осаду Двина[54]. Осада продолжалась большую часть 1047 г. и именно тогда, по всей видимости, явился на помощь византийцам Липарит, как сообщает анонимный автор «Матиане Картлиса» «...выступил он в далекий поход, в Двин и сражался в интересах греческого царя против Двина, а затем

---

[47] Так считают К. Н. Юзбашян, Р. А. Гусейнов, С. В. Борназян и др. См. «Повествование»., прим. 3, кн. XIII, с. 163; «Взаимоотношения Византии и сельджуков в Малой Азии в XI—XIII вв.,», с. 121; Армения и сельджуки в XI—XII вв., с. 51. Более того, Г. С. Микаелян в «Истории Киликийского-армянского государства» (Ереван, 1952, с. 55) датирует эту битву 1050 г.

[48] Cahen Cl .Pre — Ottoman turkey, с. 68.

[49] Там же, с. 23.

[50] М. Д. Лордкипанидзе, указ. соч., с. 74; Матиане Картлиса, (перевод, введ. и прим. М. Д. Лордкипанидзе), Тбилиси, 1974, прим. 234, с. 86, Здесь же следует отметить, что К. Н. Юзбашян также называет датой этой битвы то 1048 г. (см. «Повествование», прим. 3 к главе XIII, с. 163), то 1049 г. (см. вступительную статью к переводу на русский яз. соч. Аристакэса Ластивертци — «Повествование», с. 31).

[51] М. Д. Лордкипанидзе, История Грузии в XI-нач. XIII в., с. 62.

[52] Картлис Цховреба, (История Грузии), груз. текст издал С. Г. Каухчишвили, Тбилиси, 1955, т. I, с. 300—301.

[53] М. Д. Лордкипанидзе, указ. соч., с. 59.

[54] В. А. Арутюнова-Фиданян. Еще раз о феме «Иверия», в сб.,: «Кавказ и Византия», вып. I, Ереван, 1979, с. 53.

вернулся в свою вотчину»[55]. О результатах похода на Двин «Матиане Картлиса» не говорит, но ясно, что, если Липарит был в 1047 г. под Двином, он не мог одновременно выступить и против царя Баграта IV.

Таким образом, столкновения с царскими войсками могли происходить зимой 1048—1049 гг. и весной 1049 г., а летом 1048 г. Липарит и начал готовить новый заговор против царя Баграта IV, о котором говорит летописец[56]. Далее анонимный автор «Матиане Картлиса» говорит еще о двух сражениях Липарита и его союзников (армян и византийцев) с войсками царя Баграта IV, о свидании в Ховле, о пленении азнауров царя Липаритом Багваши[57]. Итак, в течение того периода, когда царь Баграт IV занял Тбилиси (1048 г.) до сражения с тюрками-сельджуками, Липарит не менее двух раз сражался с царскими войсками. причем однажды зимой (в первый раз). И лишь после этих событий автор «Матиане Картлиса» говорит нам о битве Липарита и византийцев с сельджуками во главе с Ибрахимом Йиналом. Видимо, реальная картина событий выглядела следующим образом: когда царь Баграт IV по предложению тбилисский старейшин занял Тбилиси в 1048 г., осенью Липарит Багваши выступил со своими союзниками против царя[58]. Царь Баграт, невзирая на сильную метель, перешел с войсками через Сурамский (Лихский) хребет, чтобы сразиться с Липаритом. В состоявшихся зимой 1048—1049 гг. сражениях у Сасиретской рощи и у крепости Аркис-Цихе Липарит одержал победу. Летописец сообщает, что после этого Липарит утвердился в Месхети, а потом пишет: «По истечении года, в области появились турки»[59]. И далее говорит о сражении войск Липарита с сельджукидом Ибрахимом Йиналом. Значит, и по данным автора «Матиане Картлиса» речь может идти об осени 1049 г., а не 1048 г., когда Липарит был занят борьбой с царем Багратом IV. Кроме того, целый ряд авторов считает, что Липарит был освобожден из плена султаном Тугрил-беком в 1051 г.[60] Согласно Маттеосу Урхаеци, Липарит пробыл в плену у султана Тугрил-бека 2 года, то же самое сообщает Смбат Гунстабль[61]. Если верить этим сообщениям, то мы получим еще один аргумент в пользу того, что сражение тюрок-сельджуков с войсками Липарита состоялось в 1049 г. Кроме того, нам известно, что в рассматриваемых событиях войсками сельджуков командовали Куталмыш и Ибрахим Йинал. Несомненно, что против войска в несколько десятков тысяч воинов Куталмыш и Ибрахин Йинал объединились бы, даже если предположить, что в походе, в погоне за добычей, их войска сначала рассеялись в разных направлениях, что, в общем, подтверждается и Маттеосом Урхаеци и Смбатом Гунстаблем, которые говорят о двух военачальниках, возглавлявших сельджуков в сражении с войсками

---

[55] Картлис Цховреба, с. 301.

[56] Там же, с. 299.

[57] Картлис Цховреба, т. I, с. 302; Матиане Картлиса, с. 50—51; Летопись Картли, с. 70.

[58] Картлис Цховреба, с. 300. Летописец говорит: «А по истечении летних дней Липарит опять начал готовить козни». И далее следует рассказ о столкновении с царем Багратом IV— С. М.

[59] Картлис Цховреба, с. 301.

[60] Г. И. Джапаридзе, Об одном сообщении Ибн ал-Асира, «Восточные источники по истории Грузии», Тбилиси, 1976; М. Д. Лордкипанидзе, указ. соч., с. 59; В. У. Копалиани, Политические взаимоотношени Грузии и Византии в 970—1070 гг., Тбилиси, 1971, с. 255—256 (на груз. яз.).

[61] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 72; Летопись Смбата Гунстабля, с. 46—47; то же, русск. перев., с. 28.

Липарита[62]. А между тем, есть сведения, что летом 1048 г. Куталмыш воевал с Какуидом Абу Калиджаром[63], правившим в Хамадане, и, следовательно, вряд ли мог участвовать тогда же в сражении с войсками Липарита. Есть, правда, авторы, которые указывают на 1049 г., как на дату этого сражения, однако без достаточной, как нам кажется, аргументации[64]. Грузинская летопись «Матиане Картлиса» (составная часть «Картлис Цховреба») не говорит о дате сражения, но события, о которых она повествует ранее, чем о сражении, не позволяют безусловно датировать сражение Липарита с сельджуками 1048 г. Ибн ал-Асир говорит о сражении с Липаритом Ибрахима Йинала под 440 годом хиджры (16 июня 1048 г. — 6 июня 1049 года). Но летом и осенью 1048 г. Липарит был занят другими заботами у себя на родине — в Грузии и, следовательно, по дате Ибн ал-Асира (440 год хиджры) для определения интересующего нас события остается по христианскому календарю период с 1-го января по 5 июня 1049 г. Да, но по сведениям Аристакэса Ластивертци, Маттеоса Урхаеци и Смбата Гунстабля сражение произошло осенью. Значит, речь может идти об осени (сентябрь) 1049 г. и Ибн ал-Асир, источник которого в этом рассказе остается неизвестным, ошибается по меньшей мере на 3 месяца и сражение имело место в 441 году хиджры в месяце раби ас-сани.

Обратимся к данным армянских историков. Что касается Маттеоса Урхаеци, то он прямо указывает на 1049 г., как на время сражения Липарита с сельджуками, рассказывая о нем под 498 годом армянского летоисчисления, который начался 9 марта 1049 г. и продолжался до 8 марта 1050 года. На 498 год армянского летоисчисления при изложении рассматриваемых событий указывает и Смбат Гунстабль[67]. Аристакэс Ластивертци под 497 годом армянского летоисчисления (10 марта 1048 г. — 9 марта 1049 г.) сообщает о вторжении сельджуков в Армению и области Спери и Тао. Несколько ниже он же пишет: «А на следующий год собралось бесчисленное множество войск... и в великом порыве стремительно вторглись в нашу страну — в сентябре, в праздник святого креста, в среду»[68].

Основываясь на подсчетах Прюдомма, К. Н. Юзбашян считает, что речь идет о сентябре 1048 г.[69] Однако мы полагаем, что речь идет о 498 г. армянского летоисчисления, следующем после 497, а Аристакэс говорит «на следующий год», имея в виду, безусловно, армянское летоисчисление того времени, а не времена года. Между тем, 498 год начался 9 марта 1049 г., — значит, указанная фраза Аристакэса может касаться только осени 1049 г. (сентября), но никак не 1048 г., о чем вслед за Прюдоммом пишет К. Н. Юзбашян. Рассказывая о вторжении 497 года, Аристакэс Ластивертци прямо говорит, что, взяв, добычу и пленных,

---

[62] Маттеос Урхаеци, Хронография, с. 68; Летопись Смбата Гунстабля, с. 46; Смбат Спарапет, Летопись, с. 26;

[63] Cl. Cahen. Qutlumush et ses fils avant l'Asia Mineure, Der Islam, b. 39. Berlin, 1964, c. 17.

[64] Rene Grousset, Histoire d l'Armenie des Origines—a 1071, Paris, 1947, c. 589.

[65] Jbn al-Athiri chronicon quod perfectissimum inscribitur, ed. C. S. Tornberg, Lugduni Batavorum, 1863, IX, c. 362—367.

[66] Маттеос Урхаеци, указ. соч., с. 68—72.

[67] Летопись Смбата Гунстабля, с. 45—47; Смбат Спарапет, «Летопись», с. 26.

[68] «Повествование...,, с. 87—88.

[69] Там же, с. 162, прим. к гл. XI.

сельджуки ушли и не сообщает о каком-либо сопротивлении им, тем более — о сражении. Далее он рассказывает о взятии сельджуками Арцна и разграблении этого богатого торгового города. В такой же последовательности мы встречаем рассказ об этих событиях и у Маттеоса Урхаеци и Смбата Гунстабля[70]. Дата взятия Арцна и разорения его сельджуками летом 1049 г. не вызывает сомнений[71]. И лишь после описания эпопеи Арцна, в следующей главе своего труда Аристакэс Ластивертци говорит о битве с сельджуками, из чего следует, что событие произошло после падения Арцна, а наш автор (Ластивертци) хронологически довольно точно придерживается описания исторических событий в порядке их следования друг за другом.

Надо отметить, что Ибн ал-Асир, сообщая о походе Ибрахима Йинала против «ромейцев и абхазов», говорит сначала о взятии Арцна, потом уже о состоявшемся с грузино-армяно-византийским войском сражении[72]. Значит, осенью 1049 г. состоялось третье вторжение (первые два имели место в 1047 и 1048 гг.) — тогда-то и выступили византийцы и Липарит на битву с сельджуками. Невозможно предположить, что Липарит в тот же день, когда было совершено вторжение (если принять дату 18 сентября 1048 г.) или за 7 дней (если принять дату В. Н. Бенешевича 10 сентября 1048 г[73]) сумел не только собрать войска, но и ответить на все посольства и в назначенное место явиться на соединение с византийскими войсками. В связи с этим кажется мало вероятным, что сражение войск под командованием Липарита с сельджуками Ибрахима Йинала могло произойти в сентябре 1048 г. Наиболее приемлемой представляется дата сентябрь 1049 г. и новое прочтение соответствующего места из труда Аристакэса Ластивертци дает нам еще один аргумент в пользу того, что упомянутое сражение следует отнести вслед за Маттеосом Урхаеци и Смбатом Гунстаблем именно к этой дате.

В заключение отметим, что битва 1049 г. была выиграна сельджуками в значительной мере из-за лучшей их организованности, а союзное войско с самого начала страдало ее отсутствием. Если тюрки-сельджуки, судя по косвенным данным, признавали безусловное руководство Ибрахима Йинала, то в войсках союзников такого единства не наблюдалось — Липарит Багваши, Катакалон Кекавмен, Аарон Булгар до самого начала сражения оспаривали друг у друга первенство в руководстве войск. Сказались и объективные причины — существовавший тогда грузино-византийский антагонизм привел к предательству византийских полководцев и их бегству с поля сражения, о чем нам говорят армянские источники. Они свидетельствуют, что Липарит не хотел сначала вступить в бой, уже завязанный византийскими войсками с силами Ибрахима Йинала, мотивируя свой отказ тем, что грузины в субботу не воюют. Но по всей вероятности, истинной причиной было нежелание Липарита вступить в сражение, пока вопрос о главнокомандующем

---

[70] Маттеос Урхаеци, указ. соч., с. 68; Летопись Смбатта Гунстабля, с. 46—45; Смбат Спарапет, Летопись, с. 27 (русск. перев.).

[71] История армянского народа, ч. I, под ред. Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоанесяна, Ереван, 1951, г., с. 153; История армянского народа, под ред. М. Г. Нерсесяна, Ереван, 1980, г., с. 139.

[72] Jbn al-Athiri chronicon, IX, 365—376.

[73] В. Н. Бенешевич, Три анийские надписи из эпохи византийского владычества, Петроград, 1921, с. 7.

войсками союзников еще не был до конца решен. Может быть, Липарит решил до поры до времени не вступать в сражение, а дождаться, пока завязавшие битву византийцы окажутся в трудном положении и будут просить его о помощи, а он, нанеся решающий удар тюркам-сельджукам, еще раз продемонстрирует свою силу, значение и воинский талант полководца. Нам представляется ошибочной точка зрения некоторых авторов, считающих эту битву «ничейной». В этой битве, несомненно, победу одержали тюрки-сельджуки во главе с Ибрахимом Йиналом и Куталимышем, вопреки мнению византийских историков. Тем не менее, это была первая, серьезная «проба сил» на пути сельджуков на запад, в Малую Азию и она показала сельджукам, что в этом продвижении им придется иметь дело с византийскими контингентами войск, способными на время объединяться с местными грузинскими и армянскими воинскими силами, вопреки существующему противоречию между Византией и грузинскими и армянскими областями. И несмотря на поражение войск союзников, эта битва сыграла роль сдерживающего фактора в продвижении тюрок-сельджуков в Малую Азию.

Представлена Ворошиловградским педагогическим институтом им. Т. Г. Шевченко

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩელი არახამია

„ძეგლი ერისთავთა“-ს ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხისათვის

ცხრაზმის ერისთავთა საგვარეულო მატიანის — „ძეგლი ერისთავთა“-ს (XV ს-ის დასაწყისი) წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა ჩაითვალოს მასში დასახელებული ისტორიული პირების იდენტიფიკაცია და ქრონოლოგია. აღსანიშნავია, რომ მატიანის ტექსტში არ გვხვდება არც ერთი თარიღი. ასეთ ვითარებაში მასში გადმოცემული ამბების დასათარიღებლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მატიანეში მოხსენიებული ისტორიული პირების ვინაობისა და ქრონოლოგიის დადგენას.

მატიანის ე. წ. მეორე ნაწილში ავტორი ასახელებს ადარნასე მეფეს, რომელსაც დარჩა „ძე ვახტანგ ექუსისა წლისაჲ, მაშინ მამის ძმამან მისმან დაიპყრა მეფობაჲ და არარაჲ მისცა ძმისწულსა თჳსსა ვახტანგს“. მათ შორის გამართულ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობს ცხრაზმის ერისთავი შალვა თავისი გაზრდილის, — ვახტანგის მხარეზე. მიუხედავად იმისა, რომ დავით მეფე „მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა შალვას“, ეს უკანასკნელი მაინც „წარჰყვა ძესა მას მეფისასა (ვახტანგს. — გ. ა.) ურდოს“. ამით აღშფოთებული დავით მეფე ურიცხვი ლაშქრით მოადგა „ცხრასავე ჯევსა შალვაჲს საერისთავოსა“, რომელსაც აოხრებდა „შჯდ წელ“. ამის შემდგომ „მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრითა ურიცხვითა სპითა... მაშინ დავით დგა ბაზალეთს და ვითარცა ცნა მოსლვაჲ მათი, მიჰმართა ციხესა დარ[ი]ელისასა“. დავით მეფეს კვალდაკვალ გაეკიდა ვახტანგისა და შალვას მიერ ჩამოყვანილი „სპარსთა“ ლაშქარი და „მოადგეს ციხესა გუელეთისასა“ დარიალის ხეობაში, სადაც თავი შეაფარა დავითმა. ეს უკანასკნელი ბრძოლაში მარცხდება. „მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუელეთით“. შემდგომ, ავტორის თხრობით, „მოკუდა დავით მეფე და მასვე წელსა მოკუდა ვახტანგ მეფე. მაშინ დაიპყრა მეფობაჲ გიორგი ძემან დავითისამან“[1].

ასეთია ძეგლში გადმოცემული ძირითადი ფაქტები, რომლებიც ეხებიან ამ ორი პიროვნების, დავითისა და ვახტანგის ურთიერთობას.

ძეგლის მოტანილ ამონაწერში დასახელებული ისტორიული პირების იდენტიფიკაციის საკითხი იმთავითვე მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. მ. ბროსე ძეგლის „ვახტანგ ადარნასეს ძეს“ აიგივებდა ვახტანგ III დემეტრეს ძესთან, „დავით მეფეს“ — დავით ნარინთან, „ადარნასე მეფეს“ კი

---

[1] ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, კრ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ., 30, თბ., 1954, გვ. 347 (ქვემოთ ვუთითებთ: „ძეგლი ერისთავთა“).

დემეტრე II თავდადებულთან[2]. თ. ჟორდანიას აზრით, „ადარნასე“ ვახტანგ III-ის ზედმეტი სახელი უნდა ყოფილიყო[3]. საურმაგ კაკაბაძე „ადარნასე მეფეში“ რეალურად ადარნასე II ბაგრატიონს (888—923) ხედავს[4]. ე. ხოშტარიას აზრით, ძეგლის „ვახტანგ მეფე“ უნდა გაიგივებულ იქნეს ვახტანგ III დემეტრეს ძესთან, ხოლო „დავით მეფეში“, რომელიც ძეგლის მიხედვით, ვახტანგის ბიძაა, უნდა იგულისხმებოდეს როგორც დავით VI ნარინი, ისე დავით VIII დემეტრეს ძე. მისივე მოსაზრებით, საერთოდ უნდა გამოირიცხოს ძეგლში დასახელებული „მეფე ადარნასე“, ხოლო „დიმიტრი“, რომელიც ძეგლის მიხედვით, ქვენიფნეველთა საგვარეულოს წარმომადგენელია, მეფე დემეტრე II-ს უნდა გულისხმობდეს[5]. როგორც ვხედავთ, საკითხი მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ძეგლის ვახტანგისა და დავითის მამისშვილობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი „მეფე ადარნასე“, რომლის ძმას ერქვა დავითი, ხოლო შვილს ვახტანგი, საქართველოს ისტორიაში ცნობილი არ არის. ასე რომ, ძეგლში წარმოდგენილი გენეალოგიით დავითისა და ვახტანგის იდენტიფიკაცია შეუძლებელი ხდება. მაგრამ მატიანეში გადმოცემული ამბები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული ორი პიროვნების ურთიერთობასთან, ახლოს დგას XIII—XIV სს. მიჯნაზე საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ მოვლენებთან, რომლებიც აღწერილია „ჟამთააღმწერლის“ საისტორიო თხზულებაში (XIV ს.).

ჟამთააღმწერლის ჩვენებით დემეტრე II-ს (1272—1289) დარჩა ერთერთი მცირეწლოვანი შვილი ვახტანგი, რომელიც დემეტრეს ურდოში სიკვდილით დასჯის შემდეგ „იყო მთიულეთს“[6]. ეს ფაქტი ახლოსაა ძეგლის თხრობასთან, რომლის თანახმად, შალვა ერისთავი „ზრდიდა ყრმასა მას“ ვახტანგს. ე. ი. ვახტანგ უფლისწული ცხრაზმის ერისთავის კარზე იზრდებოდა. ჟამთააღმწერლისა და ძეგლის აღნიშნული ცნობების მიმართებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წყაროების „მთიულეთის“ ცნებაში (ფართო გაგებით) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებთან ერთად ცხრაზმაც იგულისხმება[7]. როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერელთან გვაქვს ზოგადი, ხოლო ძეგლში კონკრეტული მითითება მცირეწლოვანი ვახტანგ უფლისწულის ადგილსამყოფელზე.

ჟამთააღმწერლის ცნობით, არავის ხეობაში გამაგრებულ დავით VIII-ის წინააღმდეგ გამოსულ მონღოლთა მარბიელ ლაშქარს მეგზურობას უწევს შალვა ქვენიფნეველი, რომელიც დავით მეფის მიერ ყოფილა „აღსავსე ნიჭითა..., რომელნი მას ჟამსა მიენიჭნეს, არა მოიხსენა წყალობა ეგოდენი“[8]. დავით

---

[2] M. Brosset, Additions et eclaircissmentes l'Histoire de la Georgie, addition XX, SPB, 1851, გვ. 368, შენიშვ. 2.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 5, შენ. 8.

[4] С. С. Какабадзе, Памятник эриставов, Тб., 1979, გვ. 15.

[5] ე. ხოშტარია, „ძეგლი ერისთავთა“-ს ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის, მრავალთავი, VII, თბ., 1980, გვ. 143—145.

[6] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 292 (ქვემოთ ვუთითებთ: „ჟამთააღმწერელი“).

[7] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II. გვ. 111.

[8] ჟამთააღმწერელი, გვ. 305.

მეფის მიერ შალვა ერისთავისათვის ბოძებული წყალობის შესახებ საუბარია ძეგლშიც: შალვა ერისთავს „დავით მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ეველდრებოდა“.

ჟამთააღმწერლის თანახმად, დავითისაგან განაწყენებული ვახტანგი, რომელმაც „ვერღარა თავს-იდვა უპატიოდ ყოფნა, წარვიდა ურდოს ყაზანის თანა,“ — სადაც „ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა“[9]. ასევე, ძეგლშიც საუბარია ვახტანგის (და მასთან ერთად შალვა ერისთავის) ურდოში გამგზავრებაზე.

ჟამთააღმწერლით, ვახტანგის ურდოდან საქართველოში დაბრუნების შემდგომ მონღოლთა ლაშქარი „წარვიდეს მთიულეთს და გარდახდეს გუელეთს, რამეთუ მეფე (დავითი იქ — გ. ა.) შედგომილ იყო“[10]. ძეგლის ცნობითაც, „სპარსთა“ (იგივე მონღოლთა) „სპაჲ ყოველი მოადგეს დავითს ციხესა გუელეთისასა“[11].

ამრიგად, „ძეგლი ერისთავთა“-ში აღწერილი ფაქტები და მოვლენები: ურთიერთბრძოლა დავითსა და ვახტანგს შორის, მათი ურთიერთობის დეტალები — ვახტანგის წასვლა ურდოში და იქ მეფობის დამტკიცება, დავითის გამაგრება არაგვის ხეობაში, მცირეწლოვანი ვახტანგის მთიანეთში ყოფნა, მტრული ურთიერთობა დავითსა და შალვა ერისთავს შორის, დავითის მიერ ცხრაზმის აოხრება და სხვ. სავსებით ემთხვევა იმ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში XIII—XIV სს. მიჯნაზე მეფე დავით VIII-სა და უფლისწულ ვახტანგს შემდგომში მეფე ვახტანგ III-ს შორის. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ძეგლის „მეფე დავითი“ გაიგივებულ იქნას დავით VIII დემეტრეს ძესთან (1293—1311)[12], ხოლო „ვახტანგი“ — ვახტანგ III დემეტრეს ძესთან (1302—1308)[13] ამის შემდეგ შესაძლებელი ხდება გაირკვეს ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც გვხვდება ძეგლის თხრობაში. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება დავითისა და ვახტანგის გენეალოგიას. ძეგლის ჩვენება იმის შესახებ, რომ ვახტანგის მამას ერქვა „ადარნასე“, ხოლო ძმას — „დავითი“, არარეალურია, რადგანაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ძეგლში საუბარია ვახტანგ III-ზე, რომელიც არის ძე დემეტრე II თავდადებულისა, ხოლო დავითი იმავე მეფის ძე და ვახტანგის უფროსი ძმაა. ასე რომ, ძეგლის ავტორი ვახტანგისა და დავითის მამისშვილობაზე მსჯელობისას უშვებს ამკარა უზუსტობას, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ აღნიშნულ საკითხებზე საუბრისას ავტორი ნაკლებ სანდო წყაროებით სარგებლობდა. რაც შეეხება „ადარნასეს“, მასში, ისტორიული სინამდვილისა და

---

[9] ჟამთააღმწერელი, გვ. 308, 309.

[10] იქვე გვ. 309.

[11] ძეგლი ერისთავთა, გვ. 47.

[12] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 238, 381, 393; ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 265, 269; ბ. ლომინაძე, საქართველო XIII ს-ის 70-იან — XIV ს-ის 10-იან წლებში, წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, თბ., 1979, გვ. 609, 611.

[13] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 392; ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 269; ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 611, 612; ვახტანგ III-ის ზეობას 1298/9—1308 წლებით განსაზღვრავს თ. ლომოური ნაშრომში: დავით VII-ისა და ვახტანგ III-ის ფულები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XV—B, თბ., 1943, გვ. 75—76.

ძეგლის რეალიების გათვალისწინებით, მეფე დემეტრე II თავდადებული (1272—1289) უნდა იგულისხმებოდეს.

ყურადღებას იქცევს ძეგლის ცნობა ვახტანგის მიერ დავითისათვის „ჯავახეთისა და ალასტანის“ გადაცემის შესახებ, რომელიც შეუძლებელია ასახავდეს დავით VIII-ისა და ვახტანგ III-ის ურთიერთობას. ზოგიერთი რეალიის გათვალისწინებით, აღნიშნულ ცნობაში შეიძლება საუბარი ეხებოდეს ვახტანგ II-ს (1289—1292).

დავითისა და ვახტანგის გარდაცვალების შემდგომ, ძეგლის მიხედვით, „დაიპყრა მეფობაჲ გიორგი, ძემან დავითისამან“[14]. დასახელებული „მეფე გიორგი ძე დავითისა“, ცხადია, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი გიორგი VI „მცირე“ დავით VIII-ის ძეა, რომელიც გამეფდა ვახტანგ III-ის გარდაცვალების (1308) შემდეგ მამის, დავით VIII-ის სიცოცხლეშივე და მეფობდა 1308—1314 წწ.[15].

ძეგლში ამის ქვემოთ საუბარია იმ „მეფე გიორგიზე“, რომელმაც „განილაშქრა მაღაროს“. აღნიშნულ ლაშქრობაში მეფეს თან ახლავს შალვა ერისთავის შვილები. ამის შემდგომ, ავტორის თანახმად, გარდაიცვალა შალვა ერისთავი. ერისთავი ხდება შალვას ძე ლარგუელი, ხოლო ლარგუელის შემდეგ მისი მემკვიდრე ვირშელი. ამ უკანასკნელის ერისთავობის ხანაში „მოვიდა ამბავი კლიტენი იერუსალჱმისანი სპარსთა დაიპყრნესო. და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი, მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსაც ერქუა პიპაჲ გზასა ხმელთასა... წინაშე ნისრელისა... ხოლო მან... მისცნა კლიტენი იერუსალჱმისანი... და დიდად განიხარა მეფე გიორგი“. იგივე გიორგი მეფე „მოადგა ოვსთა გორს მყოფთა და ჰბრძოდა სამ წელ“[16]. ამ მეფის ძეს ჰქვია დავითი. აშკარაა, რომ მოტანილ კონტექსტებში დასახელებული „მეფე გიორგი“ სხვაა, ხოლო ადრე დასახელებული „მეფე გიორგი ძე დავითისა“ კიდევ სხვა. გიორგი მეფესთან დაკავშირებით გადმოცემული რეალიები: ეგვიპტეში ელჩების გაგზავნა, „გორს მყოფთა“ ოსების წინააღმდეგ ბრძოლა, მემკვიდრის ვინაობა შეესაბამება საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი მეფის გიორგი V ბრწყინვალის მოღვაწეობასა და მდგომარეობას. ეს გარემოება ნათელს ხდის იმას, რომ ძეგლის „მეფე გიორგი“ არის იგივე გიორგი V ბრწყინვალე, რომელიც მეფობდა 1314—1346 წწ.[17], ხოლო „დავით ძე მეფისაჲ“ — გიორგი V-ის მემკვიდრე, ძეგლის მიხედვით, ჯერ კიდევ უფლისწული, შემდეგში მეფე დავით IX (1346—1360)[18].

ძეგლში მოხსენიებულია კიდევ ერთი მეფე გიორგი: „...მოვიდეს თურქნი წინაძღომითა ბაედარის ძისა ხოსიაჲსითა და მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი. და მუნ(ვე) მოკუდა ერისთავი ქუენი-

---

[14] ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

[15] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 323; ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, კრ. „XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“, თბ., 1964, გვ. 76—77; С. С. Какабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[16] ძეგლი ერისთავთა, გვ. 349—350.

[17] ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, მონღოლთა ბატონობის დასასრული და ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა, წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. III, გვ. 263.

[18] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 406—407.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფნეველი". ძეგლის ქრონიკალური მინაწერით ეს მომხდარა 1373 წ. (ქკნი: დაბ.)[19]. ამ დროისათვის საქართველოს სამეფო ტახტზე „მეფე გიორგი", რომელიც თურქებმა „მოკლეს", ცნობილი არ არის (1360—1393 წწ. საქართველოს სამეფო ტახტზე იჯდა ბაგრატ V)[20].

აღნიშნული „მეფე გიორგის" იდენტიფიკაციის საკითხს შეეხო მ. ბროსე; რომელმაც ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში დასახელებული „მეფე გიორგი" გიორგი V ბრწყინვალესთან გააიგივა[21]. შემდგომში მან ეს მოსაზრება შეცვალა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ჩვენთვის საინტერესო ამონაწერში უნდა იგულისხმებოდეს 1407 წ. თურქებთან ბრძოლაში მოკლული მეფე გიორგი VII, ქრონიკალური მიხაწერის ცნობა კი სწორი არ უნდა იყოს[22]. უკანასკნელი ვარაუდი გაიზიარა გ. ალასანიამ[23].

ასეთ გაიგივებას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ძეგლში თხრობა წყდება 1403/4 წლის ამბებზე და, ბუნებრივია, მასში 1407 წ. ამბების გადმოცემა გამორიცხულია. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ძეგლის მიხედვით გიორგი მეფესთან ერთად დაიღუპა ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველი, ხოლო 1407 წ. ცხრაზმის ერისთავი იყო არა ქვენიფნეველი, არამედ ვირშელი. ასე რომ, გიორგი VII-ის თანამედროვე ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველი ვერ იქნებოდა. რაც შეეხება ქრონიკალურ მინაწერს, მართალია, ის ხელნაწერში ტექსტის დაწერის შემდგომაა შეტანილი კომენტატორის მიერ, მაგრამ თარიღი სანდოა (ამაზე ქვემოთ).

ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს ძეგლის „მეფე გიორგის" ვინაობა. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს 1433 წ. „წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოველისადმი", სადაც აღნიშნულია, რომ ლორეს ციხის თურქების მიერ დაპყრობის დროს „უსჯულოთა ა[გარის] ხათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტეანენი წამებითა აღუსრულებიან"[24]. როგორც სიგელის ჩვენებიდან ირკვევა, უცხოელთა მიერ ლორეს ციხის დაპყრობას და „გიორგი ალასტანელის" ამ ბრძოლაში დაღუპვას ადგილი ჰქონია XIV ს-ის მეორე ნახევარში[25]. გიორგი ალასტანელის მოღვაწეობის ხანას რამდენადმე აკონკრეტებს 1348 წ. „წყალობის სიგელი ანდრონიკე მეფისა წითლოსან ქვენიფხეველისადმი", რომელიც გაცემულია გიორგი ალასტანელის მამის პროვინციელი მეფის ანდრონიკეს მიერ[26]. ანდრონიკე, იმავე სიგლის ცნობით, გა-

---

[19] ძეგლი ერისთავთა, გვ. 354.

[20] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 408, 411.

[21] M. Brosset, Chronique Georgiene, Paris, 1831, გვ. 408—411.

[22] M. Brosset, Materiaux pour servir a l'histoire de la Georgie depius l'an 1201 jusqu'en 1755, Extrait Hem. de l'Acad Imp. de Sc., VI, ser. Sc. pol., T. V, SPB, 1841, გვ. 56, შენიშვნ. 1.

[23] ცხოვრება საქართველოსია (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 125—126, შენიშვ. 1.

[24] ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, „წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ", ტფ., 1914, გვ. 13; ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 12—124.

[25] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[26] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 89—99.

მეფებულა 1339 წ.[27] ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით იგი გარდაცვლილა 1355 წლის ახლო ხანებში[28]. აქედან გამომდინარე, გიორგი ალასტანელს, რომლის მამა 1355 წლის ახლო ხანებში გარდაცვლილა, სავსებით ბუნებრივია, რომ ემოღვაწნა XIV ს-ის მეორე ნახევარში. ამით ირკვევა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ XIV ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა გიორგი ალასტანელი პროვინციელი მეფის ანდრონიკეს ძე, რომელიც ლორეს ციხესთან ბრძოლაში სიკვდილით დაეცა. გიორგი ალასტანელი „მეფის“ ტიტულსაც ფლობდა, რასაც მოწმობს სინას მთის სულთა მატიანე, სადაც ვკითხულობთ: „ს-ლსა მეფისა ალასტანელისა გ̄ი დიდისა და მ-თთა ძეთა განუსუენოს და შ-ნ ღ-ნ“[29].

ამის შემდეგ გასარკვევი რჩება, „მეფე გიორგი ალასტანელის“ კავშირი ძეგლის „გიორგი მეფესთან“. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები. ერთ-ერთ აღაპში ვკითხულობთ: „[თუესა აგვისტოსა ვ] ფერისცვალებასა წირვა და აღაპი მეფეთა მეფისა ანდრონიკეს შვილისა გ(იორგ)ისი“[30]. აქ დასახელებული „მეფეთა მეფე ანდრონიკეს შვილი გიორგი“ და ზემოთხსენებული „ანდრონიკეს შვილი გიორგი ალასტანელი“, ცხადია, ერთი და იგივე პირია, რაზედაც მიუთითებს მათი მამისშვილობა და „მეფის ტიტული“. ამასთან ერთად ირკვევა სხვა მნიშვნელოვანი გარემოებაც: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოსახსენებლებში აღნიშნული გიორგი მეფის აღაპს უშუალოდ მოსდევს „ამილახორ ქვენიფნეველის“ აღაპიც, რაც ამ ორი პიროვნების კავშირზე მიუთითებს. აღნიშნულ აღაპში ვკითხულობთ: „[თუესა აგვისტოსა ი და ია] ამ(ა)სვე დღ(ე)სა წირვა და აღ(ა)პი საუკუნოჲ ამ(ი)ლ(ა)ხ(ო)რისა ქუნიფნვ(ე)ლისა“[31]. აღაპში დასახელებული „ამილახორი ქვენიფნეველი“ არის იგივე ძეგლში დასახელებული ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველი“, რომელიც თურქებთან ბრძოლაში მოკლეს. ერისთავ ქვენიფნეველს რომ ამილახორის თანამდებობა ჰქონია სამეფო კარზე, ამას მოწმობს ლარგვისის ოთხთავის მინაწერი, სადაც ვკითხულობთ: „სულსა... ამირახორისა და ერისთავისა ქუ̄ნიფნეველისასა შ-ნ ღ-ნ“[32].

ამით ჩვენთვის ცნობილი ხდება: 1) ჯვრის მონასტრის აღაპების „მეფეთა-მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი“ და XIV ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე „მეფე გიორგი ალასტანელი ანდრონიკეს შვილი“ ერთი და იგივე პირია; 2) მეფე გიორგი ალასტანელთან დაკავშირებული ამილახორი ქვენიფნეველი ძეგლის ქვენიფნეველ ერისთავია. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ძეგლის „მეფე გიორგი“ ყოფილა სხვა წყაროებით ცნობილი პროვინციელი მეფე გიორგი ანდრონიკეს ძე ალასტანელი.

---

[27] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 98—99.

[28] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[29] ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 242.

[30] ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 105, აღაპი № 285.

[31] იქვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 106, აღაპი № 291.

[32] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I[1], შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 89—90.

აღნიშნული იდენტიფიკაცია სხვა მხრივაც დასტურდება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკითხი: სანდოა თუ არა ძეგლის ქრონიკალური მინაწერის ჩვენება, რომლის თანახმად გიორგი მეფე და ერისთავი ქვენიფნეველი თურქებთან ბრძოლაში დაეცნენ 1373 წ. ძეგლის განსახილველი ადგილი ქრონიკალური მინაწერითურთ შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში, სადაც წელთან ერთად ნაჩვენებია თვე და რიცხვი: „შეკრბა ერი ურიცხჳ და მოვიდა ქართლს წინაძღომითა ბაედარის ძის ხოსიაისითა. ეწყუნენ ქართველნი და თურქნი, მოკლეს მეფე გიორგი და მის თანა ქუენიფნეველი იოანე... თთუესა აგვისტოსსა რვასა, ქ-კსა და“[33]. იმავე ცნობას შეიცავს „ცხოვრება საქართველოისა“, სადაც გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღად 1373 წ. 6 აგვისტოა ნაჩვენები: „ქორონიკონსა ჲ-ა(61) თურქნი მოვიდნენ; მეფე გიორგი მოკლეს: ლაშქარი ს[რულია]დ დახოცნეს; საქართველო მოარბიეს და წარტყუენეს თუესა აგვისტოსა ვ(6)[34]. იმავე თარიღს — 1373 წ. 6 აგვისტოს უჩვენებს დავით რექტორის მიერ შედგენილ კრებულში ჩართული „წიგნი ქორონიკონი ძველისა და ახლისა“, სადაც ვკითხულობთ: „ქ-კსა ია: თურქნი მოვიდეს. მეფე გიორგი მოკლეს. ლაშქარნი სრულიად დახოცნეს. საქართველო მოარბიეს და წარტყუენეს. თვესა აგვისტოსა: ვ:“(6)[35]. აღსანიშნავია, რომ ჯვრის მოხასტრის ზემოთმოტანილი აღაპით მეფე გიორგი ანდრონიკეს ძის მოსახსენებელი დაწესებულია მისი გარდაცვალების დღეს — 6 აგვისტოს. ამით ცხადი ხდება, რომ „საქართველოს ცხოვრებისა“ და „წიგნი ქორონიკონის“ ჩვენება: „1373 წ. 6 აგვისტო — გიორგი მეფის მოკვლის დღე საუსებით სანდო თარიღი ყოფილა“[36], აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ძეგლის ქრონიკალური მინაწერის თარიღის სანდოობაც. ეს გარემოება, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ ადასტურებს ძეგლის „მეფე გიორგისა“ და „მეფე გიორგი ალასტანელის ივივეობას. გიორგი მეფის „ალასტანელობა“ მიუთითებს იმაზე, რომ მის სამფლობელოს შეადგენდა ჯავახეთის მხარე ცენტრით ალასტანში[37]. ძეგლის ბოლო ნაწილში, სადაც საუბარია თემურ-ლენგის შემოსევებზე, რამდენჯერმე მოხსენიებულია „მეფე გიორგი“. ცნობილია, რომ თემურ-ლენგის შემოსევების ხანაში საქართველოში მეფობდა გიორგი VII (1393—1407). ამ შემთხვევაში, ცხადია, საუბარია სწორედ გიორგი VII-ზე.

ამრიგად, „ძეგლი ერისთავთა“-ს ე. წ. მეორე ნაწილში დასახელებული მეფეების იდენტიფიკაცია და ქრონოლოგია შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1 „მეფე ადარხასე“	— დემეტრე II (1272—1289)
2 „მეფე დავით“	— დავით VIII (1293—1311)
3 „ძე მეფისაი ვახტანგ“	— ვახტანგ III (1302—1308)
4 „მეფე გიორგი ძე დავითისა“	— გიორგი VI „მცირე“ (1308—1314)

---

[33] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 446. ძეგლის ჩვენთვის საინტერესო ადგილი „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ზუსტად არ არის შეტანილი „იოანეს“ ხსენება აქ ზედმეტია.

[33] ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), დასახ. გამოცემა, გვ 38.

[35] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A, № 1164, გვ. 66; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 189.

[36] ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[37] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 411, 424.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 „მეფე გიორგი“ (რომელმაც „გახილაშქრა მაღაროს“, „წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ... პიპაჲ წინაშე ნისრელისა“, „მოადგა ოვსთა გორს მყოფთა“)	— გიორგი V ბრწყინვალე (1314—1346)
6 „დავით ძე მეფისაჲ“	— გიორგი V-ის მემკვიდრე უფლისწული, შემდეგში მეფე დავით IX (1346—1360)
7 „მეფე გიორგი“ („მოვიდეს თურქნი... და მოკლეს მეფე გიორგი...“ მინაწერი: „ქ̄კნი: ჲა“)	პროვინციის მეფე გიორგი ალასტანელი ანდრონიკეს ძე (გარდ. 1373)
8 „გიორგი მეფე“ (რომელმაც „განილაშქრა ალინჯას...“ თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის შემდეგ „წარვიდა ლიხთ-იმერით...“ „მოვიდა მეფე გიორგი ლიხთ-იმერით და... განილაშქრა... და შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა...“)	— გიორგი VII (1393—1407)

ე. წ. პირველ ნაწილში 26 ერისთავის დასახელების შემდეგ ავტორი გადმოგვცემს: „დაჯდა მეფე ადარნასე და მოკუდა ერისთავი ვირშელი და დაშთა ძე მისი შალვა სამისა წლისაჲ, და აღზარდა იგი მეფემან“[38]. როგორც ზემოთ ითქვა, ძეგლის „ადარნასე მეფე“-ში დემეტრე II იგულისხმება. რაკი ვირშელ ერისთავის გარდაცვალების თარიღი დემეტრე II-ის გამეფების თარიღთანაა (1272) დაკავშირებული, გამოდის, რომ ვირშელის ერისთავობის ხანა მოდის XIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისის წინარე პერიოდზე. მისი ერისთავობა დაახლოებით შეიძლება განისაზღვროს XIII ს-ის 50-იან—60-იანი წლებით.

ვირშელ ერისთავის მცირეწლოვანი შვილი შალვა, ძეგლის მიხედვით, აღუზრდია დემეტრე II-ს („ადარნასე“), რომლის გამეფების დროს (1272 წ.) შალვა სამი წლისა ყოფილა, აქედან გამომდინარე შალვა დაბადებულა XIII ს-ის 60-იან—70-იანი წლების მიჯნაზე. ძეგლის მიხედვით შალვა ერისთავი თანამედროვეა დავით VIII-ისა (1293—1311), ვახტანგ III-ისა (1302—1308) და გიორგი VI „მცირისა“ (1308—1314). შალვა ქვეყნიფნეველი XIII ს-ის დასასრულსა და XIV ს-ის დასაწყისში რომ მოღვაწეობდა, ამას ადასტურებს „ჟამთააღმწერელიც“[39]. ამრიგად, ძეგლისა და „ჟამთააღმწერლის“ მონაცემებით შალვა ვირშელის ძის ერისთავობა XIII ს-ის 80-იანი — XIV ს-ის 10-იანი წლებით უნდა შემოიფარგლოს.

შალვას შემდგომ „დაჯდა ძე მისი ლარგუელი ერისთავად“[40] ლარგუელის ერისთავობა, როგორც ჩანს, ხანგრძლივი არ ყოფილა. მისი ერისთავობის ხანა ემთხვევა გიორგი VI-ის მეფობის (1308—1314 წწ.) უკანასკნელ და გიორგი V-ის მეფობის (1314—1346) პირველ წლებს.

---

[38] ძეგლი ერისთავთა, გვ. 347.

[39] ჟამთააღმწერელი, გვ. 305.

[40] ძეგლი ერისთავთა, გვ. 349.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოკუდა ლარგუელი. დ(ა) დაშთეს სამნი ძენი მისნი, და დაჯდა ერისთავად უხუცესი ძე ვირშელი“[41]. ვირშელ ერისთავი, ჩანს, გიორგი V-ის (1314—1346) თანამედროვე ყოფილა. მისი ერისთავობის დროს 1316 წ. გიორგი V-ის ბრძანებით ელჩობა გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან ვირშელის ბიძის, პიპას მეთაურობით[42]. ვირშელი ერისთავად ჩანს 1320-იან წლებშიც. ის მონაწილეობას ღებულობს გიორგი V-ის მიერ წარმოებულ ბრძოლაში „ოვსთა გოროს მყოფთა“ წინააღმდეგ, რომელიც „განგრძელდა სამ წელ“. ვირშელი ცოცხალი ჩანს გორის აღების შემდეგაც[43]. ასე რომ, ვირშელის ერისთავობა დაახლოებით XIII ს-ის 10-იანი წლების მეორე ნახევრითა და 20-იანი წლების დასასრულით უნდა განისაზღვროს.

ვირშელ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ „დარჩეს სამნი ძენი მისნი ქუენიფნეველი, იოვანე და გიორგი, რამეთუ მცირე იყუნეს. მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაზმის ჯეველთა წითლოსანი ბიძაჲ მისი ცხრა წელ“[44]. წითლოსან ქვენიფნეველი ცოცხალი ჩანს 1348 წ.[45] 1348 წლის სიგელში, როგორც ზემოთ ითქვა, წითლოსანი ერისთავად არ იწოდება, რაც ადასტურებს ძეგლის ცნობას, რომლის თანახმად წითლოსანი ერისთავის მემკვიდრეების მცირეწლოვანების პერიოდში საერისთავოს განაგებდა როგორც მცირეწლოვანი ძმისშვილების მეურვე.

წითლოსანის „ცხრა წელ“ „წინამძღვრობის“ შემდგომ, ავტორი განაგრძობს: „მაშინ აღიზარდა ქუენიფნეველი და დაჯდა ერისთავად“[46]. ქვენიფნეველის გაერისთავების თარიღთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება; 1348 წ. ზემოთდასახელებულ სიგელში ცხრაზმის ერისთავი არ იხსენიება. ამ დროს ცხრაზმაში ერისთავი რომ მჯდარიყო, სიგელში ეს აუცილებლად აღინიშნებოდა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ სიგელის შედგენის დროისათვის ქვენიფნეველი ჯერ კიდევ არ ყოფილა სრულასაკოვანი, აქედან გამომდინარე — ერისთავი. ასე რომ, ქვენიფნეველის გაერისთავება 1348 წლის შემდგომ უნდა მომხდარიყო. ქვენიფნეველი, როგორც ზემოთ ითქვა, დაიღუპა თურქებთან ბრძოლაში მეფე გიორგი ალასტანელთან ერთად 1373 წ.

ქვენიფნეველის გარდაცვალების შემდეგ იმავე 1373 წ. „დაჯდა ერისთავად“ მისი მომდევნო ძმა იოვანე[47]. 1390-იანი წლებისათვის იოვანე ცოცხალი არ ჩახს, ვიხაიდან ამ დროისათვის ერისთავობს მისი ძე ვირშელი. ვირშელ ერისთავი მონაწილეობს 1398 წ. ალინჯის ციხესთან ქართველებსა და თემურლენგის მეციხოვნე ჯარს შორის გამართულ ბრძოლაში[48]. ამაზე ადრე ვირშელ ერისთავი ლაშქრობს დვალეთსა[49] და არაგვის ხეობაში[50]. 1403/4 წ. ამბების

---

41 ძეგლი ერისთავთა, გვ. 349.

42 ძეგლი ერისთავთა, გვ. 350; ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბ., 1968, გვ. 102.

43 ძეგლი ერისთავთა, გვ. 350.

4 იქვე, გვ. 352.

45 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 98—99.

46 ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

47 ძეგლი ერისთავთა, გვ. 354.

48 იქვე, გვ. 358.

49 იქვე, გვ. 356—357.

50 იქვე, გვ. 358.

აღწერისას (აქ წყდება კიდეც ძეგლის ტექსტი) ვირშელი ცოცხალია. ყანჩაეთის სვინაქსარის მინაწერის მიხედვით, 1422 წლისათვის ვირშელი ერისთავი ცოცხალი აღარ ყოფილა[51].

ამრიგად, „ძეგლი ერისთავთა“-ს ე. წ. მეორე ნაწილში დასახელებული ცხრაზმის ერისთავების თანმიმდევრობა და ქრონოლოგია ასეთი სახით წარმოგვიდგება[52].

ვირშელ I—XIII ს. 50—60-იანი წლები

შალვა ვირშელ I-ის ძე — XIII ს-ის 80-იანი — XIV ს-ის 10-იანი წწ. პირველი ნახევარი (დაბადებულია XIII ს-ის 60-იან — 70-იანი წწ. მიჯნაზე).

ლარგველი შალვას ძე — XIV ს-ის 10-იანი წლების შუა ხანა

ვირშელ II ლარგველის ძე — XIV ს-ის 10-იანი წ. მეორე ნახევარი — 20-იანი წლები.

წითლოსანი ლარგველის ძე „წინამძღვარი ცხრაზმისხეველთა“ — XIV ს-ის შუა წლები.

ქვენიფნეველი ვირშელ II-ის ძე — XIV ს-ის 50-იანი წლები — 1373 წ.

იოვანე ვირშელ II-ის ძე — 1373 წ. — 1390-იანი წლების პირველი ნახევარი.

ვირშელ III იოვანეს ძე — XIV ს-ის 90-იანი წლების მეორე ნახევარი — არაუგვიანეს 1422 წ. (დაბადებულია 1376 წ.).

ძეგლში წარმოდგენილი თანმიმდევრობა და გენეალოგიური სქემა ზემოთ დასახელებული ერისთავებისა დასტურდება ძეგლისაგან დამოუკიდებელი წყაროს — ლარგვისის ოთხთავის ხელნაწერში XV ს-ის დასაწყისში შეტანილი ცხრაზმის ერისთავების სულთა მოსახსენებლების მონაცემებითაც[53], რომლებიც მთლიანად ემთხვევა ძეგლის ცნობებს აღნიშნული საკითხის შესახებ. ამასთან ერთად მასში დაცულია ქვენიფნეველთა სახლის წევრებზე ზოგიერთი ისეთი ცნობა, რომელიც ძეგლში არ გვხვდება.

Г. М. АРАХАМИА

К ВОПРОСУ ОБ ИДЕНТИФИКАЦИИ И ХРОНОЛОГИИ ИСТОРИЧЕСКИХ ЛИЦ «ПАМЯТНИКА ЭРИСТАВОВ»

Резюме

Автор родовой летописи Цхразмийских эриставов («Памятник эриставов», начало XV в.) не сохранил ни одной даты описываемых им событий. В таких условиях для датирования важных исторических

---

51 ვ. კიკნაძე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძეგლი ერისთავთა“-ს დათარიღებისათვის, ახალგაზრდა მეცნიერათა II რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980, გვ. 61—65.

52 შეად. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 27.

53 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. II, გვ. 89—90.

событий, описываемых в летописи, определенное значение имеет изучение вопроса об идентификации и хронологии исторических лиц, упомянутых в тексте названной летописи. На основании сравнительного анализа данных «Памятника эриставов» и некоторых письменных источников в статье дается попытка установления личности и хронологии царей и эриставов, упомянутых в «Памятнике эриставов».

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ხოშტარია

ჩითახევის მონასტრის ეკლესია

(IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი)

ბორჯომის ხეობაში მრავლადაა სამშენებლო ხელოვნების ძეგლები, რომლებიც ქართული არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს განეკუთვნება. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც მთელ ხეობაში — ტაშისკარიდან აწყურამდე — გაფანტულ ოცამდე ნაგებობას მოიცავს. ყველა ეს ნაგებობა სამონასტრო ეკლესიებს წარმოადგენს და მჭიდროდ ენათესავება ერთმანეთს ტიპით, საშენი მასალის დამუშავების ხასიათით, მთელი რიგი სტილისტური ნიშნებით. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული შენობები არა მხოლოდ ერთ ეპოქაშია აგებული, არამედ უფრო მეტიც — ერთ სამშენებლო ტალღას განეკუთვნება. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ტალღა უკავშირდება IX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენის — კლარჯეთის სამონასტრო მოძრაობის — ერთ-ერთ (ქართლ-სამცხის) შტოს.

წინმდებარე წერილში შევეხებით ამ ჯგუფის ერთ ნაგებობას — ჩითახევის მონასტრის ეკლესიას.

ჩითახევის მონასტერი (ადგილობრივი მოსახლეობა მას „მწვანე მონასტერს“ უწოდებს) მდებარეობს ამავე სახელწოდების ხეობაში, ბორჯომის ნაკრძალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ბორჯომიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის მანძილზე. მონასტერი განლაგებულია ვიწრო ხეობის ოდნავ გაფართოებულ მონაკვეთზე, რომელიც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კლდოვანი ქედებითაა შემოზღუდული. სპეციალურ ლიტერატურაში ჩითახევი კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ დღეისათვის საფუძვლიანად არის შესწავლილი მხოლოდ მონასტრის სამრეკლოს არქიტექტურა — მას ცალკე ქვეთავი ეთმობა ვ. ბერიძის ვრცელ გამოკვლევაში სამცხის ხუროთმოძღვრების შესახებ[1]. რაც შეეხება ეკლესიას, არის ცნობა, რომ ის XIX საუკუნის შუახანებში უნახავს და ჩაუხატავს არქიტექტორ შერვინსკის (სამწუხაროდ, ამ ნახატების ასავალ-დასავალი უცნობია)[2]. 1912 წელს ეკლესიისა და სამრეკლოს გეგმები შეასრულა არქიტექტორმა მ. კალაშნიკოვმა. ეს ნახაზები შეტანილია ე. თაყაიშვილის გამოცემულ ალბომში[3]. ეკლესიის ხუროთმოძღვრების შესწავლის პირველი ცდა რ. მეფისაშვილს ეკუთვნის. ნაშრომში სამეკლესიანი ბაზილიკების შესახებ იგი მოკლე აღწერის შემდეგ აღნიშნავს ამ ნაგებობის სიახლოვეს ნეძვის

---

[1] ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1955, გვ. 214—216.

[2] ეს ცნობა დაცულია გ. ჩუბინაშვილის გამოუქვეყნებელ შრომაში ქართული ხელოვნების კვლევის ისტორიოგრაფიის შესახებ (ჩვენ ხელთ გვქონდა ამ გამოკვლევის კოხსპექტი, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ინახება).

[3] ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი პროფ. ექ. თაყაიშვილის მიერ. ტფილისი, 1924, ტაბ. 63—64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიასთან და ამ საფუძველზე გამოთქვამს ვარაუდს ჩითახევის მონასტრისა და ლიტერატურული წყაროდან — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ — ცნობილი კვირიკეწმიდის სავანის იგივეობის თაობაზე[4].

ეს შრომა დაიწერა მაშინ, როცა ჩითახევის სამონასტრო კომპლექსი გაუწმენდავი იყო საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ჩამონაცვენი მიწისაგან, რაც, ბუნებრივია, დიდად აძნელებდა ძეგლის შესწავლას. მიწის დონე ბევრგან 2—3 მეტრს და მეტსაც კი აღწევდა. ეკლესიის ჩრდილოეთ ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია მთლიანად მიწაში იყო მოქცეული და არ ჩანდა (კალაშნიკოვის გეგმაზე ეს მხარე საერთოდ არ არის დატანილი). დღეს ჩითახევის ხუროთმოძღვრების მკვლევარს ბევრად უკეთესი პირობები აქვს, ვიდრე მის წინამორბედებს. 1978 წელს დაიწყო გაწმენდა-აღდგენის სამუშაოები (ისინი ახლაც გრძელდება), რომელთა შედეგად ნაყარი მიწისაგან თითქმის მთლიანად გაიწმინდა ეკლესია, მის ჩრდილოეთით მდებარე საყრდენი კედელი მიშენებული სათავსებით და გალავნის მოზრდილი ფრაგმენტები. მიმდინარეობს შენობების გამაგრება-კონსერვაცია. რესტავრაციის პროექტი (ავტორი ა. ჭიკაიძე) ითვალისწინებს ეკლესიის სრულ აღდგენას შეძლებისდაგვარად პირვანდელი სახით. აღნიშნული სამუშაოს ჩატარების შემდეგ ბევრი რამ, რაც ადრე გაურკვეველი იყო, ნათელი გახდა. შესაძლებელი შეიქმნა ძეგლის არქიტექტურის სრულფასოვანი დეტალური შესწავლა[5].

ჩითახევის მონასტერი თავის დროზე დიდი კომპლექსი უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გაფანტული სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები.

კომპლექსის მთავარი ნაგებობა ეკლესიაა. ის დგას ქედის დამრეცი კალთის ძირში ისე, რომ შენობის ჩრდილოეთ კიდესა და ფერდობს შორის სულ მცირე მანძილი რჩება. აქ ფერდობი ვერტიკალურად ჩამოჭრილია და ამოშენებულია ეკლესიის გრძივი ღერძის პარალელურად ოთხიოდე მეტრის სიმაღლეზე. ამ კედელსა და ეკლესიის ჩრდილოეთის კედელს შორის შექმნილია ვიწრო გადაუხურავი დერეფანი, რომელიც მთელ სიგრძეზე მიჰყვება ეკლესიას და დასავლეთით არასწორი ფორმის თაღოვანი ნიშით მთავრდება. ამ ადგილას ეკლესიის შენობა უშუალოდ ებჯინება ფერდობს.

ჩითახევის ეკლესია საკმაოდ დიდი ზომის (სიგანე აღმოსავლეთ ფასადზე 14,5 მეტრი, სიგრძე — 19,2 მეტრი) ნაგებობაა და თავისი მკაცრი მონუმენტალობით მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ის ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვებით, რომლებიც საპირე წყობას ქმნიან. მათს შუა კედლები ამოყვანილია ბევრად უფრო წვრილი უფორმო ნატეხი ქვით, კენჭებითა და დუღაბით (ეს შიდა მასალა ახლა ბევრგან ჩანს საპირე წყობის ჩამოცვენის გამო). წყობის ქვები მხოლოდ პირითი მხრიდანაა გათლილი, ისიც უხეშად, ზედაპირის მოუსწორებლად. მათი უმრავლესობა მართკუთხაა, ცუდად გამოყვანილი კუთხეებით. გვხვდება სრულიად შემთხვევითი ფორმის ქვებიც, ჰორიზონტალური რიგები უმთავრესად დაცულია, მაგრამ ბევრგან დარ-

[4] Р. Меписашвили, Основные особенности развития трехцерковных базилик Грузии (Доклад на II-м Международном симпозиуме по грузинскому искусству), Тбилиси, 1977, გვ. 6—7.

[5] მოტანილი ნახაზები შესრულებულია ავტორის მიერ ა. ჭიკაიძის ანაზომების საფუძველზე. გეგმაზე ზოგიერთი დეტალი დაზუსტებულია. ფოტოები ავტორისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩითახევი. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



ჩითახევი. ჭრილები



ჩითახევი. გეგმა

ღვეულიც არის. უფრო სუფთად დამუშავებული ქვით არის ამოყვანილი კონსტრუქტურულად მნიშვნელოვანი ელემენტები — პილასტები, თაღები, აფსიდის კონქი და კამარის აღმოსავლეთ ნაწილი. კამარის დანარჩენი ნაწილი ნაგებია წვრილი ნატეხი ქვითა და დუღაბით. ეს მონაკვეთი უეჭველად შელესილი იყო და ალბათ მოხატულიც.

საშენ მასალად ძირითადად ნახმარია მოყვითალო-მორუხო თირი კლდოვანი ქვა, ალაგ-ალაგ სვრეტილი ფოროვანი ქვაც, მოწითალო ფერისა. ორივე მასალა ადგილობრივ არის მოპოვებული.

ნაგებობა სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპისაა. მის მთავარ ნაწილს წარმოადგენს შუა ეკლესია, რომელსაც სამხრეთიდან და დასავლეთიდან ერტყმის ერთიანი ორმხრივი გარშემოსავლელი, ჩრდილოეთიდან კი პასტოფორიუმი და კიდევ ორი სხვა სათავსი. თავდაპირველი გადახურვა შემორჩენილია მხოლოდ შუა ეკლესიაში. აქ კამარა ცილინდრულია. საბჯენი თაღების მძლავრი სართყლები მას სამ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. თაღები ეყრდნობა კედლიდან გამოწეულ სადა, ტრაპეციისებრი ფორმის კრონშტეინებს. ქვემოთ მათს გაგრძელებაზე თითო კედელზე ორ-ორი პილასტრია, რომელთა კაპიტელები კრონშტეინებზე 0,9—1,0 მეტრით დაბლა თავსდება. ამ მონაკვეთებზე პილასტრები შესამჩნევად დავიწროვებულია და ამის გამო არა არის შეგრძნება, რომ საბჯენი თაღი უშუალოდ, უწყვეტად აგრძელებს პილასტრს.

პილასტრები მარტივი ფორმისაა, გეგმაში სწორკუთხა, უსაფეხურო, კედლიდან ძლიერ გამოწეული. მათზე გადაყვანილია კედლის თაღები, რომლებიც თითოეულ კედელზე სამ-სამ მაღალ (ჩრდილოეთის კედელზე 7 მეტრის, სამხრეთისაზე 7,5 მეტრის სიმაღლის) და ღრმა უბეს ჰქმნიან. თაღები სამხრეთის კედელზე ჩვეულებრივი ნახევარწრიული მოხაზულობისაა, ჩრდილოეთისაზე კი წყვილადია, შეკიდული — სიდეებით ისინი პილასტრებს ეყრდნობა, ხოლო შუაში, დამატებით, — კედელში ჩადგმულ კრონშტეინებს.

სამხრეთის კედელში ორი სარკმელია მოწყობილი — თითო-თითო შუა და აღმოსავლეთის განაპირა უბეებში. ყურადღებას იქცევს მათი მდებარეობა არა უბეების ცენტრში, არმედ კიდეში, თითქმის ზედ პილასტრებთან. ეს სარკმლები საკმაოდ დიდი ზომისაა, შიგნითკენ შესამჩნევად გაფართოებული. ერთი ასეთივე მოზრდილი სარკმელი არის დასავლეთის კედელში. ჩრდილოეთით თავიდან სარკმლები არ ყოფილა. მოგვიანებით ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან ერთი დიდი სწორკუთხა ფორმის ღიობი გაუჭრიათ, რომელიც თავისი მოყვანილობით უფრო კარსა ჰგავს, მაგრამ საამისოდ მეტისმეტად დაბალია (1,3 მეტრის სიმაღლისაა). მისი დანიშნულება გაურკვეველია, ყოველ შემთხვევაში, ინტერიერის განათებაში მისი როლი უმნიშვნელო იყო (რესტავრაციის პროცესში ღიობი ამოივსო).

საკურთხევლის აფსიდი ჩითახევში ფართოა, გეგმაში ნახევარწრიული, ზომიერი სიღრმისა, მაღალი — სატრიუმფო თაღის სიმაღლე 9 მეტრს აჭარბებს. იატაკი აქ ეკლესიის იატაკის დონესთან შედარებით შემაღლებულია, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე ქართულ ეკლესიებში. აფსიდის ჩრდილოეთის ნაწილში ორ მეტრამდე სიმაღლის ღრმა თაღოვანი ნიშა იყო, რომელიც შემდგომ გაუნგრევიათ და სამკვეთლოში გასასვლელად უქცევიათ. საკურთხეველს ორი სარკმელი ანათებს: ერთი დიდი, იატაკიდან სულ ორიოდე მეტრის სიმაღლეზე გაჭრილი, და მეორე მცირე, მის ზემოთ, ზედ კონქის ძირში.

შუა ეკლესიას თავდაპირველად სამი კარი ჰქონდა, თითო შედარებით დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ტიმპანიანი კარი მას აკავშირებდა გარშემოსავლელის სამხრეთისა და დასავლეთის ნაწილებთან, ერთი პატარა, უტიმპანო — სამკვეთლოსთან. ეს უკანასკნელი საკურთხევლის წინ არის გაჭრილი. მოგვიანებით, როგორც ითქვა, გაკეთდა კიდევ ერთი გასასვლელი, რომელმაც სამკვეთლო უშუალოდ აფსიდს დაუკავშირა.

გარშემოსავლელის სამხრეთის და დასავლეთის ნაწილები განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ფუნქციით, ასევე კონფიგურაციით. ისინი ერთმანეთს გამოეყოფოდა ორმალიანი თაღედით, რომელიც შუა ეკლესიის სამხრეთის კედლის გაყოლებაზე იყო ამოყვანილი. თაღედი კუთხეებით კედელში ჩატანებულ კრონშტეინებს ეყრდნობოდა, შუაში — დაბალ და მასიურ მრგვალ მონოლითურ სვეტს. ახლა ორივე თაღი ჩაქცეულია, სვეტი კი დღესაც დგას, უკაპიტელოდ, ძლიერ შელახული. გარშემოსავლელის დასავლეთ მონაკვეთში, რომელიც, როგორც ჩანს, ერთგვარი ნართექსის როლს ასრულებდა, იყო ერთი კარი, ზედ მთავარი ეკლესიის კარის ღერძზე.

გარშემოსავლელის სამხრეთის ნაწილი წარმოადგენდა ცილინდრული კამარით გადახურულ მეტად გრძელ (17 მეტრის სიგრძის) და ვიწრო გალერეას, აღმოსავლეთიდან დასრულებულს მომცრო აფსიდით. მის სამხრეთის კედელში, აქაც შუა კარის პირდაპირ, მოწყობილი იყო ტაძრის მთავარი შესასვლელი, რომელიც აგრეთვე შუა სვეტზე დაყრდნობილი ორმალიანი თაღედის სახით იყო გადაწყვეტილი. დღეს ამ შესასვლელის წინ დამატებით კარიბჭეც დგას, რომელიც ცოტა მოგვიანებით უნდა იყოს მიშენებული. კიდევ უფრო გვიან, როცა კარიბჭე ალბათ უკვე წყობიდან იყო გამოსული, შესასვლელის ცალი თაღი ამოუშენებიათ და ამგვარად, ფართო საზეიმო შესასვლელი უბრალო კარად უქცევიათ. ამჟამად გადახურულია მხოლოდ გარშემოსავლელის სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთის მონაკვეთი. ეს გადახურვაც გვიანია. ამ მონაკვეთში მოგვიანო ხანაში მოუწყვიათ აკლდამა, რომელსაც სათავსის მთელი სიგანის ნახევარი უჭირავს. აქ აღდგენის კვალი ატყვია კედლებსაც, როგორც შიგნით, ისე გარეთ გვიანი შუა საუკუნეების დროინდელია აფსიდის სარკმლის საპირე და კარნიზი, რომელიც ამჟამად აგვირგვინებს გარშემოსავლელის სამხრეთის კედელს (ერთგან მის ქვეშ თავდაპირველი სადა, თაროს პროფილის მქონე კარნიზის ფრაგმენტია შემორჩენილი). ამავე ხანებში გარშემოსავლელი ორ ადგილას გადატიხრეს და მასში იზოლირებული სათავსები გამოჰყვეს (ამჟამად ეს გვიანი კედლები ნაწილობრივ უკვე მოხსნილია).

ეკლესიის ჩრდილოეთის ფრთა, როგორც ითქვა, სამი ცალკე სათავსისაგან შედგება. მათგან აღმოსავლეთით მდებარე სამკვეთლოა. ამას აქვს პატარა რიგიანად ამოყვანილი აფსიდი, რომელშიც ტრაპეზი დგას. აფსიდში ერთი მცირე ზომის სარკმელია. სამკვეთლო ჩრდილოეთის მხარის ერთადერთი სათავსია, რომელიც შუა ნავს უკავშირდება. დანარჩენი ორი სრულიად იზოლირებულია როგორც შუა ნავისაგან, ასე სამკვეთლოსაგანაც და ურთიერთისაგანაც. ფუნქციურად ისინი, როგორც ჩანს, არც ეკუთვნოდნენ ეკლესიას. სამკვეთლოს დასავლეთით მდებარე სათავსი გეგმაში სწორკუთხაა, მის აღმოსავლეთის ნაწილში იატაკი ერთი საფეხურით ჩაღრმავებულია. ერთადერთი შესასვლელი იყო ჩრდილოეთის მხრიდან, დერეფნიდან. კამარები აქაც და სამკვეთლოშიც მთლიანად ჩანგრეულია, კედლის ზედა ნაწილებიც ბევრგან არის მორღვეული. ეს სათავსი სამკვეთლოსთან შედარებით დაახლოებით ერთი მეტრით უფრო განიერია, ამიტომ ეკლესიის ჩრდილოეთის კედელი შუა ად-

გილზე საკმაოდ ძლიერად არის შეტეხილი. ზუსტად ამ განტეხვის გასწვრივ იმავე ზომაზე შესაბამისად შეტეხილია მთის ძირში ამოშენებული კედელიც, რის გამოც დერეფნის სიგანე უცვლელი რჩება.

სამკვეთლოცა და მისი მიმდებარე სათავსიც მიშენებულია შუა ნავის ჩრდილოეთის კედელზე. ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე მკაფიოდ განირჩევა ნაკერი. შუა ნავის ჩრდილოეთის კედლის ამოყვანისას მშენებლებს არ უზრუნვიათ მასში კრონშტეინების ჩატანებაზე ჩრდილოეთის ფრთის სათავსებისათვის, რის გამოც შემდეგ დასჭირვებიათ ამ კედელზე პატარა პილასტრების მიდგმა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩრდილოეთის მხარის მშენებლობა მხოლოდ შუა ნავის კედლების ამოყვანის შემდეგ დაიწყო, მაგრამ მთელი შენობის კომპოზიციური მთლიანობა, წყობის ხასიათის და სამშენებლო ტექნიკის ერთნაირობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ დიდი ქრონოლოგიური ინტერვალი ძნელად არის დასაშვები. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მშენებლობის ორ, უშუალოდ ურთიერთმომდევნო რიგთან.

რაც შეეხება ამ მხარის მესამე, კიდურა დასავლეთის სათავსს, ის მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი ორისაგან თავისი უხეში უსისტემო წყობით, მრუდხაზოვანი გეგმითა და ძლიერ დაუხვეწავი ფორმებით. კამარა, რომელიც აქ მთლიანად შემოინახა, ამოყვანილია სოლისებურად დალაგებული საშუალო ზომის ნატეხი ქვით და აგრეთვე არასწორი მოხაზულობისაა — შებრტყუელებულია. იატაკის დონე ახლა შიგნით ძალიან ამაღლებულია ნაყარი მიწის გამო, თავდაპირველი სიმაღლე 2 — 2,2 მეტრზე ნაკლები არ იქნებოდა. სათავსი დასავლეთისაკენ შესამჩნევად დავიწროებული და დაბრეცილია, კუთხეები, განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთისა, წამლილია. დასავლეთის ბოლოში მთელ სიგანეზე ღრმა ნიშაა მოწყობილი, რომლის ზემოთ კამარამდე 40-იოდე სანტიმეტრის სიმაღლის შუბლი რჩება. კარ-სარკმლები ამჟამად არ არის, შესასვლელი ალბათ უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთიდან, დერეფნის დამაბოლოებელი ნიშიდან — სათავსის ჩრდილოეთის კედელზე ჩახს ამოვსებული თაღოვანი ღიობის კონტური და ნიშაშიც თითქოს გაირჩევა თაღის ფორმა შესაბამის ადგილზე. სამწუხაროდ, ეს ადგილი ჯერ-ჯერობით გაუწმენდავია — აღნიშნული სათავსის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები მიწაში ზის, სახურავზეც მიწის სქელი ფენა დევს, ისე, რომ იგი გამოქვაბულს წააგავს. გამორიცხული არ არის, რომ ნაგებობის ეს კუთხე თავიდანვე მთის კალთაში იყო შეჭრილი, რომელიც ამ ადგილას კონცხისებრ გამოდის წინ. ამ აზრს უნდა უჭერდეს მხარს ჩვენი სათავსის დასავლეთი ნაწილის „გამოქვაბულისებრი“ ფორმები. საბოლოო გაწმენდამდე მის პირვანდელ სახეზე გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. რაც შეეხება დანიშნულებას, აშკარაა, რომ ის — ისევე, როგორც მიმდებარე სწორკუთხა სათავსი — ფუნქციურად არ არის დაკავშირებული ეკლესიასთან. საფიქრებელია, რომ ორივე წარმოადგენდა დამხმარე სამონასტრო ნაგებობებს ან სულაც სენაკებს (ალბათ წინამძღვრის ან რომელიმე გამორჩეულად ღირსეული ბერისა), რომლებიც პირდაპირ ეკლესიას მიადგეს.

წყობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ განხილული სათავსი ეკლესიის შენობის სხვა ნაწილებზე გვიანაა აგებული, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავება დროში, ვფიქრობთ, არც აქ უნდა იყოს.

ჩითახევის ეკლესიის კედლები როგორც შიგნით, ასე გარეთ, სადაა, მოკლებულია ყოველგვარ დეკორს. სარკმლებს არა აქვს თავსართები ან საპირეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გარშემოსავლელისა და საკურთხევლის აფსიდების სარკმლების საპირეები აღმოსავლეთის ფასადზე, უფრო გვიან, XV—XVI საუკუნეებშია ჩასმული). ტიმპანები, კაპიტელები, კარნიზები სრულიად შეუმკობელია. მთელი ეს მძლავრი, მონუმენტური ნაგებობა განმსჭვალულია ასკეტური სისადავითა და სიმკაცრით, რაც მას თავისებურ გამომსახველობას ანიჭებს.

შუა ნავში, აფსიდში და განსაკუთრებით დასავლეთის კედელზე შემორჩა შელესილობის ფრანგმენტები მხატვრობის მქრქალი ნაშთებით. სტილისტური ნიშნებით ეს მხატვრობა XII—XIII საუკუნეებით თარიღდება[6].

ჩითახევის ეკლესიის აგების ხანის დადგენისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივმართოთ თვით არქიტექტურის მონაცემებს.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ჩითახევის ეკლესია სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ერთ-ერთი ვარიანტის ნიმუშია. როგორც ცნობილია, ამ ტიპის ნაგებობებს ჩვენში აშენებენ VI საუკუნიდან X საუკუნის ბოლომდე. შემდგომში სამეკლესიიანი ბაზილიკის თემის მხოლოდ ცალკეულ რემინისცენციებს ვხვდებით XI—XIV საუკუნეებში[7].

თავისი აქტიური არსებობის 500 წლის მანძილზე სამეკლესიიანი ბაზილიკის თემა თვალსაჩინო განვითარებას განიცდის. თუ უადრესი — VI საუკუნის შუახანების — ნიმუშები (ქვემო ბოლნისი, ვანათი) ერთ რიგზე აგებული სამი მოგრძო სათავსისაგან — „ეკლესიისაგან“ შედგება[8], უკვე უშუალოდ მომდევნო ეტაპზე ჩნდება დამხმარე სათავსები და სამმხრივი გარშემოსავლელი. VI საუკუნის მეორე ნახევრის სამეკლესიიანი ბაზილიკები კომპოზიციურად მრავალფეროვანია. საერთო ტენდენცია გამოიხატება გვერდის ეკლესიების თავდაპირველი ფუნქციის დაკარგვასა და შუა ნაწილისადმი მათ სრულ დაქვემდებარებაში. ეს ტენდენცია საბოლოოდ იმარჯვებს მეშვიდე საუკუნის I ნახევრის ეკლესიებში (ზეგანის ყველაწმინდა[9], ნეკრესის მიძინების ეკლესია[10], ვარდისუბნის დეკანოზური[11]), სადაც გვერდის ნაწილები გახსნილია თაღებით, რაც მათ, ფაქტიურად „მთავარი ეკლესიის სტოებად ხდის“[12].

მომდევნო პერიოდში — ე. წ. გარდამავალ ხანაში (VII საუკუნის შუახანებიდან X საუკუნის შუახანებამდე) აღინიშნება სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის შემდგომი ევოლუცია. თვალშისაცემია ფუნქციური მომენტების წინწამოწევა[13]. გახსნილი გვერდის ნაწილების (სტოების) მოტივს აღარ მიმართავენ — როგორც ჩანს, გვერდითი „ეკლესიები“ ნაწილობრივ მაინც იბრუნებენ პირვანდელ დანიშნულებას. თითქმის აუცილებელი ხდება (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა — მაგალითად, ზემო ბოშური) დასავლეთის ფრთა, რომელიც,

---

[6] დათარიღება ეკუთვნის ჯ. ოსებიძეს.

[7] Р. Меписашвили, Основные особенности.., გვ. 13.

[8] Г. Чубинашвили, Церковь близ села Болнис-Капанакчи. Христианский Восток, т. V, Петроград, 1917, გვ. 217—220. მ ი ს ი ვ ე, ერთ-ერთი უძველესი სამეკლესიანი ბაზილიკა ქვემო ქართლში. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 80—90.

[9] Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, გვ. 164—173.

[10] იქვე გვ. 173—176.

[11] დ. ჯ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ვარდისუბნის თეთრი გიორგის სახელობის ეკლესია—„დეკანოზური“. „ძეგლის მეგობარი“, № 60, თბილისი, 1982, გვ. 5—12.

[12] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 191.

[13] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ლექციებიდან კახეთის ხუროთმოძღვრების შესახებ (ციტატა მოყვანილია რ. მეფისაშვილის მიხედვით: „Ars Georgica“, 4, თბილისი, 1955, გვ. 126).

ჩვეულებრივ, სამხრეთის ეკლესიას ებმის, უფრო იშვიათად — ორივე გვერდის ეკლესიას. ამ დროს ვრცელდება სამეკლესიიანი ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რომელშიც ჩრდილოეთის მხარე მოკლეა და წარმოდგენილია მხოლოდ სამკვეთლოთი, ხოლო სამხრეთიდან და დასავლეთიდან არის ორმხრივი გარშემოსავლელი (ლელიანი[14], არადეთი, სარო, ურიათუბანი, ტამალა[15]. ამ უკანასკნელში გარშემოსავლელი ორგან გადატიხრულია).

ჩითახევის ეკლესია თავისი კომპოზიციით სწორედ გარდამავალი ხანის სამეკლესიიან ბაზილიკებს უკავშირდება. მას აქვს ორმხრივი გარშემოსავლელი, რომელიც თავისი ჩაკეტილი ნახევრადჩაბნელებული სივრცით შესამჩნევად განსხვავდება VII საუკუნის ეკლესიების გვერდითი ნაწილებისაგან. საინტერესო დეტალია გარშემოსავლელის სამხრეთი და დასავლეთი ნაწილების ზღვარზე გამავალი ორმალიანი თაღედი, შუაში სვეტით. ამგვარი მოტივის გარშემოსავლელში გამოყენების სხვა შემთხვევა ჩვენ არ გვეგულება, ფუნქციურად ეს თითქოს საკმაოდ უხერხული გადაწყვეტაა — დაბალი თაღები და მასიური სვეტი მხოლოდ შეაფერხებდა მოძრაობას ცუდად განათებულ სათავსში. მაგრამ როგორც ჩანს, არქიტექტორი სწორედ გარკვეულ დაყოფას ისახავდა მიზნად. ამ კონსტრუქციამ უფრო მკაფიოდ გამიჯნა ღვთისმსახურებრივი დანიშნულების მქონე სამხრეთის ნაწილი ნართექსის ფუნქციის შემსრულებელი დასავლეთის მონაკვეთისაგან, ვიდრე ამას ერთიანი თაღი გააკეთებდა. ამავე დროს სრული განცალკევებაც არ მომხდარა[16].

ჩრდილოეთის მხარის გადაწყვეტით ჩითახევის ეკლესია უშუალოდ ემხრობა IX—X საუკუნის ძეგლების ზემო აღნიშნულ ჯგუფს. თავისებურება აქ ისაა, რომ ჩრდილოეთიდანვე, გარდა ეკლესიის ორგანიზმში შემავალი სამკვეთლოსი, შუა ნავს მიდგმული აქვს სხვა დანიშნულების ორი იზოლირებული სათავსი. ამგვარი გადაწყვეტა თავისთავად უჩვეულოა, მაგრამ პრინციპულად არ არის მოულოდნელი გარდამავალ ხანაში — ეპოქაში, რომელსაც იზიდავს რთული, მრავალნაწევრიანი სტრუქტურები, კომპონირების ორიგინალური ხერხები. ჩითახევის ეკლესიის ჩრდილოეთ მხარის კომპოზიცია, რომლის შექმნასაც ბიძგი ალბათ რელიეფის სპეციფიკამ მისცა, ვფიქრობთ, უცილობლად მიგვითითებს VIII—X საუკუნეებზე.

VI საუკუნის ბოლოდან პასტოფორიუმები აუცილებლად ეწყობა ყველა დიდ ეკლესიაში და მათ შორის სამეკლესიიან ბაზილიკებშიც. კლასიკურ ხანაში ამ ტიპის ნაგებობებს (ზეგანი, ნეკრესი, ვაქირი, ვაჩნაძიანის ამიდასტური, ვარდისუბნის „დეკანოზური“) აქვს საკურთხევლის ორ მხარეს სიმეტრიულად განლაგებული სამკვეთლო და სადიაკვნე. გარდამავალ ხანაში ორივე პასტოფორიუმის არსებობა სავალდებულო აღარაა, VIII—IX საუკუნეებისა და X საუკუნის

---

[14] Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 193-195.

[15] ვ. დოლიძე, გარბანი, თბილისი, 1958, გვ. 63.

[16] დასავლეთის ნაწილის მეტ-ნაკლებ გამოყოფას ვხვდებით ბორჯომის ხეობის მთელ რიგ სხვა სამეკლესიან ბაზილიკებშიც, რომლებიც წინასწარი მონაცემებით IX ს. II ნახევრითა და X ს. I ნახევრით თარიღდება (იხ. Р. Меписашвили, Основные особенности... გვ. 7). ზოგან გამოყოფენ მხოლოდ უშუალოდ შუა ნავის გაგრძელებაზე მდებარე მონაკვეთს — ამ დროს თაღებს იყენებენ, ე. ი. გამოცალკევება ოდნავ არის მინიშნებული (ასეთია ფოთოლეთი, ლიკანი— თავდაპირველი სახით და, ალბათ, ნეძვიც), ზოგჯერ კი გამოყოფილია — კედლით! — ეკლესიის მთელი დასავლეთი ნაწილი, რომელიც ნამდვილ ნართექსს ემგვანება (გუჯრისხევი, სანარია, საკირე, „მონასტერი“ ქვიშხეთთან).

I ნახევრის სამეკლესიანი ბაზილიკების მნიშვნელოვან ნაწილს — საგურამოს „აგურის საყდარს“, ლელიანის წმ. თევდორეს[17], „წეროდაბალს“ (ჭერემთან)[18], ნეძვს[19], ფოთოლეთს, სანარიას, ერედვს[20], ბერის საყდარს[21], ზემო ბოშურას — სადიაკვნე არ გააჩნია. ასეთივე გადაწყვეტა გვაქვს ჩითახევშიც, აქაც მხოლოდ სამკვეთლოა. საყურადღებოა ისიც, რომ ჩითახევის სამკვეთლო აფსიდიანია. VI—VII საუკუნეების ქართულ ტაძრებში პასტოფორიუმში აფსიდს თითქმის არასოდეს არ აკეთებენ[22]. აფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნე მხოლოდ VIII საუკუნიდან იკიდებს ფეხს მტკიცედ.

ფუნქციური მომენტების წინწამოწევასთან ერთად გარდამავალ ხანაში გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს ინტერიერის გადაწყვეტა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთავარი ნავის შიდა სივრცეს — „მასზე კონცენტრირდება გამომსახველობის ძირითადი ძალა“[23]. ამ დროს იქმნება დარბაზული სივრცის გაფორმების ახალი სისტემა, რომლის არსსაც წარმოადგენს ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების — საბჯენი თაღისა და პილასტრის პლასტიკური გამოვლენა და მათი საშუალებით სივრცის დანაწევრება[24]. მნიშვნელოვან სივრცობრივ ელემენტებად გვევლინება ღრმა უბეები, რომლებიც ერთი კედლის პილასტრებს შორის გადაყვანილი თაღების ქვეშ იქმნება. ეს სისტემა ყალიბდება გარდამავალ ხანაში და განსაკუთრებით IX საუკუნესა და X საუკუნის I ნახევარში პოვებს გავრცელებას. ყველაზე განვითარებული სახით იგი გვხვდება ნეძვში, ერედვში, ბერის საყდარში.

ჩითახევის ეკლესიის ინტერიერის მხატვრული სახის შექმნაში აღნიშნული სისტემა საგულისხმო როლს ასრულებს. ორი წყვილი მძლავრი პილასტრი სივრცეს სამ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. მათ ეყრდნობა კედლის თაღები, რომლებიც თითო კედელზე სამ-სამ უბეს ჰქმნიან. უბეების სიღრმე ისეა განსაზღვრული, რომ ისინი არც ეთიშებიან ძირითად სივრცეს და არც უბრალოდ დეკორატიულ მოტივად იქცევიან, როგორსაც ვხვდებით X საუკუნის II ნახევრისა და განსაკუთრებით XI—XII საუკუნეების ნაგებობებში (ტაძრისი, ხცისი[25], გოსტიბე[26],

---

[17] Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 193—195.

[18] იქვე, გვ. 188—190.

[19] რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ-თა განბის მოამბე, 1963, № 4, გვ. 232—240.

[20] რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, Ars Georgica, 4, თბილისი. 1955, გვ. 101—136.

[21] რ. მეფისაშვილი, ბერის საყდარი, Ars Georgica, 7, თბილისი, 1971, გვ. 91—111.

[22] VI საუკუნეში აფსიდიანი გვერდითი სათავსები გვხვდება მანგლისსა და ნინოწმინდაში, მაგრამ მათი ფუნქცია დაზუსტებით გარკვეული არ არის. VII საუკუნეში აფსიდიანი პასტოფორიუმები გვაქვს ბანაში. უფრო ადრე წროშიც ჩნდება აფსიდის ფორმის ნიშნები სამკვეთლოსა და სადიაკვნეში.

[23] Р. Меписашвили, Основные особенности..., გვ. 4.

[24] პილასტრები და თაღოვანი უბეები გვხვდება რამოდენიმე ადრინდელ, VI საუკუნის II ნახევრის ბაზილიკაშიც — რუისპირში, იყალთოს სტეფანწმინდაში, მხოლოდ პილასტრები — საგურამოს „ქასურ გიორგიში“ (იხ. Г. Чубинашвили, Арх. Кахетии, გვ. 147—149, 157—158, 160—161), მაგრამ აქ მათი სივრცობრივ-მხატვრული როლი სულ სხვაა.

[25] Р. Шмерлинг, Древний Цвимоэтский храм близ села Хциси, Ars Georgica, 4. Тбилиси, 1955, გვ. 139—159.

[26] Р. Меписашвили, Памятники архитектуры X—XI вв. в сел. Кабери и Гостибе, Ars Georgica, 8 Тбилиси, 1969, გვ. 57—63.

ეხვევი[27], სავანე[28], უფრო გვიან ლამაზი საყდარი, წინარეხის მაღალაანთ ეკლესია[29] და სხვ.).

აქვე უნდა აღინიშნოს ჩითახევის ხუროთმოძღვრების ისეთი ორიგინალური დეტალი, როგორიცაა სხვადასხვა ფორმის თაღების გამოყენება გრძივ კედლებზე: ნახევარწრიულისა — სამხრეთის კედელზე და შეწყვილებულ-შეკიდულისა — ჩრდილოეთისაზე. ეს უკანასკნელი ფორმა თავისთავად მაინცდამაინც უჩვეულო არ არის. მას ვხვდებით X საუკუნისა და XI საუკუნის დასაწყისის ზოგიერთ ნაგებობაში (არადეთი, გოსტიბე[30], წამებულისა და ნათლისმცემლის კლდეში ნაკვეთი ეკლესიები დავით გარეჯაში), მაგრამ აქ ყველგან დაცულია ორივე კედლის ყველა თაღის ფორმათა ერთგვაროვნება. ორმალიანი შეკიდული კედლის თაღის ჩვეულებრივ თაღთან ერთი შენობის მოპირდაპირე კედლებზე თანაარსებობის სხვა მაგალითი ჩვენ არ გვეგულება.

ამგვარი გადაწყვეტა, როგორც ჩანს, განაპირობა ჩითახევის ხუროთმოძღვრის დიფერენცირებულმა მიდგომამ გრძივი კედლების როლისადმი ინტერიერის საერთო სახის შექმნაში. ჩრდილოეთის კედელი მთავარი კარის პირდაპირ მდებარეობს და ეკლესიაში შემსვლელის მზერა პირველად მას ხვდება, ის შედარებით კარგად არის განათებული. მშენებელმა გაითვალისწინა ყოველივე ეს და აქ უფრო რთული ფორმის თაღები გააკეთა. რაც შეეხება სამხრეთის კედელს, ის გაცილებით უფრო ჩაბნელებულია, თანაც დღის დიდი ნაწილის განმავლობაში ძლიერ კონტრაჟურში ექცევა, შესაბამისად აქ მარტივი მოხაზულობის თაღებია გამოყენებული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სარკმლების განლაგება სამხრეთის კედელზეც[31] შეკიდულ თაღებს უფრო ითხოვს (ასეთ შემთხვევაში სარკმლის ღიობი მოთავსდებოდა თაღის ცალ მალში, როგორც ეს გოსტიბეშია). იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თავიდან აქაც მოპირდაპირე კედლის მსგავსად შეკიდული თაღების ამოყვანას აპირებდნენ და სულ ბოლო წამს გადაიფიქრეს, ამჯობინეს მთლიანი ნახევარწრიული.

ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ის ასიმეტრიული, ცხოველხატული გადაწყვეტა, რომელიც ჩითახევში განხორციელდა, მიუღებელი იქნებოდა VI—VII საუკუნეებში (გავიხსენოთ, ვთქვათ, ზეგანი თავისი თანაბრად განათებული, „კლასიკური“ სივრცით და კარ-სარკმლების სიმეტრიული განლაგებით), ის უდავოდ გარდამავალი ხანისთვის დამახასიათებელ მიდგომას ამჟღავნებს, თუმცა, როგორც ითქვა, უშუალო პარალელი ამ დროსაც არ ეძებნება.

მთლიანად, ჩითახევის ეკლესია თავისი შიდა სივრცით ყველაზე მეტად გარდამავალი ხანის მოგვიანო ეტაპის (IX საუკუნე და X საუკუნის I ნახევარი) ძეგლებს ენათესავება. განსაკუთრებით საყურადღებოა სიახლოვე ნეძვის ეკლე-

---

[27] ვ. ბერიძე, ეხვევის ტაძარი „დედათა ღვთისა“. Ars Georgica, I. თბილისი, 1942. გვ. 41—49.

[28] ვ. ბერიძე, სავანე (XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), Ars Georgica, 1. თბილისი, 1942. გვ. 77—133.

[29] ვ. ბერიძე, მაღალაანთ ეკლესია, Ars Georgica, 5. თბილისი, 1959. გვ. 205—221.

[30] Р. Меписашвили. Памятники архитектуры X—XI вв. в сел. Кабери и Гостибе. Ars Georgica, 8. Тбилиси, 1979, გვ. 57—63.

[31] მსგავსი შემთხვევა გვაქვს დარკვეთის X საუკუნის ეკლესიაში — სარკმელი იქაც სამხრეთის კედლის თაღოვანი უბის განაპირას, ზედ პილასტრთან არის გაჭრილი (იხ. Р. Шмерлинг. Церковь в селении Даркветн. Ars Georgica, 6. Тбилиси, 1963, გვ. 183—197).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიასთან (IX საუკუნის შუახანები)[32]. რ. მეფისაშვილი აღნიშნავს, რომ კავშირი ნეძვსა და ჩითახევს შორის ვლინდება „... როგორც მთელი რიგი კერძო ნიშნების მსგავსებაში, ისე, განსაკუთრებით, საერთო ხასიათის სიახლოვეში“[23]. სივრცის პროპორციულ აგებას და კედლის თაღოვანი უბეების გამოყენებას რ. მეფისაშვილი თვლის „არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითად მხატვრულ ფასეულობად“[34], რომელიც ამსგავსებს ამ ორ ნაგებობას.

შეიძლება დავასახელოთ კიდევ რამდენიმე ნიშანი, რომლებიც აგრეთვე მიგვითითებს იმავე პერიოდზე: ფასადზე ვიწრო და შიგნითკენ შესამჩნევად გაფართოებული სარკმლები (V—VII საუკუნეებსა და ძირითადად VIII საუკუნეშიც სარკმლები ფასადისკენ ნაკლებად ვიწროვდება), თაროს პროფილის კარნიზი და გეგმაში ცალსაფეხურიანი პილასტრი (ორივე ფორმა პრაქტიკულად წყვეტს არსებობას X საუკუნის შუახანებიდან[35]). დასასრულ, უნდა აღინიშნოს ისეთი არსებითი მომენტიც, როგორიცაა საშენი მასალა და მისი დამუშავების ხასიათი. ჩითახევის ეკლესია ნაგებია ადგილობრივ მოპოვებული უხეშად დამუშავებული ქვით, შედარებით სუფთად თლილი ქვაა გამოყენებული კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილებში. ასე აშენებდნენ საერთოდ გარდამავალ ხანაში. უახლოეს პარალელებად, შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია მოვიყვანოთ ისევ ბორჯომის ხეობის სამონასტრო ეკლესიები IX ს-ისა და X ს. I ნახევრისა — იგივე ნეძვი, ლიკანი, ფოთოლეთი, ქვაბისხევი[36], საკვირიკე, სანარია, ტაძრისი[37] და სხვ. ჩითახევის კამარა თავისი შერეული ტექნიკით უშუალო ანალოგიას პოულობს ნუკა-საყდარში (IX საუკუნე)[38]. მეტად საინტერესო თავისებურებაა დეკორატიული გაფორმების სრული უქონლობა. გარდამავალ პერიოდში, მშენებლობის ხარისხის დაქვეითებასთან ერთად, ეკლესიების მორთულობა გარკვეულად ღარიბდება, მაგრამ ამ მასშტაბის სრულიად შეუმკობელი ძეგლები საკმაოდ იშვიათად გვხვდება, ისიც თითქმის ყველა ბორჯომის ხეობაში — ასეთია ყველა ზემოთჩამოთვლილი ნაგებობა (გარდა ტაძრისისა და ქვაბისხევისა[39], რომლებსაც აქვთ უაღრესად სადა დეკორი) და აგრეთვე გუჯრისხევი, ხვეწის საყდარი და შესაძლოა კიდევ რამდენიმე ეკლესია.

ამრიგად, ხუროთმოძღვრების ანალიზის საფუძველზე ჩითახევის ეკლესია IX ს. — X ს. I ნახევრით თარიღდება.

ამავე საკითხთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ გიორგი მერჩულეს ცნო-

---

[32] რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა... გვ. 240.

[33] Р. Меписашвили, Основные особенности..., გვ. 6.

[34] იქვე, გვ. 7.

[35] ცალსაფეხურიანი პილასტრი კვლავ ჩნდება ბევრად უფრო გვიან — XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ის გვხვდება წინარეხში, ლამაზ საყდარში. რა თქმა უნდა, აქ მათი მხატვრული მნიშვნელობა სხვაა. კედლის თაღები ბრტყელია და წმინდა დეკორაციული ხასიათისაა.

[36] გ. ჩუბინაშვილი, ძველი ბაზილიკა ქვაბისხევში. თსუ შრომები, ტ. XXXIV, თბილისი, 1948, გვ. 391—398.

[37] Р. Меписашвили, Основные особенности..., გვ. 7.

[38] В. Беридзе, Архитектура Тао-Кларджети, Тбилиси, 1981, გვ. 181. აქ კრიტიკულად არის გაანალიზებული დათარიღების აღრინდელი ცდები (ი. მარისა და პ. ინგოროყვასი) და ხუროთმოძღვრების მონაცემებზე დაყრდნობით მოცემულია ახალი თარიღი — VIII—IX საუკუნეები (ალბათ უფრო IX საუკუნე, რადგან ნუკა-საყდარი გრიგოლ ხანძთელის წრის საამშენებლო მოღვაწეობას უნდა უკავშირდებოდეს, პირველი ქვის ეკლესიები კი გრიგოლმა IX საუკუნის 10—20-იან წლებში ააშენა).

[39] გ. ჩუბინაშვილი, ძველი ბაზილიკა ქვაბისხევში, გვ. 397.

ბილ თხზულებას „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. მართალია, მასში აღწერილი მოქმედება ძირითადად კლარჯეთში იშლება, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება საქართველოს სხვა მხარეების და მათ შორის დღევანდელი ბორჯომის ხეობის რეგიონის შესახებაც. კერძოდ, ნაწარმოებში მოთხრობილია ზემოთნახსენები ნეძვისა და კვირიკეწმიდის მონასტრების აღმოცენების ამბავი. ისინი გრიგოლის უშუალო ხელშეწყობით დაუარსებიათ IX საუკუნის 40-იან წლებში[40] მანამდე ხანძთაში მოღვაწე ბერებს — თეოდორესა და ქრისტეფორეს. გიორგი მერჩულეს მიახლოებით განსაზღვრული აქვს ამ სავანეთა მდებარეობაც — „ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა“[41], და ამასთანავე „ქართლსა შინა“[42].

ქართლ-სამცხის მოსაზღვრე პუნქტი VIII—X საუკუნეებში არის ტაშისკარი[43], ხოლო მერჩულეს მიერ „ზოგად არედ“ განსაზღვრული ქართლის ნაწილი უნდა იყოს ბორჯომის ხეობის მიმდებარე მთიანი ნაწილი, კერძოდ, ვიწრო ხეობები, რომლებიც სერავს მესხეთისა და თრიალეთის ქედებს ტაშისკარის მიდამოებში და მტკვრისაკენ ეშვება. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ხეობაში მდებარეობს ნეძვის მონასტერი. აქ შემორჩა თეოდორესდროინდელი ეკლესია (ძლიერ დანგრეული), რომლის შესახებაც ზემოთ არაერთგზის გვქონდა ლაპარაკი. ეს ნაგებობა თავისი მტკიცე თარიღით და მკაფიოდ გამოხატული არქიტექტურული თავისებურებით წარმოადგენს უმთავრეს დასაყრდენს ბორჯომის ხეობის სხვა სამონასტრო ეკლესიებზე მსჯელობისას.

რაც შეეხება კვირიკეწმიდას, მისი ზუსტი მდებარეობა დღემდე არ არის ცნობილი. ლოკალიზაციის რამდენიმე ვერსიიდან[44] ყველაზე საყურადღებოა

---

[40] მონასტრების დაარსების დროისათვის არსენი (შემდგომში ქართლის კათალიკოსი) და ეფრემი (შემდგომში მაწყვერელი) უკვე სრულწლოვანნი იყვნენ. არსენი დაბადებულია 820/22 წლებში — როცა დაიმოწაფეს თეოდორემ და ქრისტეფორემ, იგი 6 წლის იყო, დამოწაფება კი მოხდა აშოტ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ მოკლე ხანში, ე. ი. 826/28/წლებში (იხ. ა. ბოგვერაძე, ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ). საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1970, გვ. 131—138). ამრიგად, სრულწლოვანების არსენი 840 წლისთვის მიაღწევდა. ამ ხანებშივე დაწყებულა ნეძვისა და კვირიკეწმიდის მშენებლობა (შდრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954, გვ. 398; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VIII, თბილისი, 1962, გვ. 251; რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა.. გვ. 240).

[41] Г. Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра. С-Петербург, 1911. გვ. ლვ.

[42] Г. Мерчул, გვ. ლე.

[43] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980, გვ. 71—72. უმთავრესი წყარო საზღვრის დასადგენად არის: ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 9_{24}, $24_{20,25}$.

[44] ტრადიციულად კვირიკეწმიდას აიგივებდნენ საკვირიკეს მონასტერთან (დვირის მახლობლად), სადაც შემოინახა IX საუკუნის ეკლესია (იხ. მაგალითად, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, ისტორიული გეოგრაფია, თბილისი, 1964, გვ. 250;, იგივე აზრი უნდა ჰქონდეს გატარებული გ. ჩუბინაშვილსაც, იხ. მისი, ძველი ბაზილიკა ქვაბისხევში, გვ. 396), შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ ქრისტეფორეს დაარსებული მონასტერი მდებარეობდა დღეს არარსებულ, მაგრამ XVI—XIX საუკუნეების წერილობით წყაროებში დაფიქსირებულ პუნქტ კვირიკეწმინდასთან, საყუნეთის მახლობლად (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 394, ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლე-

რ. მეფისაშვილის მოსაზრება. იგი გამოდის არა მხოლოდ მერჩულეს გეოგრაფიული მონაცემებიდან, არამედ ხუროთმოძღვრებიდანაც, და ემყარება იმ ვარაუდს, რომ „თეოდორესა და ქრისტეფორეს ანალოგიური აღქმა და მიდგომა უნდა ჰქონოდათ მშენებლობის საკითხების მიმართ“[45]. ხოლო რაკი ნეძვს — თეოდორეს პირმშოს — ადგილის შერჩევით, ცალკეული ნიშნებითა და ხუროთმოძღვრების საერთო ხასიათით ბორჯომის ხეობის სამონასტრო ეკლესიებს შორის ყველაზე მეტად ჩითახევი უახლოვდება, სწორედ ის უნდა იყოსო ქრისტეფორეს მონასტერი, ყოფილი კვირიკეწმიდა, დაარსებული IX საუკუნის შუახანებში.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოიპოვება დამატებითი არგუმენტები, რომლებიც ბოლომდე გაარკვევდა ამ საინტერესო საკითხს[46]. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ეს არ არის მთავარი. მიუხედავად იმისა, მივიღებთ თუ არა ჩითახევის კვირიკეწმიდასთან გაიგივების ვერსიას, აშკარაა, რომ:

I). ჩითახევის მონასტერი (და, რა თქმა უნდა, ეკლესიაც), ისევე, როგორც ბორჯომის ხეობის სხვა ზემოთაღნიშნული მონასტრები, არ არის გაშენებული XI საუკუნის 40-იან წლებზე უფრო ადრე. გიორგი მერჩულე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თეოდორესა და ქრისტეფორეს მოსვლის დროისათვის აქაურობა უდაბური იყო.

2). ხანძთიდან მოსული ბერების მიერ პირველი ორი სავანის დაარსებამ ბიძგი მისცა სამონასტრო მშენებლობის ფართო გაშლას, ნეძვსა და კვირიკეწმინდას მალე გაუჩნდა მრავალრიცხოვანი ფილიალები[47]. დღესდღეობით ბორჯომის ხეობაში ცნობილია ოცზე მეტი ეკლესია (მეტწილად დანგრეული ან გვიან გადაკეთებული), რომლებიც შეიძლება სამონასტრო მოძრაობის ამ დიდ ეპოქას მიეკუთვნოს. მათი დიდი ნაწილი ჩითახევის ხუროთმოძღვრების გარჩევისას პარალელურ მასალად იყო მოხმობილი.

3). ჩითახევის ეკლესია ამ სამონასტრო მოძრაობის ადრეული ეტაპის ძეგლია, ისევე, როგორც ნეძვი — ამას ამტკიცებს მათ ხუროთმოძღვრულ გადაწყვეტათა მსგავსება[48]. „ფილიალურ“ მონასტრებს შორის ჩითახევი ერთ-ერთი

ვა, თბილისი, 1958, გვ. 124). ეს ვარაუდი აშკარად მცდარია. საყუნეთი აწყურის ზემოთ მდებარეობს, ლამის შიგ შუა სამცხეში და გიორგი მერჩულე ამ მხარეს ქართლს ვერ უწოდებდა. თანაც ამ კვირიკეწმინდის მიდამოებში ნამონასტრალის კვალი არ მოიძებნება (რ. მეფისაშვილი. გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა... გვ. 233 (სქოლიო 8).

[45] Р. Меписашвили,. Основные особенности... გვ. 6—7.

[46] ჩითახევთან ქრისტეფორესეული სავანის იდენტიფიკაციას ხელს უშლის ის ამბავი, რომ ჩითახევიც ტაშისკარის ზემოთ მდებარეობს, ე. ი. სამცხეში და არა ქართლში. თუმცა გამოთქმულია აზრი, რომ ქართლ-სამცხის საზღვარი VIII—X საუკუნეებში მუდამ ტაშისკარზე არ გადიოდა, ერთხანს მან თითქოს ბევრად ზემოთ, დვირისკენ გადაინაცვალა, რის შედეგადაც მთელი ხეობა ქართლში მოექცა (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბილისი, 1975, გვ. 276—277), ამ შემთხვევაში ჩითახევს მართლაც მიუდგებოდა ის გეოგრაფიული განსაზღვრება, რომელსაც გიორგი მერჩულე აძლევს კვირიკეწმინდას. მაგრამ მაშინ იგივე განსაზღვრება აღარ მიუდგება ნეძვს!

[47] Р. Меписашвили, Основные особенности..., გვ. 7.

[48] მაგალითად, ტაძრისის ეკლესია სულ სხვა გადაწყვეტას გვიჩვენებს. კედლის უბეები აქ მხოლოდ აღმოსავლეთით არის, ისიც არაღრმა, სივრცობრივ მნიშვნელობას მოკლებული. ნეძვისა და ჩითახევის პლასტიკური მონუმენტურობის სანაცვლოდ აქ იგრძნობა მეტი დეკორაციულობა. ჩნდება მოკრძალებული მორთულობაც. ამ ნიშნებით ტაძრისი X საუკუნის შუახანებისკენ ან სულაც II ნახევრისკენ იხრება. დაახლოებით ამავე ხანების უნდა იყოს გუჯრისხევის მონასტრის ეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველესი უნდა ყოფილიყო (თუ, რა თქმა უნდა, იგი თვით კვირიკეწმიდა არ იყო).

ამგვარად, ჩითახევის ეკლესია აგებულია IX საუკუნის შუახანებში, ან უშუალოდ მომდევნო ხანაში, ე. ი. III მეოთხედში.

დაარსებისთანავე ჩითახევი საკმაოდ მოზრდილი მონასტერი უნდა ყოფილიყო. ეკლესიის ზომებით თუ ვიმსჯელებთ, აქ თავიდანვე 20—25 ბერი მაინც იქნებოდა[49].

IX საუკუნის II ნახევარი და X—XI საუკუნეები ბორჯომის ხეობის მონასტრების ისტორიაში დიდი აღმავლობის ხანაა. ამ დროს ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ის თითო-ოროლა ცნობა, რომლებიც შეიძლება ამოიკრიბოს ლიტერატურული ძეგლებიდან, თვალსაჩინოდ ადასტურებს ამას. XI საუკუნის ცნობილ ნაწარმოებში „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ყრმა გიორგი მამამისმა — გავლენიანმა სახელმწიფო მოღვაწემ — აღსაზრდელად ტაძრისის მონასტერში მიაბარა[50]. იმავე თხზულებაში ნეძვი მოხსენიებულია, როგორც „დიდებული ლავრა“[51].

ჩითახევის მონასტრის შესახებ არც ამ პერიოდში და არც შემდგომ არავითარი წერილობითი მასალა არ მოიძებნება, მაგრამ თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქ არანაკლებ ინტენსიური კულტურული ცხოვრება ჩქეფდა. ყოველ შემთხვევაში, აღმშენებლობა გრძელდება ამ დროს (მასალის დამუშავების ხასიათის მიხედვით, ალბათ IX საუკუნეშივე, ან X საუკუნის I ნახევარში) არის მიდგმული კარიბჭე სამხრეთის ორთაღიანი კარის წინ, რის შედეგადაც მთავარმა შესასვლელმა და მთელმა ტაძარმაც უფრო საზეიმო იერი მიიღო. იმავე ხანებში ჩაუტარებიათ რამდენიმე უმნიშვნელო რემონტიც. კერძოდ, XI საუკუნეში უნდა იყოს გადაკეთებული სამკვეთლოში გასასვლელ კარად აფსიდში მდებარე ნიშა. მონგრეული კიდეები სუფთადთლილი კვადრებით მოუსწორებიათ.

X—XI საუკუნეებში მიმდინარეობს მანამდე შედარებით მეჩხერად დასახლებულ სამცხეში ქართლიდან მოსახლეობის გადმოსვლის მასობრივი პროცესი[52]. მოახალშენეთა ნაწილი დასახლდა ბორჯომის ხეობაშიც, ძირითადად მონასტრების გარშემო, ვინაიდან ეს მხარე თითქმის უკაცრიელი იყო. ახლადშექმნილმა სოფლებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყვეს მონასტრების ეკონომიკურ მოღონიერებას.

საერთო აღმავლობა შემდგომაც გრძელდება, როცა ბორჯომის ხეობის ტერიტორია შედის სადროშოში, რომელსაც სათავეში უდგას თორელთა ფეოდა-

---

ლესიაც, თუმცა ერთი შეხედვით უფრო არქაული იერი აქვს. აქ პილასტრები და ე. ი. კედლის უბეებიც საერთოდ არ არის, საბჯენი თაღი შვერილ კრონშტეინებს ეყრდნობა.

[49] „შიო მღვიმელის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის მიხედვით, როცა შიომ თავის მონასტერში ეკლესია ააშენებინა, იქ 25-ზე მეტი ბერი იყო (იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბილისი, 1971, გვ. 138). ამ ეკლესიის შიდა ფართობი (საკურთხევლის აფსიდის ჩაუთვლელად) 50 კვ. მეტრია, ჩითახევის ეკლესიაში მარტო შუა ნავის ფართობი (ასევე უაფსიდოდ) 55 კვ. მეტრს აღწევს.

[50] ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, 1967, გვ. 93.

[51] იქვე, გვ. 112

[52] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1965, გვ. 56.

ლური სახლი. XII—XIII საუკუნეები მათი უმაღლესი ძლიერების ხანაა[53]. ამ პერიოდის ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში ბორჯომის ხეობაში არის ტიმოთესუბნის ეკლესია, ცნობილი თავისი მხატვრობით. ეს ის დროა, როცა საყოველთაოდ ვრცელდება ეკლესიის კედლების მთლიანად მოხატვის წესი და ჩითახევის მონასტრის მესვეურებსაც მოუხატვინებიათ თავიანთი ეკლესია. როგორც ჩანს, მათ არ უჭირდათ მონასტრის მოვლა ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ჩითახევის ფერწერა აშკარად კარგი ოსტატის მიერ არის შესრულებული.

XIII—XIV საუკუნეებში, როცა მონღოლთა ბატონობით დასუსტებული საქართველო კულტურულ კრიზისს განიცდის, სამცხე ქვეყნის ყველაზე დაწინაურებული მხარეა. აქ ეკლესია-მონასტრების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს, იგება საფარის, ზარზმის, ჭულეს დიდი ტაძრები. საფიქრებელია, რომ მზრუნველი ხელი არც ჩითახევს მოაკლდებოდა, მაგრამ XIV საუკუნის ბოლოდან სიტუაცია მკვეთრად იცვლება. თემურ-ლენგმა საქართველოში შემოსევების დროს ხუთჯერ დალაშქრა სამცხე და სრულიად მოაოხრა[54]. ამ ლაშქრობებისას მან არაერთხელ გაიარა ბორჯომის ხეობა. რამდენადაც დამპყრობელი ჩვეულებრივ მტკვარს მიჰყვებოდა ხოლმე, სავარაუდოა, რომ მისი ლაშქრის მარბიელი რაზმები წააწყდებოდნენ მდინარესთან ახლოს მდებარე ჩითახევის მონასტერსაც. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დიდ ზიანს მიაყენებდნენ სავანეს ჩაღათაელები, რომელნიც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული სისასტიკით ანგრევდნენ ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებს.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ჩითახევის მონასტერი ერთხანს დაიცალა. მისი ხელახალი გამოცოცხლება უნდა უკავშირდებოდეს ალექსანდრე დიდისა და მისი მემკვიდრეების აღდგენით მოღვაწეობას. მონასტრის აღდგენის ინიციატორი ალბათ იყო ბორჯომის ხეობის იმდროინდელი მფლობელი ავალიშვილების გვარის რომელიმე წარმომადგენელი, შესაძლოა იგივე ქიშვად ავალიშვილი, რომელმაც ააგო სამრეკლო მეზობლად მდებარე ლიკანის მონასტერში[55].

ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ, აღუდგენიათ კამარა გარშემოსავლელის სამხრეთის ნაწილში, ამოუყვანიათ აქ ორი ტიხარი, განუახლებიათ წყობა ამავე ნაწილის აღმოსავლეთის ფასადაზე და სარკმლისათვის საპირეც გაუკეთებიათ. დაუვიწროვებიათ მთავარი შესასვლელი. მაშინვე უნდა იყოს აშენებული სამრეკლოც[56]. ამავე დროს შეკეთების ორგანიზატორებმა არ აღადგინეს ეკლესიის წყობიდან გამოსული ჩრდილოეთის და დასავლეთის ნაწილები და სამხრეთის კარიბჭე, რაც მოწმობს, რომ მათი შესაძლებლობები შეზღუდული იყო.

ეს იყო უკანასკნელი აღმშენებლობითი პერიოდი ჩითახევის მონასტრის ისტორიაში. XVI საუკუნეში სამცხეში სულ უფრო რთულდება საშინაო და საგარეო ვითარება, ქვეყანა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაქვეითებას განიცდის. 1578 წელს სამცხე-საათაბაგო კარგავს დამოუკიდებლობას და ოსმანთა იმპერიის ნაწილი ხდება. მასთან ერთად ოსმალეთის შემადგენლობაში ექცევა საავალიშვილოც, ე. ი. მთელი დღევანდელი ბორჯომის

---

[53] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1964, გვ. 210.

[54] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე. თბილისი, 1974, გვ. 31, 87—90, 141—144, 226.

[55] ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღრება, თბილისი, 1955, გვ. 217.

[56] იქვე, გვ. 216—217.

ხეობა. ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ ყველა ქართული მონასტერი და მათ შორის ჩითახევიც წყვეტს ფუნქციონირებას. იცლება არა მარტო მონასტრები, არამედ სოფლებიც. უკვე XVI საუკუნის დასასრულს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სოფელი ჩითახევი, — ისევე, როგორც ნეძვი, ლიკანი, საკვირიკე, ჭობისხევი და მრავალი სხვა — გაუკაცრიელებულია[57]. მართალია, XVII საუკუნიდან ეს მხარე ისევ ქართული სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა — იგი ქართლმა მიიერთა, — მაგრამ ამით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. XVIII საუკუნის ბოლოსათვის ბორჯომის ხეობა თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან. მისი ხელახალი დასახლება XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება. თანდათან ისევ გამოცოცხლდა ძველი სოფლები, მაგრამ მიტოვებული სავანეებისათვის აღარავის მიუხედია.

[57] ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გვ. 480.

Д. Э. ХОШТАРИЯ

МОНАСТЫРСКАЯ ЦЕРКОВЬ В ЧИТАХЕВИ

(Памятник грузинской архитектуры IX века)

Резюме

В большой группе монастырских построек Боржомского ущелья одной из самых значительных является церковь в монастыре Читахеви. Это относительно хорошо сохранившаяся большая трехцерковная базилика с высокой и широкой средней церковью, к которой с юга и запада примыкает двухсторонний обход, а с севера — жертвенник и два обособленных помещения, функционально не связанных с ней. Церковь построена из грубо обработанного камня и совершенно лишена декоративного убранства. Главное внимание уделено художественному оформлению интерьера средней церкви. С помощью лаконичной системы простых пилястр и подпружных и пристенных арок, создающих четкое членение пространства, ему придана строгая монументальность. По всем этим признакам, а также некоторым частным особенностям (подвешенные арки, формы карниза, пилястр и т. д.) здание датируется IX—I пол. X в. Учитывая данные литературного памятника X в. «Житие св. Григория Хандзтийского» о монастырском строительстве в данном регионе эту дату можно уточнить до середины или III четверти IX века.

Не выделяясь особыми художественными достоинствами, постройка в Читахеви являет собой характерный пример поздней фазы т. н. переходного периода грузинской архитектуры.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ გეგეშიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე

(30-იანი წლების მეორე ნახევარი)*

1935—1939 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. შემდეგ იქვე — ასპირანტი. საბჭოთა არმიის რიგებიდან რომ დავბრუნდი, სადაც ხუთი წელი დავყავი (1941—1946 წწ.), ჩვენი ოჯახი თითქმის გაპარტახებული დამხვდა. მშობლები ომის წლებში გარდაიცვალნენ, ჩემი, ისედაც ცოტაოდენი, წიგნები გაფანტული აღმოჩნდა, სტუდენტური არქივი — დაკარგული.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის დღიდან მის დამთავრებამდე ყოველთვის სიყვარულით ვეკიდებოდი მოსმენილი ლექციების დაკონსპექტებას. მაშინ ამას იმიტომაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ არც ერთ საგანში, გარდა ენებისა, სახელმძღვანელო არ გვქონდა. ლექციებს შავად ვიწერდი და სახლში ვათეთრებდი. ამას დიდი დრო მიჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ დიდად სასარგებლოც იყო.

დიახ, ყველა ეს ჩემთვის ძვირფასი მასალა, დაკავშირებული უნივერსიტეტთან, დამეკარგა. გადარჩა შემთხვევით სტუდენტობის ბილეთი, ორიოდე მოწმობა და მატრიკული — იგივე ჩათვლის წიგნაკი.

ეხლა ამ საბუთებს თვალისჩინივით ვუფრთხილდები. მიყვარს ხოლმე დროდადრო მათი თვალიერება. განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს მატრიკული — მუყაოსყდიანი თხელი წიგნაკი, რომელიც ჩემი ცხოვრების ძვირფასი წლების დალხინებასა თუ გაჭირვებას ნათლად აღმიდგენს, სასიამოვნო მოგონებებს აღმიძრავს.

მაგრამ ამ წიგნაკის ფასდაუდებელი ღირსება მაინც ის არის, რომ მან რამდენიმე ფურცელზე მწყობრად შემოინახა გვარები ჩვენი ძვირფასი პროფესორ-მასწავლებლებისა, რომელთა შორის ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწეც იყო და უშუალოდ უნივერსიტეტის დიდი ამაგდარიც. მაგრამ მატრიკულმა შემოინახა არა უბრალოდ გვარების სია, არამედ თითოეული საგამოცდო ნიშნის გასწვრივ პირადი ხელმოწერა ადამიანებისა, რომლებიც მაღალი ეროვნული შეგნებითა და პატრიოტიზმით გულწრფელად და თავმდაბლად ემსახურებოდნენ ახალი ინტელიგენციის აღზრდის საპასუხისმგებლო საქმეს ქართულ უნივერსიტეტში.

მე და ჩემი სტუდენტობის ამხანაგებს, რომლებსაც დღესაც ვხვდები, სიამაყის გრძნობით გვევსება გული, როცა ჩვენს ძვირფას მასწავლებლებს ვიგო-

---

* ჟურნალის ამ ნომერში იბეჭდება ნეკროლოგი პროფ. მ. გეგეშიძის გარდაცვალების გამო. სარედაქციო კოლეგიამ შესაძლებლად სცნო აქვე მოეთავსებინა განსვენებულის არქივიდან ამოღებული მისი მოგონებები სტუდენტობის წლების შესახებ. ისინი ერთგვარად ავსებენ ნეკროლოგს, რამდენადაც თვალწინ გვიშლიან მ. გეგეშიძის ბიოგრაფიის ერთ-ერთ საყურადღებო მონაკვეთს.

ნებთ. მაშინაც ვხედავდით და ეხლაც ვფიქრობთ, რომ ისინი საოცრად ერთნაირი იყვნენ პროფესიული და მოქალაქეობრივი მოწოდების შეგნებით, მაგრამ ჰქონდათ ინდივიდუალურად განსხვავებული თვისებები პედაგოგიური ხერხებისა, სტუდენტებისადმი მიდგომისა.

როდესაც მათს ხელმოწერას დავცქერი ძალაუნებურად ცოცხლდება ჩემს თვალწინ მათი სახეები, გარეგნობა, ხასიათი, ხმა და ინტონაცია, ჟესტიკულაცია და, წარმოიდგინეთ, ჩაცმულობაც და მოძრაობის მანერაც კი, ასევე მათი სულ ახლო გამოხედვა და საუბარი საგნის ჩაბარების დროს. ყველაფერი ეს თითქოს გუშინ იყო, მას შემდეგ კი, აი, 30 წელიწადზე მეტი გავიდა.

მატრიკულში პირველი საგამოცდო საგნის ნიშანს ხელს აწერს პროფ. გ. ნიორაძე. წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორია მაშინაც ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო, რომელიც ისტორიის ფაკულტეტზე პირველ სემესტრშივე იკითხება და, რომელსაც ზოგად-საისტორიო შესავლის მნიშვნელობაც აქვს. ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვ. მონაცემების ზომიერად გამოყენებით, აგრეთვე პირადი დაკვირვებებისა და გამოცდილების მოშველიებით (გ. ნიორაძეს გერმანიაში ჰქონდა დაცული სამეცნიერო ხარისხი) ამ საგანს ლექტორი საინტერესოდ გადმოსცემდა მიუხედავად სხვადასხვაგვარი სქემების სიმრავლისა. დროდადრო სპეციალური ტერმინებისა თუ ცნებების შეთვისების სისწორესა და ხასიათსაც ამოწმებდა. ქართული მეცნიერული არქეოლოგიის ერთ-ერთი პიონერი და დიდი ამაგდარი გ. ნიორაძე ამასთან ერთად ხალისით გვაცნობდა იმდროინდელი ზოგადი და საქართველოს არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მეცნიერულ მიღწევებს, ახალ ლიტერატურას, სამუზეუმო ექსპოზიციებს. ლექციებს ლიტერატურული ენით კითხულობდა, ცალკე საუბრის დროს კი იმერულ კილოზე უყვარდა ლაპარაკი.

არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ქრონოლოგიურად ძალზე დიდი წყვეტილით წაგვეკითხა ჩვენ სკპ (ბ) ისტორია და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები. სკკ (ბ) ისტორია მოვისმინეთ პირველ კურსზე, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები კი — მეოთხეზე. პირველი საგნის ლექტორი იყო პროფ. ნ. მახარაძე. იმხანად ნ. მახარაძე ისტორიის ფაკულტეტის დეკანიც იყო. ნ. მახარაძე მასალას მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემდა მისთვის ჩვეული სიდინჯით. საუბარი, როგორც ეს დღესაც სჩვევია, ძალიან მიმზიდველი ჰქონდა, ტონი — დამაჯერებელი. ცდილობდა არაფერი დარჩენილიყო ბუნდოვანი და გაუგებარი. ყოველმხრივ გვიწყობდა ხელს და ჩვენს თხოვნასაც ყოველთვის უყოყმანოდ აკმაყოფილებდა, რომ მოგვესწრო ლექციის ჩაწერა. იმ დროს პარტიის ისტორიის სახელმძღვანელო ჯერ გამოსული არ იყო, ამიტომ უმთავრესი წყარო ჩვენთვის მაინც ლექციის კონსპექტი იყო. პრაქტიკულ მეცადინეობას ამ საგანში ხელმძღვანელობდა ასისტ. ნ. ვერულია.

ამ სახელმძღვანელომ ჩვენ მეოთხე კურსზე მოგვისწრო, როცა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები წაგვეკითხა. ამ საგანში ჩვენი ლექტორი იყო პროფ. პლ. თავხელიძე. მასაც კურსი პროგრამის მიხედვით მიჰყავდა, მაგრამ ხშირად ახდენდა საინტერესო წიაღსვლებს, უყვარდა კონკრეტული ფაქტობრივი მასალის მოშველიება. შემდგომში, როდესაც ჩვენთან საერთოდ ებრძოდნენ და აკრიტიკებდნენ მედავითნეობას მარქსისტული მოძღვრების შესწავლის საქმეში, ჩვენ ყოველთვის კმაყოფილებით ვიგონებდით ამ დარგის ჩვენს მასწავლებ-

ლებს, რომლებიც დაზეპირების მეთოდის მოწინააღმდეგენი იყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ საქმის არსში ჩაწვდომით შეესწავლებინათ ჩვენთვის ეს საგნები.

ამასთან დაკავშირებით მოვიგონებ პოლიტიკური ეკონომიის ლექციებს, რომელიც ჩვენთან პირველ კურსზე, ორი სემესტრის განმავლობაში, პროფ. ს. ბერაძემ წაიკითხა. ლექციებს პარალელურად სემინარული მუშაობაც ახლდა. ჩვენი კურსი სამ ცალკე ჯგუფს აერთიანებდა (№ 138, № 139 და № 140 ჯგუფებს). ეს უკანასკნელი იყო ფილოსოფიური სპეციალობის ჯგუფი, მაგრამ ბევრ ძირითად საგანში ჩვენთან შეერთებული. სამსავე ჯგუფში ასზე მეტი სტუდენტი იყო, ამიტომ საერთო საგნებში ლექციები დიდ აუდიტორიებში გვეკითხებოდა. ასე იყო პოლიტეკონომიაშიც, რომლის ლექციებს ვისმენდით მთავარი კორპუსის მესამე სართულის ამფითეატრულ აუდიტორიაში.

ს. ბერაძე ლექციას ერთი ხმით კითხულობდა. კათედრაზე იდგა და დაწერილს თვალს არ აშორებდა. საგანი საკმაოდ რთული იყო, ისიც ჩვენთან, სწავლის დასაწყის კურსზე. ამას თვით ლექტორიც გრძნობდა და ცდილობდა როგორმე სხვამხრივ შეეწყო ხელი. ზოგჯერ კითხვის ტემპს შეანელებდა, ხშირად გვეკითხებოდა კიდეც რაიმე ხომ არ რჩებოდა გაუგებარი. პოლიტეკონომიის საგანს კანონების სიმრავლე ახასიათებს, მაგრამ მათი დაზეპირება არ მოუთხოვიათ არ ლექციების დროს, არც გამოცდაზე.

პირველ კურსზევე ჩვენ წაგვეკითხა ძველი აღმოსავლეთის ისტორია. ამ საგნის ლექტორი იყო დოც. გაბრიელ ჩაჩანიძე, რომელიც შემდგომ, როგორც ცნობილია, პედაგოგიურ საქმიანობას ჩამოშორდა და რელიგიური მსახური გახდა. ამ საგანშიც ლექციებს ამფითეატრულ აუდიტორიაში ვისმენდით. გ. ჩაჩანიძე ლექციებს საინტერესოდ კითხულობდა. მასალის დაძლევის მიზნით ზოგჯერ სალექციო მუშაობაში სემინარულ ხერხსაც მიმართავდა. კარგად მახსოვს ერთ-ერთ ასეთ ლექციაზე ჩვენი თანაკურსელის გიორგი მელიქიშვილის (ამჟამად აკადემიკოსის) მოხსენება ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესაბამისი მონაკვეთიდან. გ. ჩაჩანიძე დიდხანს ვეღარ მალავდა აღტაცებას ახალბედა სტუდენტის წარმატების გამო. ჩამრჩა მეხსიერებაში აგრეთვე მისი გამოსვლა წრის იმ სხდომაზე, რომელსაც პროფ. ი. ცინცაძე ხელმძღვანელობდა. გ. მელიქიშვილის მოხსენების თემა იყო „ნაპოლეონის რუსეთზე ლაშქრობა“.

უნივერსიტეტში მაშინაც სერიოზული ყურადღება ექცეოდა ენების სწავლებას. პირველ კურსზე ორი სემესტრის განმავლობაში საკმაოდ ვრცელი კურსი მოვისმინეთ ქართულ ენაში, რომლის მასწავლებელი დოც. სტეფანე ჩხენკელი თეორიულ ნაწილთან ერთად დიდ დროს უთმობდა პრაქტიკულ მეცადინეობას. ძალზე მკაცრი მომთხოვნი იყო როგორც ასეთი მუშაობის დროს, ისე, განსაკუთრებით, გამოცდებზე. ჩვენ ეს საგანი მას ორჯერ ჩავაბარეთ დიფერენცირებული ჩათვლისა და გამოცდის წესით.

დიდი დრო დაეთმო უცხო ენასაც. ჩვენი ჯგუფი სწავლობდა ფრანგულ ენას. პირველი ორი სემესტრის მანძილზე ჩვენი მასწავლებელი იყო ფრანგული ენის ცნობილი სპეციალისტი ბიპერი. იგი უკვე მოხუცი იყო, მაგრამ ძალზე ენერგიული. გაკვეთილების დროს უყვარდა ხუმრობა, (მიუხედავად გამომწვევი იუმორისა, ჩვენ ყოველთვის ზომიერად გვეჭირა თავი). გაკვეთილები ყო-

ველთვის სრული მოცულობით ტარდებოდა, წესრიგი არასდროს არ დარღვეულა და არც პედაგოგი დარჩენილა ოდესმე ნაწყენი.

შემდგომ კურსზე ბიპერი შეცვალა დოც. ივ. კვაჭაძემ, იმჟამად საკმაოდ ახალგაზრდა პედაგოგმა, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო საფრანგეთიდან. ი. კვაჭაძე ენის სწავლების განსხვავებულ ხერხებს იყენებდა, მიდგომაც თავისებური ჰქონდა. გაკვეთილზე დიდ დროს უთმობდა როგორც გრამატიკულ კატეგორიებს, ისე ლექსიკის ცალკეული მონაკვეთების სხვადასხვა წესით ახსნას. ყურადღებას გვამახვილებინებდა ეტიმოლოგიებზე, განსხვავებათა თვალსაჩინოებისათვის ხშირად მიმართავდა შედარებებს ქართული და ფრანგული ენებიდან, იყენებდა ენის ისტორიის მონაცემებსაც. როგორც შემდგომ გახდა გასაგები, კვაჭაძის მიერ განსხვავებული ხერხების გამოყენება დაკავშირებული იყო მის ხანგრძლივ ძიებებთან და დაკვირვებებთან ქართულ სკოლაში ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკის პრობლემებზე, რაც მან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე განაზოგადა სპეციალურ დიდ სამეცნიერო შრომაში.

პირველ-მეორე კურსზე, ოთხი სემესტრის განმავლობაში, ჩვენი ჯგუფი (№ 138) ბერძნულ ენას სწავლობდა. პარალელურ ჯგუფებში კი ლათინურ ენას გვასწავლიდა ჩვენი სასიქადულო მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი.

უმაღლეს სკოლაში ენებში მეცადინეობა საერთო სალექციო მუშაობისაგან იმ თავისებურებით განსხვავდება, რომ შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფში პედაგოგი ძალზე ახლო ურთიერთობაში იმყოფება მსმენელებთან და მუშაობაც კონკრეტულ ხასიათს ატარებს, თეორიულ ნაწილს ახლავს სისტემატური საშინაო და საკლასო სამუშაოები, პრაქტიკული სავარჯიშოები, რაც სტუდენტებისაგან კურსის გავლის მთელ პროცესში აქტიურობას მოითხოვს. ასე იყო ჩვენთანაც. ს. ყაუხჩიშვილი თითოეული სტუდენტის უნარსა და მისწრაფებას ზედმიწევნით იცნობდა და კარგად იყენებდა ინდივიდუალურ მიდგომას, იყო გულღია და ამავე დროს მკაცრი მომთხოვნი. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ მეცნიერის ერუდიცია, ფართო ფილოლოგიური და ისტორიული განათლების შერწყმა ჩვენთვის საბედნიერო გამოდგა. ორი წლის განმავლობაში ს. ყაუხჩიშვილი ყოველ გაკვეთილზე ბერძნულ ენასთან ერთად ფაქტობრივად ქართულ ენაში, საქართველოს ისტორიასა და ანტიკური ქვეყნების ისტორიასა და ლიტერატურაშიც გვამეცადინებდა. უაღრესად ნათელი აზრისა და ბრწყინვალე თხრობის წყალობით ს. ყაუხჩიშვილის ლექცია-გაკვეთილები სტუდენტთა უმრავლესობისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო.

აქვე მინდა მოვიგონო პირადად ჩემთვის ერთი დაუვიწყარი ფაქტიც. იმხანად სიმონ ყაუხჩიშვილმა ბერძნული ენის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით საზოგადოებრივ საწყისებზე სტუდენტთა სპეციალური მცირე ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელშიც გააერთიანა ფილოლოგიის ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტი, მათ შორის ნათელა კეჭაყმაძე, თინა ყაუხჩიშვილი, მიხეილ ჭაბაშვილი; თინა საყვარელიძე, რუსუდან გეგელიძე და სხვ. მე ბედნიერება მხვდა წილად ს. ყაუხჩიშვილის რჩევით ამ ჯგუფში ჩარიცხვისა. ინტენსიურმა მუშაობამ და ისევ თვით ძვირფასი ხელმძღვანელის ენერგიულმა დახმარებამ შედეგი არ დააყოვნა. მალე ამ ჯგუფის წევრებმა ორიგინალში დაიწყეს ჰეროდოტეს, ჰიპოკრატეს, ქსენოფონტეს, სტრაბონისა და სხვათა ნაწარმოებების კითხვა.

ასევე პირველი-ოთხი სემესტრის განმავლობაში ჩვენ ვსწავლობდით რუსულ ენას. პირველ კურსზე ჩვენ ჯგუფს ასწავლიდა პედაგოგი ქალი ანა ნაცვ-

ლიშვილი, მეორეზე — პედაგოგი გრიგოლ ჯაფარიძე (მხატვარ უჩა ჯაფარიძის ძმა), პარალელური № 139 ჯგუფის მასწავლებელი იყო თინათინ მრევლიშვილი. ა. ნაცვლიშვილს ქართულად ლაპარაკი უჭირდა, რასაც ბევრი ჩვენი ამხანაგი სასარგებლოდაც კი თვლიდა, რუსულს უკეთ შევისწავლითო, ჩვენი მასწავლებელი უაღრესად დარბაისელი და თავმდაბალი იყო და ჩვენც პატივისცემით ვეპყრობოდით როგორც საგანს, ისე პირადად მას. დღეს ხშირად გაიგონებთ, ენების გაკვეთილებზე დისციპლინა ადვილად ირღვევა, ხმაური სდევს, გაცდენებიც იშვიათი არ არისო. მსგავსი რამ ჩვენ არ გვახსოვს არც ერთ ენაში და არც ერთ მასწავლებელთან, მაგრამ ამ სხვაობის მიზეზის თქმა გაგვიძნელდებოდა.

გრ. ჯაფარიძის გაკვეთილები უფრო და უფრო სანიტერესოდ ტარდებოდა იმ მხრივ, რომ მასალის ახსნას ყოველთვის ახლდა თან რუსულ-ქართულის შესადარებელი ილუსტრაციები. ასევე საინტერესო და მიმზიდველი გამოდგა ამავე პედაგოგის ლექციები რუსული ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც მან ჩვენთან მეოთხე კურსზე პირველ სემესტრში წაიკითხა.

აქვე უნდა შევეხო ჩვენ მიერ ძველი ქართული ენის შესწავლას, რაც აგრეთვე გვიან მოხდა, მეოთხე კურსზე. ამ საგნის მასწავლებელი იყო პროფ. ილია აბულაძე. ამ საგანს ჯგუფების მიხედვით შევისწავლიდით. მეცადინეობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ძალზე ინტენსიურად და ნაყოფიერადაც მიმდინარეობდა, რაც უდავოდ პირველ რიგში ჩვენი პედაგოგის მომთხოვნელობის შედეგი იყო. იმ დროს უკვე გამოცდილი და სახელმოხვეჭილი ფილოლოგი ი. აბულაძე დიდი სიყვარულით და მონდომებით გვაზიარებდა ენის მრავალგვარ საიდუმლოებას. ჩვენთვის აშკარა იყო და ეს თავიდანვე ვიგრძენით, რომ ი. აბულაძე თვითონვე დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით ეკიდებოდა საგანს და ჩვენგანაც ამას მოითხოვდა. ამიტომ იყო, რომ მუშაობაში სისტემატურობა და სიბეჯითე გახდა თავიდანვე მისი და ჩვენი, სტუდენტების, გულწრფელი ურთიერთობის საზომი. ამიტომ იყო აგრეთვე, რომ მეცადინეობაზე, რომელიც გაკვეთილების ხასიათს ატარებდა, მოუმზადებელი ვერავინ ვერ ბედავდა მოსვლას. სამაგიეროდ, ი. აბულაძე წაუხალისებლად არადროს არ დატოვებდა თითოეული სტუდენტის წარმატებას პალეოგრაფიული ნიშნების ცოდნა იქნებოდა ეს, კალიგრაფია თუ ტექსტის ზუსტი აზრობრივი შეთვისება. ძალზე ბევრს გვაკითხებდა გაკვეთილის დროსაც. ჩვენ მაშინაც, III—IV კურსზე ყოფნის დროს, საღამოს ცვლაში გვიხდებოდა მეცადინეობა, ამიტომ ხშირად ტექსტების კითხვა გვიძნელდებოდა ელექტრონის შუქზე, თუმცა ეს სიძნელე გადულახავ დაბრკოლებად არასდროს არ ქცეულა.

ამ საგანთან დაკავშირებით აქვე უნდა გავიხსენო აგრეთვე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელიც ერთი წლით ადრე, მესამე კურსის პირველ სემესტრში წაგვეკითხა. ამ საგნის ხელმძღვანელი იყო პროფ. ტრ. რუხაძე, იმხანად დოცენტი, წლოვანებითაც ახალგაზრდა, რომელსაც, როგორც მაშინ თვითონვე გადმოგვცა, ახალი დაწყებული ჰქონდა ასეთი მუშაობა. მაგრამ ჩვენ მაშინვე გამოვიცანით, რომ ტრ. რუხაძე თავის საგანში ნამდვილად შეყვარებული იყო, ისევე როგორც დღესაც. იგი დიდი გატაცებით, მაგრამ ზომიერების გრძნობით და თავდაჭერით კითხულობდა საგანს. ძალზე კეთილი და უშუალო იყო, რითაც ის ყველას მალე იახლოვებდა.

ვრცლად წაგვეკითხა, პირველი სამი სემესტრის განმავლობაში, სსრ კავ-

შირის ისტორია (I ნაწ.) XVIII საუკუნის ჩათვლით. ეს კურსი ჩვენთან პროფ. იასე ცინცაძემ ჩაატარა. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ საგანმა პირველი ლექციებიდანვე ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი მიიპყრო. ამისი მიზეზი მასალის სიმდიდრეც იყო, მაგრამ მთავარი ამაში მაინც თვით ლექტორის ი. ცინცაძის, როგროც ჩინებული პედაგოგის, დამსახურება იყო. ი. ცინცაძის ლექციები პროგრამას მისდევდა, მაგრამ არადროს არ ყოფილა ტრაფარეტული, მშრალი. ყველა ლექციაზე ი. ცინცაძეს თითქოს საგანგებოდ აღმოაჩნდებოდა ხოლმე უაღრესად საინტერესო ფაქტები, მაგალითები, ბევრი მათგანი შესასწავლ ეპოქას მიკუთვნებული, ბევრიც უშუალოდ ცხოვრებისეული, რომელიც აუცილებლად გაგვაკვირვებდა, ჩაგვაფიქრებდა.

ცნობილია, რომ ისტორიული საგნების უმრავლესობა თარიღების წყობაზეა აგებული. თარიღების ცოდნა მოვლენათა კავშირურთიერთობის შეთვისების საშუალებაც არის. თარიღების ზეპირად არცოდნას სტუდენტის სასჯელიც ხშირად მოჰყოლია, მაგრამ სრულიადაც არ იყო ასე. ი. ცინცაძის საგანში. ეს მხარე აქ ზომიერად იყო წარმოდგენილი. ლექტორი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ზოგადსა და კონკრეტულ საკითხებს, მოვლენათა დედაარსს. ი. ცინცაძის ლექციებისადმი ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ აქ ხშირად იდგა ხოლმე თვით ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხები, რაც მარტო რუსეთთან ურთიერთობის ფონზე კი არ განიხილებოდა, არამედ საერთოდ. მასწავლებლის ერუდიცია სტუდენტებისათვის მალე გახდა შესამჩნევი.

ი. ცინცაძე პირადი თვისებებითაც გვხიბლავდა. ყოველთვის უშუალო და გულგახსნილი იყო. ბევრჯერ უთქვამს მას ჩვენთვის კეთილი სიტყვა, კარგი დარიგებებიც მოუცია. ეს მოქალაქეობრივი თვისებები ხომ დღესაც დიდად ამშვენებს მას. იქნებ შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების შეკრებაზე, სტუდენტობის პერიოდიდან თითქმის 30 წლის შემდეგ, საერთო სურვილით. ი. ცინცაძეს ეთხოვა ჩვენი სიის ამოკითხვა საკლასო დავთარში. ჩვენ წინ ამ დროს იდგა არა მარტო ერთ-ერთი საგნის ყოფილი ლექტორი, არამედ უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პედაგოგი-აღმზრდელი.

ი. ცინცაძისაგან პირადად მე სხვამხრივაც დიდად დავალებული ვარ. უფრო მოგვიანებით, 1949 წელს იგი იყო ოფიციალური ოპონენტი ჩემი პირველი დისერტაციისა, რომელმაც, ჩემდა საბედნიეროდ, მასწავლებლის მოწონება დაიმსახურა.

სსრ კავშირის ისტორია XIX საუკუნისა ჩვენთან მეორე კურსზევე მეორე სემესტრში გაგრძელდა და იგი წაიკითხა დოც. ა. დღვილავამ. ჩვენი უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროისათვის და ცოტა შემდეგაც ა. დღვილავა ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე იყო. ა. დღვილავას ლექციებიც შინაარსიანი გამოდგა და ინტერესით ვისმენდით, მაგრამ უფრო მეტად ჩაგვრჩა მეხსიერებაში მისი თავისებური მანერა ლექციის კითხვისა. ზოგჯერ მისი მოქმედება ჩვენს გაკვირვებასაც იწვევდა, თუმცა ამას პედაგოგიური პროცესისათვის ხელი არ შეუშლია. მაგალითად, ძალზე ხშირად, როდესაც ის კათედრიდან გვესაუბრებოდა, როლში შესული უცბად შემოტრიალდებოდა და ჩვენსკენ ზურგშექცეული კედელს დაუწყებდა ხელის ქნევით ლაპარაკს. მაგრამ ლაპარაკობდა საგანზე, ლექციის კითხვას აგრძელებდა. იქნებ ეს ერთგვარი პედაგოგიური ხერხიც იყო. ყოველ შემთხვევაში მისთვის ხელი არასდროს შეგვიშლია.

საქართველოს ისტორიის კურსი მაშინაც ცალკე ნაწილებად იყო გაყოფილი. მატრიკულში სამივე ნაწილი საქართველოს ისტორიის სახელწოდებით არის შეტანილი, მაგრამ წაკითხულია სხვადასხვა კურსზე, სხვადასხვა ლექტორის მიერ. ასე, მატრიკულში პირველი ხელისმოწერა ამ საგანში, თავისთავად ძალზე მიმზიდველი ავტოგრაფი, პროფ. ს. ჯანაშიას ეკუთვნის. მან პირველ კურსზე, ორი სემესტრის განმავლობაში წაგვიკითხა ადრე და შუა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია XII საუკუნის ჩათვლით. მისი ლექციები ღრმა შინაარსიანი და მეტად სასიამოვნო მოსასმენი იყო, რასაც კიდევ მეტ ლაზათს აძლევდა თვითონ ლექტორის მოკრძალება, სიდინჯე, გარეგნობა. ს. ჯანაშიას ლექციის კითხვის თავისებური მანერა ჰქონდა. თითქმის ერთ პოზაში უყვარდა ჯდომა უშუალოდ კათედრის წინ, ან აუდიტორიის შუაში. საუბრის დროს დროდადრო სათვალეს მოიხსნიდა და ცხვირსახოცით დაუწყებდა წმენდას, თან საუბარს ოდნავ შეანელებდა, თითქოს საშუალებას გვაძლევდა, რომ უკეთ გაგვეგო და ჩაგვეწერა მისი ნალაპარაკევი.

ს. ჯანაშიას ჩვენ კიდევ უფრო ახლოს შევხვდით გვიან, სახელმწიფო გამოცდაზე (ჩვენ დროს სადიპლომო ნაშრომების მომზადება არ იყო პრაქტიკაში), მაგრამ მანამდეც ბევრი ჩვენთაგანი ყოველთვის თვალს ადევნებდა და ესწრებოდა კიდეც როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ ს. ჯანაშიას საჯარო გამოსვლებს საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის განვითარების აქტუალურ, პრინციპულ საკითხებზე.

საქართველოს ისტორიის კურსის კითხვა მეორე კურსზე (ორივე სემესტრში) გააგრძელა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა. თუ ლექციები ისევე ღრმაშინრაასიანი და მაღალი აკადემიური დონისა იყო, როგორც საქართველოს ისტორიის პირველ ნაწილში, ამას დაემატა თვით ნ. ბერძენიშვილის პიროვნულად განსხვავებული ხასიათი და ამისი ეფექტური გავლენა თვით ლექციების ფორმაზე. ბრწყინვალე იყო ეს ლექციები ლექტორის ტემპერამენტისა და მსჯელობის თავისებური მანერის წყალობით. გატაცებით ლაპარაკი იცოდა და ამ დროს ყოველთვის მსჯელობდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. საუბარში ახალახალი კითხვები წამოიჭრებოდა და თვითვე უპასუხებდა ხან დინჯად, ხან გაცხარებით. გველაპარაკებოდა ყოველთვის კათედრიდან. მდიდრად იყენებდა ჟესტიკულაციას. საუბრის დროს მისი საყვარელი ხერხი იყო თავისებური კითხვა-მიგების ფორმა. ვთქვათ, რომელიმე საკითხზე მსჯელობისას ის უცბად დასვამდა კითხვას „და მერე, მერე რა?“ და თვითვე მიაგებებდა „მერე ის, რომ“, და ამას მოჰყვებოდა ნათელი, გონივრული, ლოგიკური ახსნა. ანდა, კათედრაზე ყოფნისას თუ ის კრიტიკულ მსჯელობას დაასრულებდა რაიმე საკითხზე, იქვე გაბრაზებით მიაყოლებდა გამოთქმას „მორჩა და მოისვენა“. შემდეგში ნ. ბერძენიშვილთან საქმიანმა კავშირმა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, რომლის დირექტორად მან ორი ათეული წელიწადი იმუშავა, ჩვენ, რამდენიმე თანაკურსელს, როგორც, მაგ., გ. მელიქიშვილს, ვ. გუჩუას, თ. აბრამიშვილს, ა. ბრეგაძეს და სხვებს საშუალება დაგვიტოვა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე თუ სხვაგვარ შეკრებებზე ხშირად გაგვეცადა ნ. ბერძენიშვილის სიტყვისა და მსჯელობის ძალა, მისი უაღრესად თავისებური **გამოხედვა.**

ნ. ბერძენიშვილისაგან პირადად მე სხვამხრივაც დიდად დავალებული ვარ. უკვე ძალზე მოგვიანებით, 1963 წელს, იგი ჩემი მკაცრი და სამართლიანი გა-

მომცდელიც გახდა, როცა მას მოუხდა ჩემი სადოქტორო ნაშრომის შეფასება, როგორც ოფიციალურ ოპონენტს.

საქართველოს ისტორიის მესამე ნაწილი უკვე მეოთხე, დამამთავრებელ კურსზე წაგვეკითხა. ჩვენი ლექტორი იყო პროფ. აბელ კიკვიძე. იმხანად ა. კიკვიძე ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავისი სპეციალობის წინამორბედების ტრადიციისათვის არც მას უღალატია. მისი ლექციები XIX ს. საქართველოს ისტორიაში უაღრესად შინაარსიანი, შესასწავლი მასალითა და კონკრეტული ფაქტებით მდიდარი და საინტერესო მოსასმენი იყო. შესასწავლი პერიოდის მოვლენათა სირთულე ლექტორს აიძულებდა გაეადვილებინა მათი არსის გაგება. ამის გამო არ ერიდებოდა განმეორებით ახსნას, დამატებით განმარტებებს. ყოველივე ამის გამო მან პირველი ლექციებიდანვე დაიმსახურა სტუდენტთა პატივისცემა და სიყვარული. უკვე აღვნიშნე, რომ იმხანად ა. კიკვიძე ახალგაზრდა იყო. შემდეგ დროს თავისი გააკეთა. ზოგიერთი აღსაზრდელი მას ასაკითაც წამოეწია და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის საერთო საქმიანობაშიც მხარში ამოუდგა. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, ა. კიკვიძეც და ჩვენი ყოფილი სხვა მასწავლებლებიც, რომლებიც დღესაც ძველებური, 30 წლის წინანდელი ენერგიითა და ხალისით მოღვაწეობენ უნივერსიტეტში, ჩვენთვის, მათი ძველი სტუდენტებისათვის, ისევ ისეთ ძვირფას მასწავლებლებად რჩებიან, როგორიც მაშინ იყვნენ. ჩვენი ყოველი მათთან შეხვედრა მარტო ამ საზომით იზომება და ამაში უაღრესად კეთილი გრძნობებია ჩაქსოვილი.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, დიდად პატივცემული პროფ. გ. გოზალიშვილიც, რომელმაც ჩვენ ბიზანტიის ისტორია წაგვიკითხა. პარალელურ ჯგუფს იგი, ლ. მუსხელიშვილის შემდეგ, ლათინურ ენასაც უკითხავდა. ამ საგანში ლექციები მოვისმინეთ III კურსზე, მეორე სემესტრში. დინჯი საუბარი, სასიამოვნო თხრობა, მდიდარი და საინტერესოდ მოწოდებული მასალა გ. გოზალიშვილის ლექციებს ძალზე მიმზიდველს ხდიდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ ბიზანტიის ისტორიის ეს ვრცელი, თავისთავად დიდი და დამოუკიდებელი კურსი გ. გოზალიშვილმა საქართველოს ისტორიის საკვანძო პრობლემებთან მჭიდრო კავშირში წაიკითხა, რითაც ხელი შეუწყო ჩვენი ცოდნის გაღრმავებას საქართველოს ისტორიაში. გ. გოზალიშვილს, ისევე როგორც დღესაც, სტუდენტებთან მუშაობა უყვარდა, მზად იყო ყოველგვარი დახმარებისათვის. ჩვენ დროს იგი ისტორიის ფაკულტეტის დეკანი იყო, სტუდენტთა მიმართ ძალზე გულისხმიერი. მაგონდება მისი მზრუნველი დამოკიდებულება სტუდენტთა სამეცნიერო წრისადმიც, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა. წრეში ტუდენტთა მიზიდვა ცოტა საძნელო საქმე იყო, მაგრამ გ. გოზალიშვილს წამახალისებელი მიდგომა ჰქონდა. პირადად მე მუდამ მახსოვს და ჩემთვისვე საამაყოდ ვთვლი ამ წრეში აქტიურ მონაწილეობას. მე აქ ორი მოხსენება წავიკითხე: ბერძნული მითოლოგიის სოციალური ასპექტების შესახებ (კონსულტაციას მიწევდა გ. გოზალიშვილი) და არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წესწყობილების შესახებ“ (კონსულტანტი იყო ს. ყაუხჩიშვილი).

გ. გოზალიშვილის საქმიანი კონტაქტები სტუდენტ ახალგაზრდობასთან იმ მხრივაც არის განსაკუთრებით აღსანიშნავი, რომ იგი ერთდროულად ფიქრობდა და ორგანიზაციულად ზრუნავდა კიდეც სტუდენტთა წიაღიდან მომავალი მეცნიერი სპეციალისტების შერჩევასა და აღზრდაზე. ცნობილია, რომ უნივერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტეტის ისტორიის ფაკულტეტიდან სწორედ მან დაულოცა მეცნიერული მუშაობის გზა თავის სტუდენტებს, შემდეგში უკვე სახელმოხვეჭილ მკვლევრებს პროფესორებს ო. ჯაფარიძეს, გ. კიღურაძეს და სხვ. ამასთან დაკავშირებით მაინც ცალკე უნდა ითქვას ერთი სასიამოვნო შემთხვევის შესახებ. ჩვენს ფაკულტეტზე ჩვენივე თანაკურსელის გ. მელიქიშვილის განსაკუთრებული წარმატებების შესახებ სწავლასა და სტუდენტურ მეცნიერულ მუშაობაში, რომელსაც მან უაღრესი ორგანიზებულობით, კეთილსინდისიერებით, სიბეჯითით და, ცხადია, დიდი ნიჭით მიაღწია. სწორედ პროფ. გ. გოზალიშვილის პირადი ინიციატივითა და რჩევით იქნა დატოვებული გ. მელიქიშვილი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრაზე ასპირანტად, ხოლო ეს შემთხვევა უშუალოდ დაუკავშირდა ახალგაზრდა მეცნიერ სპეციალისტის მოწვადების საჭიროებას ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის სფეროში, კერძოდ კი ურარტოლოგიაში. ალბათ ამას მნიშვნელოვანწილად ბიძგი მისცა იმან, რომ 1936—1937 წლებში თბილისის უნივერსიტეტს სტუმრად ეწვივნენ ცნობილი ორიენტალისტები ჩეხი ხეთოლოგი ფრედერიხ ჰროზნი და ავსტრიელი ხალდოლოგი ლემან-ჰაუპტი. ამ უკანასკნელმა შედარებით ხანგრძლივად დაჰყო საქართველოში და, როგორც გადმოცემით ვიცი, სპეციალური სასწავლო კურსებიც კი ჩაატარა ძველი აღმოსავლეთის ისტორიასა და ენებში (ქალდური). იმ ხანად ახალგაზრდა მეცნიერი გ. გოზალიშვილი სხვა ქართველ მკვლევრებთან ერთად აქტიურად ჩაება მასთან მუშაობაში.

მატრიკულში არის ერთი საინტერესო ხელმოწერაც ქართულად, რომელიც ეკუთვნის პროფ. დუბროვსკის. მე-3 კურსზე პირველ სემესტრში ჩვენ წაგვეკითხა კოლონიალური ქვეყნების ისტორიის სრული კურსი. იგი ჩაატარა დუბროვსკიმ რუსულ ენაზე. მაშინ ჩვენთან სტუდენტთა შემადგენლობის 80%-ზე მეტი რაიონებიდან იყო ჩამოსული, რომელთა უმრავლესობას რუსული ენა უჭირდა. ლექტორმა ეს იცოდა და ამიტომ იგი დიდი მოთმინებითა და მოწადინებით ატარებდა თითოეულ ლექციას, ცდილობდა გაუგებარი არ დაეტოვებინა არც ერთი ფრაზა, აზრი — ცალკეული სიტყვების ქართულ შესატყვისებს იქვე მსმენელთა დახმარებით სწორად პოულობდა.

მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, აღნიშნული კურსი სრულად ჩატარდა და გამოცდებიც კარგი შედეგების მქონე იყო. ყოველივე ამას კი უთუოდ თვით დუბროვსკის პიროვნებამაც შეუწყო ხელი. იგი უკვე ხანში იყო შესული, მაგრამ ახალგაზრდული ხალისი ჰქონდა. სტუდენტებს უყვარდათ მასთან საუბარი. ლექციის შემდეგ, ჩვეულებრივ სტუდენტებით გარშემორტყმული, გატაცებით ლაპარაკობდა რუსულ-ქართულად, ხშირად გაიხუმრებდა კიდეც და ასეთ დროს თავის მსხვილ, დაგრეხილ ულვაშებზე უყვარდა ხელის გადასმა. მიმზიდველი თავაზიანობა ჰქონდა და სტუდენტებც მალე დაუახლოვდნენ.

სრული მოცულობით და, ვიტყოდი, უაღრესად საინტერესოდ წაგვეკითხა ფილოსოფიური საგნები. ამ საგნების მასწავლებლები იყვნენ იმხანად უკვე სახელმოხვეჭილი პროფესორები კოტე ბაქრაძე და მოსე გოგიბერიძე. კ. ბაქრაძემ პირველ კურსზე დიალექტიკური მატერიალიზმის კურსი წაგვიკითხა, ხოლო მესამეზე — ფილოსოფიის ისტორია.

კ. ბაქრაძის ლექციები უაღრესად მიმზიდველი იყო ღრმა შინაარსიანობისა და გადმოცემის მაღალი ხელოვნების გამო. მე სიტყვა „ხელოვნება“ აქ სა-

განგებოდ ვიხმარე და არც შევმცდარვარ იმიტომ, რომ კ. ბაქრაძე ჭეშმარიტად შეუდარებელი იყო ამ მხრივ. უაღრესად რთული მასალის უაღრესადვე სადა და გასაგები ენით გადმოცემა, თხრობის გასაოცარი ლოგიკურობა ის თვისებები იყო, რითაც კ. ბაქრაძე ხალხმრავალ აუდიტორიას დაიპყრობდა და სულგანაბულ სმენად გადააქცევდა ხოლმე. ეხლაც თვალწინ მიდგას მისი ნელი ნაბიჯით სიარული აუდიტორიაში და ლაპარაკის დროს ხელში ცომის პატარა ბურთულის გამუდმებული ზელვა. სხვათა შორის, ამ ორი წლის წინათ ჩვენი ახალგაზრდა პროფესორი გელა ბანძელაძე თავის ერთ საჯარო გამოსვლაში პრესაში აყენებდა საკითხს სალექციო მუშაობაში თანამედროვე ტექნიკური მიღწევების გამოყენების შესახებ. კერძოდ, სასურველად მიიჩნევდა რადიო და ტელე საშუალებების გამოყენებით სტუდენტთა აუდიტორიების გამსხვილებას, რომელთა წინაშე გამოვიდოდნენ ლექციებით უმთავრესად ჩვენი სახელმოხვეჭილი პროფესორ-მასწავლებლები. ამ მიზნისათვის შესაფერად, მაგალითისათვის იგი კ. ბაქრაძესაც ასახელებდა. შესაძლებელია თავისთავად ამ საინტერესო იდეის განხორციელებას ბევრი ძნელად გადასალახავი წინააღმდეგობა, მათ შორის მორალური სიძნელეებიც ეღობეობდეს წინ, მაგრამ ამ წინადადებაში იყო ისეთი მხარეებიც, რომელთადმი ყურადღება და, თუ გნებავთ, მათი ცალმხრივი რეალიზაცია უთუოდ სასარგებლო იქნებოდა. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი სახელმოხვეჭილი პროფესორ-მასწავლებლების ხმის ფირზე გადატანა, კარგი ლექციების კითხვაში განსაკუთრებით პოპულარული ლექტორების ლექციების სრული კურსის ან ცალკეული ლექციების ჩაწერა. ასეთი ფონო-ვიდეო კომპლექსები შეიძლება პედაგოგიურ პროცესშიც გამოდგეს, მაგრამ, რაც უდავოა, მათ დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცემათ, როგორც ისტორიულ მასალას. იქნებ ეს მასალა უნივერსიტეტს თავისი საკუთარი მუზეუმისთვისაც გამოსდგომოდა, თუ კი ასეთი ახალი უჯრედი მას გაუჩნდება. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ისეთ დიდ ეროვნულ დაწესებულებას, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, თავისი ისტორიის მუზეუმი აუცილებლად დაამშვენებდა. ეს მუზეუმი იმასთან ერთად, რომ უნივერსიტეტის შინაგანი მეცნიერულ-ორგანიზაციული ზრდისა და კეთილი ტრადიციების მასალებს გამოავლენდა და შეისწავლიდა, იგი, უფრო მოხერხებული პირობების გამო, კარგად შეუწყობდა ხელს იმ დიდი პრობლემის დამუშავებასაც, როგორიცაა ქართული საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი და ამ საქმეში უნივერსიტეტის, როგორც ადრინდელი და ძირითადი დაწესებულების, როლი და ღვაწლი.

პროფ. მ. გოგობერიძემ ჩვენ წაგვიკითხა ისტორიული მატერიალიზმი მეორე კურსზე. მისი ლექციებიც ასევე ძალზე შინაარსიანი და საინტერესო გამოდგა. მიმდინარე წელს ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ამ ცნობილი ქართველი მეცნიერის დაბადების 70 წლისთავი. პრესაში ვრცლად იყო გაშუქებული მისი როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის, ასევე ცხოვრების ცალკე მხარეები, მისი პირადი თვისებები. ასეთივე გვახსოვს ჩვენ იგი ლექციებზე. ლექციის კითხვის დროს, რომ იტყვიან ხოლმე, როლში შესვლა იცოდა. ლაპარაკობდა ზოგჯერ გაცხარებითაც. სახე ყოველთვის უღიმოდა, ფართოდ მიმართავდა ჟესტიკულაციას.

როგორც ცნობილია, დღეს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სათანადო მონაკვეთების სალექციო კურსების კითხვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისი კათედრები უწევენ მეცნიერულ ხელმძღვანელობას და ლექტორებიც სხვადასხვანი არიან. ჩვენ დროს კი ამ მხრივ ცოტა სხვაგვარად იყო ეს საქმე. დაწყებული პირველი კურსიდან (მეორე სემესტრი) ჩვენ თანმიმდევრულად ცალცალკე მოვისმინეთ და ცალცალკე ჩავაბარეთ გამოცდა ხუთ საგანში. ეს საგნები იყო საბერძნეთის ისტორია, რომის ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია (ნაწ. I), შუა საუკუნეების ისტორია (ნაწ. II), (ალ. ნამორაძე გვიკითხავდა) და უახლესი ისტორია (იმპერიალიზმი). ჩვენ კარგად ვხედავდით, რომ გ. ნათაძეს იმხანად დიდი სალექციო დატვირთვა ჰქონდა, რომ ჩვენს გარდა ის სხვებს სხვა საგნებში უკითხავდა ლექციებს. ამიტომ იყო, რომ ძალზე ხშირად მას ავიწყდებოდა რა საკითხზე იყო ჩვენთან შეჩერებული და ლექციის წინ ეს ყოველთვის უნდა შეემოწმებინა. მაგრამ თითონ ლექციები ყოველთვის ღრმაშინაარსიანი და საინტერესო იყო. მას ლექციებზე თან არავითარი ჩანაწერი არ დაჰქონდა. აუდიტორიაში შემოსვლისთანავე სკამს დადგამდა შუა ადგილას, დაჯდებოდა, ორივე ხელით ჯოხს დაეყრდნობოდა (რომელსაც მუდამ ატარებდა) და დაიწყებდა ლექციის კითხვას. ყოველთვის ერთნაირად სასიამოვნოდ ჟღერდა მისი ხმა. აუღელვებლად საუბრობდა, თუმცა შემჩნეული გვქონდა რომ ცოტა ბრაზიანიც იყო, მაგრამ ეს ჩვენ მის თვის არასოდეს აშკარად არ გამოგვიმჟღავნებია. გარინდებული ვუსმენდით ამ კარგ მოუბარს, უკვე ხანში შესულ პროფესორს, რომელსაც გარეგნულადაც ძალზე მიმზიდველი იერი ჰქონდა, ფართო შუბლი, თეთრი წვერ-ულვაში, ცისფერი თვალები. გამოცდებზე მკაცრი მომთხოვნი და უშეღავათო იყო, მაგრამ ყოველთვის სწორად ამჩნევდა და აფასებდა სტუდენტის კეთილსინდისიერებას.

შუა საუკუნეების ისტორიის პარალელურად, მეორე კურსზევე ჩვენ მსოფლიო ისტორიის ამის წინა მონაკვეთებში მოვისმინეთ პროფ. ალ. ნამორაძის ლექციები. ეს იყო შუა საუკუნეების ისტორია (II ნაწილი) დასავლეთ ევროპის ახალი ისტორია.

ა. ნამორაძე, როგორც ლექტორი, მკვეთრად გამოირჩეოდა სხვებისაგან პედაგოგიური ხერხებით, ლექციის კითხვის მანერით. ჰქონდა ოდნავ უჩვეულო, მაგრამ საინტერესო ინტონაცია და, ვიტყოდი, ერთგვარი არტისტიზმიც. ამით ის უდავოდ აღწევდა სასურველ ეფექტს. ძალზე ხშირად მიმართავდა დაფას, რაზედაც საგულდაგულოდ გამოჰყავდა ქართულად უცხო სახელები და სახელწოდებები.

მეოთხე კურსის პირველ სემესტრში მოვისმინეთ ლექციების კურსი კავკასიის ეთნოგრაფიაში, წაგვიკითხა იგი პროფ. გ. ჩიტაიამ. ჩვენ ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი არ გვქონდა საერთოდ გავლილი (ამჟამად ეს საგანი პირველ კურსზევე იკითხება), ამიტომ ფაქტობრივად პირველი შეხვედრა გვქონდა ამ საგანთანაც და მის ხელმძღვანელთანაც. გ. ჩიტაიამ შესავალ ლექციებში ჯერ სწორედ ზოგადი ეთნოგრაფიის რამდენიმე ძირითადი პრობლემა ახსნა და შემდეგ კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური და ეთნოკულტურული ისტორიის საკითხების გაშუქება დაიწყო. ლექციების მსვლელობაში თანდათან სულ უფრო ნათელი ხდებოდა ამ საგნის მასშტაბი და მნიშვნელობა. ლექციების ძირითადი ხაზი იყო ხალხის სამეურნეომატერიალური კულტურის, სოციალური განვითარებისა და სულიერი კულტურის თავისებურებათა კომპლექსის მეცნიერული მნიშვნელობის ჩვენება ეთნოგენეზისა და ეთნოკულტურული ურთიერთობის ზოგადი პრობლემების კვლევაში. ლექციებს მეტად საინტერესოს ხდიდა ხალ-

ხის ცხოვრებიდან აღებული უაღრესად კონკრეტული და თვალსაჩინო მაგალითები, რასაც ფართოდ იყენებდა გ. ჩიტაია. ამ საგანში გამოცდამაც ძალზე საინტერესოდ ჩაიარა. პირადად ჩემთვის კი, როგორც ჩანს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ შემდგომში ჩემი საქმიანობა ამ დარგისათვის დამეკავშირებინა. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1939 წელს იქვე ჩავაბარე ასპირანტურაში მისაღები გამოცდები ეთნოგრაფიის სპეციალობით. ამის შემდეგ დაიწყო ჩემი მუშაობა ახალი სასწავლო პროგრამით, ახალი დავალებები, ახალ პედაგოგებთან ურთიერთობა, მაგრამ უკვე უმატრიკულოდ! მე ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში უნივერსიტეტის კედლებში საასპირანტო მზადება ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, როგორიც იყვნენ გ. ჩიტაია (ჩემი მეცნიერი ხელმძღვანელი), პროფ. არნ. ჩიქობავა (მასწავლიდა ხუნძურ ენას), პროფ. გ. წერეთელი (მასწავლიდა არაბულ ენას). სიამოვნებით მოვიგონებ უცხო ენების მასწავლებლებს ი. ბეკმანს (გერმანული ენა), ა. ნეპეკოიჩიცკაიას (ფრანგული ენა), ი. გვარჯალაძეს (ინგლისური ენა). ამ ორ უკანასკნელ მასწავლებელთან მუშაობა მომიხდა უკვე 1946—47 წლებში, როცა სამამულო ომიდან დაბრუნების შემდეგ (1946 წ.) ისევ აღმადგინეს უნივერსიტეტის ასპირანტად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ პერიოდისათვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის (გამგე გ. ჩიტაია) ნაყოფიერი მუშაობა. მაშინ ასეთი კათედრა ცალკე დამოუკიდებლად არსებობდა. მის მუშაობაში ასპირანტებიც აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდით. 1939—1941 წწ. ასპირანტად ყოფნის დროს მომზადებას გავდიოდი ეთნოგრაფიის სპეციალობის აგრეთვე ასპირანტ მეგობრებთან ი. ჭყონიასთან, ი. ნანობაშვილთან, აკ. სოხაძესთან და მ. ადამიასთან ერთად.

პატივისცემის გრძნობით დავცქერი მატრიკულში ხელმოწერას, რომელიც პროფ. გ. თავზიშვილს ეკუთვნის. მან ჩვენ მეოთხე კურსზე, პირველ სემესტრში პედაგოგიკა წაგვიკითხა. ფაქტობრივად ეს საგანი ორი ცალკე ნაწილისაგან შედგებოდა: პედაგოგიკის ისტორიისა და საკუთრივ პედაგოგიკისაგან. ორივე ნაწილი ძალზე შინაარსიანი იყო. დიდი მონდომებით გვასწავლიდა გ. თავზიშვილი ჩვენ, მომავალ პედაგოგებს, აღზრდის ხელოვნებას, პედაგოგიური მუშაობის დეტალებს, ფართოდ შემოჰქონდა თავის მუშაობაში ფსიქოლოგიის ელემენტები და ხშირად სინანულს გამოთქვამდა, რომ ფსიქოლოგიას ჩვენ ცალკე საგნად არ შევისწავლიდით. იყო თვითკრიტიკულიც. მაგალითად, მას შემჩნეული ჰქონდა თავისი დიქციის ნაკლი და თვითვე მობოდიშებით ამის შესახებ რამდენჯერმე აღუნიშნავს ჩვენთან. მახსოვს, ერთხელ ლექციის კითხვის დროს, როცა ის ჩვეულებრივ მერხებს შუა რიგში დინჯად დადიოდა, ჩვენს მერხთან შეჩერდა და ღიმილით მომმართა რაღაც შეკითხვით, მომეჩვენა, რომ მკითხა „როგორა ხარ ბიჭოო“, მე ვუპასუხე „კარგად“ მეთქი, მას გაეცინა და მითხრა „არა, მე გვარს გეკითხები, რა გვარი ხარო“. გაეცინათ სხვებსაც. კათედრაზე ასული ის ერთხელ კიდევ დაუბრუნდა დიქციის მნიშვნელობის საკითხს პედაგოგიურ მუშაობაში.

მატრიკულში აღნიშნული არ არის, მაგრამ შეიძლება მოგონებით აღვადგინოთ პედაგოგიკასთან ახლოს მდგომი სხვა საგანიც, რომელიც აგრეთვე დამამთავრებელ კურსზე მოვისმინეთ. ეს იყო ისტორიის სწავლების მეთოდიკა, რომელიც დოც. ალ. გორგაძემ წაგვიკითხა. ალბათ ყველას კარგად ახსოვს მისი მსხვილი აგებულება და ბოხი, მკვეთრი ხმა. ლექციებზეც ძალზე ხმა აწეული

უყვარდა ლაპარაკი, რასაც თან ახლდა ძლიერი ჟესტიკულაცია. ხშირად იყენებდა ლაპარაკში ჩართულ გამოთქმას „შენ ხარ ჩემი ბატონი“. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ჩვენთან პედაგოგიური პრაქტიკაც. პირადად მე წილად მხვდა გაკვეთილის გადაცემა X კლასში, კამოს ქუჩაზე, მარჯანიშვილის სახ. თეატრის გვერდით მდებარე საშუალო სკოლაში. დიდი იყო ჩემი მღელვარება გამოუცდელობის გამო, მით უმეტეს, რომ ძალზე ველოდი გაკვეთილის გადაცემაზე ალ. გორგაძის დასწრებას, მაგრამ მან იმ დღეს საერთოდ ვერ შეძლო სკოლაში მოსვლა.

მეოთხე, დამამთავრებელ კურსზე ხმა მოგვწვდა, რომ ჩვენთან სპეციალურ კურსს წაიკითხავდა ივანე ჯავახიშვილი. ეს სასიამოვნო, მაგრამ ერთგვარად მოულოდნელი ცნობა სწრაფად გავრცელდა მთელს ჩვენს ფაკულტეტზე და სხვაგანაც. ინტერესი დიდი აღმოჩნდა. ამიტომ იყო, რომ როცა ივ. ჯავახიშვილის ლექციები დაგვეწყო მეორე სართულის კუთხის დიდი აუდიტორია ყოველთვის გაჭედილი იყო და ყველა მსურველს ვერ იტევდა. როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი, ხელოვნურად შექმნილი მძიმე პირობების გამო, იძულებული გახდა 1936 წელს დაეტოვებინა უნივერსიტეტი. საბედნიეროდ, სამართლიანობა შედარებით მალე აღსდგა და 1938 წელს ეს ამაგდარი ადამიანი ისევ დაუბრუნდა საყვარელ კერას. იმხანად იგი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, მშრომელმა ხალხმა იგი უმაღლეს საბჭოს დეპუტატად წამოაყენა.

ჩვენთან თავისი სალექციო კურსი ივ. ჯავახიშვილმა საქართველო-კავკასიის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა პრობლემას მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ კურსში მოცულობის თვალსაზრისით მან ისტორიული და მატერიალური კულტურის მონაცემებთან შედარებით მეტი ადგილი დაუთმო ენობრივი მასალის ანალიზს და რიგი ეთნოლინგვისტური საკითხი გააშუქა. ამ მასალის შეთვისებაში უთუოდ დაგვეხმარა ცოტა ადრე მოსმენილი კურსი კავკასიის ეთნოგრაფიაში. ლექციებს ივ. ჯავახიშვილი მონოტონურად, მაგრამ უაღრესად სასიამოვნოდ მოსასმენი ხმით კითხულობდა. მაგიდასთან ერთ ადგილზე იჯდა. საუბრის დროს სახეზე ოდნავი ღიმილი გადაჰკრავდა. დროდადრო თავის ქალიშვილს ნათელას შეხედავდა, რომელიც აუდიტორიის შუა რიგში იჯდა ხოლმე. ნათელა ჯავახიშვილი ჩვენსავე ფაკულტეტზე სწავლობდა, ორი კურსით უკან. ივანე ჯავახიშვილს სმენა აკლდა და ხმის გამაძლიერებელი ჰქონდა ყურში გაკეთებული, რაც ძალიან არც ემჩნეოდა. ლექციის მსვლელობის დროს ნათელა ხელით ანიშნებდა მას ყოველივე საჭიროს, აგრეთვე ლექციის დამთავრების ზარის დარეკვას. ლექციის დროს ხალხმრავალი აუდიტორია გარინდებული იყო. დიდი მეცნიერისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და ნდობას ჩვენ, სტუდენტები ნაწილობრივ მაშინაც გამოვხატავდით, როცა ივ. ჯავახიშვილი აუდიტორიაში შემოვიდოდა და მოგვესალმებოდა, ხოლო ლექციის შემდეგ გამოგვემშვიდობებოდა. ყველა დამსწრე, როგორც ერთი, ფეხზე ამდგარი დიდი სიყვარულის გრძნობით შევცქეროდით ნამდვილად ქართული, სასიამოვნო შესახედაობის ელეგანტ ადამიანს, რომელსაც, რომ იტყვიან ხოლმე, სახეზე ნათელი გადაჰფენოდა.

ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩვენთან წაკითხული კურსი, სამწუხაროდ, ვრცელი არ ყოფილა. ამასთან, ეს კურსი ფაკულტატური იყო, რის გამოც ამ სათაყვანებელ მეცნიერს გამოცდაზე აღარ შევხვედრივართ. რომ გვცოდნოდა, რომ ასე ძვირფასი გახდებოდა ჩვენთვის საყვარელი მასწავლებლის ავტოგრაფები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება საგანგებოდაც კი მოგვეთხოვა დიდი ივანე ჯავახიშვილის საგნის ჩაბარება.

ჩემი თანაკურსელების 1935—1939 წლების მატრიკულები რამდენიმე საერთო თავისებურების შემცველია, რასაც თავის ახსნაც მოეპოვება.

ერთი ასეთი თავისებურებაა შესასწავლი და ჩასაბარებელი საგნების სიმრავლე თითქმის ყოველ სემესტრში, განსაკუთრებით კი II, III და IV სემესტრებში. მაგალითად, II სემესტრის ბოლოს ჩვენ 9 საგამოცდო საგანი ჩავაბარეთ, ამას კი წინ ჩათვლებიც უძღოდა. საქმე ის არის, რომ საგნების ასეთი შემჭიდროება თვით ჩვენივე მიზეზით მოხდა. ჩვენი კურსის სამივე ჯგუფში, როგორც უკვე აღვნიშნე, 100-ზე მეტი სტუდენტი იყო, ადვილად შესამჩნევ თავისებურებას წარმოადგენდა უმრავლესობის ცოტა დიდი ასაკი; შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს, მაგრამ, როგორც მახსოვს, საშუალო ასაკი ჩვენს კურსზე 25—30 წელი იყო, იყვნენ 30 წელს გადაცილებულნიც. ასეთ ვითარებაში ბუნებრივი იყო თვით სტუდენტთა შორის გაჩენილიყო აზრი უნივერსიტეტის ცოტა ადრე დამთავრებისა. ასეც მოხდა. სათანადო ორგანოებმა დააკმაყოფილეს განსაკუთრებით მოწადინებული ასეთი სტუდენტების თხოვნა და გადაწყდა, რომ ჩვენ ხუთი წლის მაგიერ ოთხ წელში დავამთავრებდით უნივერსიტეტს შესასწავლი პროგრამის სრული მოცულობით. ამან კი გამოიწვია საგნების გადაჯგუფება და შემჭიდროება. უნდა გამოვტყდე, რომ პირადად ჩემთვის, ავრეთვე იმ დროს რამდენიმე ჩემი პატარა ასაკის ამხანაგისათვის ასეთი გადაწყვეტილება მთლად სასიამოვნო არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ ვერაფერს გავაწყობდით. მატრიკულის მიხედვით სულ ოთხი წლის მანძილზე ჩაბარებული გვაქვს 40 საგანი ცალკეულ მათგანში შუალედური გამოცდებისა და ჩათვლების გარდა. მახსოვს, რომ ჩვენი კურსის მაგალითს მომდევნო კურსის სტუდენტებმაც მიბაძეს და მათაც ასეთ ვადებში მოუხდათ უნივერსიტეტის დამთავრება. შემდეგ რა წესით გაგრძელდა ეს პროცესი, აღარ ვიცი.

დღეს იციან ხოლმე თქმა უნივერსიტეტი სტუდენტთა კონტიგენტითაც და პედაგოგიური პერსონალითაც ძალზე გაახალგაზრდავებულიაო. დემოგრაფიული თვალთახედვით ეს თითქოს მართლაც ასეა, მაგრამ არა მგონია, რომ ამას უარყოფითად ემოქმედოს აკადემიურ დონეზე და აღზრდის პროცესის ხასიათზე. უნივერსიტეტი იყო და რჩება ეროვნული კულტურის დიდ ტაძრად, სადაც მრავალფეროვანი და ღრმა ცოდნით აღიჭურვებიან ახალი თაობები.

მატრიკულის მაჩვენებლები ერთ ასეთ თავისებურებაზედაც მიუთითებენ: 1936 და 1937 წლების საგაზაფხულო სესიები ჩვეულებრივზე ადრე მოეწყო, მაისში. ამისი მიზეზი იყო ზაფხულის პერიოდში სამხედრო ბანაკში ჩვენი გამგზავრება. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში სამხედრო მომზადების მაშინდელი წესიც უნდა მოკლედ გავიხსენოთ. პირველ და მეორე კურსებზე ვაჟები სხვა საგნებთან ერთად სამხედრო მომზადებასაც გავდიოდით (სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და ჩვენს კურსზე, სამივე ჯგუფში მხოლოდ ათიოდე ქალი სწავლობდა). სამხედრო საგნის პროგრამაში იყო საბრძოლო იარაღის მატერიალური ნაწილი, ტაქტიკური მომზადება, სამწყობრო მომზადება. ცალკე მონაკვეთებს შეადგენდა ოპერატიული საქმე, საჰაერო თავდაცვა და სხვ. მეცადინეობა გვქონდა დღევანდელ ბოტანიკურ კორპუსში, სამწყობრო მომზადებას კი ჩვენი ჯგუფი უფრო ხშირად IV კორპუსის ეზოში ატარებდა. ჩამოთვლილი საგნების მთავარი მასწავლებელი ჩვენ ჯგუფში იყო მაიორი ჩიჩუა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანვე ჩაიბარა საგამოცდო საგანი; რაც შეეხება პრაქტიკულ მეცადინეობას მატერიალურ ნაწილში, სროლასა და სხვა; აქ სხვადასხვა მასწავლებელი გვყავდა, როგორც, მაგალითად, ჯოლბორდი და სხვ., რომელთა გვარები მატრიკულში არ არის შეტანილი.

სამხედრო მომზადების ერთ-ერთ მთავარ ნაწილს შეადგენდა ორ-ორ თვიანი საველე შეკრება საზაფხულო-სამხედრო ბანაკში. 1936 და 1937 წლების ზაფხულში (ივნის-ივლისი) ჩვენ სამხედრო ბანაკში ვიყავით, იქ, სადაც მე-2 ქართული დივიზია იყო დაბანაკებული და ვასრულებდით ჩვეულებრივ სამხედრო სამსახურს, გვეცვა ჯარისკაცის ფორმის ტანსაცმელი, ვცხოვრობდით კარვებში. საკმაოდ ძნელ, ზოგჯერაც მძიმე პირობებში ვიმყოფებოდით. განსაკუთრებით გვიჭირდა უწყლობა და პაპანაქება სიცხეში წყლის გულისათვის ყოველდღე მრავალი კილომეტრის გავლა ბანაკიდან მტკვრამდე. ძნელი იყო ჩვენთვის დიდი მანძილის სამარშო გადასვლებიც მთელი შეჭურვილობით, რაც ხშირად ეწყობოდა. ამ სიძნელეებს ერთგვარად ის ამსუბუქებდა, რომ ჩვენ იქ ერთად ვიყავით უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტის სტუდენტი. იქ სამსახური დაახლოებისა და დამეგობრების ძალზე კარგი საშუალება იყო. არ მავიწყდება, რომ ყველაზე მეტი მხიარულება და ხალისი შემოჰქონდათ ჩვენს იქ ყოფნაში უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის სტუდენტებს. მათი ამტანიანობა და ხალისიანობა ყველასათვის მისაბაძი იყო.

უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის ბაზაზე, როგორც ცნობილია, შემდეგ ცალკე ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. საველე სამხედრო მზადებასთან დაკავშირებითვე უნდა მოვიგონოთ ჩვენი სამხედრო პრაქტიკა ლენინაკანში, ისევე საველე პირობებში, სადაც ბანაკიდან გაგვგზავნეს 20 დღით. აქ ცოტა უკეთესი ბუნებრივ-კლიმატური პირობები იყო, მაგრამ ხანგრძლივი სამარშო გადასვლებისა და სამხედრო წვრთნის სიძნელეები ძალაში დარჩა. უნივერსიტეტში სამხედრო მზადების გავლის საფუძველზე სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით თადარიგის უმცროსი ლეიტენანტის წოდება მოგვენიჭა. მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტში მიღებული სამხედრო ცოდნა და წვრთნა პირადად მე შემდგომში კარგად გამომადგა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც სრული ხუთი წელიწადი დავყავი და ყოველნაირ სიძნელეს შევხვდი. სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულია ცხოვრების მრავალი განცდა და მოგონება, მაგრამ რადგან ამჟამად უნივერსიტეტზია ლაპარაკი, საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, როგორც სასიამოვნო მოგონება, უნივერსიტეტელ მეგობართან აკაკი სურგულაძესთან ომის წლებში ერთად სამსახური ერთ ქვეგანაყოფში, ბრძოლის ფრონტზე ერთად ყოფნა, ერთად გადატანილი მძიმე დღეები. და აი, ჩვენ მაშინაც ყოველთვის თვალწინ გვედგა მშობლიური უნივერსიტეტი.

როცა ისეთი მოგონება იწერება, როდესაც რომელიმე დაწესებულების, მისი ცალკე უჯრედების, ამ შემთხვევაში კი უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი ფაკულტეტის განვლილი ცხოვრების ფურცლები აღდგება, ბუნებრივად დგება ამ ცხოვრების მეტ-ნაკლებად მთლიანი სურათის გაცოცხლების საჭიროება. სამწუხაროდ, ეს მე ვერ მოვახერხე, თუმცა არც მქონია ამის განზრახვა. ამაში თვით საუბრის თემაც მამართლებს. მე მხოლოდ სასწავლო პროცესის ცალკე მხარეებს შევეხე, რაშიც ჩემი მატრიკულის მონაცემებს მივყვებოდი

და ვემყარებოდი. მაგრამ, ცხადია, რომ ამის გარდაც ჩვენი ფაკულტეტის მაშინდელი ცხოვრება ბევრად ფართო და საინტერესო იყო. მის აღდგენას სხვა ხასიათის წყაროები და მუშაობა დასჭირდებოდა. მოგონება სწვდება იმ დროის ჩვენი სტუდენტური ცხოვრების ცალკე მხარეებს, პრაქტიკული, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაობის, საზოგადოებრივი საქმიანობის ცხოველმყოფელობას, სპორტულ მუშაობაში, თვითმოქმედებაში მონაწილეობას, კრებებს, სადღესასწაულო დემონსტრაციებს, შაბათობებს და სხვ. რაშიც სტუდენტობა სიხარულით იღებდა მონაწილეობას. მაგონდება სტუდენტთა ქალაქის ცხოვრების თავისებურებები, სადაც პირადად მე ხშირად მიხდებოდა სტუმრად ყოფნა ჩემს თანაკურსელებთან, მაშინ კი ჩვენი კურსის სტუდენტთა 60%-ზე მეტი იქ ცხოვრობდა. ლექციების კონსპექტების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ხშირად იქვე ჯგუფური მეცადინეობებიც იმართებოდა. იყო გართობაც, ხუმრობაც, სჯა-ბაასიც. ყველაფერი ეს სასიამოვნო მოსაგონია.

1964 წელს შედგა ჩვენი თანაკურსელების საზეიმო შეკრება უნივერსიტეტის დამთავრების 25 წლისთავის აღსანიშნავად. ამ შეკრებაზე, რომლის ორგანიზაცია იტვირთა ჩვენმა თანაკურსელმა, ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა პორფილე გულუამ, სიხარულით მოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ყოფილი თანაკურსელები, ამჟამად ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა უბანზე მოღვაწე ადამიანები, მოვიდნენ ჭაღარაშერთულნი, გამოცდილებით დამძიმებულნი და თან მოიტანეს ჩაუქრობელი სიყვარული და სიამაყის გრძნობა მშობლიური უნივერსიტეტისა. ამ შეხვედრის ერთ-ერთი ამაღელვებელი მომენტი ისიც იყო, რომ ჩვენთან მოვიდა ერთი ნაწილი ჩვენი აღმზრდელი პროფესორ-მასწავლებლებისაც, რომლებიც, ყველას საბედნიეროდ, დღესაც ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან უნივერსიტეტში. ისევ მატრიკულს თუ ჩახედავ ესენი არიან პროფესორები გ. ჩიტაია, ს. ყაუხჩიშვილი, ი, ციწცაძე, გ. გოზალიშვილი, კ. ბაქრაძე, ნ. მახარაძე, ა. კიკვიძე, ს. ბერაძე, ტრ. რუხაძე, პლ. თავხელიძე, პენსიაზე გასული ა. ნაცვლიშვილი და სხვ. და, მართალია, დღეს ჩვენს შორის სტუდენტისა და მასწავლებლის საქმიანი დამოკიდებულება აღარ არის, მაგრამ მეც და ჩემი სტუდენტობის ამხანაგებსაც მათდამი გულწრფელი, ახალგაზრდული, სტუდენტური სიყვარული შემოგვრჩა. ახალი საქმეები და ახალი ურთიერთობანი ამ პირველს ვერ ცვლის და ვერ გვავიწყებს. ასეთი გვინდა დავრჩეთ ბოლომდის. ჩვენს გულებში წარუშლელი იქნება აგრეთვე ნათელი ხსოვნა პროფესორ-მასწავლებლებისა, რომლებიც სიყვარულით ემსახურებოდნენ ჩვენს აღზრდას, მაგრამ დღეს აღარ არიან. მუდამ ვატარებთ ხსოვნას იმ სტუდენტებისასაც, რომლებიც ჩვენს რიგებს დიდმა სამამულო ომმა გამოაკლო.

დასასრულ, ერთიც უნდა აღვნიშნო. მე ბედნიერება მხვდა, რომ პირადად ჩემი ცხოვრება სტუდენტობის შემდეგაც ახლო დაუკავშირდა უნივერსიტეტს. დიდ სამაულო ომში უნივერსიტეტის ასპირანტურის II კურსიდან გამიწვიეს, 1941 წ. და როგორც უკვე ვთქვი, 1946 წელს დემობილიზაციის შემდეგ, აღმადგინეს ასპირანტურაში. ჯერ კიდევ საკანდიდატო დისერტაციის დაცვამდე, 1948 წელს, გ. ჩიტაიამ იმხანად თავისი მძიმე ავადმყოფობის გამო მომანდო ზოგადი ეთნოგრაფიისა და საქართველოს ეთნოგრაფიის სპეციალური კურსების

კითხვა უნივერსიტეტის ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოლოგიის (კავკასიური ენების სექცია) ფაკულტეტებზე.

უნივერსიტეტთან დაკავშირებით პირადად ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა და ალბათ ყველაზე დიდი ბედნიერება იყო მის კედლებში სადოქტორო დისერტაციის დაცვა 1963 წელს. სასიამოვნო თანმხვევა მოხდა. ჩემი მკაცრი გამომცდელების — ოფიციალური ოპონენტების ცხოვრება და საქმიანობაც ამ წმინდა ტაძართან უახლოეს კავშირშია. აკად. ნ. ბერძენიშვილი — უნივერსიტეტის ჩემი ყოფილი მასწავლებელი, აკად. ნ. კეცხოველი — უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი და მისი უცვლელი პროფესორი, აკად. გ. მელიქიშვილი — უნივერსიტეტის ჩემი ყოფილი თანაკურსელი, კოლეგა, დოც. ს. ბედუკაძე — ასევე უნივერსიტეტის აღზრდილი, სპეციალობით ჩემი კოლეგა. სამეცნიერო საბჭოს წევრთა შორისაც, რომლებმაც ხმა მომცეს, ე. ი. უმატრიკულოდ დამიწერეს ნიშანი, ბევრი იყო ჩემი სტუდენტობის მასწავლებელი, რომლებიც ზემოთ უკვე მოვიხსენიე, აგრეთვე ჩემივე სტუდენტობის ამხანაგებიც, რომლებიც მაშინ ჩვენზე ერთი-ორი კურსით წინ იყვნენ: პროფესორები შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ა. აფაქიძე, ა. სურგულაძე და სხვ. მათი მატრიკულებიც ალბათ თითქმის იმავე მაჩვენებლების შემცველია, როგორიც ჩემი.

თავისებური ვითარებაა. თაობათა ცვლა უნივერსიტეტში მკვეთრ გამოხატულებას არ ახდენს, იგი უწყვეტად და შეუმჩნევლად მიმდინარეობს. ამ თანმიმდევრული პროცესში ბევრს ერთად შეუტკბია სტუდენტისა და მასწავლებლის სანუკვარი როლი. უნივერსიტეტის ბევრი ყოფილი სტუდენტი დღეს თითონ არის სტუდენტის აღმზრდელი, ხოლო ამ აღზრდილთა შორისაც უკვე არიან ახალი აღმზრდელები. ოჯახის განვითარების ენით რომ ვთქვათ, არიან მშობლები, შვილები, შვილიშვილები და იქნებ შვილთაშვილებიც. ესტაფეტა კი შეუმჩნევლად გადადის.

უნივერსიტეტში პედაგოგიურ სამუშაოს პირადად მე დღემდე შევრჩი და აი, უკვე 20 წელია სიამაყის გრძნობითა და ორმაგი სიხარულით ვარ აღსავსე, რომ მშობლიური უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს ბედნიერება მხვდა სტუდენტებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაგრძელებისა. სტუდენტის მიერ დღეს ჩემთვის გამოწვდილი მატრიკული ასევე სათუთი და ძვირფასია, როგორც ჩემი საკუთარი. მატრიკული უძვირფასესი დოკუმენტი და მახლობელი საგანია, რომელიც ადამიანის შეგნებული ცხოვრების, ვიტყოდი, ალბათ ყველაზე ძვირფასი წლების განცდებს ასახავს. მასში ცოცხლად ჩანან ადამიანები, ადამიანთა შორის ურთიერთობანი, უმაღლესი განათლების ხასიათი და დონე, პროფესიული მზადებისა და წვრთნის საფეხურები. იგი სარკეა უმაღლესი სასწავლებლის კედლებში საქმიანობისა, რაც ახალგაზრდის ცხოვრების ცალკე ეპოქას შეადგენს და რაც შემდგომში მას ხანგრძლივად გაჰყვება, როგორც ცხოვრების გზის მანათობელი და ამავე დროს სანატრელი მოსაგონარი.

ეს პატარა მოგონება, რომლის დაწერა ჩემთვის არავის არ დაუვალებია, არც უთხოვია, ცხადია, სისრულით ვერ ასახავს უნივერსიტეტის მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. და როგორც ვთქვი, არც მქონია ამისი პრეტენზია. ეს მოგონება ნაწილობრივი ხორცშესხმაა განზრახვისა, რომელსაც კარგა ხანია ვატარებდი და რაც დააჩქარა და რეალობად აქცია ჩვენი საყვარელი უნივერსიტეტის ღირსსახსოვარმა თარიღმა, 50 წლისთავის იუბილემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

არქეოლოგიური ძიებანი

(ახალგაზრდა მკვლევართა I, II და III სამეცნიერო სესიათა მასალები), თბ., 1977, 1982.

1976 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ტარდება ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესია, რომელზედაც წაკითხულ მოხსენებათა მასალების სახით დღეისათვის ჩვენ ხელთ გვაქვს კრებულ „არქეოლოგიური ძიებანის“ ორი ტომი.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ფართო არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დიდი რაოდენობით ახალი მასალა იქნა გამოვლენილი. ამან განსაზღვრა ახალგაზრდა არქეოლოგ-მკვლევართა სამეცნიერო სესიებზე წაკითხულ მოხსენებათა უმრავლესობის ხასიათი. აღნიშნული კრებულები მნიშვნელოვანი მოვლენა ჩანს იმ თვალსაზრისით, რომ აქ წარმოდგენილი ნაშრომები ხშირ შემთხვევაში შეიცავენ მასალებს, რომლებიც პირველად შემოდიან სამეცნიერო მიმოქცევაში და, ამდენად, გამოკვლევასთან ერთად ძეგლების პუბლიკაციასაც წარმოადგენენ.

საყურადღებოა, რომ კრებულში მოთავსებულ კონკრეტული არქეოლოგიური კომპლექსების შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომთა გვერდით, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ვხვდებით თეორიული ხასიათის განმაზოგადებელ გამოკვლევებს, რომლებიც ერთი გარკვეული პერიოდის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტით შესწავლას ითვალისწინებს. ასეთი ნაშრომები განსაკუთრებით მისასალმებელია, რამდენადაც არქეოლოგიური მასალის შესწავლასთან ერთად საყურადღებოა მის საფუძველზე შესაბამისი ეპოქის ცხოვრების სურათის რეკონსტრუქცია. ამდენად, თეორიული ხასიათის ნაშრომების წარმოდგენა ის რთული და საინტერესო მხარეა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ერთ-ერთი ასეთი საინტერესო გამოკვლევაა ქ. ესაკიას ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლის წოფის ნამოსახლარის შრომის იარაღების ფუნქციური გამოკვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომი. მატერიალური კულტურის აღნიშნული მასალების კვლევა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია ეპოქის ეკონომიკური ცხოვრების სურათის აღსადგენად. ნაშრომი ეძღვნება ქვემო ქართლის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის შრომის იარაღების ტრასოლოგიურ შესწავლას. ამ მხრივ კვლევა კი ძირითადი საფუძველია მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ამა თუ იმ საწარმოო პროცესში ცალკეული იარაღების კონკრეტული როლის გარკვევისათვის. კვლევის ეს მეთოდი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იგი გამორიცხავს ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად დაშვებულ პირობითობას და ამასთანავე აიოლებს იარაღთა ფუნქციური დაჯგუფების დადგენას. ძალზე მნიშვნელოვანია ტრასოლოგიური კვლევის შედეგად ავტორის მიერ წოფის შრომის იარაღების ფუნქციური დიფერენცირება, რომელმაც მას საშუალება მისცა მეურნეობის წამყვანი და დამხმარე დარგების განსაზღვრისათვის, რაც, თავის მხრივ, კიდევ არა ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის საფუძველი გახდა. ამრიგად, ცალკეული საწარმოო პროცესისა თუ მთელი მეურნეობის ხასიათის ამ მეთოდით კვლევა ძალზე მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი ჩანს.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის უშუალოდ მომდევნო ეტაპის არქეოლოგიური კომპლექსების შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები თემატური მრავალფეროვნებით და მასალის სიახლითაც გამოირჩევიან. მათ შორის აღსანიშნავია ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მტკვარ-არაქსის ხანის ცხოველის გამოსახულებიანი ჭურჭლების ანალიზისადმი მიძღვნილი ნაშრომი (მ. ღლონტი). ეს ჭურჭელი ავტორმა მისი შემქმნელი საზოგადოების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალს დაუკავშირა. რაც შეეხება მის მიერვე შესწავლილ ქვემო არანისის (ახალი ჟინვალი) ადრებრინჯაოს ხანისათვის მიკუთვნებული სამეურნეო ორმოებიდან წარმომდგარ ღრმაჭუსლიან ვაზებს, ისინი აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათე-

ბელ ჭურჭლად იქნა მიჩნეული, რაც სრულიად დამაჯერებელი ჩანს ფართო პარალელური მასალის გათვალისწინების საფუძველზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კახეთს და სამცხე-ჯავახეთის ადრებრინჯაოს ხანის კომპლექსების გამოვლენასა და კვლევას, რამდენადაც აღნიშნული პერიოდის ძეგლები ამ რაიონებში შედარებით ნაკლებადაა შესწავლილია. ამ ხანის მასალებს მიეძღვნა გ. მინდიაშვილისა და ა. ორჯონიკიძის ნაშრომები. ისინი საყურადღებოა არა მხოლოდ იმით, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვთ სრულიად ახალი, დღემდე უცნობი ძვ. წ. IV ათასწლ. უკანასკნელი მეოთხედით და ცოტა უფრო მოგვიანო, ძვ. წ. III ათასწლ. დასაწყისით დათარიღებული მასალები, არამედ იმითაც, რომ მნიშვნელოვნად აფართოებენ ჩვენს ცოდნას მტკვარ-არაქსის დასაწყისი ხანის აღნიშნულ რეგიონთა კულტურების შესახებ.

ავლენენ რა გარკვეულ სხვაობას მტკვარ-არაქსის კლასიკური ძეგლებისაგან, კახეთის წარმოდგენილი მასალები მომავალში ამ ჯგუფის ძეგლების კახეთში და დასავლეთ აზერბაიჯანში გამოჩენამდე არ იძლევიან საშუალებას მათი ლოკალურ მაჩვენებლად დამაჯერებლად ჩათვლისათვის და კვლევის ამ ეტაპზე აღნიშნული სპეციფიკურობა გ. მინდიაშვილს მათი შედარებითი არქაულობით აქვს ახსნილი. წარმოდგენილი კომპლექსის თავისებურების ქრონოლოგიური მომენტით ახსნა კვლევის ამ ეტაპზე სრულიად დამაჯერებელი ჩანს.

აბსოლუტურად განსხვავებული სახისაა სამცხე-ჯავახეთის თანადროული ძეგლები, რომელთა კულტურული ატრიბუციისათვის აუცილებელი დასავლეთ საქართველოს და მაიკოპის მასალების მოშველიებით ა. ორჯონიკიძე დამაჯერებლად აერთიანებს მათ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანისა და მაიკოპის კულტურების საკონტაქტო ზონაში.

აღნიშნული მასალები კახეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდან სრულიად ცხადად მიუთითებენ იმ თვალსაზრისის სასარგებლოდ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები ამიერკავკასიის სხვადასხვა რეგიონში ყოველთვის იდენტური მასალით არ არიან წარმოდგენილი და გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდებიან.

შუაბრინჯაოს ხანის დღეისათვის გამოვლენილი კომპლექსები მხოლოდ ცალმხრივად თუ აშუქებენ საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მხარეებს და სრულ წარმოდგენას ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების შესახებ არსებითად ვერ იძლევიან. ასეთ ვითარებაში უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ ახალ აღმოჩენას. საერეცენზიო კრებულში გამოქვეყნებული შვინდიანის სამაროვნის მასალები (რ. რუსიშვილი) მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევიან, ერთი მხრივ, საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ, კულტურის გავრცელების არეალს აღმოსავლეთის მიმართულებით. უნდა ითქვას, რომ სამარხეული მასალის ანალიზი ნაშრომში აღნიშნულია პრობლემატური საკითხების კვლევის მიმართულებით კი არ არის წარმართული, არამედ ძირითადად ტიპოლოგიურ დიფერენციაციას და სხვა პარალელური მასალების საფუძველზე მისი დათარიღების ცდას წარმოადგენს. აღნიშნული მასალის პუბლიკაცია და ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე კერამიკული ჯგუფების გამოყოფა კი, ახალგაზრდა მკვლევრის მიერ ჩატარებულ სერიოზულ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ სესიებზე ყველაზე მეტი ყურადღება გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის ძეგლების პუბლიკაციასა და მათ კვლევას ექნა დათმობილი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ნაშრომები, რომლებიც გვიანბრინჯაოს პერიოდის ნამოსახლართა სიმცირით გამორჩეულ რაიონთა კომპლექსებს წარმოგვიდგენენ. ამ ფონზე ტამიშის ნამოსახლარის (თ. ჩიგოშვილი) მასალათა კვლევა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. შურფისა და ზედაპირული დაზვერვის შედეგად მოპოვებული ქვის და კერამიკული მასალები, ქვალონის ნაოხვამუს ზედა ფენის და სხვა ძეგლებთან არსებული განსაკუთრებული სიახლოვის გამო, ძვ. წ. I ათასწლ. პირველი ნახევრით დათარიღების საშუალებას იძლევიან. ძალზე საყურადღებოა, ნამოსახლარზე მოპოვებული ქვის მასალების საფუძველზე ავტორის მიერ აქ მოსახლე ტომთა შეურნეობის ზოგიერთი მომენტის აღდგენის ცდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მკვლევართა მიერ ცალკეულ კომპლექსთა მასალების პუბლიკაციის, დათარიღებისა და მასალათა ტიპოლოგიურ კვლევასთან ერთად, უდავოდ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნული მონაცემების შეძლებისდაგვარად გამოყენებას ეპოქის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ზოგადი მხარეების აღსადგენად და დასახასიათებლად.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამაროვნებიდან მომდინარე მასალების საფუძველზე, რომელიც ძირითადად შიდა და ქვემო ქართლში აღმოჩენილ მასალებს ეხება, დასმულია ჭრო-

ნოლოგიის, მათი გარკვეული კულტურებისადმი მიკუთვნების, წარმოდგენილ კომპლექსთა სპეციფიკურ ნიშანთა გამოვლენისა და სხვა საკითხები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სრულად აშუქებენ ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეტაპის კულტურების რიგ საკითხებს.

ღრმახევისთავის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხების შესწავლის შედეგად (კ. კახიანი) დგინდება ამ რაიონში არსებული დაკრძალვის წესი. საინტერესოა ასევე კ. კახიანის მიერ სამარხეული ინვენტარის გათვალისწინების საფუძველზე აღნიშნულ სამარხთა ქრონოლოგიის დაზუსტების და მათი დიფერენციაციის ცდა. ღრმახევისთავის აღნიშნულმა სამარხებმა, რომელთაც უახლოესი პარალელები მოეძებნათ ქვემო და შიდა ქართლის, ჩრდილო სომხეთის. სინქრონულ ძეგლებთან, მკვლევარს საშუალება მისცა ისინი ძვ. წ. XIII—XII სს. დაეთარიღებინა.

თრელის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკის შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებში (ნ. გიგუაშვილი, ქ. კილასონიძე, ი. სულთანიშვილი) წარმოდგენილი მასალები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მაღალგანვითარებული სამეთუნეო წარმოების არსებობას. ცალკეულ კერამიკულ ტიპთა (ლანგრები და ჯამ-ფიალები) დამოუკიდებელი კვლევა (ნ. გიგუაშვილი) მეტ საშუალებას იძლევა აღნიშნული ნაწარმის სრულყოფილი შესწავლისა და მასში ქვეტიპების გამოყოფისათვის. საყურადღებოა ამგვარი კვლევის შედეგად დიფერენცირებული ქვეტიპების განსაზღვრული ლოკალური რაიონის დამახასიათებელ ნიშნად ჩათვლა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურის საერთო სახის წარმოჩენის თვალსაზრისით. რაც შეეხება, თრელის ზოომორფულ ჭურჭელს (ქ. კილასონიძე), იგი სხვა კერამიკულ ნაწარმთან შედარებით სიმცირისა და მხოლოდ მდიდრულ სამარხებში აღმოჩენის გამო სოციალური დიფერენციაციის მაჩვენებლად იქნა ჩათვლილი. მკვლევარს აღნიშნული ჭურჭელი ადგილობრივ ნაწარმად აქვს მიჩნეული და ფუნქციურად საკულტო-სარიტუალო დანიშნულებისად თვლის.

ძალზე საინტერესოა ამავე პერიოდის საქართველოს მოჭიქული ჭურჭლის შესწავლისადმი მიძღვნილი სტატია (ი. სულთანიშვილი), რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს არა მარტო დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებულ ამგვარ კერამიკას და მის წინაზიურ პარალელებს, არამედ სვამს საკითხს ამიერკავკასიის ნიმუშების, მცირე გამონაკლისის გარდა, ადგილობრივი წარმოების პროდუქტად ჩათვლის შესახებ. აღნიშნული თვალსაზრისი მნიშვნელოვანი სიახლეა იმ მხრივ, რომ იგი არ ეთანხმება და გამორიცხავს დღემდე არსებულ ორ ურთიერთგანსხვავებულ მოსაზრებას. აღნიშნული კერამიკული ნაწარმი მნიშვნელოვანია ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის თვალსაზრისით, რამდენადაც იგი მოიცავს ისეთ პრობლემატურ საკითხებს, როგორიცაა ქრონოლოგიის და წინააზიურ სამყაროსთან ამიერკავკასიის კულტურულ-კონომიური კავშირის საკითხები.

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელია განძთა განსაკუთრებული სიმრავლე, რაც თავს იჩენს დასავლეთ ამიერკავკასიის თითქმის ყველა რაიონში. ამ ტიპის არქეოლოგიურ ძეგლთა ყოველ ახალ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და დღნორისის განძის (რაჭა) მასალათა გამოქვეყნება-შესწავლასაც (ვ. სადრაძე, ნ. ხუბულური) საყურადღებო ჩანს კოლხური კულტურის კვლევის თვალსაზრისით. აღნიშნული კომპლექსის სამეურნეო იარაღების დასავლეთ საქართველოს მრავალრიცხოვან ანალოგებთან შედარება, მკვლევართ დღნორისის განძის ძვ. წ. II—I ათასწლ. მიჯნით დათარიღების საშუალებას აძლევთ.

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების კვლევისათვის ძირითადად მონაცემებს ნამოსახლარი ძეგლები იძლევიან, რომელთა გამოვლენა-შესწავლის გარეშე კონკრეტული კულტურის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩენილი ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სათავსის — პურის საცხობი ღუმელის კვლევას მიეძღვნა რ. დავლიანიძის ნაშრომი. აღნიშნული სათავსები მნიშვნელოვანია შიდა ქართლის კულტურისათვის დამახასიათებელი ნაგებობის სპეციფიკურობის განსაზღვრის თვალსაზრისითაც, რამდენადაც მიუხედავად დიდი ტიპობრივი მსგავსებისა ქართლის სხვა ანალოგიურ ძეგლებთან, მათ აქვთ ერთი თავისებურება: ღუმელზე მიშენებული სამსხვერპლო-საკურთხევლები. ამდენად, ღუმელები, ყოველ შემთხვევაში გვიანბრინჯაოს ხანისა მაინც, პირდაპირი დანიშნულების გარდა, ფუნქციურად საკულტო-სარიტუალო ადგილად იქნა მიჩნეული.

კრებულში წარმოდგენილია კ. გოცაძის საყურადღებო ნაშრომი, რომელიც ეძღვნება დაკრძალვასთან დაკავშირებული ტერმინე-

ბის ეტიმოლოგიური და შინაარსობრივი მხარის გარკვევას წერილობითი წყაროების მიხედვით. ავტორი უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების საფუძველზე იძლევა საკვლევ ტერმინთა („საფლავი", „სამარე", „სამარხო") ისტორიულ-ლინგვისტურ ანალიზს. აღნიშნულ ტერმინთა შემცველ ლიტერატურულ ძეგლთა ქრონოლოგიური ადგილის, თვით ტერმინთა ენობრივ-სტრუქტურული კვლევის და მათ მეგრულ, სპარსულ და სომხურ შესაბამის ტერმინებთან შედარების შედეგად იგი წარმოგვიდგენს ზემოაღნიშნული სიტყვების განვითარების საფეხურებს და მათ რელიგიის გავლენით წარმოშობილად თვლის. ნიშანდობლივია, რომ ახალგაზრდა მკვლევარს გარკვეული აქვს არა მარტო მოცემულ სიტყვათა გენეზისი, არამედ დადგენილი აქვს მათი ლიტერატურულ პირველწყაროებში გამოჩენის და შესაბამისად მათი ენაში დამკვიდრების დროც.

სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილია ასევე ე. ნადირაძის, გ. შერვაშიძის და ი. წიკლაურის ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომები.

სხვადასხვა წეს-ჩვეულების და საქმიანობის კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება უძველესი ქართული სამეურნეო და კულტურული ყოფის შესწავლისათვის. ამ მხრივ, დასავლეთ საქართველოს სამეურნეო საქმიანობის ერთი დარგის, წისქვილის ქვების დამუშავებისადმი მიძღვნილი ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას საქართველოს ამ რაიონის სამეურნეო საქმიანობის შესახებ. მთელი სისრულით აქვს ე. ნადირაძეს წარმოჩენილი ამ დარგის განვითარების, მისი ეკონომიკური ფაქტორის როლი ქართველთა მეურნეობაში და ის თავისებურებანი, რითაც დასავლეთ საქართველოს კონკრეტული რეგიონები განსხვავდებოდნენ ამ საქმიანობის მხრივ.

გ. შერვაშიძეს თავის ნაშრომში დეტალურად ქვს წარმოჩენილი უძველესი ქართული ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების შესწავლის გამოცოცხლება, როგორც ი. ჭავჭავაძის მრავალმხრივი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო. სამეურნეო-საწარმოო გამოცოცხლებისა და ჩვევების ისტორიული და თანამედროვე მნიშვნელობის ილიასეული გაგების წარმოჩენით ავტორი დეტალურად იხილავს მის წვლილს ამ დარგის პროგრესულ საფეხურზე აყვანის საქმეში.

კონკრეტული რეგიონის სოციალ-ეკონომიკური სიტუაციის ყოველმხრივი ანალიზისათვის საყურადღებოა იმ ტერმინთა კვლევა, რომელიც მიწის მფლობელობასთანაა დაკავშირებული და შესანიშნავად ასახავს საზოგადოების სოციალური ურთიერთობის მხარეს. ი. წიკლაურის ნაშრომში წარმოდგენილი პირაქეთი ხევსურეთის მიწის მფლობელობასთან დაკავშირებულ ტერმინთა ანალიზი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა აღნიშნული რეგიონის სოციალური და ეკონომიკური მხარის სურათის აღსადგენად.

გ. კვირკველიას ნაშრომი მიეკუთვნება ისეთი მასალის კვლევას, რომელიც კარგა ხანია შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში. ნაშრომში გადასინჯულია გუადიხუს სამაროვნისათვის (სოხუმთან) ადრე მიღებული თარიღი — ძვ. წ. VIII—VI სს. და V—III სს. სამარხეული ინვენტარის ანალიზის შედეგად გ. კვირკველია მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამაროვანზე არ დასტურდება წყვეტილი ქრონოლოგია და მას მთლიანად ძვ. წ. VI—II ს. ათარიღებს. აღსანიშნავია, რომ სამაროვნის ასეთი თარიღი ძირითადად გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

გ. ყიფიანისა და გ. გამყრელიძის ნაშრომები ვანის ნაქალაქარსა და მთისძირში (ვანის რაიონი) აღმოჩენილი ხის ნაგებობების კვლევას ისახავენ მიზნად. ორივე მკვლევრის აზრით, ისინი განეკუთვნებიან ნაგებობათა იმ ტიპს, რომლებსაც ვიტრუვიუსი კოლხურს უწოდებს. ორივე ნაგებობის თარიღი დგინდება მათში აღმოჩენილი კერამიკის მიხედვით. პირველი ნაგებობა განეკუთვნება ძვ. წ. V ს., ხოლო მეორე ძვ. წ. VI—V სს.

მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილ ძეგლებს მიეძღვნა გ. გვინჩიძისა და გ. ნარიმანაშვილის ნაშრომები. პირველი ეხება ოფაჩიფუს (ცხაკაიას რაიონი) ქვევრსამარხებში დაკრძალვის რიტუალს, კერძოდ, ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის საკითხს. მეორე, ნასტაკისის ველზე (მცხეთის რაიონი) აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის თარიღს (ძვ. წ. IV—III სს-დან ახ. წ. VIII ს-მდე),

საყარაულო სერის (კასპის რაიონი) ქვევრსამარხებს შეეხება გ. ჯინჯიხაშვილის გამოკვლევა. ავტორი განიხილავს სამარხების ინვენტარს, იძლევა მის კლასიფიკაციას და თარიღს — ძვ. წ. I და ახ. წ. I სს.

ვ. ლიჩელის ნაშრომში განხილულია ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის ქვევრის პირები და მათემატიკური ანალიზის საშუალებით დადგენილია მათი ტიპოლოგია და შედარებითი ქრონოლოგია.

ნ. მირიანაშვილის ნაშრომში განხილულია აღაიანში (კასპის რაიონი) აღმოჩენილი კერამიკა. ავტორი იძლევა მათ კლასიფიკაციას ფუნქციისა და მოხატვის მიხედვით. აყალიბებს ორიგინალურ დებულებას, რომ შიდა ქართლში თეთრანგობიანი კერამიკა იმავე რაოდენო-

ბით მოიპოვება, როგორც წითლადმოხატული და ჩნდება ძვ. წ. IV საუკუნიდან.

საქართველოს ანტიკური ხანის კრამიტის განხილვას იძლევა თავის ნაშრომში მ. ძნელაძე. იგი შეისწავლის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს მასალას. იძლევა მის კლასიფიკაციას, ქრონოლოგიას.

გ. ხომასურიძის გამოკვლევაში მოცემულია კარსნისხევის (მცხეთის რაიონი) სამარხთა კლასიფიკაცია მისი აღნაგობისა და დაკრძალვის წესის მიხედვით. გამოყოფილია ოთხი ტიპის სამარხი: კრამიტსამარხი, ორმოსამარხი, კომბინირებული სამარხი (კრამიტი და ქვის ფილები), ფილასამარხი და დათარიღებულია ახ. წ. I—III სს., ხოლო ორი ქვევრსამარხი კი ძვ. წ. III—I სს-ით.

გვიანანტიკურ ხანას მიეკუთვნება არაგვისპირის (დუშეთის რაიონი) სამაროვანზე აღმოჩენილი კერამიკა, რომელსაც თავის ნაშრომში შეეხო ც. რობაქიძე. იგი იძლევა კერამიკის კლასიფიკაციას და ათარიღებს ძვ. წ. VI—IV სს. გ. მანჯგალაძის, ნ. მირიანაშვილის და ვ. ჩიხლაძის ნაშრომებში განხილულია სამაროვნები, რომლებიც გვიანანტიკურიდან ქრისტიანულ ხანაზე გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება პირველი მათგანი ეხება სამთავროს სამაროვანზე გამოვლენილ სამარხებს, რომელთაც ავტორი ორ პერიოდად ყოფს: III—IV სს და IV—VIII სს. თავისი აღნაგობის მიხედვით სამარხები იყოფა გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების სამარხებად. ავტორის აზრით, ის ფაქტი, რომ III—IV სს მიცვალებულები გულაღმა წვანან, მიუთითებს ქრისტიანობის საქართველოში ამ პერიოდიდან გავრცელებაზე. ნ. მირიანაშვილის ნაშრომი აღაიანში მოპოვებულ მასალაზეა დაფუძნებული. იგი გამოყოფს სამი ტიპის სამარხებს. ორმოსამარხები — ახ. წ. I ს., სარკოფაგები: ა) მდიდრული ინვენტარით — ახ. წ. IV ს., ბ) მცირე ინვენტარის შემცველი — V—VI სს., და კატაკომბური სამარხები — ახ. წ. IV ს. ჟინვალის სამაროვანზე (ვ. ჩიხლაძე) აღმოჩენილს სამარხთა ქრონოლოგია განისაზღვრება ახ. წ. II—VIII სს. გამოიყოფა სამარხთა სამი ძირითადი ტიპი: 1. ორმოსამარხები, 2. ქვის სამარხები, 3. კატაკომბები. სამივე ნაშრომში მოცემულია სამარხეული ინვენტარის კლასიფიკაცია და მათი პარალელები.

VI—VIII სს მიეკუთვნება ლ. ხეცურიანის მიერ წარმოდეგნილი მუხათგვერდის სამაროვნის ოცდაათი ქვაყუთი და სამი ორმოსამარხი. სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებითა და სამკაულებით: ქინძისთავები, სამაჯურები, ეჟვნები და სხვა, რაც ამ პერიოდის სამარხებისთვისაა დამახასიათებელი.

გ. გამყრელიძის სტატიაში გაანალიზებულია მთისძირის ადრეფეოდალური ხანის სამშენებლო კერამიკა (კრამიტი, აგური), მოხმობილია პარალელური მასალები.

ზ. კალანდაძის ორ ნაშრომში წარმოდგენილია ჟინვალის ციხისა და ბებრისციხის შესწავლის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომპლექსი საგრძნობლადაა დაზიანებული და მთლიანად არაა გათხრილი, ავტორმა შეძლებისდაგვარად ჩაატარა მათი რეკონსტრუქცია, აღნიშნა მათი მდებარეობის სტრატეგიული მნიშვნელობა და დაადგინა ამ ციხეების არსებობის თარიღი — შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალურზე გარდამავალი ხანა.

გ. რჩეულიშვილის ორი გამოკვლევა მიეძღვნა კვირაცხოვლის კომპლექსს, სადაც წარმართული სალოცავის მაგივრად XI—XII სს. აუგიათ ქრისტიანული ეკლესია. გარდა ამისა, ავტორი განიხილავს ეკლესიის ეზოში აღმოჩენილ სამარხებს და იძლევა მათ პარალელებს. ჟინვალის ექსპედიციის საკვლევ ტერიტორიაზე მდებარე ბზიანას სამონასტრო კომპლექსის შესახებ კრებულში წარმოდგენილია კ. წერეთლის სტატია. მან ძირითადი ყურადღება დაუთმო ორ ეკლესიას — ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკასა და XII—XIII სს ეკლესიას. მასვე ეკუთვნის ნაშრომი სოფ. თვალივის წმ. გიორგის კათედრალური ტაძრის შესახებ. ტაძრის აგების თარიღად მიჩნეულია VIII—IX სს, ხოლო XV საუკუნისათვის ტაძარი საფუძვლიანად აღუდგენიათ.

სოფ. ისრითის (ვანის რაიონი) წმ. გიორგის ეკლესიის შესწავლას მიეძღვნა გ. ყიფიანის ნაშრომი. ავტორი ეკლესიის არქიტექტურულ-სტილისტური ანალიზის შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს ნაგებობა ტიპიური ნიმუშია ქართული ხუროთმოძღვრებისა მისი დაღმავლობის ხანაში, რაც საბოლოოდ გამოიკვეთა XIV ს-ის მიწურულში. დანარჩენ ნაშრომებში განხილული იყო ფეოდალური ხანის სხვადასხვა სახის არქეოლოგიური მასალა.

ჯ. წიკლაურის ორ ნაშრომში გაანალიზებულია ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე აღმოჩენილი ბეჭდები და მინის სამაჯურები. ავტორს ისინი, ბეჭდები — XII—XIV სს., სამაჯურები — IX—XIV სს. აქვს დათარიღებული და ფიქრობს, რომ მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

შუაფეოდალური ხანის მეთუნეობა და სამეთუნეო ნაწარმი განხილულია ოთხ ნაშრომში. მ. მარგველაშვილის ერთ გამოკვლევაში შესწავლილია შუაფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ჭურჭლის ხუფები, მეორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში კი — ჟინვალის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სამეთუნეო საწარმოს ინვენტარი, რომელთა აღმოჩენაც ამ ტერიტორიაზე კერამიკული სახელოსნოს არსებობაზე მიუთითებს.

მ. გოჩიაშვილის სტატიაში განხილულია დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამ სახის კერამიკული ნაწარმი. ავტორი პარალელების დაძებნითა და ძეგლის საერთო თარიღით მასალას XI—XIII სს. ათარიღებს.

ხერთვისის კომპლექსში აღმოჩენილ ფაიანსის ფიალას შეეხო თავის ნაშრომში გ. რჩეულიშვილი. ავტორი სტილისტური ანალიზისა და დამზადების ტექნოლოგიის საფუძველზე მას ამიერკავკასიის ერთ-ერთ სახელოსნოს მიაკუთვნებს, რომელიც ამ სახის ნაწარმს ჩინური კერამიკის მიბაძვით ამზადებდა. მისი დამზადების თარიღი XIV ს-ის მეორე ნახევარია. გ. რჩეულიშვილის მეორე ნაშრომში განხილულია არაგვის ხეობის სოფ. ჟინვალისა და ქვემო არანისის მიდამოებში აღმოჩენილი ოცზე მეტი ქვითკირის საწნახელი. შესწავლილია საწნახლების სტრუქტურა. მათი შედარებით მცირე ზომა და უხეში წყობა, ავტორის აზრით, მანიშნებელია იმისა, რომ ეს საწნახლები მიეკუთვნებიან საქართველოს ეკონომიკური დაცემის ხანას.

ლ. ლაბაძის სტატია ეხება ფეოდალური ხანის საქართველოში გავრცელებულ გულსაკიდ ჯვრებს. ავტორი გვაძლევს მასალის ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას, განსაზღვრავს მათი გავრცელების არეალს და თარიღს. იგი გამოყოფს ოთხ ტიპს: 1. „განედლებული ჯვარი“, 2 მაცხოვრის გამოსახულებიანი გულსაკიდი ჯვარი, 3. ცრემლიანი ჯვარი, 4. მრგვალგანივკვეთიანი ჯვარი. ისინი ძირითადად შუაფეოდალურ ხანას განეკუთვნებიან.

დაბოლოს აღვნიშნავთ სარეცენზიო კრებულებში გამოქვეყნებული ფაუნის (გ. ცისკარიშვილი), ფლორის (გ. არაბული) და კრანიოლოგიის (ვ. ასლანიშვილი) საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა მნიშვნელობას არქეოლოგიური კომპლექსების მასალებთან ერთად კონკრეტული საზოგადოების სურათის რეკონსტრუქციის საქმეში. გარდა ამისა, განსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის ფლორისტიკული შემადგენლობის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გენოფონდის გამოვლენის, ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონების დაზუსტების და ფლოროგენეზის საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისითაც.

საყოველთაოდაა ცნობილი კრანიოლოგიური მონაცემების მნიშვნელობა კონკრეტული არქეოლოგიური პერიოდის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ, კრებულში წარმოდგენილ ნაშრომში (ვ. ასლანიშვილი) მნიშვნელოვანი ჩანს არა მარტო ფეოდალური ხანის კავკასიონის ანთროპოლოგიური ტიპის განსაზღვრა, არამედ ისიც, რომ შუაფეოდალური ხანისათვის საქართველოს მთიანეთში ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული ამავე რეგიონში შემდგომი დროისათვის (გვიანფეოდალური ხანა) საკმაოდ ცნობილი ე. წ. კავკასიონის ანთროპოლოგიური ტიპი, თუმცა მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნები დინამიკაში უკვე იჩენენ თავს. რაც შეეხება, თვით ე. წ. კავკასიონის ანთროპოლოგიურ ტიპს, იგი მკვლევარს ადგილობრივი დოლიქოლეპტროპროზოპული ტიპების შინაგანი თანდათანობითი ეპოქალური ტრანსფორმაციის შედეგად მიაჩნია და თვლის, რომ კავკასიონის დღევანდელ ტიპს საქართველოს თანამედროვე სხვა ანთროპოლოგიურ ტიპებთან ერთად არ ახასიათებს არავითარი განსხვავებული გენეტიკური წარმომავლობა.

ამრიგად, ორ სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები საინტერესოდ აშუქებენ სხვადასხვა პერიოდების კულტურას და ამავე დროს მიმოქცევაში შემოაქვთ სრულიად ახალი ძეგლები.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული სტატიები ეხება თითქმის ყველა არქეოლოგიურ პერიოდს, უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც არათანაბრადაა წარმოჩენილი. ამ მხრივ, აღვნიშნავთ ბრინჯაოს, რკინის, ანტიკური და ფეოდალური პერიოდების კარგად წარმოდგენილ მასალათა გვერდით, პალეოლითისა და ნეოლითის ხანებისადმი მიძღვნილ სტატიათა მცირე წილს. ცხადია, აღნიშნული პერიოდების კვლევა მეტ ყურადღებას მოითხოვს ახალგაზრდა მკვლევართაგან.

მარინე ფუთურიძე
დიმა ახვლედიანი

Р. К. КИКНАДЗЕ. ОЧЕРКИ ПО ИСТОЧНИКОВЕДЕНИЮ ИСТОРИИ ГРУЗИИ. ПАРСАДАН ГОРГИДЖАНИДЗЕ И «КАРТЛИС ЦХОВРЕБА», ТБИЛИСИ, 1980

Монография Р. К. Кикнадзе посвящена сравнительно-текстологическому изучению знаменитого сборника грузинских исторических сочинений «Картлис цховреба» и труда историка XVII в. П. Горгиджанидзе «История Грузии».

В своем исследовании автор рассматривает важные проблемы источниковедения и хронологии истории Грузии, вопросы методики публикаций грузинских исторических сочинений.

В первой главе «Парсадан Горгиджанидзе и его «История Грузии» Р. К. Кикнадзе критически анализирует изучение сочинения Горгиджанидзе в русской и грузинской историографии. Автор выступает против гиперкритической оценки, сложившейся в современной историографии, так называемых первой и второй частей труда П. Горгиджанидзе (т. е. сведений до конца XIII в.). Он убедительно показал, что первая часть работы Горгиджанидзе основана не только на преданиях и легендах, как полагал И. А. Джавахишвили и другие ученые, но и на многих литературных источниках, причем не только армянских, персидских, но и грузинских. В частности, текстологический анализ, проведенный Р. К. Кикнадзе, показал заимствования в труде Горгиджанидзе из хроники Сумбата Давитис-дзе.

Особое внимание уделяет автор обоснованию возможности использования второй части труда Горгиджанидзе для реконструкции текстов сочинений, входящих в «Картлис цховреба».

Р. К. Кикнадзе удалось выявить некоторые детали биографии П. Горгиджанидзе, мимо которых прошли другие исследователи, а также уточнить дату, до которой довел он свое сочинение — 1694, а не 1696 или даже 1703, как утверждалось в ряде исследований.

Вторая глава «Из истории изучения «Картлис цховреба» посвящена анализу основного источника по истории средневековой Грузии. Автор показывает, что несмотря на большие достижения и огромную библиографию о «Картлис цховреба», критическое освоение этого сложнейшего источника еще не завершено.

Р. К. Кикнадзе обстоятельно анализирует предложенную И. А. Джавахишвили и принятую современными исследователями схему и хронологию составления и пополнения «Картлис цховреба». Критическое осмысление достижений предшественников, анализ основной политической тенденции текстов «Картлис цховреба» позволили автору в значительной степени уточнить картину возникновения и пополнения сборника.

По мнению Р. К. Кикнадзе, сборник, выражающий интересы сильной центральной власти и содержащий призыв к объединению народов Закавказья перед угрозой сельджукской агрессии, был составлен в эпоху царствования Давида Строителя (1089—1125), а именно в первой четверти XII в. Первоначально, по его мнению, «Картлис цховреба» включала произведения, приписываемые Леонтию Мровели и Джуаншеру, а также т. н. «Летопись Грузии». Во второй четверти XII в. в «Картлис цховреба» было включено специально написанное для сборника «Жизнеописание Давида Строителя». В последующие годы, вплоть до XIV в., старейшая, общая для всех списков часть «Картлис цховреба» пополнялась разными произведениями, в результате чего и были получены списки памятника неоднородного состава.

Аргументация, приводимая Р. К. Кикнадзе, убедительна для вывода, что «Картлис цховреба» была составлена во второй половине XI — первой половине XII веков. В то же время отсутствие прямых данных для точной датировки сборника в тексте «Картлис цховреба» и в других источни-

ках не позволяет в настоящее время жестко фиксировать начало составления сборника первой четвертью XII века, а тем более утверждать, что составление сборника проводилось по прямому указанию Давида Строителя, хотя подобная возможность реальна и могут быть найдены дополнительные доказательства в ее пользу.

Подробно рассматривает Р. К. Кикнадзе историю изучения в грузинской историографии различных редакций «Истории и восхваления венценосцев» и сочинения анонимного историка XIV в., завершающих древний цикл «Картлис цховреба» и использованных П. Горгиджанидзе во второй части «Истории Грузии».

Следующая глава «История Грузии конца XII—XIII вв. в сочинении П. Горгиджанидзе» посвящена текстологическому анализу этой части труда Горгиджанидзе. Автор показывает, что П. Горгиджанидзе значительно сократил текст первого историка царицы Тамар и анонимного историка XIV в., разбил их текст на мелкие разделы и озаглавил их. Вместе с тем, выявив отдельные места у Горгиджанидзе, расходящиеся с текстом дошедших до нас списков «Картлис цховреба», автор выдвигает гипотезу о том, что Горгиджанидзе пользовался неизвестным нам и в некоторых случаях более полным списком «Картлис цховреба» и что некоторые эпизоды в труде Горгиджанидзе сохранились лучше, — правильнее и полнее, чем в дошедших до нас списках «Картлис цховреба».

Однако нужно иметь в виду, что отдельные расхождения, особенно оценочного характера, могут объясняться не только использованием новых источников, но и переосмыслением источника в соответствии с условиями жизни, положением автора, чисто психологическими, личностными моментами. В частности, противоположные оценки деятельности грузинского царя Георгия Лаша в «Картлис цховреба» (резко отрицательная) и у П. Горгиджанидзе (положительная) могут объясняться не только привлечением последним дополнительных материалов, как это делает автор и что возможно, но и некоторыми параллелями в положении и деятельности Георгия Лаша и самого П. Горгиджанидзе, а также его патрона — Картлийского царя Ростома (Хосрова-Мирзы).

В следующей главе рассмотрены различные аспекты значения «Истории Грузии» П. Горгиджанидзе для реконструкции текста «Картлис цховреба». Во-первых, Р. К. Кикнадзе на конкретных примерах показал возможность научной реконструкции, исправления, уточнения и разъяснения отдельных мест текстов сочинений первого историка царицы Тамар и анонимного историка XIV в. по материалам П. Горгиджанидзе. Автор убедительно реконструирует ряд запутанных мест в указанных текстах, идентифицирует, локализует и разъясняет несколько топонимов, спорно трактовавшихся в историографии, предлагает новое прочтение и понимание отдельных терминов, титулов, званий. К сожалению, автор не всегда достаточно ясно оговаривает, в какой степени он учитывает возможность переосмысления Парсаданом Горгиджанидзе — историком XVII в. терминологии XII—XIII вв. Социально-экономическое, политическое содержание некоторых терминов в XII—XIII вв. и в XVII в. могут существенно разниться.

Во-вторых, на основе сравнительного изучения «Истории и восхваления венценосцев», «Столетней летописи» и соответствующей части труда Горгиджанидзе, как уже говорилось, Р. К. Кикнадзе высказал гипотезу, что Горгиджанидзе пользовался не только материалами «Картлис цховреба», но и какими-то дополнительными источниками, а также, что список «Картлис цховреба» Горгиджанидзе был более полным, чем дошедшие до нашего времени списки. Автору удалось восполнить отдельные лакуны в «Картлис цховреба» материалами Горгиджанидзе, и таким образом восстановить логический ход событий, сделать понятными многие эпизоды.

В-третьих, сопоставление труда П. Горгиджанидзе и вахтанговской редакции «Картлис цховреба» позволили автору установить, что не все расхождения между списками древней и вахтанговской редакций «Картлис цховреба» являются результатом редакционной деятельности членов комиссии — многие из них основаны на недошедших до нас списках. Это открывает новые возможности для

текстологического изучения «Картлис цховреба».

Таким образом, автору, благодаря новому прочтению, удалось показать неосновательность излишне критического нигилистического отношения историков ко второй части труда Горгиджанидзе, показать значение его «Истории Грузии» для изучения «Картлис цховреба».

Одну из глав Р. К. Кикнадзе посвятил вопросам методики публикации грузинских исторических сочинений. Эта проблема приобретает особое значение в связи с подготовкой и осуществлением издания Корпуса древнейших источников по истории народов СССР. Важное место в этом издании займут грузинские источники. Обобщив имеющийся опыт публикации грузинских источников, Р. К. Кикнадзе сформулировал общие принципы научной публикации текстов грузинских исторических сочинений с учетом общесоюзного опыта. Это тем более важно, что до сих пор грузинские ученые не уделяли должного внимания теоретическим обобщениям источниковедческого материала. Исходя из особенностей сохранившихся редакций «Картлис цховреба», автор предлагает издать ее в виде летописного свода, а довахтанговскую редакцию сборника рекомендует издать по отдельным произведениям (реконструированные тексты). На конкретных примерах Р. К. Кикнадзе показывает возможные варианты установления критических текстов, исправления искаженных мест.

В заключение автор формулирует общие принципы публикации грузинских средневековых источников, справедливо указывая на то, что в каждом конкретном случае необходимо учитывать специфику источника, его происхождение, историю, степень сохранности и т. п.

Большой интерес представляет глава «Некоторые вопросы хронологии». В источниках истории Грузии XII—XIII вв., как правило, отсутствуют прямые хронологические сведения, а те, что имеются, часто искажены переписчиками или повреждены. Условные даты, предложенные на основании косвенных данных учеными, в первую очередь М. Броссе и И. А. Джавахишвили, стали традиционными, хотя выявленные новые источники, в том числе иностранные, позволяют в значительной степени уточнить их. Выявив ряд анахронизмов в тексте «Картлис цховреба», Р. К. Кикнадзе сумел на основе текстологического анализа, использования современной методики хронологических исследований решить эту задачу в отношении некоторых дат — уточнить и привести их в соответствие с хронологией истории соседних стран. Заслуживает внимания указание Р. К. Кикнадзе на то, что хронология Вахушти Багратиони, хотя и подвинута на несколько лет вперед, имеет большое значение для истории Грузии, так как основана на надежных, не дошедших до нас источниках, позволяющих определить интервал между датируемыми событиями.

Таким образом, монография Р. К. Кикнадзе «Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба» (Тбилиси, 1980) является многоплановым, оригинальным исследованием, в котором рассматриваются важные проблемы источниковедения и хронологии средневековой Грузии. Автору удалось, использовав инструментарий современного источниковедения, заново прочесть «Картлис цховреба» и «Историю Грузии» П. Горгиджанидзе, решить не только ряд конкретных, практических вопросов источниковедения грузинских письменных памятников, но и сделать ряд существенных теоретических обобщений, определить основные направления изучения и научного издания одного из сложнейших источников по истории Грузии.

А. П. ПРОНШТЕЙН,
В. Ф. ПАТРАКОВА
(Ростов-на-Дону)

ეროვნული ბიბლიოთეკა

Вопр. 1983, №4.

В. Ж. КЕЛЛЕ, М. Я. КОВАЛЬЗОН, ТЕОРИЯ И ИСТОРИЯ. ПРОБЛЕМЫ ТЕОРИИ ИСТОРИЧЕСКОГО ПРОЦЕССА, М., 1981, Издательство политической литературы

В рецензируемом труде (в объеме ок. 19 п. л.) ставится ряд интересных проблем как самого исторического процесса, так и его познания. В частности, В. Ж. Келле и М. Я. Ковальзон в книге выделяют три аспекта изучения истории: как естественноисторический процесс, как результат деятельности людей и как развитие самого человека, его индивидуальности. Эти три аспекта истории, как правильно подчеркивают авторы, существуют не изолированно друг от друга, а в органической взаимосвязи. Уже из этого видно, насколько интересна книга, выгодно отличаясь от учебников по историческому материализму. В труде также говорится о специфике общественного познания, о проблемах культуры, излагается история (в сжатом виде, с указом главных моментов) этого познания. Но в краткой рецензии мы не будем разбирать этих вопросов, нас интересует главным образом проблема докапиталистических формаций, занимающая в книге значительное место. Посмотрим, как В. Ж. Келле и М. Я. Ковальзон трактуют ряд аспектов этой большой научной проблемы.

Учение о докапиталистических формациях, т. е. об их численности и последовательности занимает видное место в историческом материализме, марксистской политэкономии и исторической науке. Здесь мы задержимся лишь на разработанности проблемы в историческом материализме. Классики этой теории отнюдь не удовлетворялись только рассуждениями об обществе вообще, но и изучали исторические типы общества — общественно-экономические формации. Они шли еще дальше, изучая историю и структуру единичных обществ. Такой длинный и сложный путь познания для них не был самоцелью, его требовало само уяснение истины, без него создание теории материалистического понимания истории было бы невозможным.

Итак, именно блестящее знание всемирной истории (на достигнутом уровне науки), овладение достижениями социальных наук стали основой создания исторического материализма. При слабом знании всемирной истории, плохом знакомстве с достижениями ряда смежных социальных наук адекватное понимание многих, разработанных уже историческим материализмом, вопросов крайне затрудняется. Оперирование лишь абстракциями «производительные силы», «производственные отношения», «базис», «надстройка» и т. д. без наполненности их действительным содержанием не ведет нас к научному, философскому познанию социальной, в частности, исторической действительности.

В отличие от такого подхода, К. Маркс и Ф. Энгельс еще в «Немецкой идеологии» писали: «Абстракции эти сами по себе, в отрыве от реальной истории, не имеют равно никакой ценности. Они могут пригодиться лишь для того, чтобы облегчить упорядочение исторического материала, наметить последовательность отдельных его слоев. Но, в отличие от философии, эти абстракции отнюдь не дают рецепта или схемы, под которые можно подогнать исторические эпохи. Наоборот, трудности только тогда и начинаются, когда приступают к рассмотрению и упорядочению материала — относится ли он к минувшей эпохе или к современности,— когда принимается за его действительное изображение»[1].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, с. 26.

Вспомним также мысль К. Маркса о том, что «...так называемые общие условия всякого производства суть не что иное, как... абстрактные моменты, с помощью которых нельзя понять ни одной действительной исторической ступени производства». К. Маркс и Ф. Энгельс .Соч., т. 12, с. 714.

Авторы рецензируемой книги при осмыслении ступеней всемирной истории стараются стоять и на почве конкретной истории. Остается лишь сожалеть, что они не пошли дальше в этом направлении.

Очень удачной кажется нам мысль В. Ж. Келле и М. Я. Ковальзона о характере общественно-экономической формации. Если согласно некоторым советским историкам и философам, общественно-экономическая формация — лишь абстракция, модель на манер идеальных типов М Вебера, а по взгляду многих советских историков эта категория полностью перекрывает социальную действительность, то, согласно авторам книги «Теория и история», категория общественно-экономической формации — это хотя абстракция от реального исторического процесса, но далеко не целиком охватывает действительность даже при максимальном, предельном развитии данной формации в действительности той или иной страны, того или другого исторического региона. Кстати, К. Маркс и Ф. Энегельс не раз отмечали именно такой характер категории общественно-экономической формации[2]. Связывая определенную классовую формацию с с определенным историческим регионом, они были далеки от мысли о «чистых» формациях; в массиве формации они учитывали существование старого, зачатки нового способов производства.

Из советских философов В. К. Келле и М. Я. Ковальзон являются первыми, которые, ставя вопрос о неравномерности развития человечества в докапиталистический период истории, стараются ответить на него. Среди причин неравномерности они указывают такие факторы как определенный уровень развития субъекта истории (человека как родового существа), разнообразие географических сред, разные демографические ситуации и т. д.

По нашей мысли, неравномерность развития общества (человечества) в докапиталистический период истории была более глубока и разительна, чем это представляют авторы книги. Этот факт должным образом был осознан Гегелем в «Философии истории». Рассматривая гегелевское наследие в этом вопросе, В. Ж. Келле и М. Я. Ковальзон говорят лишь о самосознании мирового духа, фигурировавшем у великого философа (см. с. 259—60 рец. книги). Но у Гегеля речь шла и о другом, менее спекулятивном вопросе — о развитии политической свободы в связи с политическими формами (деспотия, республика, феодальная монархия, конституционная монархия). Картину же смены отмеченных политических форм дает не любое, или, по крайней мере, многие — общество с древней цивилизацией, а человечество в целом; в процессе этого развития имело место перемещение центров мирового прогресса. В понимании этого обстоятельства Гегель был безусловно прав. Следующий момент этой идеи заключается в теории докапиталистических формаций, созданной К. Марксом и Ф. Энгельсом. В последней было осмыслено, что смена политических форм в развитии общества (человечества) была обусловлена соответствующим чередованием способов производства в истории человечества в целом[3]. Нечеткое понимание авторами факта неравномерности развития человечества привело и к далеко не удовлетворительному пониманию ее причин.

Например, при рассуждении о роли географического фактора в возникновении и развитии неравномерности развития человечества авторы «Теории и истории» ограничиваются в теоретическом плане только общеизвестными в советской науке положениями. Но здесь понимание роли этого фактора противоречиво; с одной стороны, совершенно справедливо указывается, что он (географический фактор) является одним из необходимых материальных условий социальной жизни, уско-

---

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 25, ч. 1, с. 191—192; т. 26, ч. 1, с. 417; т. 39, с. 354, 356.

[3] Из участников новых дискуссий по докапиталистическим формациям на это обстоятельство указывал Ю. И. Семенов. См. его статью «Теория общественно-экономических формаций и всемирный исторический процесс. «Народы Азии и Африки», 1970, № 5. «Марксистско-ленинская теория общественно-экономических формаций и исторический процесс», «Философские науки», 1973, № 5.

ряя или замедляя ее развитие, но, с другой стороны, при характеристике элементов, системы производительных сил, динамике способа производства данный фактор совершенно выпадает из рассмотрения. Если в содержание системы производительных сил, способа производства, развития последних мы включим используемые на данной стадии развития техники, технологии и трудового опыта природные ресурсы, то задача изучения географической среды как одного из факторов неравномерности в развитии человечества значительно продвинулась бы вперед.

В конкретном плане В. Ж. Келле и М. Я. Ковальзон правильно указывают на неблагоприятное воздействие на развитие общества климатических экстремумов (см. с. 221). Правы они и в указании факта развития речных цивилизаций благодаря географическому фактору (с. 221—222). Но в этом направлении они должны были пойти еще дальше, отнюдь не рискуя опасностью оказаться на позиции географического детерминизма.

Крайне мало и повторяя лишь locus communis говорится в книге о роли демографического фактора в развитии неравномерности истории человечества. Характеристика производительных сил, способа производства очень обедняется включением сюда только человека или людей с трудовым опытом. Здесь надо иметь в виду абсолютную численность, количество занятого в материальном производстве населения, изменение количества рабочих сил в сфере занятости. И после этой мыслительной операции факт неравномерности в истории человечества получил бы более глубокое объяснение.

Кроме отмеченных выше факторов В. Ж. Келле и М. Я. Ковальзон пишут и об исторической среде. В книге мы читаем: «Категорией, отражающей сплетение всех взаимодействий в данных условиях места и времени и потому дающей выход к конкретно-историческому анализу действия факторов многообразия, является понятие исторической среды. Это комплексное, синтетическое и вместе с тем конкретное понятие, познавательное значение которого в нашей философско-социологической литературе часто недооценивается» (с. 272). Было бы желательно, если бы в книге в развернутой форме излагалась мысль о значении данного фактора.

В рецензируемой книге затронута и проблема роли техники в докапиталистических формациях, указывается, что уровень развития производительных сил в этих обществах в первую очередь определялся уровнем развития техники. Но дискуссии по докапиталистическим формациям доказали, что это далеко не так. Кстати, один из авторов книги В. Ж. Келле в свое время писал: «Вместе с тем относительная неизменность и устойчивость материально-технического базиса на таком его уровне, когда сохраняется еще значительная зависимость общества от окружающей среды, слабо развиты средства сообщения и существует большая изолированность внутреннего развития различных стран, создает условия и служит предпосылкой вариативности экономических форм общественной жизни» (Бородай Ю. М., Келле В. Ж., Плимак Е. Г., «Принцип историзма в познании социальных явлений», М., 1972, с. 76). При определении уровня конкретных докапиталистических формаций надо принять во внимание уровень экономического разделения труда, соответствующие природные ресурсы, плотность и абсолютную численность населения и т. д.

Авторы часто говорят о единстве и многообразии истории, их диалектике. В истории философии были попытки показать единство развития общества. В книге излагаются некоторые эти взгляды (например, Дж. Вико, И. Гердера), но попыток такого рода было больше (подразумеваем концепции Н. Я. Данилевского, О. Шпенглера, А. Тойнби и других). Но уже Л. Г. Морган, столь горячо отстаивавший идею единства человечества, в своем «Древнем обществе» заметил, что, начиная со средней ступени варварства, по причине географического фактора единство развития общества значительно нарушилось. Тем больше можно сказать это о К. Марксе и Ф. Энгельсе. Согласно историческому материализму, единство развития отдельных обществ в докапиталистическую эпоху заключалось в действии одинаковых социальных закономерностей (обусловленности производственных отношений уровнем производительных сил, надстройкой—базисом, классовой борьбы и т. д.), что касается единства развития (динамики), то это последнее исключалось. На это существовали причины, о ко-

торых пишут и авторы рецензируемой книги.

Заканчивая нашу краткую рецензию на книгу В. Ж. Келле и М. Я. Ковальзона «Теория и история», можно сказать, что и в части постановки и понимания теоретических проблем истории докапиталистических обществ их попытку можно приветствовать. Они стараются перейти от абстрактного уровня познания истории к конкретному. Но в этом деле им следовало бы владеть побольше историческим материалом. В целом же рецензируемая книга, затронутые в ней вопросы широкого круга вызовут несомненный интерес со стороны не только гуманитариев, но и естественников и довольно большого круга читателей.

Г. В. КОРАНАШВИЛИ

ქრონიკა და ინფორმაცია

ახალგაზრდა მეცნიერთა სესია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ალკკ კომიტეტმა და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ მოაწყო ახალგაზრდა მეცნიერების მორიგი, XVII საინსტიტუტო სესია, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი. სესია ჩატარდა 23—31 მაისს და მოისმინა მოხსენებები ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიის საკითხებზე. სესია შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა.

ლ. მიქაშავილმა მოხსენებაში „XVIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIX ს-ის დასაწყისის ქართული საისტორიო მწერლობა 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ“ აღნიშნა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატმა ძირეული ცვლილებები შეიტანა საქართველოს პოლიტიკური მომავლის განსაზღვრაში, რაც სათანადოდ აისახა როგორც ამ მოვლენის თანამედროვე, ისე მისი შემდგომი თაობების ისტორიკოსთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებში. ამ პერიოდში შექმნილ ნაშრომთაგან საინტერესო მასალას წარმოადგენს ბატონიშვილთა საისტორიო თხზულებები: ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“, დავით ბატონიშვილის „История Грузии“ და „ახალი ისტორია“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დავით ბატონიშვილის ავტორობით არის ცნობილი. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა განხილულ თხზულებათა ავტორების ობიექტურ მიდგომას საკითხისადმი, მათ მიერ XVIII ს-ის 70—80-იანი წლების საქართველოში საგარეო და სამინაო პოლიტიკური სიტუაციის სწორად გაგებასა და საქართველოსათვის 1783 წ. ტრაქტატის დიდი ისტორიული მნიშვნელობის შეფასებას.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ჩხარტიშვილმა თავისი მოხსენება „წამება გრიგოლის, რიფსიმესი და გაიანესი“ ქართველთა გაქრისტიანების შესახებ“ იმ არგუმენტის კრიტიკულ განხილვას მიუძღვნა, რომლის მიხედვითაც ქართველთა განმანათლებლად გარკვეულ პერიოდში გრიგოლ პართელია აღიარებული. ამ შეხედულების დასაბუთებისას სხვა წყაროებთან ერთად მიუთითებენ ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულ აგათანგელოსის არაბული რედაქციის „წამება გრიგოლის, რიფსიმესი და გაიანესი“ მონაცემებს. კონკრეტული მაგალითების მოხმობით მომხსენებელმა აჩვენა, რომ ამ წყაროს გავრცელებული ინტერპრეტაცია მცდარია, რომ „წამება გრიგოლის, რიფსიმესი და გაიანესი“ არ ეწინააღმდეგება ცნობას ნინოს მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ, პირიქით, მთელი რიგი ფაქტები სწორედ იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აგათანგელოსის ამ არაბული რედაქციის ავტორის აზრით ქართველებს განმანათლებელი ქალი ჰყავდათ.

გ. არახამიას მოხსენებაში „ჰეროვანის“ საკითხისათვის „ძეგლის დადების“ (გიორგი V ბრწყინვალის სამართალი) ცნობების საფუძველზე განხილულია „ჰეროვანის“ სტატუსი. მომხსენებლის აზრით, „ჰეროვანი“ აღნიშნავს ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივი ადმინისტრაციის დაბალი რანგის მოხელეს.

სესიამ მოისმინა ისტ. მეცნ. კანდ. გ. ანჩაბაძის მოხსენება „ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა და ბრძოლის წარმოების ხერხები თემურაზ II-ის „სარკე თქმულთა ანუ დღის და ღამის გაბაასების“ მიხედვით, მ. ბურდულის მოხსენება „ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები სვანეთში“ და გ. ნაფიშვილის მოხსენება „მონღოლთა სამხედრო ხელოვნება“.

ლ. ჭყონიამ წაიკითხა მოხსენება — „ღვინის დაყენების ხალხური წესები გარე-კახეთში“. საველე მასალების ანალიზის საფუძველზე ავტორმა დაადგინა, რომ ღვინის დამზადების წესი საერთოა გარე და შიდა კახეთში. ღვინის დამზადების პროცესი მომხსენებელმა დაყო შემდეგ საფეხურებად: 1. ყურძნის დაწურვა, 2. დუღილი და ღვინის დაყენება, 3. ღვინის დაძველება.

ლ. მღებრიშვილმა მოხსენებაში „სოფელ მუხრანის ეთნიკური შემადგენლობა“ აღინიშნა, რომ სოფ. მუხრანი თავისი ეთნიკური შემადგენლობით მრავალფეროვნია. 70-იანი წლებამდე ცხოვრობდნენ ებრაელები, ხოლო XX ს-ის 40-იან წლებამდე გერმანელები. ამჟამად გერმანელები და ებრაელები აღარ ცხოვრობენ. მომხსენებლის აზრით, მუხრანის მოსახლეობის ასეთი სიჭრელე გამოწვეული იყო გარკვეულ

ისტორიული პირობებით და სოფლის გეოგრაფიული მდებარეობით.

ბ. გრძელიძის მოხსენების თემა იყო „შრომითი კოოპერაციის ფორმები მთიულეთ-გუდამაყარში — მონდავი (XIX—XX სს.) ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)“;

ვ. ითონიშვილმა წაიკითხა მოხსენება მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა XVIII საუკუნეში“.

კ. ქარჩხაძემ მოხსენებაში „აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის ახალი დერმატოგლიფიკური მონაცემები“ აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის ჯგუფები დერმატოგლიფიკურად ისეთივე მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან, როგორსაც ბარის ჯგუფებთან, რამაც ავტორის აზრით, იმ დასკვნისაკენ უნდა გვიბიძგოს, რომ მთის და ბარის მოსახლეობა გენეტიკურად ერთიანია.

ბიოლოგიურ მეცნ. კანდ. ვ. ქაშიბაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების მოსახლეობის ოდონტოლოგიური თავისებურებანი“, მომხსენებელმა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების ქართული მოსახლეობა ცალკე გაერთიანებას მიაკუთვნა; დაადგინა მათი საშუალო დონის მსგავსება დას. საქართველოს (სვანები, რაჭველები) და ჩრდილო კავკასიის (ოსები, ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები) მთიანი რაიონების მოსახლეობის ჯგუფებთან და ამ უკანასკნელთა მსგავსება ერთმანეთთან, რაც კავკასიის მთიანი რაიონების მოსახლეობის ჯგუფების ერთი გაერთიანებისადმი უყოყმანოდ მიკუთვნების საშუალებას არ იძლევა.

სესიამ მოისმინა ვ. ვაშაკიძის მოხსენება „სტრაბონის გეოგრაფიის XI, 3, 6 ტექსტისათვის“; გ. მერაბიშვილის მოხსენება „ამერიკელი მისიონერების ცნობები საქართველოზე“; ა. დაუშვილის მოხსენება „ეროვნული საკითხი და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა (თეორიის ზოგიერთი საკითხი)“; დ. მუმლაძის მოხსენება „მანგანუმის მრეწველთა ყრილობის საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობა 1896—1917 წლებში“.

ნ. ღამბაშიძემ მოხსენებაში „იესო ქრისტეს სახე სხვა ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“ აღნიშნა, რომ ქართველი ხალხის წარმოდგენებში ქრისტეს ადამიანური ბუნება უფრო რელიეფურად იკვეთება. როგორც ღმერთი, იგი ქართველი ხალხის ყოფაში ნაკლებად ფუნქციონირებს და ადგილს უთმობს ადგილობრივ ღვთაებებს. თქმულებების მიხედვით ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება ძირითადად თავს იჩენს როგორც მკვდრეთით აღმდგენი, კეთილის დამჯილდოებელი და ბოროტის დამსჯელი.

გ. ცეცხლაძემ მოხსენებაში „ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები გურიაში“ ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით დაადგინა, რომ გურიაში ოჯახის ეკონომიკური საფუძველი იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა, მევენახეობა და მეურნეობის სხვა დარგები.

გ. უბილავას მოხსენების თემა იყო „ევროპელი მოგზაურების ცნობები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ XVI ს-ის მეორე ნახევარში“; ნ. აზიკურმა წაიკითხა მოხსენება „თუშური ხმით ნატირლები, როგორც ეთნოგრაფიული წყარო“. სესიამ მოისმინა აგრეთვე ი. წიკლაურის მოხსენება „მიწათმფლობელობის საკითხები ხევსურეთში“; ზ. ჯამბურიას მოხსენება „პერსონოლოგია მელქისედეკის დაწერილში“; თ. ჭყონიას მოხსენება „პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი და საქართველოს ბურჟუაზია 1915 წ.“.

ქ. სიხარულიძის მოხსენების თემა იყო „ხალხური კოსმეტიკა აღმოსავლეთ საქართველოში“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახის მოსავლელად ქართველი ქალები იყენებდნენ ბუნებრივ კოსმეტიკურ საშუალებებს. მათგან გამოკვებილი კანი ნაკლებად ნაოჭდებოდა და გვიან ემჩნეოდა ხანდაზმულობა. იგი დიდხანს ინარჩუნებდა ნაზ, სასიამოვნო და ახალგაზრდულ იერს.

ი. გოგინაშვილმა მოხსენებაში „მოახლე“ და „მეყვსი“ გიორგი ბრწყინვლის „ძეგლის დადების“ მიხედვით აღნიშნა, რომ ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები „მოახლე“ და „მეყვსი“ „ძეგლის დადებაში“ ძირითადად გამოხატავენ როგორც ოჯახისგან გაუყრელ, ისე გამოყოფილ ნათესაობასაც. ეს მოვლენა, მომხსენებლის აზრით, გამოხატავს XVI ს-ის მთიულეთში არსებულ მდგომარეობას, რომლის მიხედვით კონკრეტულად გამოუყოფელი ნათესაობა არ იყო მკაფიოდ გაიგივებული ნათესაურ სიახლოვესთან.

ლ. ფიფიამ წაიკითხა მოხსენება „მესხეთის ხალხური მედიცინის ისტორიიდან“; ვ. ჩიქოვანმა — „მთიულური სახლის ინტერიერის სიმბოლური ორგანიზაციის დახასიათებისთვის“; მ. პაპაშვილმა — „დაღესტანი რუსეთ-საქართველოს 722—24 წწ. პოლიტიკურ ურთიერთობაში“; სესიამ მოისმინა აგრეთვე ისტ. მეცნ. კანდ. გ. წულაძის მოხსენება „ოჯახში ბავშვების რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები“; ნ. ჯალაბაძის მოხსენება „ხალხური წარმოდგენები ადგილის დედა ღვთისმშობლის

შესახებ"; ზ. ჯინჯიხაშვილის მოხსენების თემა იყო „ქართველ ებრაელთა ყოფის და კულტურის ზოგიერთი საკითხი"; ზ. ძირკველიშვილისა — „სვანეთის ინტელიგენცია 1905—1907 წლების რევოლუციაში"; ა. სონღულაშვილმა წაიკითხა მოხსენება „თბილისის საგარეუბნო ზონის საკითხისათვის".

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ა. ბარამიძემ, ი. ჭყონიამ, ჯ. გვასალიამ, ჯ. ლომაშვილმა, გ. გრიგოლიამ და სხვებმა.

სხდომებს თავმჯდომარეობდნენ: გ. მელქიშვილი, მ. გაფრინდაშვილი, ჯ. ოდიშელი, ბ. გამყრელიძე, ვ. ჩოჩია, თ. ოჩიაური, უ. სიდამონიძე და გ. მარგიანი.

ზურაბ ჯამბურია

ახალგაზრდა არქეოლოგთა VI სესია

1982 წლის 20—21 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ახალგაზრდა არქეოლოგთა VI სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სსრკ შექმნის 60 წლისთავს.

მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: გ. გამყრელიძის „საქართველოს არქეოლოგიის სამეცნიერო-ორგანიზაციული განვითარების გზა 1921—1982 წწ.", დ. გოგელიას „ნეოლითური ხანის სადგომი დმანისის რაიონში", გ. ქავთარაძის „ზოგიერთი ახალი მონაცემი საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების დათარიღებისათვის", გ. მინდიაშვილის „ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტის დადგენისათვის მტკვარ-არაქსული ყორღანების მიხედვით", მ. ფუთურიძის „თრიალეთური კულტურის სოციალ-ეკონომიური სიტუაციის ანალიზი", ნ. მოლაშვილის „დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ახლად აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრები", მ. კვირიკაძე „არქეომაგნიტური მეთოდით ძეგლების შესწავლის ზოგიერთი შედეგი", დ. ახვლედიანის „საქართველოს ანტიკური ხანის კრამიტი (ვანის ნაქალაქარის მასალების მიხედვით), მ. ძნელაძის „კრამიტი საქართველოს ანტიკური ხანის სამარხ-ნაგებობებში", გ. ყიფიანის „სარკინეს იონიური კაპიტელი", ბ. ჩოლოყაშვილის „ქართველთა წარმართული კულტმსახურება (ზოროასტრული-არმაზი, ხადენი და ავტოქთონური — ძელი, ბოჩი, გაცი)", გ. ჩიქოვანის „იახსრის კულტის რაობისათვის", გ. რჩეულიშვილის „ქრისტიანობა ძველ ფხოვში არქეოლოგიური მასალების მიხედვით", ნ. რევიას „ტექნოლოგიურ-მეტალოგრაფიული კვლევის ისტორიისათვის საქართველოში", მ. წერეთლის, ბ. ასანიძის „არქეოლოგიაში მაგნიტური პარამეტრების გამოყენების საკითხისათვის".

ყველა მოხსენება აგებული იყო საქართველოში უკანასკნელ წლებში გამოვლენილ უახლოეს არქეოლოგიურ მასალებზე. მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ო. ლორთქიფანიძემ, უფროსმა მეცნიერ თანამშრომლებმა ალ. რამიშვილმა, ა. ბოხოჩაძემ, მ. მიწიშვილმა, გ. ინანიშვილმა, ზ. ჭელიძემ, უმფროსმა მეცნიერ თანამშრომლებმა ა. ჭყონიამ, მ. ძნელაძემ, დ. ახვლედიანმა, მ. აბრამიშვილმა და სხვებმა.

სესიისათვის გამოვიდა კრებული „არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიების მასალები)", რომელიც გამოიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში. კრებულის რედაქტორია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი რ. რამიშვილი. ეს მეორე წიგნია, სადაც ქვეყნდება ახალგაზრდა არქეოლოგთა მიერ სხვადასხვა ექსპედიციებში გამოვლენილი მასალები და ბევრი მათგანი მეცნიერულ მიმოქცევაში პირველად შედის, თითქმის ყველა სტატიას ახლავს საილუსტრაციო მასალა. მზადაა გამოსაცემად კრებული, რომელშიც შესულია მეოთხე და მეხუთე სესიების მასალები.

ამგვარი კრებულების გამოცემა მისასალმებელი საქმეა და მომავალში, თუ სტატიებს დაერთვება რეზიუმე და ტაბულების აღწერა რუსულ ენაზე, მაშინ ის გასცილდება რესპუბლიკის ფარგლებს.

გესარიონ ჯორბენაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ გეგეშიძე

1982 წლის 22 დეკემბერს მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტულ-სოციალურ კვლევა-ძიებათა განყოფილების ხელმძღვანელი მიხეილ კირილეს ძე გეგეშიძე. მან ცხოვრებისა და მოღვაწეობის შინაარსიანი გზა განვლო, ღირსეულად მოიპოვა მოქალაქეობრივი და სამეცნიერო აღიარება.

მ. გეგეშიძე დაიბადა ქ. თბილისში 1918 წელს. წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და ასპირანტურის კურსი ეთნოგრაფიის სპეციალობით. იგი მონაწილეობდა კავკასიის დაცვისათვის გაფრთებულ ბრძოლებში 1942 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე. დიდი სამამულო ომის წლებში შეივდა იგი სკკპ რიგებში (1944 წ.).

სამამულო ომის დამთავრებისთანავე მ. გეგეშიძე დაუბრუნდა მეცნიერულ საქმიანობას და ერთგულად შეება ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების მძიმე და საპატიო უღელში, რომელსაც აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია გუთნისდედობს. ვისაც მ. გეგეშიძე ეთნოგრაფიული მასალის შესაკრებად ველზე გასული უნახავს, მან იცის, რომ იგი ნოწოდებით ეთნოგრაფი იყო. მისთვის არ იყო დამახასიათებელი ემოციური პატრიოტიზმი და დინჯად, ღრმად აკვირდებოდა ეთნოგრაფიულ მოვლენებს.

მ. გეგეშიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართული ხალხური ტრანსპორტი საქართველოში“ (1956 წ.) ეთნოგრაფიული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ამ ნაშრომისათვის მას უფრო ადრე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. მან ასეთივე გულმოდგინებით მოამზადა და გამოსცა მეორე მონოგრაფიული გამოკვლევა „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა)“ (1961 წ.). ამ ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა და 1963 წელს მის ავტორს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხიც ერთხმად მიენიჭა.

მ. გეგეშიძე ეთნოგრაფიულ მოვლენას შესაშური სიბეჯითით დეტალურად სწავლობდა, აღგენდა ტერმინოლოგიურ სახესხვაობებს, ქმნიდა ტიპოლოგიურ ჯგუფებს, აზუსტებდა მოვლენათა გავრცელების გეოგრაფიულ არეალებს, ეძებდა გენეტიკურ ფესვებს და კულტურულ-ისტორიულ კავშირებს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან. მან წამოაყენა ორიგინალური შეხედულებები ბორბლის წარმოშობისა და მთის პირობებში სარწყავი მიწათმოქმედების თვისებებთან დაკავშირებით. ეთნოგრაფიაში სიღრმისეული კვლევის შედეგებს თვითონ მიჰყავდა საყურადღებო დებულებების ფორმულირებამდე. იგი მარჯვედ იყენებდა ქართულ ეთნოგრაფიაში დამკვიდრებულ კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდს, რამაც სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის კვლევაში სხვა მნიშვნელოვან შედეგებამდე მიიყვანა. მან მრავალი დამწყები ეთნოგრაფი დააყენა სწორ გზაზე და დამოძღვრა.

კონკრეტულ სოციალურ კვლევა-ძიებათა განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობის დროს მან პირველმა სცადა დაეკავშირებინა ეთნოგრაფია და სოციოლოგია. ამასთან, სავსებით მართებულად აიღო გეზი საქართველოს მთის რეგიონების სოციალური განვითარების პრობლემების კომპლექსური კვლევის მიმართულებით. მის კოლეგებს არასოდეს დაავიწყდებათ ის ენთუზიაზმი და ერთსულოვნება, რითაც დაიწყო სოციოლოგიური კვლევითი სამუშაოები: ექსპედიციები, სამეცნიერო კონფერენციები, პირველი სოციოლოგიური კრებულების გამოცემები. იგი ხალისით მონაწილეობდა, როგორც ამ სამუშაოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი წითელწყაროს რაიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი გეგმის შედგენაში.

სოციოლოგიური კვლევის ახალმა და რთულმა სამუშაოებმა თავისი სიძნელეებიც დაგვანახა, რომლის გადალახვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. იგი თავდადებით იღვწოდა ამ ახალ უბანზე და მუდამ მოქმედებდა ისე, როგორც სწამდა, სჯეროდა. ამ პერიოდში გამოქვეყნდა მისი ორი მონოგრაფია: „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები“ (1978 წ.) და „ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში“ (1982 წ.).

მ. გეგეშიძემ საინტერესო სამსახურებრივი გზა განვლო. 1948 წელს იგი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სექტორის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1951 წლიდან ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო იმავე წელს ინიშნება ამავე განყოფილების გამგედ. 1954 წელს მას ნიშნავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივნად. 1956 წელს იგი უბრუნდება ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებას, როგორც უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო შემდეგ 1961—1966 წლებში ხელმძღვანელობს საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებას. 1966 წელს მ. გეგეშიძე სათავეში ჩაუდგა ახლად დაარსებულ კონკრეტულ სოციალურ კვლევა-ძიებათა ლაბორატორიას (შემდეგ განყოფილებას), რომელსაც გარდაცვალებამდე უძღვებოდა.

მ. გეგეშიძე წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ზოგადი და საქართველოს ეთნოგრაფიის კურსს, იგი ერთხანს სათავეში ედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ პარტიულ ორგანიზაციას.

მეგობრები, კოლეგები არასოდეს დაივიწყებენ ამ უანგარო მოღვაწის ნაამაგარს, შეეცდებიან მისი დაწყებული საქმეები კეთილად დააგვირგვინონ.

აკაკი კაცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. 30 კაპ.

ინდექსი 76197